საკითხავი მასალა საგნისთვის:

„შესავალი მშვიდობის კვლევებში“

(IPS 0050)

სერგი კაპანაძე
კავკასიის უნივერსიტეტი
სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი

Funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

PESTUGE
მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი
INSTITUTE OF PEACE STUDIES

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

საკითხავი მასალა საგნისთვის:

„შესავალი მშვიდობის კვლევებში“

(IPS 0050)

კავკასიის უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი

ლექტორი:
სერგი კაპანაძე
პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

პროგრამა:
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

მთარგმნელი:
ნანა გოგიბერიძე

თარგმანის ენობრივი რედაქტორი:
ლია გაბისონია

კურსის საკითხავი მასალა (რიდერი) მომზადდა ერასმუს + პროექტის
„Creation of the Graduate Curricula in Peace Studies in Georgia (PESTUGE)“ ფარგლებში

სარჩევი

ინდივიდუალურ მახასიათებელთა თეორია
ჯეიმს შელენბერგი 7

სოციალური პროცესების თეორია
ჯეიმს შელენბერგი 26

სოციალური სტრუქტურული თეორიები
ჯეიმს შელენბერგი 46

ფორმალური თეორიები
ჯეიმს შელენბერგი 70

საკვლევი არეალის გაფართოება
პეტერ ვოლენსტინი 84

უპსალას კონფლიქტების მონაცემთა პროგრამა (UCDP), 1978-2010
პიტერ ვოლენსტინი 90

კონფლიქტის პრევენცია
პიტერ ვოლენსტინი 106

შეიარაღებული კონფლიქტი და სამშვიდობო შეთანხმებები
პიტერ ვოლენსთინი 125

დაგ ჰამარშელდი და დიპლომატიის ფსიქოლოგია
პიტერ ვოლენსტინი 136

ბიბლიოგრაფია 157

ინდივიდუალურ მახასიათებელთა თეორია

ჯეიმს შელენბერგი[1]

დოქტორი აინშტაინი წერილს აგზავნის

საგანგებო პროექტი

ალბერტ აინშტაინი (1879-1955) თავისი კარიერის პიკში იყო, როდესაც, 1932 წელს, საგანგებო პროექტში მონაწილეობის წინადადებით მიმართეს, რომელიც ერთა ლიგის ეგიდით ხორციელდებოდა. ამ დროისათვიის უკვე აღარ იყო შვეიცარიის პატენტების ოფისის ჩვეულებრივი კლერკი, როგორც 1905 წელს, როდესაც პირველად გამოაქვეყნა ნაშრომი ფარდობითობის თეორიის შესახებ. ის უკვე გახლდათ პრუსიის მეცნიერებათა პრესტიჟული აკადემიის პროფესორი ბერლინში, ასევე, კაიზერ ვილჰელმის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. მან თეორიულ ფიზიკაში თავი იმდენად გამოეჩინა, რომ მისი სახელი მთელს მსოფლიოში გენიალურობის სიმბოლოდ იქცა.

სპონსორი პროექტისა, რომელშიც აინშტაინს მონაწილეობა შესთავაზეს, იყო ერთი უჩვეულო ორგანო, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო ინტელექტუალური თანამრომლობის საერთაშორისო ინსტიტუტის სახელით, რომელიც წარმოადგენდა დღევანდელი UNESCO-ს (გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) წინამორბედს. პროექტის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოექვეყნებინათ მიმოწერა მსოფლიოს წამყვან ინტელექტუალებს შორის და აინშტაინი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც მასში მონაწილეობა შესთავაზეს. მას შეეძლო მიმოწერისათვის თავად შეერჩია ნებისმიერი ადრესატი და თემატიკა. მან ადრესატად ზიგმუნდ ფროიდი, მიმოწერის თემად კი ომის მიზეზები და კონტროლი აირჩია.

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) იმ დროისათვის ფსიქოანალიზის ლიდერად იყო აღიარებული. თავისი კარიერის ამ მოწიფულ ეტაპზე ის უკვე ფართოდ და შესაძლოა ნებისმიერ სხვა ფსიქოანალიტიკოსზე მეტადაც კი იყო ცნობილი. ფროიდი პროექტში მონაწილეობას დათანხმდა, თუმცა, დიდი ენთუზიაზმის გარეშე. ასე მომზადდა ნიადაგი მეოცე საუკუნის ორ უდიდეს მოაზროვნეს შორის იდეების გაცვლა-გამოცვლისათვის.

აინშტაინი და ფროიდი ერთმანეთს კარგად არ იცნობდნენ. ისინი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ეს იქნებოდა მათთვის პირველი მიმოწერა. ამასთანავე, პროექტში მათი მონაწილეობა უფრო მეტად გულისხმობდა აზრის საჯაროდ გამოხატვას, ვიდრე პირად კორესპონდენციას.

შეკითხვა

თავის შედარებით მოკლე საინიციატივო წერილში, აინშტაინმა მთავარი ყურადღება გაამახვილა შემდეგ შეკითხვაზე: „არსებობს თუ არა ომის საშიშროებისგან კაცობრიობის ხსნის გზა?“ მან ასევე გამოთქვა საკუთარი შეხედულებები მსოფლიო მთავრობის საჭიროებაზე, თუმცა, იქვე აღნიშნა, თუ რამდენად ძლიერი იყო წინააღმდეგობა შეუზღუდავი ეროვნული სუვერენიტეტის მხრიდან მსგავსი მოძრაობის მიმართ. რატომ არსებობს ასეთი

1 Schellenberg, James A. “Individual Characteristics Theories.” In Conflict Resolution, 39-57. New York, State University of New York Press, 1996.

წინააღმდეგობა და საიდან მოდის ხალხის მასების ასეთი მზაობა, რომ ომს შესწირონ თავი (და თანაც „ასეთი ველური ენთუზიაზმით“)? აინშტაინს ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი ზოგადი პასუხი ჰქონდა: „იმიტომ რომ, ადამიანს შინაგანად გააჩნია სიძულვილისა და ნგრევისადმი ლტოლვა“. მაგრამ, აქვე ის აღიარებდა თავის, როგორც ფიზიკოს მეცნიერის სისუსტეს, რომ მეტი სიცხადე შეეტანა ამ საკითხში; სწორედ ამიტომ მან მიმართა ფროიდს, როგორცსპეციალისტს და სთხოვა, წარმოედგინა თავისი შეხედულება. დასკვნითი შეკითხვა, რომელზე პასუხსაც აინშტაინი განსაკუთრებით ეძებდა, შემდეგში მდგომარეობდა: „შესაძლებელია თუ არა ადამიანის გონებრივი ევოლუციის კონტროლი ისე, რომ მან გაუძლოს სიძულვილისა და დესტრუქციულობის ფსიქოზს?“

პასუხი

ფროიდმა თავისი პასუხი საკმაოდ მოკრძალებულად დაიწყო. მან გაკვირვება გამოხატა აინშტაინის მიერ შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით და ეჭვი გამოთქვა, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამოსადეგი იქნებოდა მისი პასუხი. მიუხედავად ამისა, მან წარმოადგინა თავისი ანალიზი.

პირველი მთავაზი აზრი, რომელსაც ფროიდი ავითარებს, არის ის, რომ ძალადობა ყოველთვის იყო ადამიანური კონფლიქტების ბოლო მსაჯული. ის სათავეს იღებს ჩვენი ძირეული ცხოველური ბუნებიდან, და მას ჩვენი განვითარებული ცივილიზაცია მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ აკონტროლებს. მართალია, პროცესები მნიშვნელოვნად განვითარდა კანონის უზენაესობის ძალით ძალადობის კონტროლის კუთხით მაგრამ ეს შეიძლება ჩაითვალოს ბრძოლის უფრო ძირეული საშუალებების მხოლოდ მეორეხარისხოვან გაუმჯობესებად. სამოქალაქო საზოგადოებაში გამეფებული სამართლებრივი კონტროლი, ნაწილობრივ ეფუძნება მმართველი ძალის მხრიდან იძულების ზომების გამოყენების უფლებას, ნაწილობრივ კი საზოგადოების მართული ნაწილის მიერ ძალისმიერი კონფრონტაციების თავიდან აცილების საერთო ინტერესის გაცნობიერებას. ძალისმიერი კონფრონტაციები. ფროიდმა ეს ორი ფაქტორი შეაჯამა, როგორც „ძალისმიერი იძულება“ და „სენტიმენტალური კავშირები“ (პირებს შორის, საერთო ჯგუფური იდენტობის მატარებელ ინდივიდებს შორის).

ფროიდის აზრით, ზოგადი დასკვნა, რაზეც აღნიშნული მოსაზრებები მიუთითებდა, პესიმისტური იყო. ის ამტკიცებდა, რომ „რეალური ძალის იდეალისტური ძალით ჩანაცვლების მცდელობა, მოცემულ მომენტში, როგორც ჩანს, კრახისთვის არის განწირული“.

ფროიდი კიდევ უფრო შორს მიდის და აგრძელებს ადამიანის აგრესიულობის ფსიქოლოგიური საფუძვლების შემდგომ ანალიზს. ის ამტკიცებს, რომ ჩვენ ძირითადად ინსტინქტები გვმართავს, რომელიც ორი სახისაა: სექსუალური და აგრესიული, დესტრუქციული. ეს ინსტინქტები არასდროს მოქმედებენ ცალ-ცალკე ან იზოლირებულად; ისინი ყოველთვის ისე ერწმის ერთმანეთს, რომ ჩვენი ბუნებისათვის დამახასიათებელი ურთიერთსაპირისპირო მახასიათებლებმა შეიძლება ერთდროულად ჰპოვონ გამოხატულება. კომპლექსური ქცევა, როგორც წესი, ამ ძირეული ინსტინქტების მრავალ კომპლექსურ სახესხვაობას მოიცავს. მაგალითად, ფროიდი ამბობს, რომ ომის დროს ადამიანებსშესაძლოა ჰქონდეთ თანხმობის მრავალი მოტივი - ზოგი კეთილშობილული, ზოგიც ძირეული, ზოგიერთი გაცხადებული, ხოლო ზოგი კი ფარული ყოველი მათგანის ჩამოთვლა საჭირო არ არის. აგრესიისა და განადგურებისადმი ლტოლვა დანამდვილებით შედის მათ რიცხვში; ჩვენს ისტორიასა და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული უთვალავი სისასტიკე ადასტურებს მის არსებობასა და

სიძლიერეს ამ დესტრუქციული იმპულსების დაკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მათი შეზავება სხვა ეროტიული და იდეალისტური ხასიათის იმპულსებთან.

მართალია ხშირად, განაგრძობს ფროიდი, იდეალისტური მოტივები ცნობიერების წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ სიძლიერეს ქვეცნობიერში ჩაძირული დესტრუქციული ინსტინქტები განაპირობებს.

თავის ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტები ადამიანურ ბუნებაში, ფროიდი იმ მტკიცებით ასრულებს, რომ „ადამიანური აგრესიული იმპულსებისგან სრულად განთავისუფლების საკითხი არც დგას“. თუმცა, შესაძლებელია აქცენტი გაკეთდეს იმ დადებით გრძნობებზე, რომლითაც ადამიანები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ის ორ ასეთ ძირეულ გრძნობას გამოყოფს: ერთმანეთის სიყვარულსა და ურთიერთიდენტიფიკაცია. ეს გრძნობები ასახავენ შესაბამისად, ჩვენს (როგორც წესი სუბლიმირებულ) სექსუალურობას და საზოგადოებისადმი კუთვნილების შეგრძნებას (რომელსაც „უმეტესწილად ეფუძნება საზოგადოების სტრუქტურა“). შესაძლებელია კი საზოგადოებისადმი კუთვნილების ეს შეგრძნება ისე გაღვივდეს, რომ ჭეშმარიტად მშვიდობიანი სამყარო შექმნას? არა, ამბობს ფროიდი, ვინაიდან მას ყოველთვის ასუსტებს ძალაუფლების იერარქიულობა. ის ასევე ამტკიცებს, რომ ინდივიდებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია „დაიყონ ორ კლასად - ლიდერებად და მიმდევრებად“, წარმოადგენს „კაცობრიობის თანდაყოლილი და აღმოუფხვრელი უთანასწორობის ნიმუშს“. მართალია, შეგვიძლია ვცადოთ და მოვახდინოთ მმართველებში მეტი სიბრძნის, ხოლო მართულ კლასში მათი ქმედებების მიმართ მეტი გაგების უნარის გამომუშავება, მაგრამ ეს საზოგადოების ძირეულ ბუნებას ვერ შეცვლის, ყოველ შემთხვევაში, ახლო პროგნოზირებად მომავალში.

წერილის დასასრულს, ფროიდი სვამს და ცდილობს უპასუხოს შეკითხვას, რომელიც აინშტაინს არ წამოუწევია. ეს კითხვა შემდეგში მდგომარეობს: ძალისმიერი კონფლიქტების მიდმივი და გარდაუვალი ბუნების გათვალისწინებით, რატომ ისწრაფიან ჩვენნაირი ადამიანები კვლავ მშვიდობისაკენ? რატომ ვუწევთ ასე დაჟინებით წინააღმდეგობას ომს თქვენ, მე და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი? რატომ ვერ ვიღებთ მას ისევე, როგორც ცხოვრების ბევრ სხვა მტანჯველ სისასტიკეს?“ ის თავადვე იძლევა პასუხს: ჩვენ იმიტომ გვძულს ომი ასე ძალიან, რომ ცივილიზაციის საფარქვეშ უფრო მაღალი მიზნებისკენ მივისწრაფით, ვიდრე ეს უბრალოდ ჩვენი იმპულსების გამოხატვაა. ეს წარმოადგენს ჩვენი ხანგძლივი კულტურული ზრდა-განვითარების ნაწილს (რომელიც, ფროიდის რწმენით, თავის მხრივ, საბოლოოდ, ჩვენი ორგანული ბუნების ნაწილი ხდება), რომელიც მიისწრაფვის „ინსტინქტური მიზნების პროგრესული ჩანაცვლებისა და ინსტინქტური იმპულსების შეზღუდვისაკენ“. ეს კი ძალიან გრძელვადიანი (და მტკივნეული, რადგან ის მოითხოვს ჩვენი ძირეული ინსტინქტების მოდიფიკაციას) პროცესია მისი საბოლოო შედეგები კი - გაურკვეველი. ამის მიუხედავად, მასში ჩადებულია ომების შემცირების თუნდაც ძალიან მცირეიმედი, მითუმეტეს თუ, მას თან ერთვის იმ გამანადგურებელი შედეგების გაცნობიერება, რომელიც შეიძლება თან ახლდეს თანამედროვე ომებს.

დანამდვილებით არავინ იცის, თუ რა იფიქრა აინშტაინმა ფროიდის წერილის წაკითხვისას. ფროიდი, თავის მხრივ, როგორც ჩანს წინასწარ გრძნობდა მის იმედგაცრუებას; მისი ბოლო წინადადება ასე იწყება: „მჯერა, მაპატიებ თუ ჩემი ნათქვამი იმედს გაგიცრუებს“.

მიმოწერიდან ძალიან მალე, აინშტაინი პირდაპირ შეეჯახა ბევრად უფრო პირადულ და გადაუდებელ პრობლემებს, ვიდრე, ზოგადად, ომების აღმოფხვრაა. ფროიდის პასუხის

მიღებიდან რამდენიმე თვეში (და წერილების გამოქვეყნებამდე), გერმანიის ხელისუფლებაში ახალი კანცლერი, ადოლფ ჰიტლერი მოვიდა. აინშტაინმა სასწრაფოდ დატოვა თავისი აკადემიური თანამდებობები ბერლინში, უარი თქვა გერმანიის მოქალაქეობაზე და ემიგრაციაში წავიდა. მან გაავრცელა განცხადება (მართლაც, იმავე თვეში, როდესაც ფროიდთან მისი მიმოწერა გამოქვეყნდა), რომელშიც ნათქვამი იყო: „მანამ სანამ რაიმე არჩევანის შესაძლებლობა მაქვს, ვიცხოვრებ მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც უზრუნველყოფილია პოლიტიკური თავისუფლება, ტოლერანტობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა“.

ბუნებრივი გადარჩევა და მკვლელის ინსტინქტი

ინსტინქტი?

ნათელია, რომ ზიგმუნდ ფროიდი, სოციალურ კონფლიქტს განიხილავდა, როგორც ინდივიდში ღრმად ფესვგადგმული ძალების გამოხატულებას. ისინი იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული, რომ მათ, საზოგადოდ ძირითად ინსტინქტებად მოიხსენიებენ. ფროიდის გაგებით, ადამიანურ კონფლიქტს ასაზრდოებს ჩვენში არსებული თანდაყოლილი აგრესიული ლტოლვა.

აგრესიული ლტოლვის ან ინსტინქტის რა სახის მხარდამჭერი არუმენტების პოვნაა შესაძლებელი, მაგალითად, ბიოლოგიურ მეცნიერებებში ან ბიჰევიორიზმში? ამჯერად, შევუდგებით ამ შეკითხვაზე პასუხის ძიებას.

თავდაპირველად, განვიხილავთ ბიოლოგიურ მეცნიერებებს, რომლის ფარგლებში არსებობს სხვადასხვა თეორია თუ თეორიული მიდგომა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უჭერს მხარს ფროიდის პოზიციას. მათგან მოკლედ განვიხილავთ სამ მათგანს: 1) მე-19 საუკუნის დარვინიზმი, 2) ეთოლოგია, და 3) სოციობიოლოგია.

დარვინის წვლილი

ჩარლზ დარვინმა (1809-1882) თავის ნაშრომში „სახეობათა წარმოშობის შესახებ“ ჩამოაყალიბა ბიოლოგიური ცვლილების ახსნა-განმარტება, რომლის ცენტრალურ თემას წარმოადგენდა ბუნებრივი გადარჩევის იდეა. ამა თუ იმ სახეობის იმაზე მეტი წარმომადგენელი იბადება, ვიდრე გადარჩენის უნარი შესწევს, ამდენად, მხოლოდ ისინი გადარჩებიან და გამრავლდებიან, ვინც უკეთ ახერხებს გარემო პირობებთან ადაპტირებას. მსგავსად ამისა, ზოგიერთი სახეობა შეიძლება გადაშენდეს, ხოლო სხვა კი განვითარდეს; ყოველივე ეს კი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წარმატებულად გაართმევს თავს თითოეული მათგანი იმ გარემო პირობებს, რომელშიც ცხოვრობს. ამგვარად, ძალზედ ნელი ტემპით, ეტაპობრივად მიმდინარეობს ბიოლოგიური ევოლუცია.

თავად დარვინს ბევრი არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ მიესადაგება ამგვარი ბიოლოგიური შეჯიბრი და კონკურენცია ადამიანთა საზოგადოებას. თავისი ნაშრომების იმ რამდენიმე მონაკვეთში, რომელიც ადამიანთა საზოგადოებას ეხება, მან გამოხატა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება იმგვარი სოციალური პოლიტიკის მიმართ, რომელიც ადამიანურ ბუნებაში მეტოქეობრივი ძალების დაკნინებას ცდილობდა. თუმცა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ავტორები უფრო თამამად განიხილავენ ადამიანთა საზოგადოებაში

ბიოლოგიური ევოლუციის როლს. დარვინის მეგობარი და ახალი მეცნიერების, სოციოლოგიის ერთ-ერთი პიონერთაგანი, ჰერბერტ სპენსერი როგორც ბიოლოგიური, ისე სოციოლოგიური ანალიზისათვის იყენებდა „ყველაზე უნარიანის გადარჩენის“ კონცეფციას. სხვა ე.წ. „სოციალური დარვინისტები“ ვრცლად განიხილავდნენ კონკურენციისა და კონფლიქტის (ინდივიდებს შორის, ადამიანის განსხვავებულ ყოველდღიურ საქმიანობებს შორის, სოციალურ ინსტიტუტებს შორის, ჯგუფებს შორის, და ბოლოს, საზოგადოებებს ან ერებს შორის) როლს ადამიანთა საზოგადოების ყველა ფორმისათვის. ის ფაქტი, რომ ადამიანებს ჰქონდათ თანდაყოლილი მიდრეკილება აგრესიის მიმართ, ფართოდ იქნა აღიარებულ როგორც გადარჩენისთვის საყოველთაო ბრძოლის შემადგენელი ნაწილი.

მართალია, დარვინის თეორიებს ცენტრალური ადგილი ეკავა ბიოლოგიაში მე-20 საუკუნეში, თუმცა ბოლო პერიოდში მოხდა მათი გარკვეული გადახედვა. დარვინმა არაფერი იცოდა მუტაციის როლის შესახებ, ან იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ბიოლოგიური ცვლილება გენეტიკური მასალის დაჩქარებული ტრანსფორმაციის გზით. გარდა ამისა, მას არ გაუანალიზებია, რომ სახეობებმა შეიძლება განაგრძონ არსებობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და მცირე ცვლილები განიცადონ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახეობები ყოველთვის ისე მგრძნობიარედ არ ექვემდებარებიან გარკვეულ გარემო პირობებს, როგორც ამას დარვინი ვადაუდობდა. მეოცე საუკუნის ბოლოს უკვე მეტად გვესმის „წყვეტილი წონასწორობის “თეორიების შესახებ (რომლის თანახმად, სწრაფი ევოლუციური ცვლილების შედარებით ხანმოკლე პერიოდებს ენაცვლება ძალიან მცირე ცვლილების უფრო ხანგძლივი პერიოდები). დარვინის თვალსაზრისის უფრო მნიშვნელოვანი გადახედვა მაინც სოციალურ მეცნიერებებში მოხდა. მე-20 საუკუნის ანთროპოლოგები და სოციოლოგები, თავიანთ მე-19 საუკუნის კოლეგებთან შედარებით ნაკლებად იხრებოდნენ იქით, რომ ნებისმიერი ინსტინქტი განეხილათ, როგორც ადამიანის ბუნებაში თავისთავად არსებული ფაქტორი. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანური ქცევის ბიოლოგიური ფესვები ეძებნათ, ისინი მას უფრო მეტად ადამიანური კულტურის პროდუქტად განიხილავდნენ, ანუ იმად რასაც ჩვენ ვქმნით ჯგუფთან ერთად და გადავცემთ სოციალური დასწავლის გზით.

ახალი მიმდინარეობები

ამგვარად, მეოცე საუკუნის ბოლოს, შეგვიძლია თუ არა გვერდზე გადავდოთ დარვინისეული გადარჩენისათვის ბრძოლასთან დაკავშირებული სირთულეები, რათა, როგორც მინიმუმ, ავხსნათ ადამიანური ქცევა? საუკუნის შუა წლებში ინტელექტუალურ წრეებში სწორედ ამ საკითხზე მსჯელობდნენ, მაგრამ საუკუნის ბოლო ათწლეულში, ეს ჯერ კიდევ არ არის ნათელი. ბოლო ათწლეულებში აღმოცენდა ორი ახალი თეორიული ხედვა, „ეთოლოგია“ და „სოციობიოლოგია“ და ორივე მათგანი კვლავ წინა პლანზე წამოსწევს სოციალური ქცევების გენეტიკურ მემკვიდრეობას. ორივე მათგანი გულისხმობს, რომ აგრესიული მიდრეკილებები, შესაძლოა, გენეტიკური შენაძენის ნაწილი იყოს, რომელსაც ადამიანები ისევე გამოხატავენ, როგორც სხვა სახეობები.

ეთოლოგია არის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ბუნებრივ გარემო პირობებში ცხოველთა სიღრმისეული კვლევის საფუძველზე შეისწავლის მათ ქცევას. აღსანიშნავია, რომ ამგვარ კვლევაში ჩართული ყველა ბიოლოგი არ თვლის თავს ეთოლოგად (თავად ტერმინი გამოიყენება უფრო ევროპელ ბიოლოგებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მათთან, ვინც მკვეთად უსვამს ხაზს ქცევის გენეტიკურ საფუძვლებს, და ნაკლებად ამერიკელ ზოოლოგებთან მიმართებაში); თუმცა მათ, ვინც თავს ასეთად მიიჩნევს, მეოცე საუკუნის

მეორე ნახევარში განსაკუთრებული გავლენა მოიპოვეს. საგულდაგული კვლევების შედეგად მათ გამოავლინეს სხვადასხვა სახეობის ბევრი მნიშვნელოვანი ქცევითი მოდელი, რომელთაც, როგორც ჩანს, ძლიერი მემკვიდრეობითი საფუძველი გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებების უმრავლესობა იმის შესახებ, რომ სოციალურ ქცევას განაპირობებს მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა (როგორიცაა, მაგალითად ძლიერი სოციალური კავშირების დამყარება უფრო მეტად გარკვეულ ადრეულ ასაკში), სწორედ ეთოლოგების ნაშრომებიდან იღებს სათავეს (ეთოლოგია არ უნდა აგვერიოს „ეთნოლოგიაში“,რომელიც ადამიანურ კულტურებს იკვლევს).

სოციობიოლოგია არის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ცხოველების სოციალურ ორგანიზაცი(ებ)ას. ის ზოოლოგები, რომლებიც თავს სოციობიოლოგებად მიიჩნევენ, თვლიან, რომ სოციალური ორგანიზაციის საფუძველი არის პოპულაციის გენეტიკა. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახეობის (ან მისი ქვეჯგუფის) სოციალურ ორგანიზაციას განსაზღვრავს ქცევითი მოდელების განაწილების სიხშირე მათ გენოფონდში. ტერმინი სოციობიოლოგია პირველად გამოიყენა ედუარდ ო. უილსონმა თავის გავლენიან წიგნში, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა; მას ამ წიგნში სურდა წარმოედგინა სოციალური ორგანიზაციის ახალი ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები.

რას ამბობენ ეთოლოგები და სოციობიოლოგები ადამიანის აგრესიული ინსტინქტთან დაკავშირებული იდეის შესახებ? ეთოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ ნებისმიერი სახეობისათვის დამახასიათებელი აგრესიულობა მათი გენეტიკური მემკვიდრეობიდან იღებს სათავეს. ადამიანები გამონაკლისს არ წარმოადგენენ და მათ ქცევასაც ეს გენეტიკური მახასიათებელი განსაზღვრავს. ამ პოზიციას ამყარებს კონრად ლორენცი თავის წიგნში *„აგრესიის შესახებ“*, სადაც ის საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვამს თავის მოსაზრებას (ზიგმუნდ ფროიდის მოსაზრების მსგავსად), რომ ადამიანებს ნამდვილად გააჩნიათ აგრესიულობის ძლიერი ინსტინქტი. სხვა ეთოლოგები ნაკლებად დარწმუნებულნი არიან, რომ აგრესია ძლიერი ადამიანური მახასიათებელია, და მიუთითებენ ადამიანებში არსებულ ისეთ მემკვიდრეობით გადაცემულ თავისებურებებზე, რომელიც შეიძლება ძალისმიერი კონფლიქტის თავიდან აცილებაში დაგვეხმაროს. მაგალითად, ირენაუს აიბლ-აიბესფელდტი აღნიშნავს, რომ ადამიანებში არსებობს ერთმანეთის მოკვლის საწინააღმდეგო ბიოლოგიური საფუძვლის მქონე ნორმა, თანხმობის თანდაყოლილი გამოვლინებები (რომელიც უნივერსალურია ყველა ადამიანურ საზოგადოებაში) შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ადამიანური აგრესიის კონტროლის კიდევ ერთი საშუალება.

სოციობიოლოგებიც თვლიან, რომ ცხოველურ აგრესიას უმეტესწილად გენეტიკური საფუძველი აქვს, მაგრამ ისინი, ამავე დროს, ხაზს უსვამენ იმ ცვალებადობას, რომელსაც ის განიცდის სხვადასხვა სახეობებსა და სოციალური ორგანიზაცის მოდელებში. ისინი, ასევე, ხშირად განასხვავებენ აგრესიის სხვადასხვა სახეობას (მტაცებლური აგრესია, მამრებს შორის არსებული აგრესია, დედობრივი თავდაცვითი აგრესია, შიშით გამოწვეული აგრესია, აგრესია გაღიზიანების საფუძველზე და ა.შ.), რომლებსაც თავის მხრივ, თავისი განმასხვავებელი ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია. სოციობიოლოგები იმ აზრს ემხრობიან, რომ ადამიანებში აგრესია, ცხოველებთან შედარებით, უფრო ადვილი ფორმით ვლინდება, ვინაიდან მას ადამიანური კულტურა ფარავას. ისინი აღნიშნავენ, რომ სახეობებში ძლიერი აგრესია ვლინდება უფრო ისეთ პირობებში, სადაც პოპულაცია შედარებით მჭიდროდ არის თავმოყრილი, ვიდრე იქ, სადაც ისინი გაბნეულია ფართო არეალზე. ეს მტკიცებულება ემთხვევა იმ დაკვირვებასაც, რომ ადამიანები რომლებიც უფრო გაფანტულ საზოგადოებრივ

ფორმაციებს ქმნიდნენ (როგორც მონადირე ან ჯგუფური ტომები, მაგ. ჩრდილოეთ ამერიკელი ესკიმოსები ან ავსტრალიელი აბორიგენები) დასავლურ კულტურებთან შეხებამდე თითქმის არ ებმებოდნენ ძალისმიერ კონფლიქტებში და ბუნდოვანი წარმოადგენა ჰქონდათ ომის კონცეფციაზე.

ეთოლოგები და სოციობიოლოგები, დარვინული ტრადიციების მიმდევარი სხვა ბიოლოგების მსგავსად, თვლიან, რომ ადამიანური ბუნების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია იმ კონკურენტულმა პირობებმა, რომელშიც ის წარმოიშვა, როგორც, სახეობა დღევანდელი სახით. მართალია, ყველა მათგანი არ მიიჩნევს, რომ ზოგადად ადამიანის აგრესიული ინსტინქტი მაინცდამაინც ამ გარემოების შედეგად წარმოიშვა, მაგრამ, თვლიან, რომ კაცობრიობის წინაშე დგას მთელი რიგი ისეთი გარემოებები, რომელთა საპასუხოდ აგრესია ყველაზე ბუნებრივი რეაქციაა.

რას გვეუბნება დარვინიზმის, ეთოლოგიისა და სოციობიოლოგიის ეს მოკლე მიმოხილვა ფროიდის ვარაუდზე, რომ ადამიანებს გააჩნიათ აგრესიისადმი ფუნდამენტური ლტოლვა თუ ინსტინქტი? ადამიანებს ნამდვილად გადმოეცემად წარსულიდან მემკვიდრეობა, რომელიც აგრესიული საპასუხო რეაქციებისადმი ძლიერ მიდრეკილებასაც მოიცავს. მაგრამ, მუდმივად მიისწრაფის ეს შინაგანი ლტოლვა გამოხატვისაკენ? ამ ეტაპზე, აღნიშნული იდეის შესახებ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ - ეს დამტკიცებული არ არის.

სხვა ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოსაზრებები

გენეტიკა

მაგრამ როგორ ავხსნათ სულ უფრო და უფრო მზარდი მტკიცებულებები გენეტიკისა და ქცევის შესახებ?მკვლევარები ყოველწლიურად აწყდებიან დაავადებების გარკვეული ფორმებისა თუ ადამიანური ქცევის სხვადასხვა ასპექტების კავშირებს გენეტიკასთან. ხომ არ მოიცავს ისინი აგრესიულ ქცევებსაც?

მეცნიერები ადამიანის ზოგიერთ დაავადებას უკავშირებენ ჩვენი ქრომოსომების გარკვეულ მდგომარეობას. ამ დაავადებათა შორისაა ჰანტინგტონის დაავადება, კისტური ფიბროზი, ალცჰაიმერის დაავადების რამდენიმე ფორმა. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ქრომოსომებს უკავშირდება ზოგიერთი უფრო ზოგადი ხასიათის დაავადებაც, მაგალითად, ალკოჰოლიზმი, შიზოფრენია და მანიაკალური დეპრესია; თუმცა, არსებული მიგნებები დასკვნის გაკეთების საშუალებას ჯერ არ აიძლევა, შერეული მტკიცებულებების გამო. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს მანიაკალური დეპრესია. თავის დროზე, საკმაოდ ზედმიწევნით ჩატარებული კვლევები მიუთითებდა, რომ მანიაკალური დეპრესია ძლიერ ურთიერთქმედებაშია ადამიანური გენომის მეთერთმეტე ქრომოსომის მდგომარეობასთან; თუმცა, შემდგომმა კვლევებმაეს შედეგები არ დაადასტურა (პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა). შესაბამისად, გაჩნდა შეკითხვები წინა კვლევის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით.

გარკვეული მოსაზრებები არსებობდა, ასევე, ქრომოსომების აგრესიულ ქცევასთან კავშირის შესახებაც , მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით იმაზე ბევრად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ქრომოსომების კავშირი მანიაკალურ დეპრესიასთან. მაგალითად, 1965 წელს, გარკვეული კვლევების შედეგები მიუთითებდა, რომ აგრესიის განსაკუთრებით მაღალი

დონე ზოგიერთ მამაკაცში ზედმეტი Y ქრომოსომის არსებობასთან იყო დაკავშირებული. მართალია, დადასტურებულ იქნა, რომ ქცევის გარკვეული განსხვავებულობები მართლაც არის ზედმეტი ქრომოსომის არსებობით გამოწვეული, მაგრამ სამეცნიერო წრეებში თავი მაინც შორს დაიჭირეს იმ დასკვნის გაკეთებისაგან, რომ ზემოხსენებული ქცევა მოიცავს აგრესიასაც. მაქსიმუმი რაც შეიძლება ითქვას არის ის, რომ, როგორც ჩანს შესაძლებელია, შედარებით დაბალი საშუალო ინტელექტის მქონე პირები, რომელთაცზედმეტი ქრომოსომა აქვთ ასოცირებული იყვნენ დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილების მაღალ დონესთან. უფრო მოგვიანებით, 1993 წელს, გამოჩნდა ინფორმაციები X ქრომოსომის მუტაციის იშვიათი ფორმის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო აგრესიულ ქცევასთან (ან მინიმუმ ისეთ დანაშაულებრის ქმედებებთან, როგორიცაა ხანძრის გაჩენა ან გაუპატიურების მცდელობა). მიღებული შედეგების გადასამოწმებლად კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ მათ შედეგებს. აგრესიის არც თუ ისე ბევრი ფორმა შეიძლება აიხსნას იშვიათი გენეტიკური მდგომარეობით.

შეიძლება გარკვეული ქრომოსომები მართლაც არ არის პროცესში ჩართული, მაგრამ კომპლექსური ადამიანური ქცევის ბევრ ფორმაში აშკარად ვლინდება გენეტიკასთან კავშირი. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ შიზოფრენიას, მანიაკალურ დეპრესიას და ალკოჰოლიზმს ძლიერი კავშირი გააჩნია გენეტიკასთან. იგივე ეხება ყველაფერ იმას, რასაც ინტელექტის კოეფიციენტის ტესტი ზომავს. თუმცა, არც თუ ისე ადვილია გენეტიკურ ფაქტორებთან ყველა იმ ქცევის დაკავშირება, რომელიც აგრესიად აღიქმება.

გენეტიკისა და ადამიანური ქცევის კომპლექსურ ფორმებს შორის არსებული კავშირების გასაგებად ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი აღმოჩნდა ტყუპების კვლევები. ერთად თუ ცალ-ცალკე აღზრდილი იდენტური და არაიდენტური ტყუპები, იძლევიან როგორც გენეტიკური, ისე გარემოს მსგავსების ხარისხის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლებს. მეცნიერები იკვლევენ ისეთ ქცევებს, რომლებიც დაკავშირებულია გენეტიკური მსგავსების ხარისხებთან (რაც გულისხობს მაგალითად, კავშირებს მშობლებსა და შვილებს შორის, ან და-ძმას შორის უფრო შორეულ ნათესაურ კავშირებთან შედარებით) და ამის საშუალებით ზომავენ, თუ რა დოზით გადადის მემკვიდრეობით ქცევის სხვადასხვა მოდელიანუ ზომავენ მათი „მემკვიდრეობითობის“ ხარისხს. მსგავსი კვლევების თანახმად, პიროვნული მახასიათებლები მჭიდროდ არის დაკავშირებული მემკვიდრეობითობასთან და ის შესაძლოა მერყეობდეს პიროვნების შემადგენლობის ერთ-მესამედსა და ნახევარს შორის.

ტყუპების კვლევისას ხშირად იკვლევენ პიროვნულობის ისეთ განზომილებას, როგორიცაა მიდრეკილება სხვა ადამიანების მიმართ მეგობრული ან მტრული დამოკიდებულებისადმი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ახლოს დგას პიროვნული მახასიათებლების ისეთ ცვლადთან, როგორიცა აგრესია. კვლევა მიუთითებს, რომ მეგობრულ-მტრული დამოკიდებულების განზომილებას გარკვეულ გენეტიკური საფუძველი გააჩნია, თუმცა, როგორც ჩანს, ის არ არის იმდენად ძლიერი, რამდენადაც, პიროვნულობის სხვა მახასიათებლები.

როგორიც არ უნდა იყოს აგრესიულ ქცევაზე გენების გავლენის კვლევის საბოლოო შედეგები, სამი პუნქტი საჭიროებს ხაზგასმას: 1) აგრესია არის ადამიანური ქცევის უაღრესად კომპლექსური ფორმა, ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თითოეულ მის ფორმას განსაზღვრავდეს ერთი და იგივე ფაქტორი, იქნება ეს გენეტიკური თუ სხვა; 2) ცოდნა, რომელიც გაგვაჩნია კომპლექსურ ადამიანურ ქცევაზე გენეტიკური გავლენის შესახებ, ამგვარი კვლევის ჩასატარებლად მაინც ცოტა ძირეულ შეკითხვაზე თუ იძლევა პასუხს; 3) გენეტიკური

კავშირების არსებობის შემთხვევაშიც კი, ისინი უნდა გამოიხატოს სხვა ფიზიოლოგიური და ქცევითი მექანიზმების საშუალებით.

ეს ბოლო პუნქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გენეტიკის ქცევის გარკვეულ ტიპებთან დაკავშირების მცდელობამ არ უნდა მიგვიყვანოს იქამდე, რომ შევამციროთ გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობა, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილობრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩვენს გენეტიკურ დაპროგრამებაზე. ქცევის ბუნებრივ და აღმზრდელობით განმსაზღვრელებს შორის მკვეთრი გამყოფი ხაზი არ არსებობს. უფრო მეტიც, გენები უნდა გამოვლინდეს ადამიანური სხეულის აქტივობების გზით. აგრესიულ ქცევასთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს არის ნევრალგიური კავშირები და ენდოკრინის გამოყოფა.

ტვინი

კვლევამ გამოავლინა ტვინის გარკვეული ნაწილები, რომლებიც დიდი ალბათობით აქტიურად არის ჩართული აგრესიის ზოგიერთ ფორმაში (განსაკუთრებით ბრაზიან აგრესიასა და შიშით გამოწვეულ აგრესიაში). ამ ზონებს მიეკუთვნება ტვინის ქვედა ცენტრალური ნაწილები, განსაკუთრებით ნუშისებრი სხეული (ამიგდალა) და ჰიპოთალამუსი. როგორც გაირკვა, (ცხოველებზე და ზოგიერთ ადამიანზე ჩატარებული კვლევის შედეგად) ნუშისებრ სხეულს, ცენტრალური ადგილი უკავია ემოციების გამოხატვის პროცესში. ჰიპოთალამუსი, ტვინის სხვა ნაწილებთან (განსაკუთრებით საფეთქლის წილი და შუატვინი) ერთად საბრძოლო ქცევის განვითარებას იწვევს. ეს ნათლად გამოჩნდა, არა მხოლოდ ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში, არამედ როგორც ჩანს, ადამიანებზე ჩატარებული კვლევებიც (უმეტესად ტვინის დაზიანებებისა გარკვეულ ზონებში)მსგავს შედეგებს ავლენს.

ტვინის გარკვეული ადგილების ელექტრონულ სტიმულაციას, როგორც აღმოჩნდა, პირდაპირი კავშირი აქვს აგრესიული ქცევების გამოვლენასთან. მსგავსი სახის კვლევა, ბუნებრივია, უმეტესწილად ცხოველებზე ტარდება და არა ადამიანებზე (თუმცა, ზოგჯერ ელეტრონულ სტიმულაციას იყენებენ ადამიანებში ნევროლოგიური აშლილობების დიაგნოსტირებისა თუ მკურნალობისთვის). კენეთ მოიერი აღწერს რეზუსის ჯიშის მაიმუნებზე ჩატარებული ასეთი კვლევის მაგალითს. ექსპერიმენტატორებმა მამრის ჰიპოთალამუსის წინა ნაწილზე განათავსეს ელექტროდი და აკვირდებოდნენ მის ქცევას. მარტო ყოფნისას ის არ ავლენდა აგრესიული ქცევის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა მაგალითად კედელზე დაჯახება და ა.შ. მაგრამ შემდეგ ის მოათავსეს გალიაში ორ სხვა მაიმუნთან ერთად, რომელთაგან ერთი იყო მდედრი, ხოლო მეორე - დომინანტი მამრი. ამჯერად, სტიმულაციის შედეგად, დაკვირვების ქვეშ მყოფი ცხოველი მაშინვე თავს დაესვა დომინანტ მამრს. ეს ქცევა მან ინდენჯერ და იმდენად ინტენსიურად გაიმეორა, რომ მალე თავისი ოპონენტის ნაცვლად დაიკავა დომინანტი მამრის ადგილი. აგრესია ამ სიტუაციაში იყო შერჩევითი, რადგან დაკვირვების ქვეშ მყოფ მაიმუნს მდედრის მიმართ არავითარი აგრესია არ გამოუვლენია. მოიერი, ამ კვლევის შედეგების განმარტებისას, ამბობს:

> *აღნიშნული ექსპერიმენტი, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენებს, რომ ტვინის იმ სტიმულაციამ, რომელსაც მივმართეთ, შედეგად გამოიღო აგრესიის სპეციფიური ფორმა, რომელსაც ვუწოდე „მამრთაშორისი აგრესია“, ანუ, სპეციფიური მიდრეკილება ერთი მამრისა თავს დაესხას მეორეს. მეორე, ექსპერიმენტი ცხადყოფს, რომ აგრესიული ქცევა დაკავშირებულია სტიმულაციასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აგრესიის გარკვეული*

ფორმისათვის დამახასიათებელი ნერვული სისტემა აქტივირებულია, ქცევა მანამ არ ვლინდება, სანამ სათანადო სამიზნე არ გამოჩნდება.

ეს ნიშნავს, რომ ტვინის ცენტრები ავტომატურად თავისით არ იწვევენ აგრესიას, არამედ აგრესიის სპეციფიური ფორმები ვლინდება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სტიმულის არსებობის პირობებში. ამდენად, ნევროლოგიური და ქცევითი ურთიერთქმედებები ცხოველებშიც კი, აღარაფერს ვამბობთ ადამიანებზე კომპლექსურობით ხასიათდება.

ენდოკრინული სისტემა

აგრესიის ფიზიოლოგიის გასაგებად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკვლები სფეროა ენდოკრინული სისტემა. სისხლში ჰორმონების დონესა და აგრესიული ქცევისადმი მიდრეკილებას შორის ურთიერთობებს საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი მახასიათებლები გააჩნია (როგორც სხვა ცხოველებში, ისე ადამიანებში). ეს კარგად ჩანს აგრესიულობის სეზონურ ცვლილებაში (რომელიც დაკავშირებულია ჰორმონალური სისტემის დონეებთან), რომლებიც იცვლება ასაკის ცვალებადობასთან ერთად, ასევე ქალებსა და მამაკაცებში აგრესიულობის განსხვავებულობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია უპირატესად მამაკაცური ჰორმონი ტესტოსტერონი. ტესტოსტერონის მაღალი დონე დაკავშირებულია აგრესიულობის ან ძალისმიერი ქცევის უფრო მაღალ დონესთან. თუმცა, ადამიანებზე ჩატარებული კვლევების შედეგად მაინც ვერ ხერხდება იმის დაზუსტება, აგრესიის რომელ კონკრეტულ ფორმებზეა საუბარი, ან ხომ არ არის ტესტოსტერონის მაღალი დონე უფრო მეტად აგრესიული ცხოვრების სტილის შედეგი, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზი.

ადამიანური გონების კომპლექსურობისა და გონებისა და სხეულის ჩახლართული ურთიერთობების გათვალისწინებით, მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმის მტკიცებას, რომ თითქოს კარგად ვიცით აგრესიული ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ ჩვენს მიერ აგრესიად შეფასებულ ქცევას შესაძლოა განსაზღრავდეს როგორც ქმედებათა შედეგები, ისე თავად ქმედებები. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აგრესიული ქცევების წარმოქმნისას ჩვენს გონებაში ჩაბეჭდილი მნიშვნელობები შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ჩვენი სხეულის კონკრეტული მექანიზმები.

არც ადამიანებში და არც სხვა ცხოველებში, აგრესია უბრალოდ შიგნიდან არ წარმოიქმნება. შინაგან ფაქტორებზე ზემოქმედებას ახდენს აღქმები, რომელიც გარე მოვლენებთან დაკავშირებით გაგვაჩნია. აგრესიის ფიზიოლოგიის გარშემო ჩვენი დისკუსიის დასასრულს, ცხოველების ქცევის შემსწავლელმა წამყვანმა სტუდენტმა შემდეგი უმნიშვნელოვანესი მოსაზრება გამოთქვა:

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი საბოლოო ჯამში ნებისმიერ შემთხვევაში სათავეს გარედან იღებს. არ არსებობს რაიმე ფიზიოლოგიური მტკიცებულება, რომ სპონტანური სტიმულაცია ჩხუბისა და აგრესიისათვის სხეულის შეგნიდან იღებდეს სათავეს.

მართალია, აგრესიის კონკრეტული ფიზიოლოგიური მექანიზმები და მათი ურთიერთობა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან ჯერ კიდევ არ არის კარგად ცნობილი, მაგრამ ადამიანური აგრესიის სამკურნალო საშუალების განვითარებისას ჩვენ არ დავლოდებივართ ამმიმართულებით ცოდნის გაღრმავებას. არსებობს წამლები, რომლებიც გარკვეულწილად დადებითად ზემოქმედებენ აგრესიის შემცირებაზე ადამიანებში, რომელთა ქცევა

განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის როგორც მათ, ისე გარშემომყოფებს. ამავე დროს, ზოგიერთ საშუალებაზე (მაგალითად, როგორიცაა ალკოჰოლი) უარის თქმით, შეიძლება ზოგიერთი ინდივიდში აგრესიის გამოვლინებების გაკონტროლება.

სოციალური დასწავლის თეორიები

ფსიქოანალიზის თეორია

ადამიანური აგრესიის ფროიდისეული ახნაბევრად უფრო კომპლექსური იყო ვიდრე ის მონახაზი, რომელიც ამ თავის პირველ ნაწილშია მოცემული. მისთვის აგრესია, არა მხოლოდ, თანდაყოლილ ძალებზე დაფუძნებული მოვლენა იყო, არამედ ის ასევე თვლიდა, რომ აგრესია პიროვნებაში ვითარდებოდა სხვებთან ურთიერთობაში მიღებული გამოცდილებების შედეგად. განვითარების ეს პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის მიერ აგრესიული იმპულსის გამოხატვასა და კონტროლზე.

ადამიანის პიროვნების ფორმირების უმთავრეს ფაქტორად ფროიდი ადრეულ ოჯახურ გამოცდილებას მიიჩნევდა. ბავშვის ურთიერთობები მშობლებთან ქმნის მისი პიროვნული განვითარებისა და სხვებთან მისი შემდგომი ურთიერთობების ერთგვარ ჩარჩოს. ვინაიდან,აღნიშნული ადრეული ურთიერთობები ყოველთვის მოითხოვს ბავშვის ბუნებრივი იმპულსების გარკვეულ კონტროლს, ჩნდება ბავშვის ქცევის მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულ ორგანიზაციასა (რასაც ფროიდი უწოდებდა „ეგოს“) და უფრო ბრმად მამოძრავებელ იმპულსებს შორის (ფროიდის ტერმინოლოგიით „იდი“) დიფერენციაციის საჭიროება. მაგრამ, მშობლების მოთხოვნები უფრო შორს მიდის და მოიცავს გარკვეულ მორალური ხასიათის აკრძალვებს, განსაკუთრებით ეს ეხება სექსუალურობისა და აგრესიის კონტროლს. გაურკვევლობისა და კონფლიქტის გარკვეული პერიოდის შემდეგ, აღნიშნული სრულდება იმავე სქესის მშობელთან საკუთარი იდენტიფიცირებით - რათა, ფროიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პიროვნებამ საკუთარი ეგო ჩამოაყალიბოს „მოდელად“ არჩეული მშობლის მსგავსად“. ამასთან, ბავშვი ავითარებს პიროვნულობის ახალ სივრცეს (რომელსაც ფროიდი „სუპერეგოს“ უწოდებს), რათა გაითავისოს სხვადასხვაგვარი მორალური მოთხოვნები, რომელსაც მათ საზოგადოება, მშობლების საშუალებით, უყენებს; სექსუალურობისა და აგრესიულობის კონტროლი ამ მორალური მოთხოვნების ცენტალური მახასიათებლებია.

ბუნებრივია, ადამიანებს განსხვავებული გამოცდილებები უგროვდებათ სოციალიზაციის ადრეულ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ საერთო საბაზისო მახასიათებლები. ამდენად, ფსიქოანალიზის თეორია გვთავაზობს არა მხოლოდ, პიროვნულობის შემადგენელი თითქმის ყველასათვის საერთო ძირითადი ინგრედიენტების ახსნას, არამედ აგრეთვე ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სოციალიზაციის ადრეულ ეტაპზე მიღებულ გამოცდილებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური განსხვავებების განხილვა.

ფროიდის თეორიების თანახმად, ადამიანი ვერასდროს აღწევს ნამდვილ ჰარმონიას უმეტესწილად არაცნობიერ იმპულსებსა და თვით-კონტროლის შედარებით ცნობიერ ძალებს შორის. ყოველთვის არსებობს გაორება და შინაგანი კონფლიქტი. სექსუალური და აგრესიული იმპულსების გაკონტროლება შესაძლებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოხდეს მათი რაიმე სხვა გზით გამოხატვა და არა მათი შეუბრალებელი განდევნა არაცნობიერში. ამგვარი ძალების გამო, ხშირად პიროვნებები ძალიან უბედურები არიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც სხვებზე მეტად ატარებენ კულტურულ იდეალებს. მაგალითად, ფროიდის სიტყვებით რომ

ვთქვათ: „რაც უფრო კეთილშობილია ადამიანი, მით უფრო მკაცრი და ეჭვიანია მისი სინდისი და საბოლოო ჯამში, თავის თავს უბოროტეს ცოდვებში სწორედ ისინი ადანაშაულებენ, ვინც ყველაზე შორს წავიდა წმინდანობისკენ მიმავალ გზაზე“.

ავტორიტარული პიროვნულობა

სოციალური დასწავლის ფროიდისეული თეორია, რომელიც ახლახანს მიმოვიხილეთ, ბევრმა სოციოლოგმა გამოიყენა აგრესიულობის კონტროლისა და მისი გამოხატვის დინამიკის ანალიზისათვის. მათ შორის ყველაზე ცნობილიიყო კვლევა „ავტორიტალური პიროვნულობის“ შესახებ. ძირითადი დაშვება იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი მეთოდი - მშობლების მხრიდან ბავშვების მიმართ შერეული სიგნალები, პატივისცემის მოთხოვნისადმი ლტოლვით - დიდი ალბათობით პიროვნულობის ძალიან ავტორიტარული მახასიათებლის ჩამოყალიბებას იწვევდა. ამ ტიპის მახასიათებლები ხშირად გულისხმობდა სხვებში განტევების ვაცის ძიებისადმი მიდრეკილებას თავისი პრობლემების მისთვის გადაბრალების მიზნით, ასევე, ძლიერ ცრურწმენებსა და მტრულ დამოკიდებულებას „აუტსაიდერად“ აღქმული ნებისმიერი ჯგუფის მიმართ(ანუ, ისეთების მიმართ, რომლებიც მისნაირი არ არის, როგორის არ უნდა იყოს ის).

თეოდორ ადორნომ და მისმა კოლეგებმა პიროვნებებში ავტორიტარიზმის დონის გასაზომად ჩამოაყალიბეს კითხვარი. მას უწოდეს “F-შკალა”, ვინაიდან მათი აზრით, ის გამოხატავდა მიმღებლობას ფაშისტური იდეოლოგიის მიმართ. მათ წარმოადგინეს თავიანთი კვლევის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი მოდელები, რაც გულისხმობდა ასოციაციებს F-შკალაზე მიღებულ ქულებს, ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდის პირობებსა და სოციალური დამოკიდებულებების მოდელებს შორის. თავდაპირველად ამ ნაშრომს მიესალმნენ სოციალურ ფსიქოლოგიაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის, მაგრამ ის მალევე იქცა მკაცრი კრიტიკის საგნად მეთოდოლოგიური პრობლემების გამო. საბოლოოდ, აღნიშნული შრომა მიიღეს როგორც საგულისხმო გამოკვლევა და არა როგორც ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებდა სოციოლოგიის უფრო და უფრო მკაცრ სტანდარტებს. შემდეგ, ავტორიტარიზმიდან ყურადღებამ გადაინაცვლა პიროვნულობის მახასიათებელ სხვა ცვლადებზე, რომლებიც შესაძლოა მსგავსი სახის პიროვნული სიმკაცრის გამოხატულება ყოფილიყო. ახალი გამოცდილებისადმი ღიაობა უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენებოდა პიროვნულობის მახასიათებლის ძირითად ცვლადად, რათა გაეზომათ ავტორიტარულ-დემოკრატიული განზომილების ცენტრალური მახასიათებლები. ეს კვლევა უფრო წარმატებული აღმოჩნდა პიროვნულობის ძირითადი დამახასიათებლების დადგენის საქმეში და ის დღესაც რჩება იმ დაახლოებით ნახევარ დუჟინ თვისებებს შორის, რომელთაც პიროვნულობის კვლევისას ყველაზე მეტად იკვლევენ.

პიროვნულობის საზომის „ავტორიტარიზმიდან“ „ღიაობით“შეცვლის ამ ისტორიას მოულოდნელი დასასრული აქვს. თავდაპირველად, ის დაიწყო ადრეული ბავშვობის ცვლადების ძიებით, განსაკუთრებით ოჯახის შიგნით, რომელიც შეიძლება აღვიქვათ ადგილად რომელიც აყალიბებს პიროვნულობის გარკვეულ მოდელებს.მაგრამ ღიაობის კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ცვლადზე ადრეულ ასაკში სოციალიზაციაზე მეტად გენეტიკა ახდენს გავლენას. ტყუპების მონაწილეობით კვლევებში, პიროვნული მახასიათებლები უფრო მეტად აიხსნებოდა გენეტიკით, ვიდრე პიროვნულობის ისეთი ცვლადით, როგორიცაა ღიაობა და რომელიც აიხსნება ტყუპების საერთო ოჯახური წარსულით. რა თქმა უნდა, ძალზედ მარტივი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პიროვნულობის ავტორიტარულობის

დიდ ნაწილს გენეტიკა განსაზღვრავს. - პიროვნულობის მახასიათებლები და მათთან ასოცირებული დამოკიდებულებები ყოველთვის კომპლექსურია, ვინაიდან ისინი გენებისა და გამოცდილებების კომბინაციას ასახავენ. მაგრამ ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა უცნაურად შემოატრიალა თავდაპირველად ფროიდის მიერ ჩამოყალიბებული თეორიები. ისინი ამყარებენ ფროიდის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით რომ ქცევას თავდაყოლილი საფუძვლები აქვს, მაგრამ არ ემხრობიან მისშეხედულებებს, ადრეული ოჯახური ურთიერთობების როლის შესახებ. წლების განმავლობაში ბევრი სოციალური ფსიქოლოგი კიცხავდა ფროიდის მიერ ქცევის თანდაყოლილ საფუძვლებზე აქცენტის გაკეთების გამო, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებდა მის თეორიებს, რადგან ისინი იძლეოდა მნიშვნელოვან ინფორმაციას ადრეულ სოციალიზაციაზე. დღეს ჩვენ გარკვეული მიზეზების გამო ყურადღებას გადავიტანთ ფროიდისეული თეორიის ამ ორ ასპექტზე.

აგრესიული კათარზისი

ფროიდის აზრით, უნდა მოხდეს აგრესიული იმპულსების გამოიხატვა ან ჩახშობა. გამოხატვის შემთხვევაში, შესაძლოა, ისინი ყოველთვის პირდაპირ არ გამოიხატოს. კულტურულ დასწავლას ადამიანი მიჰყავს თავისი საჭიროებების ძალიან ბევრი სხვადასხვა სახით გამოხატვამდე; და თუკი არსებობს აგრესიის საბაზისო მოთხოვნილება, მისი გამოხატვა მრავალნაირად შეიძლება მოხდეს და მიმართული იყოს, ასევე, ბევრი სხვადასხვა სამიზნისაკენ. ამას გარდა, ჩვენ შეგვიძლია საერთოდაც ჩავახშოთ აგრესიი გამოხატვის საჭიროება ყველა იმ ფიქრის განდევნით, რომელიც მასთან არის დაკავშირებულითუმცა, ფროიდის აზრით, ამ ფიქრების ჩახშობა სრულყოფილად არასდროს არის შესაძლებელი. ყოველთვის არსებობს გზები, რომელთა საშუალებით ადამიანის ძირეული სექსუალური და აგრესიული მოთხოვნილებებითავს იჩენს: სიზმრებში თუ წამოცდენების სახით, ან სულაც სხვა მოქმედებებით, რომლებით ირიბად ამ მოტივებს გამოხატავენ. მართლაც, გამოხატვის ირიბი ფორმებია ის ცივილიზებული გზა, რომლითაც ადამიანები თავიანთი აგრესიის მართვას ახერხებენ, ვინაიდან თუ მათ შეკავებას ზედმეტად მოინდობემენ, ამან შესაძლოა მათი დაუძლურებაც გამოიწვიოს. ინდივიდის საერთო მდგომარეობა შეიძლება სერიოზულად გაუარესდეს, ხოლო ჩახშული მოთხოვნილება კი ისეთი რაოდენობით დაგროვდეს, რომ საბოლოოდ მაინც გამოიხატოს - და თანაც, შესაძლოა, თავშეუკავებლად. სწორედ ეს აზრი ძევს იმ იდეაში, რომელსაც ფროიდი ავითარებდა, კერძოდ, აგრესიის „კათარზისისში“: როდესაც საბაზისო მოთხოვნილების ზედმეტად შეკავება ხდება, უნდა მოხდეს ფსიქიკური სისტემის გამოსუფთავება, რათა გამოიდევნოს დაძაბულობა.

აგრესიული კათარზისის იდეა პოპულარული გახდა და დღეს ბევრი იყენებს მას ჩვენში აგრესიის ზრდისა და მისთვის გამოსასვლელის არსებობის შესახებ საუბრისას. ამ იდეამ, შედარებით უფრო დახვეწილი ფორმით, გამოყენება ჰპოვა, ასევე, ზოგიერთ ტექნიკურ სოციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. მაგალითად, ეს აზრი ჩადებულია თეორიაში, რომელიც ცნობილია „ფრუსტრაცია-აგრესიის“ თეორიის სახელით.

ფრუსტრაცია და აგრესია

1939 წელს ჯონ დოლარდმა და მისმა კოლეგებმა იელის უნივერსიტეტიდან წარმოადგინეს რამდენიმე ძირეული მტკიცებულება ფრუსტრაციასა და აგრესიას შორის არსებული ურთიერთკავშირის შესახებ. მათი წიგნი, რომელიც საგულდაგულო სამეცნიერო კვლევას

ეფუძნებოდა, ძალზედ გავლენიანი გახდა. მათი აზრით, ფრუსტრაციას (რომელიც წარმოადგენს მიზნისაკენ მიმავალი ქმედების ნებისმიერ სახით დაბრკოლებას) ყოველთვის აგრესიისკენ არ მივყავართ, მაგრამ ის ყოველთვის „უბიძგებს აგრესიისაკენ". ეს ნიშნავს, რომ ის ზრდის აგრესიული მოქმედების ალბათობას და/ან მათ უფრო ძლიერი ფორმით გამოხატვას უწყობს ხელს. ასევე, თეორიის თავდაპირველ ფორმულირებაში (თუმცა, მოგვიანებით მოხდა მისი გადაკვალიფიცირება) ფრუსტრაცია განხილული იყო, როგორც, ყველა აგრესიული ქცევის საწყისი. ამდენად, ფრუსტრაციასა და აგრესიულობას შორის კავშირი ჩამოვაყალიბეთ, როგორც უმთავრესი გასაღები ადამიანური ქცევის ფართო სპექტრის გასაგებად.

თუმცა, პირდაპირი აგრესია ყოველთვის ფრუსტრაციის შედეგი არ არის. შესაძლოა არსებობდეს აგრესიის გამოხატვის აკრძალვები, განსაკუთრებით იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ჩვენს ფრუსტრაციასთან. მაგალითად, შესაძლოა, წინდახედული ნაბიჯი არ იყოს თავშეუკავებლად აგრესიის გამოხატვა უშუალო ხელმძღვანელის მიმართ, რომელიც სამსახურში არსებულ ფრუსტრაციასთან არის კავშირში; ადამიანმა ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, თავი შეიკავოს ამგვარი აგრესიის გამოვლენისაგან და მოძებნოს მეორადი სამიზნე, მაგალითად, მეუღლე ან ძაღლი. თეორიის თანახმად, ფრუსტრაციას ყოველთვის მივყავართ მზარდ აგრესიულ მიდრეკილებამდე ვინმეს ან რაიმეს მიმართ. ჩვენი აგრესიის სამიზნე რაც უფრო პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს ფრუსტრაციასთან, მით უფრო ეფექტიანია დაძაბულობისაგან განთავისუფლება. აქ კვლავ მივდივართ ,,აგრესიის კათარზისის" იდეამდე; აგრესიის გამოშვება ხელს უწყობს შეკავებული აგრესიის შემცირებას.

ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზას რამდენიმე ძირითადი ფაქტი უმყარებს საფუძველს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია გაიხსენოს მომენტი, როდესაც გარკვეული ფრუსტრაციის შედეგად გავბრაზდით, და როგორ მოჰყვა ამას ჩვენი აგრესიული ქცევა. გარდა ამისა, ცხოველებსა და ადამიანებზე ჩატარებული კვლევები მიუთითებს ტკივილსა და აგრესიას შორის კავშირის არსებობაზე; მართლაც, „ტკივილით გამოწვეული აგრესია" წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ტიპს, რომლის იდენტიფიცირება ბიოლოგებმა მოახდინეს აგრესიული ქცევების შესწავლისას. მართალია, თეორიულად ტკივილი და ფიზიკური სტრესი არ არის იგივე, რაც ფრუსტრაცია, მაგრამ ისინი აშკარად ის ფაქტორებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული აგრესიულ ქცევებთან.

პრობლემები ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით ჩნდება იმ დაშვებიდან, რომ საბაზისო ლტოლვა მომდინარეობს აგრესიულობის ირიბი ბუნებიდან და მას აქვს კათარზისული ღირებულება. ბევრი სწავლული დაობს იმაზე, თუ რამდენად სასარგებლოა აგრესიის, როგორც ლტოლვის, კონცეპტუალიზაცია. ისინი უპირატესობას ანიჭებენ სხვაგვარ კლასიფიკაციას, რომლის თანახმად სხვადასხვა ქცევა შეიძლება დაკავშირებული იყოს, ასევე, მრავალნაირ მოტივთან. რამდენადაც აგრესიის უმეტესი ფორმა ირიბი ბუნებისაა, არაპირდაპირ ბუნებას მივყავართ შემდეგ კითხვამდე: თუ აგრესია პირდაპირ არ გამოიხატა, როგორ დავრწმუნდეთ, რომ ის სწორედ თავდაპირველ ფრუსტრაციასთან არის კავშირში? ამგვარი მსჯელობებიდან (ეჭვები აგრესიის ლტოლვის სტატუსთან დაკავშირებით, და სირთულეები ფრუსტრაციასა და აგრესიას შორის არსებული ირიბი კავშირების დადგენისას) გამომდინარე, ფრუსტრაცია-აგრესიის უფრო გვიანდელი თეორეტიკოსები გადამწყვეტ ფაქტორებად მიიჩნევენ კოგნიტიურ ასოციაციებს. ამჟამად, მთავარ საკითხს წარმოადგენს ის , თუ როგორ ვახდენთ გარკვეული მოვლენების ფრუსტრაციად ინტერპრეტირებას, როგორც ვახდენთ შესაფერისი სამიზნეების იდენტიფიცირებას, და ჩვენი აზრით, რა შეიძლება იყოს

აგრესიული ქმედებებიდან გამომდინარე შედეგი. და ბოლოს, „აგრესიის კათარზისის“ იდეამ ემპირიული მხარდაჭერა მაინცდამაინც ვერ მოიპოვა. კვლევების უმეტესობამ აჩვენა, რომ აგრესიის გამოხატვა მის სამომავლო პოტენციალს დიდად ვერ ამცირებს. მართლაც, კვლევების შედეგებს უფრო სხვა მიმართულებით მივყავართ, კერძოდ, ისინი გვიჩვენებს, რომ აგრესიის გამოხატვას მოგვიანებით მეტ აგრესიულ ქცევამდე მივყავართ.

რაციონალური პასუხი?

იმ მიდგომისაგან, რომელიც აგრესიას ძირეულ ლტოლვად განიხილავს,, ძალზედ განსხვავდება მიდგომა, რომელიც აგრესიას განიხილავს , როგორც მთავარ რაციონალურ საპასუხო რეაქციას მოცემული პირობებზე. არაცნობიერი ზრახვების ნაცვლად, მსგავსი მიდგომა ცნობიერ მიზნებზე აკეთებს აქცენტს. ამდენად, ბავშვი, რომელიც სათამაშო მოედანზე სხვა ბავშვებს ჩაგრავს და სცემს, ამას აკეთებს იმისათვის, რომ მათზე ძალაუფლება მოიპოვოს (და შესაძლოა ლანჩისთვის დამატებითი ხურდაც). გენერალი შეტევის ბრძანებას გასცემს, რადგან ის თვლის, რომ სწორედ ამით უნდა იცავდეს ქვეყანა თავის სასიცოცხლო ინტერესებს. ანდა ცოლი გაბრაზებული ლანძღავს თავის მეუღლეს, რადგან აღმოაჩენს, რომ ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება სახლში გაფუჭებული ნივთების შეკეთება.

პირობითობა

ისინი ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, რომ აგრესიას ლტოლვის სტატუსი აქვს და უფრო ხშირად ხაზს უსვამენ, რომ აგრესიული ქცევის დასწავლილ ბუნებას . აგრესია ხდება პიროვნების შემადგენელი ნაწილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დაისწავლება ის გარკვეული ქცევები, რომელიც აგრესიულად არის შეფასებული. ამ ხედვის თანახმად, პიროვნების ინდივიდუალური აგრესიული ქცევების გასაგებად მთავარი ელემენტებია თუ როგორ სოციალურ სიტუაციებში ხვდება ის და როგორ სწავლობს მათთან განმკლავებას.

ის, რომ დასწავლის კლასიკური ფორმების გამოყენება შეიძლება აგრესიული საპასუხო რეაქციების განვითარებისთვის, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის დოკუმენტურად ასახული. ეს ლიტერატურა მოიცავს კლასიკურ პირობითობას (ეყრდნობა სტიმულების, გამღიზიანებლების ასოციაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ საპასუხო რეაქციას, გადავიდეს ერთი გამაღიზიანებლიდან მეორეზე) და ინსტუმენტულ, ან ფუნქციონალურ პირობითობას (ეყრდნობა იმ ალბათობას, რომ ქცევა შეიძლება გაზარდოს მისმა წინა შედეგებმა).

ჩვენი დადებითი და უარყოფითი ასოციაციები, რომლებიც სხვა ადამიანებთან და მათ მახასიათებლებთან დაკავშირებით გვიჩნდება, კლასიკური პირობითობის პროცესების ძლიერი გავლების ქვეშაა. გარდა ამისა, რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ სტიმულებს შეუძლიათ ჩვენი საპასუხო რეაქცია განაპირობონ. მაგალითად, თუ სახლში გვაქვს იარაღი, უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ თავდასხმის შემთხვევაში გავისროლოთ, (არადა, შესაძლოა, ხუმარა მეგობარი აღმოჩნდეს), ვიდრე მისი არქონის შემთხვევაში. იარაღის ასოცირებამ ძალადობასთან შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, სადაც იარაღი გამოჩნდება, უფრო აგრესიული საპასუხო რეაქცია გამოვავლინოთ. ზოგიერთი ექსპერიმენტული კვლევის თანახმად, ექსპერიმენტის ჩატარების დროს იარაღის უბრალო არსებობაც კი ოთახში, სადაც ექსპერიმენტი ტარდებოდა, ექპერიმენტში მონაწილის მხრიდან მზარდ აგრესიას იწვევდა. ამას კი, თავის მხრივ, მივყავართ შეკითხვამდე, „სასხლეტი“

(რაც გულისხმობს ძალადობასა თუ აგრესიულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გამაღიზიანებელს) გამოჰკრავს პიროვნებას, თუ პირიქით.

კიდევ უფრო აშკარაა ინსტრუმენტული პირობითობის როლი აგრესიული საპასუხო რეაქციების დასწავლის პროცესში.თუკი აგრესიული ქცევით სარგებელს ვიღებთ, მაშინ მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავსი ქცევის გამოვლენას. რაც მეტია სარგებელი, მით უფრო ძლიერდება ჩვენი ქცევაც. თუ სარგებელი აღარ არის, მაშინ ქცევაც ნაკლებად აგრესიული ხდება. წახალისება, რომელსაც ახალგაზრდები აგრესიულობის გამოვლენისას იღებენ, უდაოდ ხელს უწყობს ამ ქცევის გაძლიერებას ზოგიერთმა პროგრამამ, რომელთა ფარგლებშიც მუშაობა მიმდინარეობდა აგრესიულ ახალგაზრდებთან, ინსტრუმენტული პირობითობის პრინციპების გამოყენებით აგრესიული ქცევის შემცირების კუთხით დრამატული შედეგები აჩვენა.

ბევრ ადამიანს სჯერა, რომ კომპლექსური ადამიანური ქცევების უბრალო პირობითობამდე დაყვანა არ შეიძლება. მათი აზრით, ადამიანებთან მიმართებაში „ვირთხების ფსიქოლოგიის“ ნაცვლად სხვა რამ უნდა იქნას გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში ამგვარმა შეხედულებამ უნდა უარყოს მთელი რიგი სამეცნიერო მტკიცებულებისა, რომლებიც აჩვენებს რომ კლასიკური და ინსტრუმენტული პირობითობის პრინციპები ნამდვილად მიესადაგება ადამიანებს. თუმცა, დამაჯერებელია ის მოსაზრებაც, რომ პირობითობის მარტივი კვლევები ვერ მოიცავს დასწავლის ზოგიერთ პროცესს, რომელიც გამოკვეთილად ადამიანურია.

დაკვირვებითი დასწავლა

რასაც ადამიანები ვაკეთებეთ, უმეტესად არის ის, რომ ჩვენ ერთმანეთისგან ვსწავლობთ. ჩვენ ვართ კულტურული არსებები, ისევე როგორც ცხოველები და, ადამიანური კულტურა მთლიანად ისწავლება სხვებთან კონტაქტის გზით. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვაქვს მეტყველების უნარი, ვსწავლობთ იქიდან, რასაც ადამიანები სიტყვებით გვეუბნებიან. უფრო მნიშნელოვანია ის, რომ ჩვენ ვსწავლობთ სხვების მოქმედებების დაკვირვების შედეგადაც.

აგრესიული ქცევის განვითარებაში დაკვირვებითი დასწავლის როლი განსაკუთრებით გამოკვეთილია „სოციალური დასწავლის თეორიაში“. ამ სფეროში ლიდერი იყო ალბერტ ბანდურა. მან და მისმა კოლეგებმა განმარტეს სხვებზე დაკვირვების გზით დასწავლასთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მათ წარმოაჩინეს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ სრულიად დაკვირვებითი პროცესებიდან - რომ ქცევის ახალი ფორმა შეიძლება გაჩნდეს საერთოდ პრაქტიკის გარეშე, მხოლოდ სხვებზე დაკვირვებისა და მიბაძვის შედეგად. ამას ზოგჯერ უწოდებენ „არაექსპერიმენტულ დასწავლას“ (“no-trial learning”), განსხვავებით იმ უფრო ტრადიციულად აღიარებული პირობითობის ფორმებისაგან, რომლებიც დაგროვილ გამოცდილებას ემყარება. სოციალური დასწავლის თეორეტიკოსებიც აღნიშნავენ, რომ თუ სხვების დაკვირვებისას ადამიანი ხედავს, რომ აგრესიის საპასუხოდ მათი წახალისება ხდება, ისიც მოუხშირებს ამგარ ქცევას. ეს სერიოზულ სირთულეებს ქმნის თანამედროვე ტელევიზიის ეპოქაში, როდესაც ტელევიზიით ძალიან ხშირად ხდება გამართლებული ძალადობის ჩვენება. სოციალური დასწავლის თეორეტიკოსებმა, ასევე, წარმოაჩინეს, თუ როგორ შეიძლება სხვებზე დაკვირვებამ გარკვეულ შემთხვევებში გარკვეული საპასუხო რეაქციებს მისცეს გასაქანი, ხოლო სხვა შემთხვევებში კი იგივე საპასუხო რეაქციები შეაკავოს.

ინდივიდს მიღმა

რთული არაა გასცდე ინდივიდს ისეთი პროცესების კვლევისას, როგორიცაა კლასიკური

პირობითობა , ინსტუმენტული პირობითობა ან დაკვირვებითი დასწავლა. ჩვენი ქცევების უმეტესობა, რომელშიც აგრესიულობა ვლინდება, სხვებთან ერთად დაისწავლება. დაკვირვებითი დასწავლა პირდაპირ გულისხმობს, რომ ვიღაცას უნდა დავაკვირდეთ და მივბაძოთ. ინდივიდის ქცევასა და იმ პირობებზე აქცენტის გაკეთებასთან ერთად, რომელშიც ცხადი ხდება გარკვეული მახასიათებლები, მარტივი შესამჩნევია სხვა სოციალური პროცესებიც, სხვების ჩართულობით. ამ მოვლენას განვავრცობთ მე-4 თავში, ვინაიდან სოციალური კონფლიქტის თეორიების ჯგუფი მეტ ყურადღებას უთმობს პიროვნებებს შორის ურთიერთქმედებას, ვიდრე ინდივიდს, ცალკე აღებულს. ამ თეორიებს ჩვენ ვუწოდებთ „სოციალური პროცესების“ თეორიებს.

რეზიუმე და დასკვნები

რეზიუმე

ზიგმუნდ ფროიდის თეორიები ათვლის წერტილად გამოვიყენეთ იმ თეორიული ჩარჩოების განსახილველად, რომელიც ძირითად ყურადღებას უთმობს ჩვენი, როგორც ინდივიდების ბუნებას. ფროიდი სოციალურ კონფლიქტს განიხილავდა უმეტესწილად ინდივიდუალური ქცევის კუთხით . ამდენად, ომის პრობლემა მისთვის იქცა აგრესიული იმპულსების გამოხატვის საშუალებად. მართალია, მას, ასევე, ჰქონდა თეორიები იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოხდეს საბაზისო ლტოლვების სახეცვლილება სოციალური გავლენების შედეგად, მაგრამ მისი ძირითადი ყურადღება მაინც ინდივიდუალური ქცევისკენ იყო მიპყრობილი.

რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესი მხოლოდ ფროიდის თეორიებით არ შემოფარგლულა. ჩვენ გავეცანით ფროიდისეულ თეორიას თანდაყოლილი აგრესიის შესახებ, და მის შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადრეული ასაკში სოციალური დასწავლა ჩვენი საბაზისო ლტოლვების გამოხატვის ფორმების შესაცვლელად. ფროიდის ამ მოსაზრებების მეშვეობით მივედით სხვა მთავარ თეორიებამდე, რომლებიც აქცენტს აკეთებენ პიროვნების შინაგან ძალებზე:

1. ჩვენ განვიხილეთ აგრესიის ბიოლოგია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი აგრესიული იმპულსები შეიძლება იყოს ბუნებრივი გადარჩევის პროცესში წინა თაობებიდან მიღებული მემკვიდრეობითობა. აღნიშნული განვიხილეთ თავდაპირველად დარვინიზმის შეხედულებების (როგორც სოციალური დარვინიზმი, ისე თავად დარვინის შეხედულებები), ხოლო შემდეგ უკვე ეთოლოგიისა და სოციობიოლოგიის შედარებით გვიანდელი განვითარებების თვალსაზრისით. ამ დაკვირვებამ მაინც შერეული გრძნობა დაგვიტოვა იმასთან დაკავშირებით, უჭირავს თუ არა ადამიანური ბუნების ცენტრალური ადგილი თანდაყოლილ აგრესიას. დავასკვენით, რომ აგრესიულობის ინსტინქტის შესახებ მოსაზრება ნათლად არ არის დადასტურებული ადამიანურ ევოლუციაში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

2. შემდეგ განვიხილეთ აგრესიის ბიოლოგია გარკვეული გენეტიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, ასევე, მთავარი ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც ხშირად ერთვება აგრესიულ ქცევაში. აქ ბევრი საინტერესო მახასიათებელი აღმოვაჩინეთ. შესაძლოა, არსებობდეს აგრესიული ქცევის გარკვეული გენეტიკური საფუძველი მაგრამ ჩვენი მცდელობები, გვეპოვა რომელიმე ამ ფორმასთან დაკავშირებული კონკრეტული გენი, ჯერ-ჯერობით უნაყოფოა. უფრო იმედისმომცემია ის ინფორმაცია,

რომ ტვინის გარკვეული ნაწილები აქტიურად არის ჩართული აგრესიულ ქცევებში და რომ ენდოკრინის დონე, ასევე, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია აგრესიასთან.

3. გამოვიკვლიეთ ასევე აგრესიის, როგორც პიროვნულობის შესაძლო დამახასიათებელი თვისების როლი. ჩვენი მიგნებები ამ შემთხვევაშიც არასაკმარისი აღმოჩნდა დასკვნების გასაკეთებლად. რადგანაც „აგრესია“ ბევრნაირ ქცევას შეიძლება ეწოდოს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყველა მათგანი პიროვნულობის რომელიმე საერთო თავისებურებას მიემართებოდეს. მიუხედავად ამისა, ვიპოვეთ გარკვეული საფუძველი იმისა რომ ვთქვათ, რომ ზოგიერთი პიროვნული თვისება უფრო დიდი ალბათობით გამოიწვევს აგრესიას, ასევე, გავიღრმავეთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ეს თვისებები კავშირში იყოს გენეტიკურ ფაქტორებთან.

4. განვიხილეთ თეორიები იმასთან დაკავშირებით, რომ აგრესია იზრდება პიროვნებაში მანამ, სანამ მისი გამოთავისუფლება არ მოხდება რაიმე სამიზნის მიმართულებით. განხილვა მოიცავდა არა მხოლოდ ფროიდისეულ თეორიას ირიბი აგრესიის შესახებ, არამედ, ასევე, ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზას და მასთან დაკავშირებულ გარკვეულ მოსაზრებებს. ეს თეორიები შეიძლება ერთი შეხედვით კარგად დასაბუთებული მოგვეჩვენოს (კავშირი ფრუსტრაციასა და აგრესიას შორის ხშირად ვლინდება), მაგრამ არსებობს სხვა ასპექტები, რომლებთან მიმართებაშიც მტკიცებულებები არც თუ ისე მყარია; მაგალითად, „აგრესიის კათარზისის“ იდეას არც თუ ისე ხშირად მივყავართ კარგად დასაბუთებულ მოლოდინებამდე.

5. და ბოლოს, თვალი გადავავლეთ დასწავლის თეორიის სხვადასხვა სახეობას. მათი დახმარებით, როგორც ჩანს, უფრო ადვილია იმის გაგება, თუ როგორ ყალიბდება აგრესიული ქცევა (ისევე როგორც საპასუხო რეაქციის სხვა ფორმები). განვიხილეთ დასწავლისადმი სამი ძირითადი თეორიულ მიდგომა, კერძოდ, კლასიკური პირობითობა, ინსტრუმენტული პირობითობა და დაკვირვებითი დასწავლა. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ სხავდასხვაგვარი აგრესიული ქცევა.

დასკვნები

ჩვენს მიერ განხილული ყველა თეორია, მთავარ აქცენტს აკეთებს ინდივიდებში აგრესიულობის გაგებაზე. ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის სოციალური კონფლიქტი არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს; ჩვენ მიმოვიხილეთ მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის ფაქტორები, რომლებიც მსგავს კონფლიქტებში არიან ჩართული. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა გარკვეული შედეგები, რომელიც შეიძლება გამოსადეგი იყოს კონფლიქტის გადაჭრის საქმეში. რამდენადაც სოციალური კონფლიქტები ინდივიდების აგრესიულობის შედეგია, უნდა ველოდოთ, რომ ამგვარი კონფლიქტები ინდივიდების შეცვლით შეიძლება შემცირდეს. წარმოგიდგენთ შემდეგ დაკვნებს:

ა) რამდენადაც, აგრესია ადამიანური სახეობის ძირეული ლტოლვაა, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი გადარჩევის ხანგძლივ ისტორიულ პროცესს, უახლოეს მომავალში ბევრს ვერაფერს შევცვლით. შეგვიძლია განვდევნოთ და გავაკონტროლოთ ჩვენი აგრესიული იმპულსები, მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდმცირე ნაწილს აგვარებს. ფუნდამენტური კონფლიქტი კვლავ ჩვენს შორის და ჩვენში რჩება.

ბ) იმდენად, რამდენადაც გარკვეული აგრესიული ქცევები დაკავშირებულია გარკვეულ

გენეტიკურ მახასიათებლებთან, აქაც ბევრს ვერაფერს ვიზამთ ამ ცოდნის გამოსაყენებლად. ამჟამად, არავის დღის წესრიგში არ არის კონფლიქტის გადაჭრა ჩვენი გენების შეცვლის გზით. ამგვარი გენური ინჟინერია სამომავლო და ნაკლებად სავარაუდო პროექტად რჩება. თუმცა, უფრო იმედისმომცემია იმ ფიზიოლოგიური პროცესების კონტროლის შესაძლებლობა, რომლებიც მონაწილეობენ პიროვნული აგრესიის უფრო ძალადობრივ ფორმებში. დღეისათვის არსებობს წამლები, რომელთაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ჩვენს ტვინზე, რომ მან აგრესიის პროვოცირება არ მოახდინოს. ასევე, არსებობს საშუალებები აგრესიულ ქცევებთან დაკავშირებული ჰორმონალური ბალანსის შესაცვლელად. ამგვარი სამედიცინო საშუალებები შესაძლოა დაგვეხმაროს, ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, სოციალური კონფლიქტის გადაჭრაში.

გ) ვინაიდან, აგრესია პიროვნულ მახასიათებლებშია ფესვგადგმული, კონფლიქტის შემცირების შანსი შედარებით მცირეა. ამ მიდგომის ყველაზე რელევანტური შედეგი იქნებოდა, თუ ყველაზე აგრესიულ პიროვნულ მახასიათებლებს არ მივცემდით ლიდერის პოზიციის დაკავების შესაძლებლობას. პიროვნული მახასიათებლების და კონფლიქტისაკენ მიდრეკილების შესაცვლელად შეიძლება ზოგჯერ გამოვიყენოთ ფსიქოთერაპია, მაგრამ კონფლიქტის გადაჭრის ეს მეთოდი ხასიათდება გაურკვევლობით შედეგებისა და მისი ღირებულების გათვალისწინებით.

დ) რამდენადაც ჩვენ ვთვლით, რომ აგრესია ინდივიდში ფრუსტრაციის დაგროვების შედეგად მატულობს, გამოდის, რომ გვაქვს ნათელი მიმართულება, სად ვეძებოთ კონფლიქტების შემცირების გზები: შევამციროთ კონფლიქტში ჩართულთა ფრუსტრაცია. ეს კი, რა თქმა უნდა, სათქმელად უფრო ადვილია. მაგრამ ეს მიდგომა მაინცგვაძლევს გარკვეულ გეგმას, რომელსაც შეგვიძლია მივყვეთ, როდესაც ყველაზე უფრო მწვავე კონფლიქტების შემცირებას ვცდილობთ.

ე) რამდენადაც აგრესია სოციალური დასწავლის პროდუქტია, კონფლიქტის გადაჭრის დღის წესრიგი იქცევა ადამიანური დასწავლის პირობების ცვლილების დღის წესრიგად. გამაღიზიანებლებთან დაკავშირებული ახალი ასოციაციების შექმნა, აგრესიული ქცევისათვის წახალისების შემცირება, სხვებისთვის დასაკვირვებლად ახალი მაგალითების შექმნა - ყველა ამ საშუალებით შეიძლება შევცვალოთ აგრესიული ქცევის ალბათობა, რაც თავის მხრივ კონფლიქტის გადასაჭრელად უკეთეს საფუძველს შემქნის.

სოციალური პროცესების თეორია

ჯეიმს შელენბერგი[2]

ბატონი სმითი საფრანგეთიდან ბრუნდება
ადამ სმიტი

როდესაც ადამ სმიტი 1767 წელს შოტლანდიაში, თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, ის უჩვეულად იღბლიან პოზიციაში იმყოფებოდა . მართალია, ის ჯერ ორმოც წელს ახალი გადაცილებული იყო, მაგრამ უკვე გარანტირებული ჰქონდა საკმაოდ კარგი შემოსავალი მთელი ცხოვრების მანძილზე, თანაც რეგულარული მუშაობის გარეშე. ფართოდ იყო ასევე აღიარებული მისი სიბრძნეც და მასთან ნაცნობობით აღტაცებას არ მალავდნენ ევროპის წამყვანი ინტელექტუალები (ხოლო ამერიკაში ბენჯამინ ფრანკლინი). მეტი რაღა უნდოდა? მას შეეძლო დასახლებულიყო თავის მშობლიურ ქალაქ კერკოლდში და მშვიდად ეცხოვრა სიცოცხლის ბოლომდე.

ადამ სმითს სიმშვიდეში ცხოვრება სურდა. ის არ მიუკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც მუდმივი მღელვარების მოთხოვნილება აქვთ. მოსწონდა სხვების კამპანიაში დროის გატარებაც, მაგრამ უპირატესობას თავის ბიბლიოთეკაში წიგნების კითხვას ანიჭებდა. მართალია, იგი ზოგადად კონგენიალურ პიროვნებად ითვლებოდა, მაგრამ სხვები ხშირად მოთმინებიდან გამოჰყავდა მის ხშირ გონებაგაფანტულობას. ის იმდენად იყო ჩაფლული თავის ფიქრებში და იდეებში, რომ ხშირად ავიწყდებოდა თუ სად იყო ან რა უნდა ეკეთებინა. მაგრამ, კერკოლდში მას კარგად იცნობდნენ და მისი ექსცენტრიულობა პრობლემას არ წარმოადგენდა. შეეძლო იქ დასახლებულიყო და მშვიდად ეცხოვრა დედასა და თავის გაუთხოვარ ბიძაშვილთან ერთად.

ქალებთან გარკვეული მეგობრული ურთიერთობების მიუხედავად (განსაკუთრებით პარიზში მისი ბოლო ყოფნისას), ქორწინებამდე არასდროს მისულა. თუმცა, იგი თავის ოჯახს ძალზედ აფასებდა, განსაკუთრებით დედას (მამა მის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა). მას ბევრი მეგობარიც ჰყავდა, მათ შორის ერთ-ერთი უახლოესი მისი კოლეგა ფილოსოფოსი დევიდ იუმი იყო.

მას ჰქონდა გამორჩეული სამეცნიერო კარიერა ედინბურგსა და გლაზგოში; 1764 წლის დასაწყისამდე ასწავლიდა გლაზგოს უნივერსიტეტის ზნეობრივი ფილოსოფიის კათედრაზე. სწორედ იმ დროს, მისი გეგმები მოულოდნელად შეიცვალა. მისმა წიგნმა *„თეორია* მორალური გრძნობების შესახებ“ ფართო აღიარება ჰპოვა მისი გამოქვეყნების დღიდანვე, 1759 წელს. ერთ-ერთი, ვისზეც ამ წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა, იყო ჩარლზ თაუნსენდი, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სოციალური და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელი . თაუნსენდს სურდა დაეჯილდოებინა მწერალი ასეთი გამორჩეული წიგნისთვის; მას, ამავე დროს, ჰყავდა შვილობილი, ახალგაზრდა ჰერცოგი ბაკლიუ, რომელსაც განათლებული ადამიანის მენტორობა ესაჭიროებოდა, სანამ ზრდასრულთა სამყაროში შედგამდა ფეხს (თაუნსენდი დიდი იმედებს ამყარებდა მის პოლიტიკურ კარიერაზე). ამდენად, მან სმიტს ისეთი გარიგება შესთავაზა, რომელზეც ის უარს ვერ იტყოდა: სმიტი უზრუნველყოფილი იქნებოდა მაღალი შემოსავალით სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო სანაცვლოდ ის რამდენიმე

2 Schellenberg, James A. “Social Process Theories.” In Conflict Resolution, 59-78. New York, State University of New York Press, 1996.

წლით ახალგაზრდა ჰერცოგის მთავარი მენტორი უნდა გამხდარიყო.

ამრიგად, 1764 წლის დასაწყისში, სმითი და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ახალგზარდა ჰერცოგი გაემგზავრნენ საფრანგეთში, სადაც ინტელექტუალური ცხოვრება დუღდა. ისინიტულუზასა და პარიზში იმყოფებოდნენ 1766 წლის ბოლოდმე, მაგრამ ჰერცოგის ძმის (რომელიც მათ შეუერთდა საფრანგეთში) მოულოდნელმა გარდაცვალებამ, ისინი იძულებული გახადა ინგლისში დაბრუნებულიყვნენ. ცოტა ხანში ჰერცოგი საქორწინო მზადებით დაკავდა, ამ სფეროში კი სმიტი ბევრს ვერაფერს ასწავლიდა. ამდენად, სმითი შოტლანდიაში დაბრუნდა. 1767 წლის ივნისში ის თავისი იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მეგობარს წერდა:

> *ჩემი მთავარი საქმიანობა აქ არის კვლევა, რომელშიც ბოლო ერთი თვეა ღრმად ვარ ჩაფლული. მშვენივრად ვიქცევ თავს, ზღვის სანაპიროზე ეულად ვსეირნობ. შეგიძლია განმსაჯო, რომ დროს ასე ვატარებ, თუმცა, თავს უზუმოდ ბედნიერად, კომფორტულად და კმაყოფილად ვგრძნობ, შესაძლოა ასე კარგად ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ.*

წინა შრომები

მათთვის, ვინც სმითს კარგად იცნობდა, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ დასვენების დროსაც კი ის თავის კვლევებში იყო ჩართული. თუმცა, უმეტესობას, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ კვლევის შესახებ, რომელსაც ის აწარმოებდა. ბოლოს და ბოლოს, მას უკვე გამოეჩინა თავი სხვადასხვა სფეროში გლაზგოს უნივერსიტეტში მსახურობებისას, სადაც ის, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა ასაკში, უკვე ფაკულტეტის წევრი იყო (ის ჯერ კიდევ ოცი წლის ასაკში დაინიშნა კათედრაზე და მისი დატოვებისას სულ რაღაც ორმოცი წლის იყო). ის ასწავლიდა ლოგიკას, რიტორიკას, თეოლოგიას, ეთიკას, სამართალს და პოლიტიკურ ეკონომიკას.

იმ პერიოდში სმიტი უფრო მეტად ცნობილი იყო თავისი ნაშრომით ეთიკის შესახებ. მის ნაშრომში *„თეორია მორალური გრძნობების შესახებ“* ჩამოყალიბებული მოსაზრებები მეთვრამეტე საუკუნისათვის სრულიად ახალ ხედვას წარმოადგენდა. სმიტის თანახმად, კარგისა და ცუდის სტანდარტები არ იყო მოცემული რაიმე აბსოლუტური სახით ზევიდან, არამედ, ისინი განვითარდა გამოცდილების შედეგად. ეს სტანდარტები აღმოცენდა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური გამოცდილების შედეგად. სხვებთან ურთიერთქმედების პროცესში ეტაპობრივად ვსწავლობთ, თუ რა არის კარგი და რა ცუდი. სმიტი ამბობს: „ზნეობის ძირითადი საფუძვლები ყალიბდება გამოცდილებითა და ინდუქციით. ჩვენ ბევრ სხვადასხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში ვაკვირდებით, თუ რა მოქმედებს სიამოვნოდ ან არასასიამოვნოდ ჩვენს ზნეობრივ გრძნობებზე, რა იღებს ან რას უარყოფს ის და აღნიშნული გამოცდილებიდან ზოგადი დასკვების გამოტანის გზით, ვაყალიბებთ ზოგად ნორმებს“.

ჩვენი საერთო პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში, ჩვენ გვმართავს არა მხოლოდ ის, რასაც საზოგადოება გვასწავლის, არამედ ჩვენი შინაგანი ხმაც. ეს შინაგანი ხმა, რომელსაც სმიტი უწოდებდა „მიუკერძოებელ მაყურებელს“ ან „გულში მყოფ ადამიანს“, ყალიბდება სხვა ადამიანებთან ჩვენი ურთიერთქმედების შედეგად. ის წარმოადგენს სხვების რეაქციების შინაგან გამოხატულებას, რომელიც ჩვენი სოციალური გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, ეტაპობრივად უფრო და უფრო ორგანიზებული ხდება. რადგანაც მისი მთავარი წყარო სოციალური ურთიერთქმედებაა, შინაგანი ხმისთვის ბუნებრივად დამახასიათებელია ახლო კავშირი სხვების მიმართ თანაგრძნობის გრძნობასთან. ყველა ზნეობრივი გრძნობის ცენტრში

დგას სწორედ თანაგრძნობა, რომელიც სოციალური ურთიერთქმედებიდან მომდინარეობს .

სოციალური ინტერაქციის შედეგად წარმოიშვება, არა მხოლოდ ზოგადი ეთიკური პრინციპები, არამედ თავად „მეს“ ბუნებაც. შესაძლებელი რომ იყოს ადამიანის წარმოდგენა სრულ იზოლაციაში, მას ვერ ექნებოდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული ხასიათი. თუმცა, სმიტის აზრით, „გაიყვანეთ იგი საზოგადოებაში და ის მაშინვე მიიღებს სარკეს, რომელიც სურდა რომ ჰქონოდა. ეს სარკე ასახავს იმ ადამიანების გამომეტყვალებასა და ქცევას, რომელთა გარემოცვაშიც ინდივიდს უწევს ცხოვრება. “. სხვა ადამიანების ეს „სარკე“ ქმნის ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ადამიანი აყალიბებს თავის თვითშეგნებას; რამდენადაც, გარშემო მყოფებთან ნებისმიერი კომუნიკაციის გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს „იფიქროს თავის საკუთარ ხასიათზე, ან საკუთარი გრძნობების და ქცევის მართებულობასა თუ ნაკლოვანებებზე, თავისი გონების სილამაზესა თუ მანკიერებებზე, თავისი საკუთარი სახის სილამაზესა თუ მანკირებაზე.“ ამდენად, ჩვენ, სხვებთან ურთიერთქმედების გზით, ვყალიბდებით არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ზნეობრივ და ეთიკურ არსებებად.

ახალი ნაშრომი

1767 წელს სმიტმა ასეთი შეხედულებები აქცია ეთიკური განსჯის საფუძვლად. მაგრამ, ამჯერად, თავისი ყურადღება მან სხვა მიმართულებით მიმართა. სმიტს აინტერესებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმეთა უფრო ფართო სამყარო. ამ სამყაროს აკლდა კარგი ინტელექტუალური ჩარჩო, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მის ყოვლისმომცველ კვლევას. მან გადაწყვიტა შეექმნა ეს ჩარჩო და ამავე დროს წარმოედგინა სასარგებლო კომენტარები თავისი დროების საზოგადოებრივ საქმეთა შესახებ. მას ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნისას დაეწყო ამ პროექტზე მუშაობა ხოლო ახლა, მშობლიურ კერკოლდში დაბრუნების შემდეგ, უკვე შეეძლო სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის. ახალი წიგნი შემუშავების პროცესში იყო. თუმცა, კიდევ ცხრა წელი გახდა საჭირო სანამ მისი წიგნი *„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“* გამოქვეყნდებოდა.

ბაზრების მშვენიერი სამყარო

მთავარი თემები

„ხალხთა სიმდიდრე“ დღეისათვის რა თქმა უნდა ადამ სმიტის უდიდეს ნაშრომად ითვლება. ამიტომაც, დღესდღეობით სმიტი ცნობილია უფრო, როგორც ეკონომიკის მამა და არა ზნეობის ფილოსოფოსი. ჩვენ მის სახელს კაპიტალიზმის იდეოლოგიას და მის შემადგენელ მოგების მიღების მოტივაციას უფრო ვუკავშირებთ და ნაკლებად აღვიქვამთ ფილოსოფოსად, რომელიც თანაგრძნობისა და სიმპატიის მნიშვნელობაზე ღაღადებდა. ადამ სმიტის საქმიანობის ეს ორი მხარე (მაშინაც კი თუ მისი ზნეობრივი ფილოსოფიის შესახებ გვსმენია) ერთმანეთთან შეუსაბამო ჩანს. ამის მიუხედავად, არ გაგვაჩნია მიზეზი ვიფიქროთ, რომ თავად სმითი რაიმე შეუსაბამობას ხედავდა თავის ამ ორ დიდ და მნიშვნელოვან წიგნს შორის. ერთი შეეხებოდა გამოცდილების პერსონალურ მხარეს, ხოლო მეორე კი საზოგადოებრივ საქმეებს. მათ ორი მთავარი ასპექტი ჰქონდათ საერთო: 1) ორივე მთავარ ყურადღებას აქცევდა ადამიანს და 2) ორივე თავის განსახილველ საგანს სოციალური პროცესის თვალთახედვიდან აფასებდა.

თავის ნაშრომში *„თეორია მორალური გრძნობების შესახებ“* სმითმა განსაკუთრებული

ყურადღება დაუთმო კეთილგონიერების სათნოებას. სათნოებას? დიახ, ამბობდა სმიტი; იმ თვისებებთან ერთად, როგორიცაა სიკეთე და სამართლიანობა სხვა ადამიანებთან მიმართებაში, ადამიანს უნდა გააჩნდეს წინდახედული ცხოვრების სათნოება. სმითი აღიარებდა, რომ კეთილგონიერება არ იყო ყველაზე მომხიბვლელ ღირსებათაგანი; მაგრამ აღინიშნავ რომ „გარკვეულ ცივ პატივისცემას იმსახურებდა“. და მაინც, მას ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, რადგან „ყოველ ადამიანს, ეჭვგარეშეა, ბუნებით, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მიხედვა უნდა შეეძლოს“. და სმითი დარწმუნებული იყო, რომ „ადამიანს ბევრად უკეთ გამოსდის საკუთარ თავზე ზრუნვა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადამიანზე“.

ნაშრომის ამგვარ მონაკვეთებში ინდივიდუალიზმის ძლიერი სულისკვეთება იგრძნობა. მისი (და ჩვენი) ეპოქისთვის დამახასიათებელი ეს ინდივიდუალიზმი, ნათლად არის წარმოდგენილი ასევე *„ხალხთა სიმდიდრეში“*, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პირად ინტერესებზე. ეკონომიკური ურთიერთობების სწორედ ინდივიდების პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს ნათლად ჩანს სმითის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ციტატაში:

> *ჩვენი სადილი არის არა ყასბის, ლუდის მხდელის ან მეპურის კეთილგანწობილების შედეგი, არამედმათი პირადი ინტერესების დაცვის გამოვლინება . ჩვენ მივმართავთ არა მათ ჰუმანობას, არამედ მათ ეგოიზმს, და მათ ველაპარაკებით არა ჩვენს საჭიროებაზე, არამედ მათ სარგებელზე. არავის, გარდა მათხოვრისა, არ სურს დამოკიდებული იყოს უმთავრესად მის თანამოქალაქეთა მოწყალებაზე.*

კიდევ ერთი რამ, რაც ამ ორ წიგნს -„თეორია მორალური გრძნობების შესახებ“ და „ხალხთა სიმდიდრე“ - აქვს საერთო არის ის, რომ ორივეგან ცენტრალური ადგილი უჭირავს სოციალური პროცესების მნიშვნელობას. სმიტის პირველ წიგნში, სოციალური პროცესის შესახებხედვა გამოიყენება ინდივიდუალური ეთიკური ჩარჩოების ძირითადი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად; მის მეორე წიგნში, საზოგადოების უფრო ფართო ინსტიტუტები განხილულია, როგორც ინდივიდებს შორის ურთიერთქმედების პროცესის პროდუქტი - თუმცაღა, ამჯერად ინდივიდები თავიანთ პირველად როლებში - მუშების, მწარმოებლების თუ მომხმარებლების სახით არიან წარმოდგენილნი. პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები ვითარდება, არა იმდენად მმართველების განკარგულების ან უფრო უბრალო ადამიანების ზნეობრივი გამოხატულებების საფუძველზე, რამდენადაც იმ რეალური ურთიერთობებით, რომელიც გამომუშავდება რეალურ სამყაროში არსებული აღებ-მიცემობის საშუალებით. ეს რეალური სამყარო კი საბაზრო ურთიერთობების პროდუქტად განიხილება.

ბაზარი

სმიტისთვის, ბაზარი მუდმივად აბალანსებდა ინდივიდების პირად ინტერესებს. ბაზრის ერთ მხარეს იყო საქონლის ან მომსახურების მიწოდება: რარაოდენობით იყო ხელმისაწვდომი რომელიმე კონკრეტულ დროსა და ადგილას. მეორე მხარეს კი იყო მოთხოვნა: რამდენ ადამიანს სურდა იმ სახის საქონელი თუ მომსახურება. მიწოდება და მოთხოვნა ყოველთვის ერთად მუშაობდა, როგორც ზოგადი პროცესი, რომელიც განსაზღვრავდა ფასებს. თუ შემცირდება მიწოდება, ფასები აიწევს. შედეგი იგივეა მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაშიც. მიწოდების მატება ან მოთხოვნის კლება, ორივე ფასების კლებას იწვევს. ეს გახლავთ ფასების დადგენა თავისუფალ, კონკურენტულ ბაზარზე, რომელიც სხვა ეკონომიკურ ძალებს ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებას აძლევს.

რა გასამრჯელოს მიიღებენ მუშები თავიანთი სამუშაოს საფასურად? რამდენადაც ძირითადად ისინი ქმნიან პროდუქტის ღირებულებას (სმიტი, ხოლო მის შემდეგ მარქსიც, ცნობდნენ შრომითი ღირებულების თეორიას), მათი გასამრჯელო უხვი უნდა იყოს. მაგრამ არც ზედმეტად უხვი, , რამდენადაც სხვა მუშებიც არსებობენ და ისინიც უნდა აღვიქვათ პოტენციურ დაქირავებულებად მუშახელის ამგვარი დამატებითი მიწოდება მისი ფასის დარეგულირებას უწყობს ხელს.

როგორ გადავწყვიტოთ, რა ვაწარმოოთ? ჩვენ ვცდილობთ ისეთი საქონლის და მომსახურების წარმოებას, რომელზეც დიდი მოთხოვნა არსებობს. ამდენად, უფრო მეტ ყურადღებას, დიდი ალბათობით, საზოგადოების ყველაზე სასწრაფო მოთხოვნილებები მიიპყრობს, რამდენადაც წარმოების პროცესი იმისაკენ მიდის, რაზეც დიდი საბაზრო მოთხოვნა იკვეთება. მოთხოვნის მიხედვით განისაზღვრება პროდუქციის რაოდენობაც.როდესაც იმაზე მეტი იწარმოება, ვიდრე ხალხს სჭირდება ან უნდა, ფასები ეცემა და სხვა რამის წარმოების განზრახვა ჩნდება.

როგორ გადავწყვიტოთ, სად უნდა მოხდეს პროდუქტის მოხმარება? იქ, სადაც მოთხოვნა ყველაზე დიდია. განაწილება, მოხმარება და წარმოებაც ბაზრის კანონებს ემორჩილება. სადაც პროდუქტზე ყველაზე მეტი მოთხოვნაა, სწორედ იქ გაიგზავნება და იქ მოხდება მისი მოხმარება. სმითის აზრით, „მოხმარება არის ყველა წარმოების ერთადერთი ბოლო საფეხური და მიზანი; და მწარმოებლის ინტერესს მხოლოდ იმდენად უნდა მიექცეს ყურადღება, რამდენადაც ეს შეიძლება საჭირო იყოს მომხმარებლის ინტერესებებისათვის“.

ამდენად, სმითის აზრით, საბაზრო მექანიზმები აკონტროლებს საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ პროცესებს. ისინი აკონტროლებენ ვინ ვისზე მუშაობს, რა იწარმოება, რა ფასად იყიდება, სად ხდება მისი მოხმარება. ყველა ეს პროცესი მიმდინარეობს საზოგადოების ან სამთავრობო დაგეგმარების გარეშე. ისინი უბრალოდ ბუნებრივად მიმდინარეობს. მასში ჩართული პირებიც, მხოლოდ, ბუნდოვნად აცნობიერებენ ბაზრის მუშაობის მექანიზმს. თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მონაკვეთში სმიტი ამბობდა, რომ ყოველი პიროვნება „მიზნად ისახავს მხოლოდ საკუთარ სარგებელს, და აქ, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, მას მართავს უხილავი ხელი, რომელიც იმ საბოლოო შედეგის დადგომას ხელს უწყობს, რომელიც თავდაპირველად მისი განზრახვის ნაწილი არ ყოფილა“. დამატებით ის გამოთქვამს აზრს, რომ „საკუთარი ინტერესის გატარებით ის ხშირად ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესის გატარებას იმაზე უფრო ეფექტიანად , ვიდრე მაშინ, როდესაც მას ნამვილად უნდა მისი ხელშეწყობა“.

მთავრობის როლი

სმიტისთვის ამ ყველაფერში მთავრობის როლი შეზღუდულია (თუმცა, მნიშვნელოვანი) . მთავრობამ სახელმწიფოში უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და სამართლიანობა, რამდენადაც „არავითარი სოციალური ურთიერთქმედება არ მოხდება ადამიანებს შორის, რომლებიც თავს ვერ იკავებენ ერთმანეთისათვის ზიანის მიყენებისაგან“. ასევე, საზოგადოებას გააჩნია გარკვეული საჭიროებები, როგორიცაა გზები და ნავსადგურები, საფოსტო სისტემა, საჯარო განათლება და რელიგიური ინსტიტუტების დახმარებაც კი. ეს საჭიროებები კი მთავრობის მხრიდან მოქმედებას მოითხოვს თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანია მთავრობებმა შეზღუდონ თავიანთი როლი ეკონომიკურ საქმიანობაში , და საშუალება მისცენ, როგორც სმიტი უწოდებდა „ბუნებრივი თავისუფლების აშკარა და უბრალო სისტემას“ ჩამოყალიბდეს „თავისი საკუთარი დინებით“.

სმითს სჯეროდა, რომ თუკი შევძლებთ ასეთი „აშკარა და უბრალო სისტემის“ ხელშეწყობას, შედეგად მივიღებთ მუდმივ პროგრესს. ბაზრების ეკონომიკური ეფექტიანობა წაახალისებდა საქონლისა და მომსახურების გაუმჯობესებას. უფრო მეტიც, შრომის მზარდ განაწილებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკური ზრდა გაგრძელდებოდა განუსაზღვრელი ვადით. ასეთი იყო პროგრესი, რომელიც იყო შედეგი სისტემისა, სადაც ინდივიდები მიისწრაფოდნენ, რა თქმა უნდა კანონისა და საზოგადოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმების ფარგლებში, საკუთარი პირადული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ.

კონკურენცია და კონფლიქტი

კონფლიქტის თეორეტიკოსი?

თუ კონფლიქტის თეორია განიხილავს ადამიანებს შორის ურთიერთდაპირისპირების საკითხებს, ადამ სმიტს ვერ ჩავთვლით კონფლიქტის თეორეტიკოსად. მას დიდი ყურადღება არ დაუთმია ადამიანური ქცევის აგრესიული და ძალადობრივი ასპექტებისათვის, ის უბრალოდ აღიარებდა მათ არსებობას. იგი მიუთითებდა კონფლიქტის არსებობაზე, ინტერესთა კონფლიქტების თვალსაზრისით. მისი აზრით, ეს კონფლიქტები არსებობდა ჩვენს გარშემო, როგორც ცხოვრების გარდაუვალი წინაპირობა. სმიტის განსაკუთრებული წვლილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შემოგვთავაზაინტერესთა კონფლიქტებთან, განსაკუთრებით ირიბად გამკლავების გზები.

ადამ სმიტი კონფლიქტის გადაწყვეტის თეორეტიკოსი უფრო იყო, ვიდრე კონფლიქტის თეორეტიკოსი. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ის, თუ როგორ ხდება ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა ბაზრის მიუკერძოებელი მექანიზმების საშუალებით. რა თქმა უნდა, ეს განსხვავდება იმისგან, რასაც ადამიანები კონფლიქტის გადაწყვეტაში გულისხმობენ. მას არ ჩაუტარებია მყიდველსა და გამყიდველს შორის ფასის გარშემო წარმოებული ვაჭრობის დეტალური ანალიზი, არ გაუანალიზებია, თუ როგორ შეიძლება რამდენიმესაათიანი მძიმე მოლაპარაკებები აწარმოონ მმართველობამ და პროფკავშირების წარმომადგენლებმა საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე. მას კონფლიქტის გადაჭრა აღელვებდა უფრო ფუნდამენტური თვალსაზრისით: როგორ გადავჭრათ ჩვენი ყოველდღიური ინტერესთა კონფლიქტები ავტომატურ რეჟიმში და დიდი ძალისხმევის გარეშე, ბაზრის მიუკერძოებელი პროცესების საშუალებით.

პარკი და ბურგესი

პირველ თავში ჩვენ უფრო ფართოდ განვსაზღვრეთ სოციალური კონფლიქტი, რომელიც მოიცავს, არა მხოლოდ უშუალო დაპირსპირებებს, არამედ, ასევე, კონკურენციით გამოწვეულ წნეხებს. ზოგიერთი მეცნიერი კი უფრო მეტად კონკურენციასა და კონფლიქტს შორის არსებულ სხვაობას უსვამს ხაზს. რობერტ პარკმა და ერნესტ ბურგესმა ეს სხვაობა აღწერეს თავიანთ წიგნში, რომელიც, სოციოლოგიის ისტორიაში ყველაზე გავლენიან სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს.. მათ განასხვავეს ადამიანური ურთიერთქმედების ოთხი ძირითადი სახეობა: კონკურენცია, კონფლიქტი, შეგუება და ასიმილაცია. ამათგან, ისინი კონკურენციას განიხილავდნენ ყველაზე „ელემენტარულ, უნივერსალურ და ფუნდამენტურ“ პროცესად; ის „უნივერსალურია ცოცხალ სამყაროში“. მაგრამ კონკურენცია არ მოითხოვს პიროვნებებს შორის პირდაპირ კონტაქტს; ის უფრო მის საფუძველში არსებული ბრძოლაა.

როდესაც ბრძოლა უფრო გაცნობიერებული და პირდაპირი ხდება, ის უკვე განიხილება, როგორც „კონფლიქტი“. კონკურენციისა და კონფლიქტის სოციალური პროცესებიდან გამომდინარეობს შეგუებისა და ასიმილაციის გზები. შეგუება გულისხმობს, რომ ადამიანები ერგებიან კონკურენტულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, თუმცა, ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრის გარეშე; ზოგჯერ მას „ანტაგონისტურ თანამშრომლობად“ ახასიათებენ. ამის საპირისპიროდ, როდესაც ადამიანები თავიანთი განსხვავებულობების გადალახვას ახერხებენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ასიმილაციაზე. ეს გახლავთ პარკისა და ბურგესის სოციალური მეცნიერებისადმი მიდგომის მთავარი ცნებები. ხშირად ამ მიდგომას უწოდებენ „სოციალური პროცესის“ მიდგომასაც, რომელიც განსხვავდება სხვა სოციოლოგების სოციალურ სტრუქტურული ხედვისაგან.

ზიმელი

მაშინ, როდესაც ამერიკაში სოციოლოგები კონკურენციასა და კონფლიქტს ერთმანეთისგან განასხვავებდნენ, როგორც ფუნდამენტურ სოციალურ ნორმებს, ზოგიერთი მეცნიერი ევროპაში, მიუთითებდა კონფლიქტსა და სხვა სოციალურ პროცესებს შორის არსებულ ერთობას. ამის გამორჩეული მაგალითია მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი გეორგ ზიმელი. თავის სიღრმისეულ ესსეში *„კონფლიქტი“*, ზიმელი აღნიშნავდა, თუ როგორ ეფუძნება ყველა სოციალური ორგანიზაცია თანამშრომლობასა და კონფლიქტს შორის ურთიერთკავშირს. ზიმელი ამბობდა: „გარკვეული უთანხმოება, შინაგანი წინააღმდეგობა და გარე დაპირისპირება, ორგანულად არის დაკავშირებული სწორედ იმ ელემენტებთან, რომლებიც საბოლოო ჯამში ჯგუფის ერთიანობას ინარჩუნებენ“, ხოლო ანტაგონიზმი „ის ელემენტია, რომელიც თითქმის ყოველთვის არსებობს“ ადამიანურ კავშირებში. ზიმელი კონკურენციას განიხილავდა კონფლიქტის მთავარ ფორმად და ზედმიწევნით დეტალურად აღწერდა, თუ როგორ ზემოქმედებს ადამიანურ ურთიერთობებზე როგორც მტრული დაპირისპირება, ისე კონფლიქტის უფრო ირიბი ფორმები.

კოზერი

დაახლოებით ნახევარი საუკუნის მას შემდეგ, რაც ზიმელმა კოფლიქტის თემაზე პირველად დაწერა, ლუის კოზერმა სცადა უფრო ფორმალურად ჩამოყალიბებინა იგივე ძირითადი იდეები. ამ მიზნით, მან თავის წიგნში - *„სოციალური კონფლიქტის ფუნქციები“* თექვსმეტი წინადადება შემოგვთავაზა. მართალია მთავარ იდეებს ის ზიმელს დაესესხა, მაგრამ კოზერმა, თავის მხრივ, წარმოადგინა საკუთარი ვრცელი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დავაკვირდეთ კონფლიქტს ადამიანურ ურთიერთობებში. კოზერის მიერ შემოთავაზებულ ამ რამდენიმე წინადადებებაში კარგად ჩანს მისი (და ზიმელის) ნაშრომის მთავარი აზრი. ისინი შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- კონფლიქტი ემსახურება საზოგადოებებისა და ჯგუფების იდენტობისა და გამყოფი ხაზების დამყარებასა და შენარჩუნებას.
- კონფლიქტი ყოველთვის არ არღვევს იმ ურთიერთობებს, რომელშიც ის ხდება; ხშირად კონფლიქტი საჭიროა მათ შესანარჩუნებლად.
- ანტაგონიზმი, როგორც წესი, ინტიმურ ურთიერთობის შემადგენელი ელემენტია.
- ახლო ურთიერთობიდან წარმოშობილი კონფლიქტი უფრო ვნებიანი და რადიკალურია.

- სხვა ჯგუფთან წარმოქმნილი კონფლიქტი ჯგუფის წევრების ენერგიის მობილიზებას ახდენს და ამდენად, ჯგუფი უფრო შეკავშირებული ხდება.
- გარე ძალებთან მუდმივად ბრძოლებში ჩაბმული ჯგუფები ნაკლები მიმტევებლობით ხასიათდებიან ჯგუფის შიგნით.
- ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტი იყოს დამანგრეველი და გამყოფი, ის შეიძლება აღმოჩნდეს დაბალანსებისა და საზოგადოების ფუნქციონირების შენარჩუნების მექანიზმიც.

ამდენად, სწორედ იმ დროს, 1950-იან წლებში, როდესაც ამერიკულ სოციალოგიაში თავს არიდებდნენ კონფლიქტს, როგორც მთავარ ცნებას, ლუის კოზერმა თავის კოლეგა სოციოლოგებს შეახსენა იმ მთავარი როლის შესახებ, რომელსაც კონფლიქტი ყოველთვის ასრულებს საზოგადოებაში. მისმა წიგნმა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა იმით, რომ შეახსენებდა სოციოლოგებს იმ იდეების შესახებ, რომელთაც უფრო ადრე, საუკუნის დასაწყისში, ცენტრალური ადგილი ეკავათ (მაგალითად, პარკის და ბურგესის, და ზიმელის ნაშრომებში). ამდენად, მან გზა გაუკაფა სოციოლოგების მხრიდან კონფლიქტის მიმართ ყურადღების მნიშვნელოვან ზრდას.

კონფლიქტის დასრულება

მიმდინარე თავში აქამდე განხილულ ავტორებს შორის (სმითი, პარკი და ბურგესი, ზიმელი და კოზერი), ზიმელი ყველაზე ღიად განიხილავს კონფლიქტის მოგვარების საკითხს. ზიმელის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ კონფლიქტიდან მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლა უფრო პრობლემატურია, ვიდრე პირიქით. „კონფლიქტის დასასრული თავისებური წამოწყებაა“, ამბობს ზიმელი. „ის არც ომს ეკუთვნის და არც მშვიდობას, ეს არის განსხვავებული ხიდი, რომელიცორ ნაპირს აკავშირებს. “. კონფლიქტის დასრულება, განცალკევებული თემაა და საგანგებო სოციოლოგიურ ყურადღებას იმსახურებს.

კონფლიქტის მოგვარების მოტივებს შორის, ზიმელი კონკრეტულად აღნიშნავს მშვიდობის საზოგადო სურვილს, ცხოვრების რითმში კონტრასტების არსებობის მოთხოვნილებას (ხანდახან ადამიანებს „სჭირდებათ უთანხმოება, რათა შეინარჩუნონ ურთიერთობები“ და სიამოვნება მიიღონ კონფლიქტის დასრულებისას), ადამიანის ენერგიისგან დაცლას კონფლიქტის გზით, და მონაწილე მხარეების ინტერესების ცვალებადობას (ხანდახან ადამიანები აღმოაჩენენ, რომ „საკამათო თემის მიმართ ინტერესი დაკარგეს, და სურთ მხოლოდ თავიანთი ენერგიის გამოთავისუფლება, რათა ისინი სხვა მიზნებისკენ მიმართონ“).

ზიმელი გამოყოფს კონფლიქტის დასრულების ხუთ ძირითად სახეობას: 1) კონფლიქტის ობიექტის გაქრობა, 2) რომელიმე მონაწილე მხარის გამარჯვება, 3) კომპრომისი, 4) შერიგება და 5) შეურიგებლობა.

კამათის საგანი ზოგჯერ მართლაც ქრება, შემთხვევით, ან მონაწილე მხარის შეცვლისას. ზიმელს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტი დასრულდეს გარე ძალების გავლენით: „დაპირისპირება, რომელშიც ერთი პირი ან მხარე მესამე მხარის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას; ბრძოლა ნადავლისთვის, რომელიც ამასობაში სხვამ მოიპოვა; ან თეორიული კამათი, რომელშიც პრობლემა მოულოდნელად გადაიჭრება მესამე მხარის უფრო ჭკვიანური არგუმენტის გაჩენით და ორივე დაპირისპირებული მხარის პოზიცია აღმოჩნდება მცდარი“.

ზოგჯერ კონფლიქტები ერთი მხარის გამარჯვებით მთავრდება. ეს შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მათგანის ძალისმიერი უპირატესობის, ან მეორე მხარის მხრიდან დანებების მზაობის გამოც. ამ ბოლო შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ზიმელი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ზოგიერთ პირადულ კონფლიქტში დათმობა უპირატესობის გამოხატულებაც კი შეიძლება იყოს; ის ამტკიცებს, რომ ხანდახან „როდესაც ერთი მხარე მეორეს დანებდება მანამ, სანამ ის თავის სიმართლეს დაამტკიცებს, მეორე, უფრო ძლიერი მხარე ამას შეურაცხყოფადაც კი აღიქვამს; თითქოს ის ამ ორთაგან უფრო სუსტი ყოფილიყოს და მეორე მხარეს რაღაც მიზეზით დაეთმო, არადა ამის საჭიროება არ არსებობდა“.

გამარჯვებისგან ძალიან განსხვავდება კომპრომისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს კონფლიქტის საგნების რაოდენობის განსაზღვრის და გაყოფის გზა . ზიმელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კომპრომისის უნარი, განსაკუთრებით ეკონომიკური აღებ-მიცემობის საკითხებში, „არის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონება“. შემდგომ ის ამტკიცებს, რომ „საგნების ყველანაირი გაცვლა არის კომპრომისი“, რომელიც ეფუძნება გასაცვლელი ნივთების ღირებულების საერთო სტანდარტის განვითარებას და გარკვეულ ღია შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს ემსახურება.

შერიგება ზოგ შემთხვევაში კომპრომისის სუბიექტური მხარეა. სხვა შემთხვევებში, შერიგება (განსაკუთრებით თავის უფრო რელიგიურ ფორმებში) შეიძლება თავისით მოხდეს, რამდენადაც მხარეები მტრობიდან ურთიერთმიტევებასა და უერთიერთმიმღებლობაზე გადადიან. ზოგჯერ, როდესაც მხარეები კონფლიქტის შემდეგ რიგდებიან, მათი ურთიერთობა უფრო ძლიერია, ვიდრე მანამდე იყო. როგორც ზიმელი აღნიშნავს, ზოგჯერ „განხეთქილება ქმნის საფუძველს, რომლის წინაშეც კავშირის ყველა ღირებულება უფრო ნათელიდა გაცნობიერებული ხდება.

და ბოლოს, მხარეებმა შეიძლება აღიარონ, რომ მათ შორის შეურიგებლობა არსებობს, რასაც ზიმელი განსაზღვრავს, როგორც „შერიგების უარყოფით უკიდურესობას“. კონფლიქტის აქტიურმა ფაზამ შეიძლება ისე გაიაროს, რომ ფუნდამენტური საკითხები გადაუწყვეტელი დარჩეს; ან კონფლიქტი გადაიზარდოს ისეთ მტრობაში, რომ ვეღარც მოგვარდეს. ინტიმურ, პირად ურთიერთობებში შეურიგებლობა ხშირად თანაარსებობს სიყვარულსა და გრძნობასთან; ზიმელი აქ საუბრობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება წყენა შევინახოთ, მაგრამ „ის იყოს ლოკალიზებული, რჩებოდეს მთლიანი ურთიერთოების ერთ-ერთ ფაქტორად, მაგრამ ზიანი არ მიაყენოს მას“.

ინტერაქციონისტური პერსპექტივები

სმითი, როგორც ინტერაქციონისტი

ადამ სმითის ძირითადი ხედვა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ინტერაქციონისტური“. ის მიიჩნევდა, რომ პიროვნებაში კარგისა და ცუდის ცნებების აღმოცენება ხდება სხვებთან მისი ურთიერთქმედებისას. ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას ისე, რომ ჩვენს შემდგომ ქმედებებს, მაშინაც კი, როდესაც სხვების გარემოცვაში არ ვიმყოფებით, წარმართავს ამ ურთიერთქმედებების შესახებ შინაგანად გაჩენილი დასკვნა.. მსგავსად ამისა, მისი შეხედულება ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ შეიძლება ასევე შევაფასოთ, როგორც ინტერაქციონისტული, რამდენადაც, სწორედ ინდივიდებს შორის ურთიერთქმედების საფუძველზე აღმოცენდება ეკონომიკური ინსტიტუტები.

სიმბოლური ინტეაქციონიზმი

მეოცე საუკუნის აზროვნების იმ მიმდინარეობებს შორის, რომლებიც ფართო გაგებით ინტერაქციონისტულად შეიძლება ჩაითვალოს, ყველაზე პირდაპირი კავშირი სმითის აზროვნებასთან ჰქონდა იმას, რაც მოგვიანებით „სიმბოლური ინტერაქციონიზმის“ სახელით გახდა ცნობილი. უილიამ ჯეიმსის, ჯონ დიუის, ჯორჯ ჰ. მიდის და ჩარლზ ქულის ნაშრომებიდან წარმოიშვა ერთიანი მეთოდი, რომელსაც მოგვიანებით (კერძოდ, 1937 წელს ჰერბერტ ბლუმერის მიერ) „სიმბოლური ინტერაქციონიზმი“ ეწოდა. როდესაც ბლუმერმა სიმბოლური ინტერაქციონიზმის მთავარი იდეები ჩამოაყალიბა, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მიდის (მისი ყოფილი მასწავლებელი) ადრეულ ნაშრომებს და ჩამოაყალიბა შემდეგი ძირითადი მოსაზრებები: 1) „ადამიანები საგნებს ექცევიან იმის მიხედვით თუ რა მნიშვნელობის მატარებელიც არიან ეს საგნები მათთვის“; 2) „ამ საგნების მნიშვნელობა მომდინარებს ან აღმოცენდება იმ სოციალური ურთიერთობიდან, რომელიც ადამიანს აქვს სხვა ადამიანებთან“ და 3) „ეს მნიშვნელობები იმართება და იცვლება იმ პროცესების მიხედვით, რომელთა წინაშეც ადამიანები აღმოჩნდებიან ხოლმე.“ მიუედავად იმისა, რომ სხვა მეცნიერებმა სიმბოლური ინტერაქციონიზმი სხვაგვარად განმარტეს, ყველამ ხაზი გაუსვა, რომ ქცევის გაგება ბოლომდე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას აქვს ან სუბიექტური ხასიათი, ან სხვების ქცევას ირეკლავს, და რომ მნიშვნელობები, რომლებსაც ჩვენი ქცევის მართვისას ვიყენებთ, აღმოცენდება უპირატესად სხვებთან ურთიერთობის შედეგად.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი, რომელიც სოციალური ფსიქოლოგიის მთავარ ჩარჩოდ იქცა, განსაკუთრებით იმ სოციალური ფსიქოლოგებისათვის, რომლებსაც სოციალოგიური წარსული ჰქონდა,ფართოდ გამოიყენებოდა ადამიანური ქცევის ყველა ასპექტთან მიმართებაში. ეს მოიცავს სოციალური კონფლიქტების კვლევასაც. თუმცა, ზოგადად, სიმბოლური ინტერაქციონისტები უფრო იმის შესწავლით არიან დაინტერესებული , თუ როგორ თანამშრომლობენ ადამიანები, კერძოდ, ურთიერთქმედების საშუალებით როგორ ამყარებენ კავშირებს, რომელიც მათ ერთად კრავს, ვიდრე იმით , თუ როგორ შედიან ერთმანეთთან კონფლიქტში. მათ კონფლიქტები და მათი მოგვარების საკითხები გამოიკვლიეს უფრო იმისათვის, რომ შეესწავლათ მათ საფუძველში არსებული პოზიტიური ადამიანური ურთიერთობები. სწორედ ამიტომ სიმბოლური ინტერაქციონიზმიდან კონფლიქტის შესახებ განსხვავებული თეორია ვერ წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სხვა მეთოდებთან არის კომბინირებული, მაგალითად მარქსიზმთან.

მოლაპარაკებების შესახებ თავის ნაშრომში, ანსელმ შტრაუსს მოჰყავს კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უდგებიან სიმბოლური ინტერაქციონისტები კონფლიქტის საკითხს. ის მოლაპარაკებებს განიხილავს არა, როგორც განსაკუთრებულ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, არამედ უფრო, როგორც ფუნდამენტური პროცესის გამოხატულებას, რომელიც აყალიბებს და მუდმივად ცვლის საზოგადოებას. საზოგადოების მიმართ მის მიდგომას ხშირად უწოდებენ „მოლაპარაკებების გზით მიღწეულ წესრიგს“, რომლის თანახმად, ადამიანური ინსტიტუტები უბრალოდ კი არ გადაეცემა თაობიდან თაობას ან განისაზღვრება რომელიმე ხელისუფალის მიერ, არამედ ჩნდება ადამიანების ინტერესების ურთიერთქმედების უთვალავი კომბინაციიდან - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლაპარებების პროცესის შედეგად. შტრაუსი იყენებს მოლაპარაკებების შესახებ ამ ძალზედ ფართო ხედვას და იწყებს სოციალური მეცნიერების იმ თეორიების განხილვას, რომელთაც ის ყველაზე შესაფერისად მიიჩნევს. ის ასევე განიხილავს ცალკეული

შემთხვევებსაც. ამ კონკრეტულ შემთხვევებს შორისაა ურთიერთობები ინდუსტრიულ ფირმაში, მოლაპარაკებები სადაზღვევო კომპანიებსა და მოსარჩელეებს შორის, სიტუაცია სასამართლო დარბაზში, ურთიერთობები ეთნიკურ ჯგუფებს შორის, მზითევის შესახებ მოლაპარაკებები, ურთიერთობები ხანდაზმულთა სახლში და საერთაშორისო დიპლომატია.

შტრაუსი მოლაპარაკებების შესახებ თავის კვლევაში შეისწავლის შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

- მოლაპარაკების მონაწილეთა რაოდენობა, მათი შედარებითი გამოცდილება მოლაპარაკების წარმოების პროცესში და ვის წარმოადგენენ ისინი;
- როგორია ეს მოლაპარაკებები - ერთჯერადი, განმეორებითი, თანმიმდევრული, პერიოდული, მრავალჯერადი თუ დაკავშირებული;
- თავად მოლაპარაკებების პროცესში შესაბამისი მხარეების მიერ გამოყენებული ძალის შედარებითი ბალანსი;
- რა ფსონს ჩამოვიდნენ მოლაპარაკების პროცესში მხარეები;
- რამდენად ხედავენ გარიგებებს სხვები;
- მოლაპარაკების საგნების რაოდენობა და კომპლექსურობა;
- რა არჩევანი არსებობს თუ მოლაპარაკებებს თავს აარიდებენ ან შეწყვეტენ.

იმ სიტუაციებს, სადაც ეს ფაქტორები ვლინდება, შტრაუსი უწოდებს მოლაპარაკებების უშუალო სოციალურ კონტექსტს. მათ მიღმა დგას სოციალური ინსტიტუტების უფრო ფართო კონტექსტი, რომლებიც ქმნიან მოლაპარაკებების ჩარჩოს. შტრაუსს, როგორც სოციალოგს, განსაკუთრებით აინტერესებს სოციალური ორგანიზაციის ამ უფრო ფართო პირობების განხილვა, რომლის ფარგლებშიც იმართება მოლაპარაკებები.

შტრაუსს, რომელიც სიმბოლური ინტერაქციონიზმის ტრადიციების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ როგორ ხედავენ თავიანთ მოლაპარაკებებს თავად მოლაპარაკებების მონაწილენი. შტრაუსი ფიქრობდა, რომ ის აზრები, რომელიც მათ უტრიალებთ თავში იმის მნიშვნელობის შესახებ, რასაც აკეთებენ, ღრმა გავლენას ახდენს მათი მოლაპარაკების სტილზე. ეს იდეები შეიძლება ნაწილობრივ მათი წარსული გამოცდილების ნაყოფი იყოს, მაგრამ ისინი ვლინდება მხოლოდ მათი დღევანდელი სოციალური ურთიერთობების კონტექსტში. ნებისმიერ შემთხვევაში, მათი გაგება სოციალოგიისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ველის თეორია

თუ ტერმინს ფართო გაგებით გამოვიყენებთ, მაშინ თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის უმეტესობა (არა მხოლოდ მათი შრომები, ვინც თავის თავს სიმბოლურ ინტერაქციონისტებს უწოდებს) შეიძლება ჩაითვალოს ინტერაქციონისტური თვალთახედვის მიმდევრად. ეს ნიშნავს, რომ სოციალურ ფსიქოლოგთა უმრავლესობა სოციალურ ურთიერთქმედებას განიხილავს როგორც ნიადაგს, რომლის საფუძველზეც სწავლობენ თავიანთი ობიექტების სოციალურ აზროვნებასა და ქცევას. ურთიერთქმედებაში გამოვლენილი ცვლადები ხშირად არის ის ძირითადი ცვლადები, რომელთაც ისინი თავიანთ ექსპერიმენტებში მთავარ ცვლადებად იყენებენ.

ასე იქცევიან განსაკუთრებით ისინი, ვინც კურტ ლევინთან დაკავშირებული ტრადიციის მიმდევარია. ლევინმა, რომელსაც მანამდე გეშტალტ ფსიქოლოგიის მიმართულებით მუშაობდა (გეშტალტისტები ხაზს უსვამდნენ, რომ აღქმა და ქცევა ყოველთვის ხდება ორგანიზებული მოდელების მიხედვით, მაგრამ არასდროს იზოლირებული სტიმულების თუ საპასუხო რეაქციების სახით), თავის მიდგომას „ველის თეორია“ უწოდა. ის ამბობდა, რომ ქცევა არის ყოველთვის ძალთა ველისა, და არა ინდივიდის რაიმე განსაკუთრებული თვისებების ან რაიმე გარემო პირობების შედეგი . ამ ძალთა შერწყმა, განაპირობებს მასში ჩართული ინდივიდების ქცევას.

მართალია ეს ლევინის ველის თეორიის არც თუ ისე ადექვატური აღწერაა, მაგრამ საწყის მონახაზს მაინც იძლევა. ველის თეორიას ძალზედ დიდი გავლენა ჰქონდა მის შემდგომ სოციალური ფსიქოლოგების (განსაკუთრებით მათზე, ვინც ფსიქოლოგიის კათედრებზე გაიარეს სასწავლო კურსი) ნაშრომებზე. მართლაც, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ბევრი წამყვანი სოციალური ფსიქოლოგი განიცდიდა ლევინის პირდაპირ გავლენას. მართალია, ლევინის ველის თეორიის გარკვეული ფორმულირებები (განსაკუთრებით გეომეტრიული ფორმები, რომელსაც ის იყენებდა სხვადასხვა ველის აღწერისას) დიდი ხანია აღარ გამოიყენება, მაგრამ მან მთლიანობაში მაინც ღრმა კვალი დატოვა.

ლევინი, როგორც ველის თეორეტიკოსი, განიხილავდა არა მხოლოდ ველებს, რომლებიც ინდივიდების ქცევის გაგებაში გვეხმარებოდა; მან, თავისი ველის თეორია გამოიყენა ჯგუფურ დონეზე. ის შეიძლება სხვებზე მეტადაც კი მივიჩნიოთ „ჯგუფური დინამიკის“ დამფუძნებლად , რაც გულისმობს ჯგუფების, როგორც ცალკე აღებული ძალთა ველის კვლევას. ინდივიდების ურთიერთქმედება თავიანთი ჯგუფების შიგნით ლევინისთვის ყოველთვის წარმოადგენდა მათი ქცევის ცენტრალურ ასპექტს. ჯგუფების სოციალური კლიმატების შესახებ თავის ადრეულ ექპერიმენტულ შრომაში ლევინი და მისი სტუდენტები ცდილობდნენ გამოეკვლიათ, რამდენად ახდენს გავლენას ზრდასრულ ადამიანთა ურთიერთობის განსხვავებული სტილი (მათ განსაკუთრებით განიხილეს ე.წ. ავტორიტარული, დემოკრატიული, თავისუფალი სტილი) ბავშვების ქცევაზე ერთმანეთთან მიმართებაში. ეს და ლევინის სოციალურ სამეცნიერო ნაშრომებში მოყვანილი კიდევ ბევრი სხვა მაგალითი, ხელახლა დაიბეჭდა ორ წიგნად - *„სოციალური კონფლიქტის გადაწყვეტა“* და *„ველის თეორია სოციალურ მეცნიერებაში“,* რომლებიც მისი სიკვდილიდან მცირე პერიოდში გამოიცა.

ლევინის კოლეგებსა და სტუდენტებს შორის, მორტონ დოიჩი ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული სოციალურ კონფლიქტისა და მისი გადაჭრის კვლევით. 1949 წელს მან გამოაქვეყნა გავლენიანი თეორიული ნაშრომი, რომელშიც აანალიზებდა თანამშრომლობისა და კონკურენციის კონცეფციებს. მის ანალიზში აქცენტი გაკეთებული იყო ჩართული მხარეების ძირითად მიზნებსა და ურთიერთქმედების სახეებზე, რომლებიც გამოვლინდებოდა რომელიმე ცალკე აღებული ამ მიზნიდან ან მათი გაერთიანების შედეგად. მის თეორიულ მტკიცებას თან სდევდა ემპირიული ნაშრომიც, რომელიც იკვლევდა იმ პირობებს, რომელშიც კონკურენტული სიტუაციებიდან შესაძლოა აღმოცენდეს თანამშრომლობა. ამ ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი მოიცავდა ძალიან აბსტრაქტულ ფორმულირებებს ორ ადამიანს შორის ურთიერთქმედების შესახებ, რომელშიც იკვეთებოდა, რომ კომუნიკაციის ხასიათსა და ფორმას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა თანამშრომლობის წარმოშობისთვის. სხვა კვლევები (განსაკუთრებით რობერტ კრაუსის მიერ ჩატარებული) ეხებოდა უფრო რეალისტური სიტუაციების სიმულაციებს. აქ კი თითქოს იკვეთებოდა, რომ საფრთხეების არსებობა და გამოყენება (ანუ, კომუნიკაცია, რომელიც მიუთითებს, რომ ერთ მხარეს

გააჩნია ძალა, რომ მეორეს წინააღმდეგ მიმართოს) არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მიიღწევა თუ არა მხარეებს შორის თანამშრომლობა.

თავის თეორიასა და კვლევაზე, ასევე სხვის ნაშრომებში აღმოჩენილ დასკვნებზე დაყრდნობით, დოიჩმა წარმოადგინა ზოგადი პირობები, რომელშიც შესაძლებელია კონფლიქტის ეფექტიანი გადაჭრა. თავდაპირველად, ის აღნიშნავს დესტრუქციული კონფლიქტების მახასიათებლებს და მათი ესკალაციის ტიპიურ მოდელებს. ის ასკვნის, რომ კონფლიქტმა დამანგრეველ სპირალში რომ გადაინაცვლოს, აუცილებელია სამი ძირითადი ფაქტორი და შემდეგ დეტალურად განიხილავს თითოეულ მათგანს: 1) კონკურენტულ პროცესებს მივყვართ იმ აზრამდე, რომ კონფლიქტი შეიძლება „მოგებულ“ იქნას; 2) არასწორი წარმოდგენები და შერჩევითი ინფორმაცია აქცენტს აკეთებენ მეორე მხარისგან განსხვავებულობაზე; და 3) კოგნიტიური და საზოგადოებრივი შეთანხმებულობის წნეხები აძლიერებს ადამიანის ვალდებულებას ჩაერთოს კონფლიქტში. როდესაც, ამგვარი პროცესები კონფლიქტის ორივე მხარეზე ერთსა და იმავე დროს ზემოქმედებს, ურთიერთდამანგრეველი სპირალი მარტივად წარმოიქმნება. მაგრამ კონფლიქტებს არ სჭირდებათ მაინცდამაინც მსგავსი მოდელი. არსებობს კიდევ ერთი მოდელი, რომელსაც დოიჩი „პროდუქტიულ კონფლიქტს“ უწოდებს. მხარეებს ამ შემთხვევაშიც განსხვავებული ინტერესები თუ დამოკიდებულებები აქვთ, მაგრამ ისინი წინააღმდეგობას უწევენ კონფლიქტის ესკალაციის ცდუნებას და ამის ნაცვლად, სხვა ფაქტორებზე აკეთებენ აქცენტს, კერძოდ, ა) კრეატიულად უდგებიან თავიანთი პრობლემ(ებ)ს, ბ) ეძებენ პრობლემის ორმხრივად გადაჭრის შესაძლებლობებს გ) მოტივების ინტერპრეტაციისას ოპონენტებს არ აძლევენ ეჭვის საფუძველს დ) ცდილობენ მოილაპარაკონ საერთო ვალდებულებებზე.

რა განსაზღვრავს იმას, თუ საით წავა კონფლიქტი, დექტრუქციული მიმართულებით თუ იქცევა პროდუქტიულ კონფლიქტად? აქ დოიჩი გამოყოფს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის, გულახდილი კომუნიკაციის არსებობა, მხარეებს შორის მანამდე არსებული, არაანტაგონისტური ურთიერთობა, შედარებით მცირე პრობლემა, პრობლემასთან დაკავშირებით ხისტი პოზიციისათვის თავის არიდება და უფრო გააზრებული კონცენტრაცია კონფლიქტის შედარებით ობიექტურ ასპექტებზე. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანი შეიძლება მხოლოდ ზომიერად იყოს წარმოდგენილი. ეს შეიძლება იყოს საკმარისი საიმისოდ, რომ აღარ მოხდეს კონფლიქტის დესტრუქციულ სპირალში გადასვლა, თუმცა, ძირითადი კონფლიქტი მაინც გადაუჭრელი დატოვოს. ამ მსჯელობას დოიჩი მიჰყავს კონფლიქტის დარეგულირების საკითხამდე.

კონფლიქტის ეფექტიანი დარეგულირება მოითხოვს გარკვეული წესების ჩამოყალიბებას, რომელთაც ორივე მხარე შეთანხმებულად მიჰყვება, მაშინაც კი როდესაც მათ შორის კონფლიქტი გრძელდება. ასეთი წესები ჩამოყალიბდება მაშინ, როდესაც სახეზეა შემდეგი პირობები:

1. თითოეული მხარე უნდა იყოს შეთანხმებულად ორგანიზებული, რათა შეეძლოს თავისი ქმედებების ეფექტიანი კოორდინაცია.
2. თითოეულ მხარს უნდა შეეძლოს მეორე მხარის ლეგიტიმურობის აღიარება.
3. კონფლიქტის ორივე მხარე განიხილავს თავის თავს უფრო ფართო საზოგადოების ნაწილად.

სისტემური თეორია

სიმბოლურ ინტერაქციონიზმს და ველის თეორიას ჰგავს და ხშირ შემთხვევაშიემთხვევა მიდგომა, რომელსაც „სისტემურ თეორიას“ უწოდებენ. „სისტემა“ არის ურთიერთმოქმედი ნაწილების ერთობლიობა, რომელშიც წვლილი შეაქვს გარემო პირობებს. არსებობს სისტემური თეორიის მრავალი ვარიანტი, რამდენადაც ის ბევრ სფეროში იქნა გამოყენებული, ინჟინერიიდან დაწყებული ბიოლოგიით და სოციალური მეცნიერებებით დამთავრებული. ფიზიკური სისტემის კონცეპტუალიზაცია მის გარემოსთან ურთიერთობაში გამოყენებულ იქნა იმდენად განსხვავებული საგნების მიმართ, როგორიცაა მზის სისტემის მოძრაობები და კომპიუტერული ოპერაციები. სისტემური მიდგომის ენა განსაკუთრებით გამოყენებული იქნა კომპიუტერულ პროგრამირებაში, შედეგად ძალზედ პოპულარული გახდა ტერმინები შენატანი (*input),* შედეგი (*output),* სისტემის კონფიგურაცია. იგივე მიდგომას იყენებს ბიოლოგიაც და ინდივიდუალურ ორგანიზმებს განიხილავს, როგორც ცოცხალ სისტემებს, რომლებიც უფრო ფართო გარემოში ფუნქციონირებენ, რომლის შიდა სისტემები, თავის მხრივ, ფუქნციონირებენ, როგორც ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები. სოციალურ მეცნიერებებში ხშირად მიმდინარეობს დისკუსიები განიხილონ, თუ არა ორგანიზაციები, ან თავად საზოგადოება, როგორც სისტემა., და ბოლოს, იყო მცდელობა ყველა ამ გამოვლინებისათვის თავი მოეყარათ ერთად „ზოგად სისტემურ თეორიაში“ .

ზოგადი სისტემური თეორიის პიონერი იყო ლუდვიგ ფონ ბერტალანფი, რომელმაც აღნიშნა, რომ „ცნებები როგორიცაა ორგანიზაცია, მთლიანობა, პირდაპირობა, ტელეოლოგია და დიფერენციაცია“ არის „შეუცვლელი, როდესაც საქმე ეხება ცოცხალ ორგანიზმებს თუ სოციალურ ჯგუფებს“. ის ცდილობდა განევითარებინა ანალიზის ზოგადი მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ორგანიზაციული პროცესების კვლევისას.

სისტემური თეორია ზოგადად, არ გამოყოფს ისეთ ცნებებს, როგორიცაა კონფლიქტი ან კონფლიქტის მოგვარება. აქცენტი კეთდება უფრო იმაზე, თუ როგორ მუშაობს საგნები ერთად და არა ცალ-ცალკე. მიუხედავად ამისა, არსებობდა სისტემური თეორიის გარკვეული ფორმები, რომელიც აყალიბებდა სოციალური კონფლიქტის შესახებ გარკვეულ მოსაზრებას. ერთხელ უკვე ვახსენეთ ველის თეორია, რომელიც სისტემური თეორიის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. სისტემური აზროვნების სხვა ფორმები მოიცავს სოციოლოგიურ ფუნქციონალიზმს, ფორმალური ორგანიზაციების, როგორც სისტემების, კვლევას, და ოჯახური სისტემების თეორიას. თითოეული მათგანი გვთავაზობს კონფლიქტის კონცეპტუალიზაციის გარკვეულწილად განსხვავებულ შესაძლებლოებებს, მაგრამ მათ აერთიანებს მოსაზრება, რომ სისტემის ნაწილები შეიძლება ყოველთვის ჰარმონიულად არ თანაარსებობდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა მათგანს მოუწია გარკვეული ადგილი დაეთმო კონფლიქტისა და მისი გადაჭრის კვლევისათვის.

ის სოციოლოგი თეორეტიკოსები, რომლებიც ზოგადად ცნობილნი არიან, როგორც ფუნქციონალისტები (მაგალითად, ტელკოტ პარსონსი და რობერტ კ. მერტონი) განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ სოციალური სისტემის ნაწილებს შორის ურთიერთქმედებაზე . ემილ დურკჰაიმის (ფრანგული სოციალოგიის პიონერი) მსგავსად, ისინი სოციალურ ინსტიტუტებს განიხილავენ, როგორც ერთი დიდი მთლიანის ნაწილს, ყოველდღიურ სოციალურ პრაქტიკაში კი მუდმივად ვლინდება უფრო ფართო საზოგადოებრივ ჩარჩოში მათი ინტეგრაციის ნიშნები. მაგრამ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, არა მხოლოდ „ფუნქციონირების“ საკითხი, ნაწილები ერთად სრულ ჰარმონიაში მოქმედებენ, (ცალკეული ნაწილები როგორ ერგებიან

დიდ მთელს), არამედ განვიხილოთ„დისფუნქციაც“. აღნიშნული კი იძლევა სოციალური კონფლიქტის და მისი გადაჭრის ცნებების დამუშავების საშუალებას. ისინი დაახლოებით ისე განიხილება, როგორც ავადმყოფობა ბიოლოგიური ორგანიზმების კვლევისას, ანუ, როგორც სხვა მხრივ სტაბილურ სისტემაში გაჩენილი დარღვევები .

სისტემური მიდგომა გამოყენებულ იქნა ფორმალური ორგანიზაციების კვლევაშიც . ორგანიზაცია განიხილება, როგორც ერთობა ურთიერთდაკავშირებული ნაწილების ერთობლიობა, რომლებიც თავის მხრივ, ფუნქციონირებენ უფრო ფართო გარემოში ორგანიზაციის შენატანი და შედეგი იძლევა ინფორმაციას მისი ფუნქციონირების შესახებ). ორგანიზაციის შიგნით ყოველთვის არის კონფლიქტის მომენტები, რამდენადაც ნაწილები არასდროსაა იდეალურად გაერთიანებული. დაძაბულობის ეს მომენტები (როგორიცაა მაგალითად, ხელმძღვანელ რგოლებს შორის) შეიძლება გამოკვლეულ იქნას, როგორც სოციალური კონფლიქტის მოდელები. ორგანიზაციული თეორიის წარმომადგენელთა უმეტესობა კონფლიქტს ორგანიზაციის მეორად ასპექტად განიხილავს და არა მის პირველად მახასიათებლად.

სისტემური მიდგომა გამოყენებულ იქნა ადამიანური ურთიერთქმედების უფრო პირადული ფორმების მიმართაც, რისი მაგალითიც არის „ოჯახური სისტემების თეორია“. ოჯახური სისტემების თეორია ოჯახს განიხილავს ურთიერთქმედებათა სისტემად, რომელიც ემყარება ერთმანეთის ქცევასთან დაკავშირებულ ორმხრივ მოლოდინებს. ეს მოლოდინები კი, თავის მხრივ, წარსული ქცევებიდან გამომდინარეობს. ოჯახის წევრები მოელიან ერთმანეთისგან ქცევის ამ კონკრეტული მოდელების გაგრძელებას. აქ იგულისხმება როგორც ჯანსაღი, ისე არაჯანსაღი ურთიერთობები. ოჯახებში ადამიანების ქცევა განიხილება როგორც ინტერაქციის შედეგად ჩამოყალიბებული „ცირკულარული მიზეზებრიობა“და არა როგორც, ინდივიდუალური გამოცდილებების შედეგი. ბევრი ფსიქოანალიტიკოსი, რომელიც ოჯახურ თერაპიაზე მუშაობს, გამოყოფს ოჯახის სისტემურ მიდგომას, რაც გულისხმობს, რომ ისინი თვლიან, რომ მკურნალობენ რომელიმე პაციენტს ინდივიდუალურად, არამედ მთელს ოჯახს რა თქმა უნდა, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ, თუ რა იქცევა დაძაბულობის წყაროდ ოჯახური ურთიერთობების მოდელებში. ამგვარად, ოჯახური სისტემების თეორია გვთავაზობს ოჯახური კონფლიქტის გაგებისა და მის გადაჭრის გამორჩეულ გზას.

სოციალური გაცვლის თეორია

ჰომანსი

ადამ სმითის მიერ ეკონომიკაში შეტანილმა წვლილმა საფუძველი დაუდო „სოციალური გაცვლის“ თეორიას, რომელიც ცნობილი გახდა სოციოლოგებსა და სოციალურ ფსიქოლოგებს შორის. სოციალური გაცვლის თეორია, არსებითად, წარმოადგენს მცდელობას, საბაზრო ანალიზის ჩარჩო გამოყენებულ იქნას ისეთ მოვლენებთან მიმართებაში, როგორიცაა არაფორმალური ურთიერთქმედება და ჯგუფური თავისებურებების მოდელების წარმოშობა.

მართალია თანამედროვე სოციალური გაცვლის თეორიის გარკვეული ელემენტები არისტოტელედან და ადამ სმითიდან იღებს სათავეს, მაგრამ მისი პირველი ფორმულირება მოახდინა სოციოლოგმა ჯორჯ ჰომანსმა, თავის ესეში, 1958 წელს. აღნიშნულ ესსეში - „სოციალური ქცევა, როგორც გაცვლა“, ჰომანსი სოციალურ ურთიერთქმედებას განიხილავს,როგორც ზოგადად „საქონლის“ გაცვლას, ამავე დროს, საქონელში ის

გულისხმობს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ სოციალურ სარგებელს, რომელიც ადამიანებს მოაქვთ ერთმანეთისთვის. ურთიერთქმედებას ის აანალიზებს ჯილდოსა და საფასურის თვალსაზრისით, რომელსაც მასში ჩართული ინდივიდები იღებენ. ყოველი ადამიანი ცვლის თავის ქცევას, როდესაც სარგებელი (ანუ, გასამრჯელო საფასურთან მიმართებაში) ნაკლებია, ხოლო სარგებლის შემთხვევაში, ინარჩუნებს ჩვეულ ქცევას. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია გავაანალიზოთ, როგორ და რატომ ჩნდებიან ჯგუფები და რა მთავარი მოდელები შეიძლება ჩამოყალიბდეს მათ შორის ურთიერთქმედების შედეგად.

სხვა ავტორები

სოციალური გაცვლის თეორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი სახესხვაობა არსებობს. ზოგიერთი თეორეტიკოსი ხაზს უსვამს პირდაპირ კავშირს ბიჰეივიორისტულ ფსიქოლოგიასთან იმით, რომ ახდენენ სოციალური გასამრჯელოს და საფასურის ფორმულირებას. ჰომანსი, მაგალითად, სოციალური ურთიერთქმედების ძირითადი კანონების ჩამოყალიბების საფუძვლად იყენებსინდივიდუალურ ფსიქოლოგიას. სხვები, მაგალითად, პეტერ ბლაუ, აქცენტს აკეთებს უფრო სოციალურ ჩარჩოებზე, რომელიც ინდივიდის ქცევამდე არ დაიყვანება. სხვები სოციალური გაცვლის თეორიას განიხილავენ, არა იმდენად, როგორც სოციალური ქცევის ზოგად თეორიას, არამედ როგორც მიდგომას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანური ურთიერთქმედების გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში.

სამართლიანობის თეორია, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სოციალურ კონფლიქტთან, წარმოადგენს ერთ-ერთ საკითხს გაცვლის თეორიაში. . ჰომანსისთვის სამართლიანი გადანაწილების მოთხოვნილება, ანუ როგორ უნდა მიიღოს ყველამ დესერტიდან თავისი წილი, წარმოადგენდა ერთ-ერთ საკვანძო საკითხს ჯგუფური ინტერაქციის გასაგებად. სხვები აღნიშნულ საკითხს უფრო ფსიქოლოგიური კუთხით მიუდგნენ და შეეცადნენ, გაეგოთ, რატომ თვლიან ადამიანები გარკვეულ ღონისძიებებს სამართლიანად ან უსამართლოდ. ნებისმიერ შემთხვევაში, სწორედ იმ პირობებში, რომელშიც ადამიანები ვერ ახერხებენ მათი გაგებით სამართლიანი შედეგის მიღწევას, არის დიდი შანსი განვითარდეს სოციალური კონფლიქტი. კონფლიქტი მაშინაა განსაკუთრებით მძაფრი, როდესაც ადამიანები მათი აზრით იმყოფებიან უსამართლო სოციალურ ურთიერთობაში, რომლის შეწყვეტასაც ვერ ახერხებენ. ეს ანალოგია არ ვრცელდება ეკონომიკურ ბაზრებზე , ვინაიდან აქ ყოველთვის შესაძლებელია ბაზრიდან გასვლა. თუმცა, მეორე შეხედვით, სწორედ გამოსვლის თავისუფლების არქონაა ის (და ამგვარად „არასრულყოფილი კონკურენციის“ პირობების შექმნა), რაც ხანდახან ხელს უშლის ბაზარს, შეასრულოს თავისი ძირითადი როლი და ავტომატურად დაარეგულიროს ადამიანების პირადი ეკონომიკური ინტერესები.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში გაცვლის თეორიამ ბევრი ახალი მიმართულებით იმოძრავა და მნიშნელოვნად დაიხვეწა როგორც კვლევაში, ისე თეორიაში. თუ ადრეული ნაშრომების უმეტესობა ეხებოდა ორ ადამიანს შორის ურთიერთობას ამჟამად ის გამოიყენება ურთიერთობის ისეთ მოდელებთან მიმართებაში, რომელშიც ორზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. მისი გამოყენება იზრდება ისეთი საკითხების მიმართაც, როგორიცაა ძალაუფლებისა და გავლების სტრუქტურა და სოციალური კავშირების ანალიზი. მართალია კონფლიქტის და მისი დარეგულირების საკითხები ამ კვლევის ნაწილად იქცა, მაგრამ ის იშვიათად ექცევა ყურადღების ცენტრში.

სხვა სოციალური პროცესების თეორიები

ბულდინგი

კონფლიქტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თეორია მარტივად არ ჯდება ამ თავში გამოყენებულ კატეგორიებში, თუმცა ისინი მაინც სოციალური პროცესების მიდგომებად რჩება. აქ განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ კენეთ ბულდინგის ნაშრომი.

ბულდინგი იყო გამოჩენილი ეკონომისტი, ისევე როგორც ლიდერი კონფლიქტის კვლევაში. კონფლიქტის თემაზე მისი ნაშრომების უმეტესობა ეკონომიკურ მოდელებს ეფუძნებოდა. რეალურად, ისადამ სმიტის იდეების გამგრძელებელი იყო და და გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ კონფლიქტების, განსაკუთრებით ეკონომიკური კონფლიქტების, უმრავლესობა, ბაზრების მიერ რეგულირდება. ის ამბობდა, „რაც უფრო სრულყოფილია კონკურენცია, მით ნაკლები ეკონომიკური კონფლიქტი არსებობს“. ამ მოსაზრებამ ის მიიყვანა საინტერესო დაკვირვებამდე ეკონომიკურ კონფლიქტთან დაკავშირებით:

> *ჩვენ ვამჩნევთ, როდესაც ბაზარი იშლება, მაგრამ ვერ ვამჩნევთ, როდესაც ის წარმატებულად ფუნქციონირებს. ამდენად, ჩვენ თავად ინსტიტუტს მივაწერთ იმ სიმპტომებს, რომელიც არსებითად მის დაცემასთან არის დაკავშირებული“.*

ამას გარდა, ბულდინგი ეკონომიკიდან იღებს გარკვეულ იდეებს და იყენებს მათ სოციალური კონფლიქტის უფრო ზოგად პროცესებთან მიმართებაში. ამის მაგალითია, მისი ფირმის თეორიის მისადაგება ეროვნული თავდაცვის საკვანძო საკითხებთან. ტრანსპორტირების ხარჯებისა და ადგილმდებარეობის სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ფირმა მით უფრო მყარად მოიკიდებს ბაზარზე ფეხს, რაც უფრო ახლოს იქნება მუდმივი დისლოკაციის ადგილთან. ამდენად, შესაძლებელია ფირმის საბაზრო პოტენციალის, როგორც გავლენის გრადიენტის მოხაზვა. იგივე იდეის გამოყენება შეიძლება მსოფლიო პოლიტიკაში ერების გავლენისა და მათი თავდაცვითი უნარების მიმართ. „რაც უფრო ახლოს ხარ, მით უფრო ძლიერი ხარ“ აქ, როგორც ჩანს, ზოგადი წესია და ბულდინგის ეს იდეა (რომელსაც მან უწოდა სიცოცხლისუნარიანობის თეორია) გვეხმარება გავიგოთ კონფლიქტური პროცესების ფართო სპექტრი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეკონომიკა უპირველესაც განიხილავს, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, დადებით გაცვლას. . კონფლიქტი ხშირად მოიცავს უარყოფით გაცვლას - „ცუდი რამეების“ და არა „კარგი რამეების“ გაცვლას. აღიარებს რა ამ ფაქტორს, ბულდინგი ცდილობს ჩამოაყალიბოს გარკვეული ზოგადი ხედვა, თუ რა განსხვავებაა წახალისების ან წახალისების დაპირების გაცვლასა და დასჯის და ურთიერთდაზიანების მუქარის გაცვლას შორის. უარყოფით გაცვლებს, მაგალითად, ხშირად არ აქვთ წონასწორობის წერტილი (ისეთი, რომელიც ეკონომიკურ ბაზრებზე ფასს განსაზღვავს), ისევე როგორც პოზიტიურ გაცვლებს. ბულდინგი, ამას გარდა, იკვლევს საქონლის ან მომსახურების ცალმხრივ გადაცემას და ამ ცალმხრივი მოქმედებების კავშირს გაცვლის უფრო გავრცელებულ ფორმებთან.

პრუიტი და რუბინი

სოციალური კონფლიქტის საკითხებს შორის ბულდინგის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა წონასწორობისა და ესკალაციის მოდელები (რასაც ის უწოდებდა „კონფლიქტის სპირალს“). ამგვარი მოვლენების მკვლევარებს შორის, შეგვიძლია

დავასახელოთ ორი სოციალური ფსიქოლოგი, დინ პრუიტი და ჯეფრი რუბინი, რომელთაც ასევე გააჩნიათ ზოგადი ინტერესი სოციალური კონფლიქტის მიმართ. თავიანთ წიგნში *„სოციალური კონფლიქტი: ესკალაცია, ჩიხი და მოგვარება“*, პრუიტი და რუბინი ახდენენ ხუთი მთავარი სტრატეგიის იდენტიფიცირებას კონფლიქტთან დაკავშირებით: 1) ბრძოლა/ასპარეზობა, 2) დათმობა, 3) პრობლების გადაწყვეტა, 4) გამოსვლა და 5) ურთიერთქმედება. კონფლიქტის ესკალაცია, დიდი ალბათობით, ხდება მაშინ, როდესაც ორივე მხარე ურთიერთდაპირისპირების სტრატეგიას მიმართავს. ეს კი თავის, მხრივ, მაშინ ა ხდება, როცა თითოეული მხარე თავის თავს ძლიერად აღიქვამს, დიდი მოლოდინები აქვთ მომავალთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ აცნობიერებს საერთო ინტერესებს. მეორე მხრივ, მათ ესკალაციას შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ, თუ

- არის ესკალაციის შიში;
- პოტენციურ დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებობს კავშირები;
- არსებობს კავშირები სხვა მხარეებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონფლიქტს;
- კონფლიქტს ზღუდავს გარკვეული ნორმები და ინსტიტუტები; და
- არსებობს ძალთა ბალანსი.

კრისბერგი და კოლეგები

ესკალაციის შესახებ არსებულ კვლევებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი კონფლიქტი ვერასოდეს მოგვარდება. ისინი უბრალოდ არ მთავრდება. ასეთ კონფლიქტებს „გადაუჭრელი კონფლიქტები“ ეწოდება. ლუის კრისბერგმა და მისმა კოლეგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათ განსაზღვრაში. გადაუჭრელი კონფლიქტების ისტორიული მაგალითების კვლევისას, კრისბერგი მიუთითებს, რომ ელემენტები, რომელთა გამოც ერთი კონფლიქტი გადაუჭრელი ჩანს და მეორე კი უფრო ადვილად მოსაგვარებელი, წინასწარ ყოველთვის ნათელი არ არის. მაგალითად, ის აღწერს, როგორ რჩებოდა ბერლინის სტატუსი გადაუჭრელ კონფლიქტად ბევრი წლის მანძილზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; შემდეგ, მოულოდნელად, კონფლიქტი გაქრა საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გამო. მეორე მხრივ, პალესტინელების სტატუსი ისრაელში თავდაპირველად არ ჩანდა რთულ პრობლემად; მაგრამ წლების განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციამ ის აქცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გადაუჭრელ კონფლიქტად. კონფლიქტის მომავალ ინტენსიურობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა იმაზე მიანიშნებს, რომ ზოგჯერ მის გადასაწყვეტად ფაქტიურად არაფრის გაკეთება არ შეიძლება; თუმცა, ის იმაზეც მიანიშნებს, რომ ვერადროს ვიქნებით ბოლომდე დარწმუნებული, რომ მოცემულ მომენტში ერთი შეხედვით გადაუჭრელმა კონფლიქტმა რაიმე სახის გადაწყვეტისკენ არ გადაინაცვლოს (მაგალითისთვის, იხილეთ ახლო აღმოსავლეთში ამ ბოლო დროს განვითარებული დიპლომატიური მოვლენები).

კრისბერგის კოლეგამ ტერელ ნორსრაპმა, ჩამოაყალიბა ზოგადი თეორია კონფლიქტების გადაუჭრელობასთან დაკავშირებით. იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პიროვნული და სოციალური იდენტობების ჩამოყალიბებაზე, და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გადაუჭრელია, როგორც წესი, ის კონფლიქტები, სადაც წინააღმდეგობა მომდინარეობს მხარის (იქნება ეს პიროვნება თუ ჯგუფი) თვითმყოფადობის განცდიდან. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ინტერესების რაციონალური განხილვა, ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით, ხშირად ვერ კი წვდება, თუ რა დევს სასწორზე ყველაზე მძაფრ კონფლიქტში. უფრო მეტიც,

კონფლიქტის კომპლექსურობა და მისი შეხება იდენტობასთან , თითქმის შეუძლებელს ხდის მის გადაწყვეტას. მისი აზრით ეს ხდება გარკვეული ეტაპების გავლით, რომელიც შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ: 1) საფრთხის ძლიერი შეგრძნება, რომელიც ემუქრება ჯგუფის (ან პიროვნების) მთავარ ინტერესებს, 2) საფრთხის შეგრძნების გამო ერთმანეთის პოზიციების დარღვევა, 3) პოზიციების გამწვავება ისე, რომ ორივე მხარე თანხმდება კონფლიქტის ფიქსირებულ ცენტრალურ დასკვნაზე, 4) ფიქსირებული საპასუხო რეაქციების მოდელების ჩამოყალიებება, რომელიც კონფლიქტს განიხილავს, როგორც მთავარ და მიმდინარე ფაქტს. როგორც კი კონფლიქტი ამ ბოლო ეტაპს მიაღწევს, მხარეებისთვის უკვე ძალზედ რთულია ნებისმიერი სახის შეთანხმების მიღწევა. მხოლოდ იმის იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ მოხდება როგორმე კონფლიქტის მართვა, შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით. საბოლოოდ, კონფლიქტის გადაწყვეტა ეფუძნება საფრთხის შეგრძნების და ამ საფრთხისგან გამოწვეულ არასწორი აღქმების შემცირებას, ეს კი ხშირად მოითხოვს ერთი ან ორივე მხარის მიერ საკუთარი იდენტობის აღქმის ცვლილებას. როდესაც კონფლიქტები უკვე გადაუწყვეტელ ეტაპს მიაღწევს, რა თქმა უნდა ამის გაანალიზება უფრო ადვილია ვიდრე რეალობაში განხორციელება.

რეზუმე და დასკვნები

რეზიუმე

კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტის სოციალური პროცესების თვალთახედვიდან განხილვა არ ცდილობს, დააკნინოს კონფლიქტი ისეთ დონემდე, თითქოს ის ადამიანის შინაგანი ბუნებიდან ან საზოგადოების სტრუქტურიდან მომდინარეობს. კონფლიქტი უფრო არის პროცესი, რომელიც იმსახურებს ცალკე კვლევას, ხოლო კონფლიქტის გადაწყვეტა განიხილება პროცესის თვალსაზრისით.

სოციალური პროცესების თეორიების განხილვის საწყის წერტილად ადამ სმიტის ნაშრომი გამოვიყენეთ. სმიტი იყო, როგორც სოციალურად მგრძნობიარე ეთიკის ფილოსოფოსი, ისე თანამედროვე მსოფლიოს პირველი დიდი ეკონომისტი. ჩვენ სმითის მოღვაწეობის ორივე ამ მხარეს მივაქციეთ ყურადღება. მისი ნაშრომი მორალურ ფილოსოფიაში გვეხმარება, დავინახოთ, თუ როგორ შეიძლება, სოციალური ურთიერთობებიდან აღმოცენდეს ის პრინციპები, რომელთაც კონფლიქტის გადაწყვეტისას ვიყენებთ. მისი ნაშრომი ეკონომიკაში კი ასახავს, თუ როგორ შეიძლება ბაზრების ბუნებრივი ფუნქციონირება იქცეს ადამიანური კონფლიქტების გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

მეოცე საუკუნის თეორიების განხილვისას, განსაკუთრებით აღვნიშნეთ შემდეგი:

1. როგორ არის დაკავშირებული კონფლიქტის ცნება კონკურენციასთან (ისე როგორც ეს აღწერილია პარკის და ბურგესის, ან ზიმელის ნაშრომებში).
2. როგორ არის კონფლიქტური პროცესები გადახლართული სოციალური ინსტიტუტების დადებით ფუნქციონირებასთან (განსაკუთრებით ზიმელის და კოზერის ნაშრომებში).
3. როგორ აყალიბებენ ურთიერთქმედების სისტემები საფუძველს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ხდება კონფლიქტების გადაწყვეტა და როგორ მყარდება „შეთანხმებული წესრიგი“ (სიმბოლური ინტერაქციონისტების ნაშრომებში, განსკუთრებით, შტრაუსი).

4. როგორც შეიძლება კონფლიქტის და მისი გადაწყვეტის შესახებ ხედვა, რომელიც ძალთა ველების ან ურთიერთობების სისტემის პროდუქტს წარმოადგენს, დაგვეხმაროს კონფლიქტის დინამიკის გაგებასა და მისი მართვის მექანიზმის განვითარებაში (ველის თეორეტიკოსების ნაშრომებში, როგორიცაა ლევინი ან დოიჩი, ან სისტემების თეორიის სხვა ფორმულირებებსა და გამოყენებებში).
5. როგორ შეიძლება ეკონომიკური ბაზრების გაცვლის პრინციპები გავრცელდეს არაეკონომიკური გაცვლის სფეროზე, და შემოგვთავაზოს კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტის მოდელების განმარტება (სოციალური გაცვლის თეორიებში და ისეთი ავტორების ნაშრომებში, როგორიცაა ბულდინგი).
6. როგორ შეიძლება მოხდეს ესკალაცია და განვითარდეს ურთიერთქმედების მოდელები (ისე, როგორც ეს არის შეჯამებული პრუიტის და რუბინის, ან კრისბერგისა და მისი კოლეგების ნაშრომებში).

დასკვნები

მკითხველს ბევრი დასკვნის გაკეთება შეუძლია სოციალური პროცესების თეორიების მიმოხილვიდან. ავტორი კი, სოციალური კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტის შესახებ შემდეგ მთავარ დასკვნებს აკეთებს:

ა) ბევრი პოტენციური კონფლიქტი ავტომატურად გვარდება ეკონომიკური და სოციალური ბაზრების უპირობო ძალების ზემოქმედებით. ბაზარი კარგად წყვეტს ბევრ ინტერესთა კონფლიქტს, მათ შორის, ინტიმურ ურთიერთობებში, თუკი მიწოდებისა და მოთხოვნის კანონებს გავავრცელებთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სოციალური კომუნიკაცია, პიროვნული აღიარება და არაფორმალური გავლენა.

ბ) თუმცა, საბაზრო მექანიზმები არ მოქმედებენ ვაკუუმში. ისინი დაკავშირებულია სხვა სოციალურ მოდელებთან და მათ ზღუდავს, როგორც, სამართლიანობის საერთო წარმოდგენები, ისე მანამდე არსებული ძალისმიერი ურთიერთობები.

გ) სოციალურ ურთიერთობებში კონფლიქტი მჭირდოდ არის გადახლართული თანამშრომლობასთან, ხოლო კონფლიქტის პროდუქტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

დ) კონფლიქტის გადაწყვეტის მცდელობები, დიდი ალბათობით, უფრო მაშინ იქნება წარმატებული, თუ გაითვალისწინებს სიტუაციის სრულ დინამიკას. ეს მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე კონფლიქტის შესახებ არსებული საერთო წარმოდგენების უბრალო გამოყენება ან სხვა შემთხვევებში კონფლიქტის გადაწყვეტაზე დაკვირვებებია.

ე) ყველა კონფლიქტი ვერ გადაწყდება. ესკალაცია შეიძლება მოხდეს ბევრნაირ ურთიერთობაში, როცა საუკეთესო ვარიანტად კონფლიქტის მართვა (და არა გადაწყვეტა) რჩება.

ვ) და ბოლოს, მიუხედავად ამისა, ვეარასდროს ვიქნებით ბოლომდე დარწმუნებული, როდის არის გადაწყვეტა შეუძლებელი და როდის შეიძლება სიტუაცია შევაფასოთ, როგორც უბრალოდპერსპექტიული შესაძლებლობები. მაშინაც კი, როდესაც სიტუაცია თითქოს ორივე მხრიდან ჩიხშია, შესაძლებელია უფრო პროდუქტიული მიმართულებით მიმავალი გზის პოვნა, თუ ადამიანი გრძნობს ყველა სოციალურ პროცესს, რომელიც იმ კონკრეტულ სიტუაციაში ხდება.

სოციალური სტრუქტურული თეორიები

ჯეიმს შელენბერგი[3]

რევოლუციონერმა ბრიტანეთის მუზეუმი აღმოაჩინა

მარქსი ლონდონში ჩადის

კარლ მარქსი, ხელმოკლე ლტოლვილი, რომელიც კონტინენტზე მიმდინარე ბრძოლებს გაექცა, 1849 წლის აგვისტოში ჩავიდა ლონდონში. მისი მეუღლე და სამი შვილი მასთან შემდეგ თვეში ჩავიდნენ, ხოლო მეოთხე შვილი მალევე შეეძინათ. მარქსს შემოსავლისსტაბილური წყარო არ გააჩნდა, მაგრამ მას ეხმარებოდნენ ახლო მეგობრები, მათ შორის, ფრიდრიხ ენგელსი. ასე გადარჩა ის და მისი ოჯახი. მარქსის ოჯახი ლონდონში მუდმივად საცხოვრებლად დარჩენას არ აპირებდა; ლონდონი მას თავდაპირველად დროებითი საცხოვრებელი ეგონა, თუმცა, თავისი ცხოვრების დარჩენილი 33 წელი იქ გაატარა.

მარქსს სხვა რომელიმე ქალაქი ერჩივნა. მისი ფავორიტი იყო კოსმოპოლიტური ატმოსფეროთი გამორჩეული პარიზი ; ბრიუსელიც შესაფერისი ქალაქი გახლდათ, ხოლო კიოლნში ყოფნისას თითქმის სახლში გრძნობდა თავს, რადგან ეს ქალაქი დასავლეთ პრუსიაში, მისი დაბადების ადგილთან ახლოს მდებარეობდა. მაგრამ, მარქსს ამ ქალაქებში ხელგაშლილად აღარ ელოდნენ, ამიტომაც მან ინგლისში გაქცევა აირჩია.

საფრანგეთიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან მისი განდევნის მიზეზი მარქსის კარგად ცნობილი რევოლუციური კარიერა იყო. როდესაც 1843 წელს პრუსიის ხელისუფლებამ დახურა გერმანული გაზეთი, რომლის რედაქტორიც ის იყო, იგი სიამოვნებით გადასახლდა პარიზში, სადაც ახალი, ჟურნალისტური კარიერა დაიწყო. მაგრამ ორ წელიწადში ის საფრანგეთიდანაც გააძევეს. რადგანაც პრუსიაში მას პატიმრობა ელოდა, გადაწყვიტა ბრიუსელში, ბელგიაში, გადასულიყო საცხოვრებლად. სწორედ აქ დაწერეს მან და ენგელსმა ტრაქტატი რადიკალების მცირე ჯგუფისთვის (რომელთაც ოფიციალურად „სამართლიანობის ლიგა“ ეწოდებოდა, მაგრამ უფრო ცნობილი იყო „კომუნისტური ლიგის“ სახელით), რომელიც გამოიცა 1848 წელს, როგორც „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. 1848 წელი რევოლუციებისთვის დიდი წელი იყო; რევოლუციებმა ევროპის მასშტაბით ყველგან იფეთქა და თითქმის ყველგან მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან დისიდენტების შევიწროვება. მარქს ბელგიის დასატოვებლად ოფიციალურად მხოლოდ ოცდაოთხი საათი მისცეს. ის დაბრუნდა გერმანიაში, რათა დახმარება გაეწია რევოლუციური საქმიანობისათვის, მაგრამ მალე კრახი განიცადა. 1849 წელს ის კვლავ საფრანგეთში გაიქცა, თუმცა, მალევე კვლავ მოსთხოვეს საფრანგეთის დატოვება. სწორედ ამან აიძულა, გადაეკვეთა არხი და „დროებით“ინგლისში დაედო ბინა.

რამდენიმე თვის განმავლობაში მარქსი სერიოზულად ფიქრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაზე. მას აღაფრთოვანდება ამ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების დინამიკა. მისი ეს განზრახვა არასდროს განხორციელებულა, თუმცა იგი აგზავნიდა თავის სტატიებს ატლანტიკის ოკეანის გადაღმა ჰორაციო გრილის გაზეთისთვის „New York Tribune“ (1850-იან წლებში აქედან მცირე შემოსავალსაც იღებდა). მარქსის ოჯახი საცხოვრებლად ლონდონში დასახლდა.

3 Schellenberg, James A. “Social Structural Theories.” In Conflict Resolution, 79-102. New York, State University of New York Press, 1996.

მუზეუმი

მარქსისასთვის ლონდონის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა ბრიტანეთის მუზეუმი. 1850 წლის ივნისში მან შეიძინა მუზეუმის სამკითხველო დარბაზის რეგულარული ბილეთი. იგი ბევრ საათს ატარებდა იქ კითხვაში, იწერდა შენიშვნებს დედამიწის ზურგზე თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით. მას განსაკუთრებულად აინტერესებდა ისტორიის, ეკონომიკის და დიდი ბრიტანეთში იმჟამად არსებული სოციალური მდგომარეობის საკითხები.

ის აგრძელებდა რადიკალური პოლიტიკური მოძრაობების ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით, „მშრომელთა საერთაშორისო ასოციაციის“, რომლის დაფუძნებასა და შემდგომ რეორგანიზაციაში მიიღო მონაწილეობა. მართალია, ხანდახან ის აქა-იქ ხედავდა პოლიტიკური რევოლუციის წარმატების იმედს, მაგრამ თავისი ენერგია ძირითადად მიმართა რევოლუციაზე მისი ფუნდამენტური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილების გაგებით. ეს მოითხოვდა სერიოზულ კვლევა-ძიებას და არა ბარიკადებისადმი ემოციურ ლტოლვას. მუზეუმში და თავის სამუშაო კაბინეტში გატარებული ხანგძლივი დროის განმავლობაში მოპოვებულ მასალას ის ნელ-ნელა იყენებდა ისტორიასა და ეკონომიკაში მონუმენტური ნაშრომის შესაქმნელად. ამ საქმეს ის 1851 წელს შეუდგა. თავისი ფუნდამენტური ეკონომიკური ანალიზის დასრულებას ის რამდენიმე თვეში გეგმავდა. იმ დროს, ის მეგობარს სწერდა:

> *იმდენად შორს წავედი, რომ ხუთ კვირაში მთელ ამ ეკონომიკურ ნაგავს გავივლი. ამას რომ მოვრჩები, ჩემს ეკონომიკურ ნაშრომზე სახლში ვიმუშავებ, ხოლო მუზეუმში სხვა სამეცნიერო კვლევებში გადავეშვები.*

მისი ეს გათვლები რეალობისგან ძალიან შორს აღმოჩნდა. თავისი ეკონომიკური ანალიზები არც არასდროს დაუსრულებია, რამდენადაც ისინი გადაიზარდა მის უფრო დიდ პროექტში, სახელად *„კაპიტალი“* (ქვესათაურით *„პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა“*). ამ ნაშრომის დაგეგმილი ოთხი ტომიდან მხოლოდ პირველი ტომი გამოიცა მის სიკვდილამდე, 1883 წელს. მარქსის ხელნაწერებზე და ჩანაწერებზე მუშაობა მისმა მეგობარმა, ენგელსმა, გააგრძელა და მარქსის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა კიდეც კიდევ ორი ტომი. დაგეგმილი მეოთხე ტომი არც არასდროს დაწერილა.

კლასობრივი კონფლიქტის დინამიკა

კლასობრივი ბრძოლა

მარქსმა და ენგელსმა, თავიანთი შესავალი შენიშვნების შემდეგ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითადი ნაწილი გახსნეს შემდეგი განცხადებით, რომ „დღემდე არსებული საზოგადოებების ისტორია, არის ისტორია კლასობრივი ბრძოლის შესახებ.“ შემდეგ მოხდა ამ თემის გაშლა და ის ცენტრალურ ხაზად იქცა მარქსის ნაშრომებში. მარქსი თვლიდა, რომ კლასობრივი კონფლიქტი ისტორიული და სოციალური ცვლილების ცენტრალური ფაქტორია და ის არის გასაღები თანამედროვე საზოგადოების გასაგებად.

ისტორიის მანძილზე (ან თუნდაც, ადრეული მარტივი საზოგადოებების დროიდან მოყოლებული) კაცობრიობა დაყოფილი იყო კლასებად. მარქსის აზრით, ამ კლასობრივ დაყოფას ყოველთვის ეკონომიკური საფუძველი ჰქონდათ, რამდენადაც ცხოვრების

მატერიალურ პირობებსგადამწყვეტიმნიშვნელობა აქვს სოციალური ურთიერთობების გასაგებად. კერძოდ, მარქსი თვლიდა, რომ განსაკუთრებით ეს ეხებოდა საკუთრების ფლობას, რომელიც წარმოადგენს კლასების ერთმანეთისგან განმასხვავებელ საფუძველს. ზოგიერთი ადამიანი ქონების ფლობით იღებს შემოსავალს, მაშინ როდესაც სხვები საარსებოდ სხვების სასარგებლოდ შრომობენ. გასულ საუკუნეებში, როდესაც საზოგადოება უპირატესად სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, მიწა იყო მთავარი ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც სოციალური კლასები იქმნებოდა. ზოგი ადამიანი ფლობდა მიწის ნაკვეთებს, სხვებს კი მათთვის უნდა ემუშავათ; ამდენად, სახეზეა გაბატონებული მიწათმფლობელი არისტოკრატია (რომელსაც აერთიანებს მიწის საკუთრებაზე უფლებების შენარჩუნების ინტერესები) და დიდი, მაგრამ შედარებით უძალაუფლებო გლეხთა ჯგუფი. თანამედროვე სამყაროში, უკვე ბიზნესი და ინდუსტრიული საკუთრება იძენს მზარდ მნიშვნელობას. ამდენად, სახეზეა საქმიანი ადამიანების კლასი, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებისკენ მიისწრაფვის, ხოლო ინდუსტრიული მუშები ნელ-ნელა გლეხების ადგილს იკავებენ და ყალიბდებიან შრომის მთავარ წყაროდ. ამ ორი მზარდი ძირითადი კლასის დასახასიათებლად მარქსმა გამოიყენა ფრანგული ტერმინი ბურჟუაზია (საქმიანი ბიზნეს-კლასის დასახასიათებლად) და პროლეტარიატი (მუშათა კლასი). ქონების გარეშე, მუშები უმეტესწილად არიან სხვების მიერ განვითარებული და მართული ეკონომიკური სისტემის იმედად. ამასობაში, როგორც მარქსი ხედავდა, საქმიანი კლასი იწყებს გაბატონებას, მეტწილად მანამდე გაბატონებული მიწის საკუთრების მქონე არისტოკრატიის ხარჯზე, და ცდილობს თავისი უფლებებისა და პრივილეგიების დაცვასა და შენარჩუნებას.

მარქსი თვლიდა, რომ სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს ფუნდამენტურად განსხვავებული ეკონომიკური ინტერესები აქვთ, მაშინაც კი თუ ისინი ამას ბოლომდე ვერ აცნობიერებენ. მუშის ინტერესები ძალზედ განსხვავდება მმართველის ან მფლობელის ინტერესებისგან. მმართველები კი, რა თქმა უნდა, ცდილობენ, შეალამაზონ ეს განსხვავებები, რათა მუშათა კლასი მორჩილებაში ამყოფონ. მუშები ხშირად ვერც კი ხვდებიან, თუ რამდენად განსხვავდება მათი ინტერესები დამქირავებლის ინტერესებისგან; მათ შეიძლება ჰქონდეთ „არასწორი აღქმა “, რომ თითქოს ისინი თავიანთ პატრონებს ჰგვანან. მარქსის აზრით, მთავარი გასაღები იმის გასაგებად, თუ რა ხდება სინამდვილეში, არის არა მათი ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ ინდივიდების დამოკიდებულების განხილვა, არამედ საზოგადოებრივი ძალების უფრო ფართოდ დანახვა. ეს კი მოიცავს იმ გაგებას, რომ სოციალური კლასები ეყრდნობა ეკონომიკური ურთიერთობების ზოგად სტრუქტურას, ხოლო ეკონომიკური ურთიერთობები, თავის მხრივ, დაფუძნებულია მატერიალურ ძალებზე, რომლებიც ქმნის საქონელსა და მომსახურებას. აქ მარქსი შემდეგ მოსაზრებებს ავითარებს:

> *საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ, განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებს; სოციალურად წარმოებული ეს ურთიერთობები შეესაბამება წარმოების მატერიალური ძალაუფლების განსაზღვრულ საფეხურს.. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი განვითარების გასაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას.*

ამდენად, ეკონომიკური საფუძვლები განსაზღვრავს რას მოვიმოქმედებთ ან თუნდაც ვიფიქრებთ ჩვენ, როგორც ინდივიდები. მარქსი მიიჩნევდა, რომ საზოგადოების დანახვა ინდივიდუალური თვალსაზრისით არ არის მაინცდამაინც სასარგებლო; არამედ, ინდივიდები უნდა დავინახოთ უფრო ფართო სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. ეს აზრი საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული „კაპიტალის" შესავალში, სადაც ის ამბობს, რომ ამ წიგნში ყურადღება გამახვილებულია „ეკონომიკური კატეგორიების პერსონიფიკაციაზე, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ , განსაზღვრული კლასობრივი ურთიერთობებისა და ინტერესების განსახიერებას ." ის აგრძელებს

> *ჩემს თვალსაზრისს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური ფორმაციის განვითარებას ისე განიხილავს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, სხვა რომელიმე თვალსაზრისთან შედარებით უფრო ნაკლებად შეუძლია, ცალკეულ პიროვნებას დააკისროს პასუხისმგებლობა იმ ურთიერთობებისთვის, რომლის ქმნილებადაც იგი რჩება სოციალურად, რამდენად მაღლაც არ უნდა აიწიოს ამ ურთიერთობში.*

სისტემის შეცვლა

მარქსი მწვავედ უპირსპირდებოდა იდეალისტებს, მათ შორის იდეალისტ სოციალისტებს, რომელთაც სჯეროდათ, რომ მშვიდობისა და კეთილი ნების ქადაგებით შეგვიძლია შევცვალოთ საზოგადოების სტრუქტურა. იგი ამბობდა, რომ საზოგადოების სტრუქტურას განვითარების საკუთარი წესები აქვს. თუმცა, თუ ჩვენ ჩავწვდებით სოციალური განვითარების (და მათი ეკონომიკური ბაზისის) ამ ძალებს, შეიძლება გავიგოთ მათი მოძრაობის მიმართულება და ვცადოთ ტემპის დაჩქარებაც. მარქსის აზრით, ისტორიის ამ ეტაპზე, ეს ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ ინდუსტრიული საზოგადოების კაპიტალისტური სტრუქტურების არსებობა დიდხანს ვერ გსატანს. კაპიტალიზმის მთავარი მიღწევები მისსავე დაღუპვას გამოიწვევს, რეალურად ის, საკუთარი ხელი გაითხრის საფლავს. კაპიტალისტებს შორის არსებული კონკურენცია გამოიწვევს კაპიტალის დაგროვებას უფრო და უფრო მცირე რაოდენობის ადამიანთა ხელში. ამასთანავე, ინდუსტრიული საწარმოების ზრდა-გაფართოებასთან ერთად, მოხდება მუშების დიდი რაოდენობით კონცენტრირება უფრო და უფრო ნაკლებ ფაბრიკა-ქარხანაში. მცირე საწარმოებს ჩაყლაპავენ უფრო დიდი კონცერნები, ხოლო ამ მცირე საწარმოთა მფლობელები მუშათა კლასს შეუერთდებიან. ჭარბწარმოების პერიოდული კრიზისები წარმოშობენ ეკონომიკურ ქაოსის კიდევ უფრო ხანგძლივ პერიოდებს. რაღაც მომენტში, ყველა ეს ძალა შეერთდება, რათა ფუნდამენტურად შეცვალოს არსებული სისტემა. ცვლილება, რომელსაც მარქსი გარდაუვალად მიიჩნევდა, იყო სოციალიზმისკენ სწრაფვა, რომლის ფარგლებში წარმოების უმეტესი საშუალებები სოციალური მესაკუთრეობის და კონტროლის ქვეშაა. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვდა კაპიტალისტების დამარცხებას, როლებიც თავისი ნებით არ დათმობდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას. მარქსს საკმაოდ ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ პოლიტიკური რევოლუაცია ამ პროცესის ნაწილი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ თავის ნაშრომში, მარქსი იმდენად ადვოკატირებას არ უწევს სოციალიზმს ან პოლიტიკურ რევოლუციას, რამდენადაც განიხილავს მათ, როგორც ბუნებრივ პროცესს, რომელიც მომავალში განვითარდება. მაგრამ, მოდით ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი ამავე დროს თავდადებული რევოლუციონერი იყო. ის რევოლუციურად იყო განწყობილი დამყარებული იდეების მიმართ (განსაკუთრებით რელიგიური აზრის) ბევრად ადრე, ვიდრე ის სოციალისტად ან კომუნისტად მოგვევლინებოდა. ამას გარდა, ის პოლიტიკური რევოლუციონერი იყო

მანამ, სანამ ეკონომიკური ძალების სიღრმისეულ ანალიზს შეუდგებოდა. მას არასდროს დაუკარგავს იმედი, რომ დიდი პოლიტიკური გარდაქმნა ეს-ესაა მოხდებოდა, ხოლო რევოლუციური სოციალისტური პარტიები (ისეთები, რომელთა მართვასაც ის ცდილობდა) მალე წარმატებას მიაღწევდნენ და მოვიდოდნენ ხელისუფლებაში უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მარქსმა და ენგელსმა საკმაოდ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი პოზიცია რევოლუციის შესახებ. დოკუმენტი მათ ამ სიტყვებით დაასრულეს:

> *კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებით დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ, გარდა თავიანთი ბორკილებისა.*

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მოგვიანებით, მარქსი ბევრად უფრო ფრთხილი იყო თავისი რევოლუციური შეხედულებების გამოხატვისას, რამდენადაც უფრო და უფრო რწმუნებოდა, რომ პოლიტიკური რევოლუციები წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, როდესაც საამისო პირობები მომწიფდება. მაგრამ მას არასდროს დაუყრია ფარ-ხმალი. ის აგრძელებდა თავისი კოლეგების დამოძღვრას რევოლუციის სათუთი ხელოვნების შესახებ. შემდეგამონარიდში კარგად ჩანს, თუ რა სახის რჩევებს იძლეოდა იგი:

> უპირველეს ყოვლისა, არასდროს შეეთამაშო ამბოხს, თუ ბოლომდე არ ხარ მზად, დაუპირისპირდე შენს მიერ წამოწყებული თამაშით გამოწვეულ შედეგებს. ამბოხი ძალზედ გაურკვეველი ძალის მქონე გათვლაა, რომლის ფასი ყოველდღიურად შეიძლება შეიცვალოს; შენს მოწინააღმდეგე ძალებს აქვთ ყველა სახის - უპირატესობა - ორგანიზაციულობა, დისციპლინა და თანდაყოლილი ძალაუფლება; მათ წინააღმდეგ ძლიერი უპირატესობის მოპოვების გარეშე დამარცხდები და განადგურდები . მეორე, როგორც კი შეუდგები მეამბოხის კარიერას, იმოქმედე უდიდესი შეუპოვრობით და იყავი შემტევი. თავდაცვითი პოზიცია სასიკვდილო განაჩენია ყველა ამბოხებულისათვის; ის უკვე დამარცხებულია, სანამ თავის მეტოქეს დაეტოლება. გააოცე შენი მოწინააღმდეგეები მაშინ, როცა მათი ძალები დაქსაქსულია, მოამზადე ახალ-ახალი წარმატებები, თუნდაც პატარა, მაგრამ ყოველდღიურად; შეინარჩუნე ამაღლებული მორალური სულისკვეთება, რომელიც პირველი წარმატებული ამბოხიდან მიიღე; შემოიკრიბე გარშემო ის მერყევი ელემენტები, რომლებიც ყოველთვის ძლიერ იმპულსს დაჰყვებიან და უსაფრთხო მხარის ძიებაში არიან; აიძულე მტრებს უკანდახევა მანამ, სანამ ისინი შენს წინააღმდეგ ძალებს მოიკრებენ; რევოლუციური პოლიტიკის აქამდე ცნობილი ყველაზე დიდი ოსტატის დანტონის სიტყვებით რომ ვთქვათ - de l'audace de l'audace encore de l'audace.

მარქსის შემდეგ

ვებერი

რთულია ერთმანეთისგან განაცალკავო მარქსი, როგორც სოციალური ანალიტიკოსი და მარქსი, როგორც რევოლუციური სოციალისტი, რამდენადაც მასში ეს ელემენტები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. თუმცა, მის შემდეგ გამოჩენილი მკვლევარები შეეცადნენ თავიანთ თავიანთ საქმიანობაში სოციოლოგია და პოლიტიკური იდეოლოგია განეცალკავებინათ ერთმანეთისაგან. ეს ნამდვილად ასე მოხდა გამოჩენილი გერმანელი სოციოლოგის და ისტორიკოსისი მაქს ვებერის შემთხვევაში.

ვებერის მიერ წარმოდგენილ ეკონომიკური ძალებისა და დანარჩენი საზოგადოების ურთიერთობების ანალიზზე დიდი გავლენა მოახდინა. ვებერი აღიარებდა მარქსის ანალიზის ბევრ ასპექტს, მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად ემიჯნებოდა მის ბევრ მოსაზრებას. არსებობს ორი ძირითადი მომენტი, რომელშიც ვებერის ანალიზი, ფართო გაგებით, მიჰყვება მარქსისი ანალიზს. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობდა, რომ კლასობრივი კონფლიქტი თანამედროვე საზოგადოების ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილია. მეორის მიხედვით კი ეკონომიკური ძალები ხშირად პირველია, რაც სოციალურ ცვლილებას უკაფავს გზას. თუმცა, არც ერთ ამ მოსაზრებაში ვებერი ბოლომდეარ ეთანხმებოდა მარქსს; და კიდევ უფრო დიდი განსხვავებები არსებობდა სხვა შემთხვევებში.

პირველი, ვებერისთვის კლასობრივი კონფლიქტი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ის წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის მთლიანი სურათის მხოლოდ ნაწილს. იქ, სადაც მარქსი სოციალურ ფენებად დაყოფის ერთ ბაზისს ხედავდა (ეკონომიკური საკუთრება და ძალაუფლება), ვებერი გვთავაზობდა შემდეგ სამ ძირითად მოსაზრებას ბაზისის შესახებ:1) ეკონომიკური სიმდიდრე ან ძალაუფლება, რომელიც კლასობრივ საფუძველს ქმნიდა, 2) სოციალური რეპუტაცია და პრესტიჟი, რომელიც ქმნიდა საფუძველს საზოგადოებრივი ჯგუფების სტატუსისათვის და 3) პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც ქმნიდა საფუძველს პოლიტიკური პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფებისთვის. მხოლოდ პირველ სფეროში (ეკონომიკური კლასი) იკვეთებოდა ვებერის ანალიზის ძლიერი მსგავსება მარქსის ანალიზთან, და აქაც, ვებერი, მარქსზე მეტად, ხედავდა უბრალოდ საკუთრების ფლობის გარდა სხვა ასპექტების მნიშვნელობასაც, . თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი იყო ის წონა, რომელსაც ვებერი ანიჭებდა არაეკონომიკურ ფაქტორებს და ხაზს უსვამდა მათ პოტენციურ დამოუკიდებლობას ეკონომიკური კრიტერიუმებისგან. მართალია, გარკვეული კორელაცია არსებობს ეკონომიკურ ძალაუფლებას, სოციალური სტატუსსა და პოლიტიკური ძალაუფლებას შორის, მაგრამ არც ერთი მათგანი, ვებერის აზრით, არ არის მეორის საფუძველი. თითოეული მათგანი არის თანამედროვე საზოგადოებების ფენებად დაყოფის სისტემების მნიშვნელოვანი ასპექტი.

როგორც აღვნიშნეთ, ვებერი ეკონომიკურ ძალებს არ ანიჭებდა ისეთივე უპირატესობას, როგორც მარქსი. ვებერი ასევე, საწარმოო ძალებს არ მიიჩნევდა სოციალური ცვლილების ერთადერთ საფუძვლად. ვებერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საწარმოო და გაცვლის ძალებს და ამ ნაწილში იზიარებდა მარქსის ბევრ მოსაზრებას; მაგრამ ის, ასევე, თვლიდა, რომ იდეებმა, დამოუკიდებელი გავლენა მოახდინეს კაცობრიობის ისტორიაზე. მართლაც, ვებერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომი *„პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“,* როგორც წესი განიხილება, როგორც უარყოფა ისტორიის მარქსისეული ინტერპრეტაციისა. აქ ვებერი ცდილობს აჩვენოს, რომ გამოკვეთილად

რელიგიურ შეხედულებებს შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, დასავლური ისტორიის ერთ-ერთ ეტაპზე, თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძველის შექმნაში. აღნიშნული ხანდახან განიხილება მარქსის ანალიზის თავდაყირა დაყენებად (საზოგადოებრივი იდეები გავლენას ახდენენ მატერიალურ ძალებზე და არა ის, რომ მატერიალური ძალები ახდენენ იდეების ფორმირებას), თუმცა, ვებერის ეს პოზიცია ძალზედ გამარტივებულია . ვებერს სურდა წარმოეჩინა, , რომ რამდენიმე მთავარი სოციალური ინსტიტუტი,მათ შორის ეკონომიკური ინსტიტუტები, კომპლექსურად იყვნენ ურთიერთდაკავშირებული სოციალური ცვლილებისთვის ჩარჩოს ჩამოყალიბების პროცესში.

ვებერს, ისევე როგორც მარქსს, სჯეროდა, რომ სოციალური ცვლილებების უმეტესობა სოციალური კონფლიქტიდან აღმოცენდა. თუმცა, მარქსისგან განსხვავებით, ის ხაზს უსვამდა იმ ფაქტორს, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას იფუნქციონიროს მის საფუძველში ჩადებული მწვავე კონფლიქტების მიუხედავად . ვებერი თვლიდა, რომ ძალაუფლება საზოგადოებაში იშვიათად მომდინარეობს ძალადობიდან. მის ლეგიტიმაციას ახდენს სხვადასხვა პროცესები. ვებერი გამოყოფდა სამი სახის ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ესენია 1) კანონიერი ხელისუფლება; 2) ტრადიციული ხელისუფლება, 3) ქარიზმატული ხელისუფლება. კანონიერი ხელისუფლება ეფუძნება ფორმალურ ნორმებს და ჩამოყალიბებულ შესაბამის სამსახურებს, რომლებიც ამ ნორმებსა თუ წესებს ცხოვრებაში ატარებენ. კანონიერი ხელისუფლების კარგ მაგალითს წარმოადგენს ბიუროკრატი. ტრადიციული ხელისუფლება ეფუძნება ტრადიციების გამოყენებასა და წარსულიდან მომდინარე იდეებს. რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი არის ტრადიციულ ხელისუფლებაზე დამოკიდებული როლის მაგალითი. ქარიზმატული ხელისუფლება კი ეფუძნება ლიდერის პიროვნულ მიმზიდველობას. ამის მაგალითებად გამოდგება სატელევიზიო ქადაგების წამყვანი, კინომსახიობი, ან პოლიტიკური ლიდერი. ვებერის აზრით, ძალაუფლება საზოგადოებაში ხელისუფლებიდან მოდის; ხოლო ხელისუფლებას, თავის მხრივ, საზოგადოება ქმნის, ის იღებს და პატივს ცემს მათ. მიღებასა და პატივისცემაში ბევრი ფაქტორია ჩართული, მათ შორის, კანონიერი რაციონალურობა, ტრადიციების გავლენა და გარკვეული ლიდერების ემოციური მიმზიდველობა.

დარენდორფი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის წამყვანი სოციოლოგი, რომელიც მარქსის კვალს გაჰყვა, იყო რალფ დარენდორფი. დარენდორფი, მარქსის მსგავსად, გერმანელი იყო, რომელმაც საცხოვრებელ ადგილად ინგლისი აირჩია, რათა იქ უფრო სრულყოფილად წარემართა სოციალური მეცნიერებების კვლევა. დარენდორფს, მართლაც, ხშირად უწოდებენ „ნეო-მარქსისტს“, მაგრამ არა მარქსის პოლიტიკასთან მსგავსების გამო. დარენდორფი აქტიურად იყო პოლიტიკაში ჩართული, მაგრამ უფრო როგორც რეფორმატორი, რომელიც ემხრობოდა პრინციპებს, რომელთაც მარქსი „ბურჟუაზიულ კაპიტალიზმს“ უწოდებდა. დარენდორფი არ არის სოციალისტი და მას აღაშფოთებს ძალადობრივი რევოლუციის მოწოდებაზე ფიქრიც კი. მაგრამ, როგორც სოციალური მეცნიერების წარმომადგენელი, იგი ვალშია მარქსის წინაშე. იგი მარქსს მიიჩნევდა „სოციალური ცვლილების უდიდეს თეორეტიკოსად“, რამდენადაც, დარენდორფის აზრით, მარქსმა სხვებზე მეტად გამოააშკარავა კონფლიქტის მნიშვნელობა საზოგადოების ფორმირების პროცესში. მარქსმა, ასევე, დიდი როლი შეასრულა იმაშიც, რომ საზოგადოება უფრო სტრუქტურული კუთხით დაგვენახა, ვიდრე, უბრალოდ ინდივიდების ქმედებების პროდუქტია. ეს კი, დარენდორფის აზრით, იყო თანამედროვე სოციოლოგიაში შეტანილი უდიდესი წვლილი.სოციალური ცვლილება დარენდროფისა და მარქსისათვის

აღმოცენდება სოციალური სტრუქტურიდან. საზოგადოების სტრუქტურული წყობა გავლენას ახდენსკონფლიქტებზე, ხოლო კონფლიქტი, თავის მხრივ, არის სოციალური ცვლილების მთავარი მამოძრავებელი ძალა. დარენდორფი, მარქსის მსგავსად, სოციალურ კლასებს განიხილავდა სტრუქტურული კონფლიქტის მთავარ ბაზისად; თუმცა, მარქსისგან განსხვავებით, სტრუქტურულ კონფლიქტს იგი უფრო ზოგადი თვალსაზრისით უყურებდა. საზოგადოებისნებისმიერი არა მხოლოდ ეკონომიკური ბაზისის მქონე ჯგუფი შეიძლება გახდეს სოციალური კონფლიქტის საფუძველი, ;დარენდორფი, კონფლიქტის პოტენციალს ასევე, ხედავდა ნებისმიერ ჯგუფში. ყოველთვის არსებობს განსხვავებები ჯგუფებს შორის ან თავად ჯგუფის შიგნით კონფლიქტების გამომწვევ ძალებს შორის. ამ ძალებს შორის განსხვავებები სტრუქტურულად არის განპირობებულია; ეს ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოებრივი მოწყობის პროდუქტს წარმოადგენენ. დარენდორფის აზრით, ეკონომიკურმა მოსაზრებებმა შესაძლოა მნიშნელოვანი გავლენა მოახდინოს, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორს ძალაუფლება წარმოადგენს და არა სიმდიდრე და ქონება. მისთვის, კონფლიქტი საზოგადოებაში დაკავშირებული იყო უფრო პოლიტიკურ, ვიდრე ეკონომიკურ ძალებთან.

თავის ახსნა-განმარტებას, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღმოცენდებიან საზოგადოების სტრუქტურიდან კონფლიქტური ჯგუფები, დარენდორფი იმ მოსაზრებით იწყებს, რომ სოციალური ორგანიზაციის ნებისმიერ ფორმაში იქნება ძალაუფლების განმასხვავებელი ფაქტორები. ამ განსხვავებების შედეგად ხდება დაჯგუფება გაბატონებულ და მმართველ და მართულ ქვეჯგუფებად. . ასეთ ქვეჯგუფებს ყოველთვის განსხვავებული ინტერესები აქვთ, თუმცა, შეიძლება ყოველთვის ვერ გააცნობიერონ, რომ მათ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები გააჩნიათ . ამ შემთხვევებში, დარენდორფი მათ უწოდებს „კვაზი ჯგუფებს“, იმ გაგებით, რომ მათ გაცხადებული არ აქვთ საერთო და განსხვავებული ინტერესები. თუმცა, როდესაც კონფლიქტური ინტერესები ყურადღების ცენტრში ექცევა, ასეთი კვაზი ჯგუფები გარდაიქმნებიან ინტერესთა ჯგუფებად და უკვე გაცნობიერებულად აყალიბებენ ორგანიზაციებს თავიანთი ინტერსების გასატარებლად.

დარენდორფი განიხილავს სოციალური კონფლიქტის ბევრ განსხვავებულ ფორმას, რომლებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ორგანიზაციაა მასში ჩართული. მან შემდეგნაირად მოახდინა იმ სოციალური ერთეულების კლასიფიკაცია , რომელთა შორისაც მიმდინარეობს ზემდგომი-ქვეშევრდომის კონფლიქტი, - 1) როლები, 2) ჯგუფები, 3) საზოგადოების სექტორები, 4) საზოგადოებები, და 5) ზესაზოგადოებრივი ურთიერთობები. ამათგან შუა სამ სახეობას ახასიათებს ის, რასაც დარენდორფი კლასობრივ კონფლიქტს უწოდებს. დარენდორფმა თავისი გამორჩეული სოციოლოგიური წვლილი შეიტანა ამგვარი კონფლიქტების და მათ შესახებ თეორიული განზოგადების განვითარების კვლევაში. თავის შრომას ის აჯამებს წიგნში *„კლასი და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში“*.

დარენდორფს (მარქსისგან განსხვავებით) სჯეროდა, რომ ზოგიერთი კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია, მაგრამ კლასობრივი კონფლიქტები არასდროს გადაიჭრება. კლასობრივი კონფლიქტების მხოლოდ დარეგულირებაა შესაძლებელი და არა გადაწყვეტა, რადგან კონფლიქტის სტრუქტურული საფუძველი არასდროს ქრება. პირობები, რომელთა შემთხვევაშიც კლასობრივი კონფლიქტების უფრო ეფექტიანად დარეგულირებაა შესაძლებელი, დგება მაშინ, როდესაც მასში ჩართული მხარეები აცნობიერებენ კონფლიქტის ბუნებას, არიან სისტემურად ორგანიზებულნი, და აღიარებენ გარკვეულ წესებს, თუ როგორ წარმართონ თავიანთი ურთიერთსაპირისპირო ინტერესები. კონფლიქტის ამგვარი

დარეგულირების მაგალითების პოვნა შესაძლებელია დასავლეთის ქვეყნებში არსებულ მუშახელსა და მმართველს შორის არსებული ურთიერთობების ფორმებში.

დარენდორფისთვის ილუზიას წარმოადგენს იმის ფიქრი, რომ კლასობრივი კონფლიქტის გადაწყვეტა გარკვეული სახის ძალადობრივი ბრძოლით არის შესაძლებელი. ამგვარი ბრძოლების შედეგად შესაძლებელია, მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფთა დროებით შეცვლა, ხოლო სხვა მხრივ ეს, არათუ გადაწყვეტს, არამედ, პირიქით, გაამწვავებს და უფრო რთულად სამართავს გახდის მას.

კრიტიკული თეორია

მეოცე საუკუნის კიდევ ერთი მეცნიერი, რომელზეც მარქსმა ღრმა კვალი დატოვა, იყო მაქს ჰორკჰაიმერი. ჰორკჰაიმერმა, თავის კოლეგებთან ჰერბერტ მარკუზესა და თეოდორ ადორნოსთან ერთად, განავითარა მიდგომა, რომელიც „კრიტიკული თეორიის“ სახელით გახდა ცნობილი. ის კრიტიკული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ცდილობდნენ გაევრცელებინათ საზოგადოების თვითშემეცნების შესახებ მოსაზრება , მიუხედავად იმისა, რომ თვლიდნენ, რომ ძირითადი სოციალური ფორმები ობექტურად იყო განპირობებული. რადგანაც ჰორკჰაიმერი და მისი კოლეგებიფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტს წარმოადგენდნენ, ამ ჯგუფს ხანდახან „ფრანკფურტის სკოლასაც“ უწოდებენ.

კრიტიკული თეორია ისტორიის მარქსისტული თეორიით დაიწყო. ამ თეორეტიკოსების თვალთახედვით, ისტორიულ პროცესს აშკარად მატერიალისტური ბაზისი აქვს. ისინი, ისევე როგორც მარქსი, გამოყოფდნენ საზოგადოების კლასობრივ საფუძველს, თუმცა, რევოლუციურ დღის წესრიგთან იმდენად არ იყვნენ დაკავშირებული რამდენადაც მარქსი. კრიტიკული თეორეტიკოსები არ წარმოადგენდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით შეკავშირებულ მოძრაობას. რაც მათ აერთიანებდა, იყო ის, რომ 1) ისინი თანხმდებოდნენ არსებითად ისტორიის მარქსისტულ თეორიაზე, 2) ცდილობდნენ წარმოადგინათ ინტერდისციპლინარული ხიდი სოციალურ ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებს შორის, და 3) აწუხებდათ კაპიტალიზმის კულტურული გავლენები.

ეს ბოლო მოსაზრება მოითხოვს შემდგომ განმარტებას. კრიტიკული თეორეტიკოსებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა მარქსის არა იმდენად *„კაპიტალი“,* რამდენადაც მისი უფრო ადრეული ნაშრომები, რომლებშიც მარქსი განიხილავს თანამედროვე ადამიანის გაუცხოებას. ასეთი თემების განვითარებისას, კრიტიკული თეორეტიკოსები ხედავდნენ, რომ თანამედროვე კულტურა, განსაკუთრებით განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების ძირეულ მოთხოვნებთან. მასობრივი კულტურის კრიტიკა კრიტიკული თეორეტიკოსების განსაკუთრებით საყვარელი საკითხია, რამდენადაც ისინი თვლიან, რომ პოპულარული კულტურა და მასობრივი მედია ზოგადად უპირისპირდება ჩვენს ყველაზე ფუნდამენტურ და ადამიანურ ინტერესებს.

სხვა მარქსისტები

მართალია ვებერი, დარენდორფი და ჰორკჰაიმერი მარქსის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ, მათგან არც ერთი არ იყო მარქსისტული იდეების უბრალოდ მიმდევარი. მისი თავდაპირველი იდეებისადმი ერთგულებით მარქსის სხვა მკვლევარები უფრო გამოირჩეოდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან ფილოსოფოსები და სოციალოგები, რომლებიც ამ იდეოლოგიას

წარმოადგენდნენ სოციალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, ჩინეთში ან ყოფილ საბჭოთა კავშირში. თუმცა, ისინი მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც გხვდება, ლათინური ამერიკისა და სხვა განვითარებად ქვეყნებში, ასევე, დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტში. საზოგადოების მარქსისეული მატერიალისტური კონცეფცია, მისი კლასობრივი ბრძოლის ხედვა, და რევოლუციური გზით სოციალური ცვლილების მიღწევის იდეის მხარდაჭერა - დღემდე ძალზედ ცოცხალ თემებად რჩება .

მიუხედავად ამისა, მარქსის გავლენა ზოგჯერ გაცილებით ნაკლები იყო მათზე, ვინც თავიანთ თავს მარქსის იდეოლოგიურ მემკვიდრეებად თვლიდნენ, ვიდრე საზოგადოების სხვა მკველვარებზე, რომლებიც მარქსიზმს უარყოფენ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სოციოლოგები მარქსის იდეოლოგიას უმეტესად უარყოფენ, მაინც ფართოდ იზიარებენ მარქსის ორ მთავარ მოსაზრებას. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სოციალური ცვლილება ხდება მნიშვნელოვანწილად სოციალური კონფლიქტის გზით. მეორის მიხედვით კი,სოციალური კონფლიქტი საზოგადოების სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია.

სოციოლოგების უმრავლესობა დღეს უკვე თანხმდება, რომ საზოგადოების სტრუქტურები იქმნება, არა ჩვენი სურვილების მიხედვით, არამედ ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების ობიექტური პირობების შედეგად. მარქსმა შეცდომების მიუხედავად, გააღრმავა ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს მატერიალური პირობები კონფლიქტს საზოგადოების მთავარ სეგმენტებს, განსაკუთრებით, სოციალურ კლასებს შორის.

მარქსამდე

პლატონი

ადამიანური კონფლიქტის სოციალურ სტრუქტურული თვალთახედვა დასავლურ აზროვნებაში არ აღმოცენებულა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში. იდეებს კონფლიქტის სტრუქტურული საფუძვლის შესახებ ხანგძლივი ისტორია აქვს, თუმცა, ისინი გამოხატული იყო უფრო რელიგიური თუ ფილოსოფიური, ვიდრე თანამედროვე სოციოლოგიის თვალსაზრისით. მაგალითების პოვნა შეიძლება პლატონთან, ანტიკური საბერძნეთის დიდ ფილოსოფოსთან, რომელიც ამაზე თითქმის ოცდაოთხი საუკუნის წინ წერდა.

პლატონის აზრით, ადამიანი სამი მთავარი ელემენტისგან შედგება: 1) შეგრძნებები ან ვნებები, 2) სული ან ნება, 3) ცოდნა ან გონება. მართალია თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, მაგრამ პიროვნულ ინტეგრაციაში მთავარი როლი ცოდნას ან გონებას ენიჭება. მსგავსად ამისა, საზოგადოება შედგება სამი მთავარი ჯგუფისგან: ა) ისინი, ვინც თავს უძღვნიან გრძნობით და ხორციელ სიამოვნებას; ბ) ისინი, ვინც პატივისა და პრესტიჟისთვის ცხოვრობენ, და ც) ისინი, ვინც ძირითადად მიჰყვება გონსა და ჭეშმარიტებას.

პრატონი არ თვლიდა, რომ განსხვავება საზოგადოებრივ კლასებს შორის თავიდანვე არსებობდა, არამედ ფიქრობდა, რომ ის განვითარდა შრომის მზარდი დანაწილების შედეგად . პლატონის თვლის, რომ მართალია, საზოგადოების ძირითადი ჯგუფები ეფუძნება ადამიანური ბუნების ძირეულ განსხვავებებს, მაგრამ, საზოგადოებისთვის, აგრეთვე, საჭირო იყო გარკვეული ხარისხის კომპლექსურობის განვითარება რათა ეს დაყოფები წარმოჩენილიყო ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა 1) გლეხები და ხელოსნები, რომლებიც უმთავრესად დაკავებული არიან ფიზიკური შრომით და აყოლილია გულისთქმას, 2)

ჯარისკაცები და სამხედრო ოფიცრები, რომლებიც პატივისა და პრესტიჟისკენ მიისწრაფიან; და 3) ინტელექტუალები, რომლებიც ისწრაფიან გონიერებისა და ჭეშმარიტებისაკენ.

პლატონს სჯეროდა, რომ დაძაბულობები ბუნებრივად ყალიბდება საზოგადოების შიგნით, ამიტომ ზოგიერთი კონფლიქტი გარდაუვალია. თუმცა, ის გრძნობდა, რომ ნაწილების სათანადოდ დაბალანსებით შესაძლებელი იყო ამ სოციალური კონფლიქტების მინიმუმამდე დაყვანა. საზოგადოების ყოველმა სეგმენტმა უნდა იცოდეს თავისი როლსი და მათი მართვა ისე უნდა მოხდეს, რომ ყველა სეგმენტმა ერთად ჰარმონიაში იმუშაოს. მხოლოდ ჭეშმარიტ ხელმძღვანელს შეუძლია უზრუნველყოს ასეთი წონასწორობა, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს უმაღლესი მახასიათებლების მქონე პირების გამოვლენა და მათი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის გამოწვრთნა.

პლატონი თვლიდა, რომ ჩვენთვის, როგორც ინდივიდებისთვის ან როგორც საზოგადოების წევრებისთვის, საბოლოო რეალობა არ მდგომარეობს იმაში, რომ შეგრძნებებით ან ფიზიკური მახასიათებლებით თავს აღვიქვამთ ადამიანებად. საბოლოო რეალობა არის ადამიანის გონების ნაყოფი და მისი ამოცნობა მხოლოდ გაწვრთნილ გონებას შეუძლია. ეს კი ნიშნავს, რომ გონი და ჭეშმარიტების ძიება უნდა იყოს განათლების მთავარი მიზანი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ისწრაფვის, გაუძღვეს საზოგადოებას, რათა მისი უმაღლესი პოტენციალის რეალიზებაში დაეხმაროს მას. ამგვარი ჭეშმარიტება კი, ჩანს არა სუფთად მიწიერ ან ფიზიკურ მატერიებში, არამედ აბსტრაქტული იდეების სამყაროში. ამ სახის მსჯელობაში ის აზრი იკითხება, რომ ფილოსოფოსები უნდა გამოვწვრთნათ უმაღლესი პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობების დასაკავებლად. ეს აზრი განსაკუთრებით ძლიერად არის გამოხატული პლატონის მტკიცებაში, , რომ საზოგადოებებს ყოველთვის დაატყდება თავს კონფლიქტი და ცუდი მმართველობა, სანამ ფილოსოფოსი არ გახდება მეფე ან მეფე ფილოსოფოსი. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ერთ ადამიანში გაერთიანდეს პოლიტიკური სიდიადე და სიბრძნე, რაც ბრძენი პოლიტიკური ლიდერისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

პლატონი თავის *„რესპუბლიკაში“* აღწერს თუ რა სახის განათლებაა საჭირო , ასეთი „ფილოსოფოსი მეფის“ შესაქმნელად. ეს გახლავთ ძალზედ მკაცრი ინსტრუქციების რეჟიმი გონებისა და სხეულისათვის. ერთ-ერთი თვისება, რომელიც საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს, არის კერძო საკუთრებაზე უარის თქმა მათი მხრიდან, ვინც საზოგადოების მფარველი უნდა გახდეს. მათ უნდა აღელვებდეს მთლიანად საზოგადოება, და არა ვიწრო პირადული ინტერსები. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მმართველი ჯგუფები კომუნიზმის რომელიმე ფორმას აითვისებდნენ. ამდენად, ზოგადი ფილოსოფიის საპირისპირო პოზიციიდან (უფრო იდეალიზმი, ვიდრე მატერიალიზმი) კერძო საკუთრების საკითხთან დაკავშირებით პლატონი მივიდა მარქსის მსგავს დასკვნებამდე,: საზოგადოების საჭიროებები და მოთხოვნილებები საუკეთესოდ მაშინ რეალიზდება, თუ გაუქმდება კერძო საკუთრება, როგორც მინიმუმ პოლიტიკური მმართველობის სათავეში მყოფთათვის. პლატონის აზრით, არსებობს ისეთი ინდივიდების ზოგადი საჭიროება, რომლებიც ძალზედ გათვითცნიბიერებული იქნებიან ფილოსოფიურ საკითხებში და მხედველობაში მიიღებენ სრულიად საზოგადოების ინტერესებს. ამას კი ისინი ვერ განახორციელებენ, თუკი მართული იქნებიან თავიანთი კერძო ინტერესებით. იგი ერთმანეთს ადარებს პოლიტიკური ლიდერისა და ექიმის როლებს. ის აღნიშნავს, რომ „ექიმი, განარგულებას იძლევა არა საკუთარი თავის, არამედ ავადმყოფისსასარგებლოდ“. ის არის „სხეულთა მმართველი და არა ფულის მკეთებელი“. მსგავსად ამისა, მთლიანი საზოგადოების საჭიროებებისადმი მგრძნობელობით

და სოციალური წესრიგისათვის საჭირო ძირეული იდეალური ფორმების გაგებით, ბრძენ მმართველებს შეუძლიათ მთელს საზოგადოებას მოუტანონ სარგებელი. მმართველობა ისე უნდა განხორციელდეს, რომ ყველა ჯგუფი თავის სფეროში იყოს დასაქმებული, რითაც ის საერთო კეთილდღეობაში შეიტანს წვლილს. ასეთი გახლდათ პლატონის რეცეპტი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გადალახოს საზოგადოებამ ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც განსხვავებულ ჯგუფებს გააჩნიათ.

ამერიკის დამფუძნებლები მამები

პლატონის სოციალური ფილოსოფია კომპლექსური სირთულეების მიუხედავად შეიცავდა ძლიერ სოციალურ სტრუქტურულ კომპონენტს. ამერიკელების უმრავლესობა ვერ აცნობიერებს რამდენად იყვნენ აშშ-ს კონსტიტუციის შემქმნელები მოტივირებულნი სტრუქტურული მოსაზრებებით. პლატონის მსგავსად, მათაც სჯეროდათ სამყაროს ზნეობრივი წესრიგისა, და იმის, რომ საზოგადოების ზოგიერთი ნიშან-თვისება, დამოუკიდებლობის დეკლარაციას რომ დავესესხოთ, „ბუნების და ბუნების ღმერთის“ ძალით იყო მოცემული. მაგრამ, მათ ასევე სჯეროდათ, რომ შესაფერისი პოლიტიკური წესრიგის განსაზღვრის პროცესში გონივრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ადამიანური საზოგადოების კომპლექსურობაც. . მსგავსი აზრებია წარმოდგენილი იმ წერილებში, რომელიც გავრცელდა *„ფედერალისტური წერილების“* სახელწოდებით. ისინი კონსტიტუციის რატიფიკაციას უწევდა პოპულარიზაციას. ზემოთქმული მოსაზრება ყველაზე ნათლადაა გამოხატული წერილში N10, რომელიც ჯეიმს მედისონს ეკუთვნის და 1787 წელს დაიწერა.

მედისონი ხედავდა, რომ პოლიტიკური დაჯგუფებები განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემას უქმნიდნენ მმართველობის დემოკრატიულ ან რესპუბლიკურ ფორმებს (დამფუძნებელი მამები უფრო იხრებოდნენ იარლიყისკენ „რესპუბლიკური“, რადგან „დემოკრატია“ ასოცირებული იყო ბრბოს მმართველობასთან). მედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა წარმატებულმა პოლიტიკურმა ფორმამ უნდა „დაამსხვრიოს და გააკონტროლოს დაჯგუფებების ძალადობა“. ის აგრძელებს:

> *დაჯგუფებად მივიჩნევ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას (სულ ერთია, იგი მთელის უმრავლესობას შეადგენს თუ უმცირესობას), რომელთაც ერთად მოქმედების მხურვალე ინტერესი თუ მისწრაფება აერთიანებს და რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი სხვა მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოების საერთო ინტერესებისადმი.*

მმართველობის პოპულარულ ფორმებს განსაკუთრებული მიდრეკილება გააჩნიათ დაჯგუფებებად დაყოფისაკენ. მედისონი ამბობს:

> *სახელმწიფო წარმომადგენლობით ორგანოებში დამკვირდებული არასტაბილურობა, უსამართლობა და არეულობა, , მართლაცდა ის სნეულებაა, რომელიც ყოველთვის ღუპავდა და ახლაც ღუპავს პოპულარულ მმართველობებს. სწორედ ამ ნოყიერი თემიდან მომდინარეობს თავისუფლების მტერთა მჭევრმეტყველების ყველაზე ძვირფასი ნიმუშები.*

მართალია მსგავს დაჯგუფებებს (ან „ინტერესთა ჯგუფებს“, როგორც ახლა მათ ვუწოდებთ) ბევრი განსხვავებული საფუძველი შეიძლება ჰქონდეთ, მათ შორის საკუთრების ინტერესები, როგორც წესი, ყველაზე ძლიერია. მედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურთიერთდაპირისპირების ყველაზე გავრცელებული და მტკიცე საფუძველი მაინც საკუთრების არათანაბარი და უთანასწორო განაწილებაა.“ ის აგრძელებს, რომ

მიწის, სამეწარმეო, მერკანტილური, ფულთან დაკავშირებული და სხვა ინტერესები ჩნდება ცივილიზებულ ერთა საჭიროებებიდან და განაპირობებს მათ დაყოფას კლასებად, რომლებსაც ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები და შეხედულებები გასჩენიათ. თანამედროვე კანონმდებლობის მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ მოაწესრიგოს ეს ეგზომ განსხვავებული და შერეული ინტერესები და პარტიულ-ჯგუფური სულისკვეთება ხელისუფლების აუცილებელსა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩააბას.

დაჯგუფებების არსისა და მათი შედეგების შემდგომი განხილვის შემდეგ, მედისონი ასკვნის, რომ მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაჯგუფებების არსებობა გარდაუვალია, ხოლო მათი ჩახშობა მხოლოდ ტირანიას ძალუძს. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი როდესაც დაყოფის მიზეზების აღმოფხვრა არ შეგვიძლია, მედისონის აზრით, შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ მათ ზემოქმედებაზე . შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სისტემა, რომელიც გააკონტროლებს ამ ზემოქმედებას. როგორი სისტემა შეძლებდა ამის გაკეთებას? მედისონისთვის პასუხი ნათელია: სწორედ ის სისტემა, რომელსაც აშშ-ს კონსტიტუციაგვთავაზობს . ურთიერთკონტროლისა და დაბალანსების სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ ვერც ერთმა ცალკეულმა დაჯგუფებამ ვერ შეძლოს არასათანადო კონტროლის დამყარება საზოგადოების დარჩენილ ნაწილზე. ამის განვრცობა შესაძლებელია შეზღუდული მთავრობის დოქტრინით, ძალაუფლების გადანაწილებით ფედერალურ მთავრობასა და შემადგენელი შტატების მთავრობებს შორის, ასევე, ძალაუფლების დანაწილებით აღმასრულებელ, საკანონდმებლო და სასამართლო შტოებს შორის. ყოველივე ეს ცალსახად არის ჩადებული „კონსტიტუციაში“. ამგვარი უწყებების საშუალებით, რომლებიც გააკონტროლებენ ამა თუ იმ დაჯგუფების გაბატონების სურვილს, მთელი სოციალური წესრიგი იმუშავებს უფრო თავისუფლად, რესპუბლიკური ფორმები კი გადარჩება.

ცხადია, რომ სოციალური სტრუქტურის შემადგენელ ფაქტორებს ცენტრალური ადგილი ეკავა მედისონის აზროვნებაში, რამდენადაც მან ეს წერილი დაწერა ფედერალისტისათვის. ცხადია, ის გრძნობდა, რომ საზოგადოების სტრუქტურაში ჩადებული განსხვავებული ინტერესების დაშვება უნდა მომხდარიყო, მაგრამ, ამავე დროს, უნდა განხორციელებულიყო მათი ზეგავლენის კონტროლი. მედისონის რწმენით, ყველაზე უკეთ ამას შეძლებდა პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც გააკონტროლებდა და შეამოწმებდა ამ დაჯგუფებების ძალაუფლებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტიტუციის ავტორების უმრავლესობას იმედი ჰქონდა, რომ ამერიკის მთავრობაში პოლიტიკური პარტიების ყოფნას აირიდებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ დაჯგუფებების გავლენების კონტროლის გზით შესაძლებელი იქნებოდა მუდმივი პოლიტიკური პარტიების ფორმირების თავიდან აცილება; ამდენად, კონსტიტუციაში საერთოდ არ არის პარტიები მოხსენიებული. ცოტა ირონიულია, რომ თავად მედისონმა, თავის მეგობართან თომას ჯეფერსონთან ერთად, მონაწილეობა მიიღო პირველი ცნობადი პოლიტიკური პარტიის ორგანიზებაში. ეს მოხდა ჯონ ადამსის ადმინისტრაციის დროს, როდესაც ოპონენტებს, მათ შორის, ჯეფერსონსა და მედისონს, გაუჩნდათ სურვილი, მიემართათ მოსახლეობისთვის კურსის ფუნდამენტური ცვლილების წინადადებით. მათ მიერ დაფუძნებული პარტია მას შემდეგად აგრძელებს არსებობას და არის ამერიკული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ძალა. მართალია, ზოგადად ამერიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არცერთი დაჯგუფება არ არის გაბატონებული , მაგრამ ეს დემოკრატიული პარტია (ახლა მას ასე უწოდებენ) ახდენს გაყოფას, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც მედისონი ფოქრობდა, როდესაც სტატია N10 დაწერა ფედერალისტისათვის.

კონფლიქტის სხვა სტრუქტურული საფუძვლები

რელიგიური, რასობრივი და ეთნიკური განსხვავებები

ტერმინი ეთნიკური ჯგუფი განსხვავებული მნიშვნელობებით გამოიყენება; მეცნიერებიც კი ყოველთვის ერთნაირ ტერმინოლოგიას არ იყენებენ საზოგადოების რასობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით დაყოფაზე საუბრისას. ჩვენ აქ ვიყენებთ „ეთნიკურობის" ცნებას ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ჯგუფების იდენტიფიცირებას ყველა იმ რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულობის ნიშნით , რომელიც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის დაყოფების ფორმად არის აღიარებული. აქ ჩვენ, ასევე, მივყვებით სოციოლოგებს შორის ყველაზე გავრცელებულ მიდგომას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

> *ეთნიკური ჯგუფი არის ადამიანების ჯგუფი, რომლის წევრობა უმეტესწილად განპირობებულია წარმომავლობით და რომლის ადგილი საზოგადოებაში განპირობებული მისი ეთნიკური კუთვნილებით. . ამდენად, სოციალურ განსხვავებას განაპირობებს არა თავისთავად ფიზიკური გარეგნობა (რომელსაც ხშირად რასობრივსაც უწოდებენ), ეროვნული წარმომავლობა თუ რელიგიური განსხვავებები, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამს ამას საზოგადოება. ზოგიერთ საზოგადოებაში ყურადღება არ ექცევა გარეგნულ განსხვავებებს, მაშინ როდესაც სხვა საზოგადოებებმა სულ მცირე განსხვავებებსაც კი შეიძლება სოციალური პრივილეგიები დაუკავშირონ. მსგავსად ამისა, ზოგიერთ საზოგადოებას ძალზედ აწუხებს რომელიმე მოცემულ ტერიტორიაზე რომელიმე ეროვნების (ან ტომის) ხალხის ცხოვრება, მაშინ როცა სხვა საზოგადოებას ეს შეიძლება სრულიად არ აღელვებდეს.... აქ მნიშვნელოვანია არა თავად განსხვავებულობის არსი და ბუნება, არამედ ამ განსხვავებულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებული გრძნობების ინტენსიურობა, აგრეთვე ის, თუ რამდენად ან როგორ არის დაკავშირებული ეს განსხვავებულობა ეკონომიკურ ფენებად დაყოფასთან, პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სოციალური სტრუქტურის სხვა ელემენტებთან.*

აღსანიშნავია, რომ ტერმინის ეს გაგება ხაზს უსვამს ეთნიკურობის კავშირს სოციალურ სტრუქტურასთან და სხვადასხვა საზოგადოებებში არსებულ განსხვავებულ ვარიაციებს.

რასობრივი და ეთნიკური ურთიერთობები შეიძლება დავინახოთ სოციალური ფსიქოლოგიის ფაქტორების თვალსაზრისით: როგორც ცრურწმენებით გაჯერებული მოდელები, სტერეოტიპული ხატების სოციალიზაცია ან ადამიანებს შორის ასოციაციების წარმოქმნის ტენდენციები. ჩვენი მიმდინარე დისკუსია არ ისახავს მიზნად, დააკნინოს ეთნიკური ურთიერთობების კვლევის ამგვარი მეთოდები. თუმცა, ჩვენ აქ გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, თუ როგორ ხდებიან ეთნიკური ჯგუფები სოციალური სტრუქტურების ნაწილები. აღნიშნული დაჯგუფებები არის, არა მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის მახასიათებლები, არამედ უფრო მეტიც, აღიარებულია როგორც უმნიშვნელოვანესი ჯგუფები სოციალური სტრუქტურის შიგნით. აქ შესაძლოა გამოგვადგეს იმის კარგად გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ეთნიკური, ისევე როგორც, ეკონომიკური და პოლიტიკური დაყოფები ჩართული იყოს სოციალურ სტრუქტურაში. ერთი სოციოლოგის სიტყვებით რომ ვთქვათ:

> *საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ვგულისხმობთ კრისტალიზებული, გარკვეული ჩამოყალიბებული ფორმის მქონე სოციალური ურთიერთობების ნაკრებს, რომელიც ყალიბდება მის წევრებს შორის და რომელიც ანაწილებს მათ დიდ თუ პატარა, მუდმივ თუ დროებით, ფორმალურად ორგანიზებულ თუ არაორგანიზებულ ჯგუფებად, და რომელიც აკავშირებს მათ საზოგადოების ისეთ, მთავარ ინსტიტუციონალურ საქმიანობებთან, როგორიცაა ეკონომიკური ცხოვრება და დასაქმება, რელიგია, ქორწინება და ოჯახი, განათლება, მთავრობა და დასვენება.*

აღსანიშნავია, რომ აქ აქცენტი კეთდება „კრისტალიზებულ სოციალურ ურთიერთობებზე“. ხდება ურთიერთობების გარკვეული მოდელების აღიარება და შემდეგ არსებობს მათი მოლოდინი. მაშინაც კი , როცა ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ გამოყენებად მოდელებს (მაგალითად, დაქორწინების არჩევანი), ისინი მაინც ქმნიან საბაზისო ჩარჩოს იმისა, რაც ადამიანებს აერთიანებს და რის მიხედვითაც ადამიანები კავშირებს ამყარებენ.

ბუნებრივია, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა მოდელებია მიღებული და აღიარებული. მეზობელ საზოგადოებებსაც კი, შეიძლება განსხვავებული ეთნიკურობის მოდელები ჰქონდეთ. მაგალითისთვის, კანადაში სალაპარაკო ენა (ფრანგული ან ინგლისური) იქცა მთავარ გამყოფ ხაზად, და მათ საფუძველზე ჩნდება მრავალი სახის ასოციაციები (განსაკუთრებით ეროვნულ წარმომავლობასა და რელიგიურ ფაქტორზე დაფუძნებული). შეერთებულ შტატებში განსხვავება უფრო ფიზიკურ, განსაკუთრებით რასობრივ ნიშანთან, გარეგნობასთანაა დაკავშირებული . მექსიკაში, სადაც რასების აღრევაა, რასობრივი ნიშნით კატეგორიზაცია ვერ ხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯგუფები მაინც დაყოფილია ისე, რომ ეთნიკურობა რეგიონთან არის კომბინირებული. თუ კიდევ გავყვებით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს, შეგვხვდება სხვა მოდელებიც - მაგალითად, გვატემალაში (სადაც ფუნდამენტური რასობრივი დაყოფა ხდება ნიშნით „მკვიდრი მოსახლეობა“ თუ „ლათინო“, არადა უცხო ადამიანმა გარეგნული სხვაობები შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს), ბელიზში (სადაც ბევრნაირი ეთნიკური ჯგუფია, მაგრამ გამოკვეთილად გაბატონებული არც ერთი), ან ელ სალვადორში (სადაც სოციალური კლასი და ეკონომიკური დაყოფა დგას ეთნიკურ იდენტურობაზე მაღლა). მსოფლიოს გარშემო მრავალნაირი სახესხვაობა შეიძლება ვიპოვოთ. მიუხედავად ჩვენში არსებული ეთნოცენტრისტული მიდრეკილებებისა, უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებები ნამდვილად და ჭეშმარიტად განსხვავებიან იმის მიხედვით, თუ როგორ ახდენენ ისინი ეთნიკური დაყოფების კატოგორიზაციას და რა მნიშვნელობას ანიჭებენ მათ.

მაინც, ყოველ საზოგადოებას აქვს გარკვეული აღიარებული ეთნიკური დაყოფები. იაპონიაშიც კი, რომელიც წარმოადგენს რასობრივად და კულტურულად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ჰომოგენურ ქვეყანას, შეგვიძლია გამოვყოთ გარკვეული უმცირესობების ჯგუფები (როგორიცაა კორეელები ან იაპონური დიასპორა), რომელიც განსხვავებულად (და ნაკლებად მნიშვნელოვნადაც), ითვლება თავად იაპონელების უმრავლესობისაგან. სხვა ქვეყნებში ეთნიკური ნიშნით დაყოფები ბევრად უფრო თვალნათელია.

როდესაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ხდება გარკვეული კონტაქტი, ის ყოველთვის წარმოშობს გარკვეული ხარისხის კონფლიქტს. რაც უფრო ხშირია კონტაქტი, კონფლიქტისა და კონფრონტაციის ალბათობაც მეტია. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა ყველა მხარე მზად არის გვერდზე გადადოს თავისი ეთნიკური თვითმყოფადობა, რაც როგორც წესი, სათქმელად მარტივია, მაგრამ რეალურად რთულად განსახორციელებელი.

შედარებითი ეთნიკური ურთიერთობების თეორეტიკოსები, როგორც წესი, თავს არიდებენ ზოგად თეორიას, რომელიც ახსნიდა და მიესადაგებოდა ყველა საზოგადოებას. ნაცვლად ამისა, ისინი ყურადღებას აქცევენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ისტორიული წარსულის ზეგავლენა, მოსახლეობის შემადგენლობა, ადგილმდებარების თავისებურებები, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვევებები, დასაქმება, პოლიტიკური მმართველობა და ა. შ. თითოეული საზოგადოება განსხვავდება ერთმანეთისგან ამ სხვადასხვა ფაქტორის მხრივ. თუმცა, არსებობს, რამდენიმე ზოგადი მახასიათებელი, რომელიც იკვეთება განსხვავებული საზოგადოებების შედარებისას. ერთ-ერთი მათგანია იმაში მდგომარეობს

, რომ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური ურთიერთობების მოდელი დიდი ალბათობიდან ამ სამიდან ერთ-ერთი მიმართულებით განვითარდება. ჩესტერ ჰანტმა და ლუის უოკერმა, თავიანთ გამოკითხვაში მსოფლიო მასშტაბით ეთნიკური ურთიერთობების შესახებ, მოახდინეს სამი ასეთი მთავარი მიმართულების იდენტიფიცირება, კერძოდ, 1) სეგრეგაცია, 2) კულტურული პლურალიზმი და 3) ინტეგრაცია. თითოეული მათგანი წარმოადგენს თეორიული თვალსაზრისით განსხვავებულ საშუალებას, თუ როგორ მივუდგეთ ეთნიკურ კონფლიქტს.

საზოგადოებებში, სადაც სეგრეგაცია ხდება, განსხვავებულ ჯგუფებს შორის კონტაქტი შეზღუდულია კანონის ან ჩვეულების ძალით. ეს კი ამძაფრებს თვითმყოფადობისა და დაყოფის შეგრძნებას. ჯგუფური განსხვევებები აღიქმება მუდმივ მოვლენად და ისინი საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენენ სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრებაზე (და ცხოვრების შანსებზეც კი). როგორც წესი, ამგვარ საზოგადოებებში გაბატონებულია უმრავლესობის ერთი ჯგუფი, რომელიც ცდილობს თავისი პრივილეგიების შენარჩუნებას და ისეთი იდეოლოგიის შექმნას, რომელიც გაამართლებს მის გაბატონებულ მდგომარეობას. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სეგრეგაციულ საზოგადოებებში, გაბატონება სწორედ ეთნიკურობის ნიადაგზე ხდება და ის შემდეგ ვრცელდება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

კულტურული თვალსაზრისით მრავალფეროვან საზოგადოებებში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები არის აღიარებული, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის გაბატონებული. თითოეულს აქვს მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები, მაგრამ, მთლიანობაში, ისინი აღიქმება როგორც ერის ან ფართო საზოგადოების ნაწილი. ასეთი სისტემა განსაკუთრებით მაშინ ვითარდება, როდესაც პოლიტიკური სისტემა აერთიანებს ეთნიკური ჯგუფების მრავალ სახესხვაობას, რომელთაგან თითოეული გაბატონებულია თავის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე (მაგრამ გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთმანეთისგან არც თუ ისე განცალკევებული), მაგრამ საერთო სისტემაში არც ერთი არ არის ბატონებული.

ინტერგაციის შემთხვევაში, ეთნიკური ნიშნით განსხვავებები გვერდზეა გადადებული. ადამიანები განიხილებიან როგორც ინდივიდები, ოჯახები ან ჯგუფები და ნაკლები ყურადღება ექცევა მათ ეთნიკურ იდენტურობას. აქცენტი კეთდება ინდივიდის უფლებებზე და არა ჯგუფურ პრივილეგიებზე. შესაბამისად, პიროვნებებისგან მოელიან, რომ ისინი თავიანთ ეთნიკურ თვითმყოფადობაზე მაღლა საერთო კულტურულ ინტერესებს დააყენებენ. ამგვარი სისტემა უფრო ყალიბდება ისეთ საზოგადოებაში, რომელიც სწრაფად იცვლება, ქმნის სოციალური და ეკონომიკური გაუმჯობესებისათვის ფართო შესაძლებლობებს და რომელსაც ასაზრდოებს დემოკრატიული თანასწორუფლებიანობის იდეოლოგია.

რა თქმა უნდა, ამ სამი მოდელის გარდა არსებობს სხვა მოდელებიც . ჰანტი და უოკერი გავრცელებულ მოდელად აღიარებენ „დროებით მოწყობას“, თუმცა არ თვლიან მას ურთიერთობების სტაბილურ და გრძელვადიან სისტემად. ასევე, არ უნდა გამოვრიცხოთ თეორიული შესაძლებლობა ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა ფართომასშტაბიანი განდევნა (როგორც 1492 წელს ესპანეთმა გადაწყვიტა, გადაეჭრა ეთნიკური კონფლიქტები ქრისტიანებსა და სხვა რელიგიის მქონე ხალხებს შორის), ან გენოციდი (თურქეთის მხრიდან ამ საუკუნის დასაწყისში, ნაცისტური გერმანიის მიერ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ხოლო 1994 წელს რუანდაში, გაბატონებული დაჯგუფების მიერ). ზემოაღნიშნული სამი მოდელი - სეგრეგაცია, კულტურული პლურალიზმი და ინტერგაცია - წარმოადგენს არსებული ეთნიკური ურთიერთობების შედარებით მუდმივ, მდგრად სისტემებს .

ინდივიდების (ან მცირე ზომის ჯგუფების) რეაქციები საზოგადოებაში არსებულ მოდელებზე განსხვავდება ერთმანეთისგან. მათ მაინც უწევთ იმის აღიარება, რომ საზოგადოება იყენებს ეთნიკური ურთიერთობების ძირითადი მიღებულ მოდელებს. გარდა ამისა, მთავარი მოდელი შეიძლება განსხვავდებოდეს ეთნიკურობის განსხვავებული ფორმების მიმართ. მაგალითად, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ამერიკაში არსებული რასობრივი ურთიერთობები სეგრეგაციის მოდელის განსახიერება იყო, თუმცა, ამავე დროს, რელიგიური თვალსაზრისით ის კულტურულ პლურალიზმად შეგვიძლია დავახასიათოთ, ხოლო სხვა ეროვნული ჯგუფების შემთხვევაში შეიმჩნეოდა ინტეგრაციის ნიშნები. ეს საგრძნობლად შეიცვალა საუკუნის მეორე ნახევარში, რამდენადაც რასობრივი ურთიერთობები წარიმართა, როგორც კულტურული პლურალიზმის, ისე ინტეგრაციის მიმართულებით, თუმცა სეგრეგაციის ძლიერი ელემენტები მაინც შემორჩა.

განსხვავებები ასაკობრივი და გენდერული ნიშნით

ყოველ საზოგადოებას უწევს ასაკობრივი და გენდერული ნიშნით განსხვავებების აღიარება, თუმცა, ამ მთავარი ბიოლოგიური განსხვავებებისადმი მიკუთვნებული მნიშვნელობები ძალზედ განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ შორის თავად საზოგადოებების შიგნითაც კი.

ასაკობრივი განსხვავებების შესახებ სისტემური თეორია ძალიან ცოტა მეცნიერს აქვს. ისინი თითქოს ნაბოძებია, როგორც სოციალური სტრუქტურის ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილები. ასევე აღიარებულია, რომ პრივილეგიები ხშირად ადამიანის ასაკს უკავშირდება. თუმცა, ასაკობრივ ნიადაგზე ისე ხშირად არ წამოქმოიქმნება ძლიერი დაყოფა, როგორც ეს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული თუ გენდერული განსხვავებებისას ხდება. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ადამიანის ასაკობრივი სტატუსი დროებითი მოვლენაა. თუ ბავშვი გრძნობს, რომ მას ასაკის გამო გარკვეულ პრივილეგიებს მოკლებულია, შეუძლია რამდენიმე წელი დაიცადოს და ეს შეიცვლება. ან თუ ახალგაზრდები თვლიან, რომ ასაკოვანი ხალხი მათზე მეტ სოციალურ შეღავათებს ითხოვენ, მათაც ცოტა ხანი უნდა მოიცადონ. რა თქმა უნდა, ასაკობრივი სვლის ფინალურ ეტაპზე ადამიანის ასაკობრივი სტატუსის ცვლილება ამ სისტემის სრულად დატოვების გარეშე უკვე აღარ გამოდის (ამ საბოლოო შედეგის მაქსიმალურად გადავადებას ყველა ცდილობს), თუმცა, მაინც არსებობს შანსი ადამიანებმა კვლავ შეიგრძნონ ახალგაზრდობა, თავიანთ შვილიშვილებთან ერთად!

ამის მიუხედავად, იყო დრო, როდესაც ასაკი, სხვა პერიოდებთან შედარებით, უფრო გამოკვეთილი იყო, როგორც საზოგადოების გამყოფი ძალა. მართლია, თაობებს შორის განსხვავება ყოველთვის არსებობს, მაგრამ პერიოდულად ის უფრო მწვავდება და დაყოფამდე მივყავართ. ასეთია სწრაფი სოციალური ცვლილების პერიოდები, როდესაც ჩამოყალიბებული ინსტიტუტები კარგავენ თავიანთლეგიტიმაციას, და/ან დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად მკვეთრად იზრდება ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობა. თუ ამას პოლიტიკური გადაწყვეტილებების (მაგ., აშშ-ს ჩარევა ვიეტნამში და სამხედრო გაწვევა) შესაძლო ზეგავლენასაც დავუმატებთ, გასაგება ხდება, რატომ იყო 1960-იან წლების შეერთებულ შტატებში ასე ძლიერი თაობების შორის განსხვავება.

დროთა განმავლობაში, ასევე, შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებაში გენდერული ნიშნით განსხვავებებისადმი დამოკიდებულებაც. რა თქმა უნდა, ეს განსხვავებები ყოველთვის ინარჩუნებს მნიშვნელობას ინდივიდებისთვის არაფორმალურ ურთიერთობებში; მაგრამგანსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება მას თავად საზოგადოებაში. . როდესაც

საზოგადოებაში მიმდინარეობს სწრაფი სოციალური ცვლილებები, მოსალოდნელია გენდერული როლების ცვლილებაც. ეს კი ზრდის გენდერული საკითხების უფრო აქტიურად წინ წამოწევის ალბათობას. მაგალითად, 1970-იან წლებში ამერიკელ მუშახელს სწრაფად შეუერთდა დიდი რაოდენობით მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, მათ შორის, დასაქმების ისეთ სფეროებში, სადაც მანამდე უმეტესად მამაკაცები იყვნენ დასაქმებულნი. ამის პარალელურად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის განვითარებამ განაპირობა დიასახლისის როლის შემცირება. ამას დავუმატოთ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შეჩერება, რამაც ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო და უფრო არასაიმედო გახადა და ცხოვრების სასურველი სტანდარტის შესანარჩუნებლად ოჯახის წევრებისგან ორმაგ შემოსავალს მოითხოვდა. ყველა ეს წინაპირობა დაგროვა 1970-იან წლებში. შედეგად, გასაკვირი არაა, რომ გენდერული ნიშნით კონფლიქტი ამერიკულ საზოგადოებაში უფრო და უფრო გამოკვეთილი თემა გახდა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ფემინიზმმა აღმავლობა განიცადა. მასთან ერთად, აღმავლობა განიცადა „ფემინისტურმა თეორიამაც“, რომელიც წარმოადგენდა მცდელობას, ჩატარებულიყო ცხოვრებისა და საზოგადოების ღრმა და ყოველისმომცველი ანალიზი ქალის თვალთახედვიდან. ფემინისტური თეორია ბევრ მოსაზრებას აერთიანებს, რომელთაგან ზოგიერთი მიუთითებს ქალის განმასხვავებელი თვისებების აღიარებაზე და ზოგი კი, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სქესობრივ განსხვავებებს. ფემინისტური თეორია უმეტესად ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიურ და კულტურულ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ ირიბად თუა დაკავშირებული სოციალურ სტრუქტურულ მიდგომასთან. თუმცა, ფემინისტური თეორიის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ სტრუქტურულად უდგება საკითხს და თვლის, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სწორედ სისტემურად არიან საზოგადოების მხრიდან ჩაყენებულნი არახელსაყრელ მდგომარეობაში, რომელშიც მამაკაცები დომინირებენ. რამდენადაც ის საზოგადოების ორგანიზებულ ნაწილად განიხილება (და არა მხოლოდ ბიოლოგიურ და სოციალურ ფსიქოლოგიურ მოვლენად), ფემინისტური თეორია სოციალურ სტრუქტურულ მიდგომის სახეს იძენს ძირეული სოციალური კონფლიქტების გასაგებად.

ფემინისტური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სოციალურ სტრუქტურული ვერსია წარმოდგენილია ჯესი ბერნარდის *„ქალთა სამყაროში“.* ბერნარდის შეხედულება ფემინიზმზე ინტელექტუალურ სფეროს სცდება და ასევე მოიცავს კულტურულ და სოციალურ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. თუმცა, მის თეორიულ და ემპირიულ ანალიზს მყარი სოციოლოგიური საფუძველი გააჩნია. იგი, ფართო გაგებით, ახასიათებს თავის მიდგომას, როგორც სოციალურ “სისტემურ“ ხედვას, რომელიც ქალურობას მის მთლიან სოციალურ კონტექსტში ხედავს. იგი ამბობს:

> *ამ თვალთახედვით ქალური სამყარო არის სოციოლოგიური ერთეული, რომლისთვისაც დამახასიათებელია დემოგრაფიული სტრუქტურა (ასაკი, ოჯახური სტატუსი, განათლება, შემოსავალი, დასაქმება), სტატუსის და კლასობრივი სტრუქტურა და ჯგუფური სტრუქტურა.*

ბერნარდი ძლიერ აქცენტს აკეთებს იმ ზეგავლენებზე, რომელსაც სოციალურ სტრუქტურაში გენდერული საკითხები ახდენს. ამის საჩვენებლად ის განიხილავს , თუ როგორ მიეცა ქალს საშუალება, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში, გადანაცვლებულიყო საზოგადოებაში მისთვის განკუთვნილი ზოგადი ადგილიდან (რომელიც, ცხადია, მამაკაცზე ნაკლები იყო) ცალკე გამოყოფილი საქმიანობების სფეროებში (თეორიულად თანასწორი, მაგრამ მაინც

უმეტესწილად განსაზღვრული მამაკაცური იდეოლოგიის თვალთახედვით). იდეოლოგია, რომელიც მხარს უჭერს სქესთა შორის როლების ტრადიციულ გადანაწილებას, მოიცავდა მოსაზრებას, რომ „მართალია ქალი არსებითად მამაკაცს არ ჩამოუვარდება , მაგრამ მაინც, მათი სფერო უნდა დაექვემდებაროს მამაკაცის სფეროს, ეროვნული კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე". გარდა ამისა, სფეროების დაყოფას ზურს უმაგრებდა რწმენა, რომ „სახლი, რომელიც მოიცავს მორალურ და საქველმოქმედო საქმიანობებს, არის ქალის სფეროს ბუნებრივი, ნორმალური და ერთადერთი საზრუნავი". ამდენად, ქალები, იძულებულნი იყვნენ, ემუშავათ ამგვარი, მათთვის გამოყოფილი სფეროს ჩარჩოს ფარგლებში, და შედეგად, მათ განავითარეს გამორჩეულად ქალური კულტურა. როგორც ბერნარდი ამბობს:

> *ისინი გამოთიშულნი იყვნენ პარტნიორულ ურთიერთობებს ოჯახის ეკონომიკისა და სახელმწიფო მართვის საქმეებში, მოწყვეტილნი იყვნენ მამაკაცებთან ერთად დროის გატარებას, ამდენად, ემოციურ მხარდაჭერას ისინი იღებდნენ სხვებისგან, თავიანთი სფეროდანვე და საპასუხოდ მათვე უნაწილებდნენ.*

საერთაშორისო განსხვავებები და მსოფლიო სისტემა

აქამდე ჩვენ ძირითადად ვაკვირდებოდით სოციალურ სტრუქტურებს საზოგადოების შიგნით. მაგრამ ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ და ყურადღება მივაქციოთ საზოგადოებების და სახელმწიფოების უფრო ფართო სისტემის სტრუქტურას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამგვარ სტრუქტურებში მთავარი მოთამაშეები ეროვნული სახელმწიფოები არიან. სახელმწიფოები (როგორც მინიმუმ თანამედროვე მსოფლიოში) პრეტენზიას აცხადებენ, რომ აქვთ ლეგიტიმური ფიზიკურ ძალაუფლებაზე მონოპოლია. ეს საშუალებას აძლევს მათ, ვინც სახელმწიფო ხელისუფლებაშია, ჰქონდეთ უდიდესი ძალაუფლება მოქალაქეებზე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში. მისი დახმარებით, ასევე, იქმნება საერთაშორისო სისტემა, სადაც ფიზიკური ძალა, სამხედრო ძლევამოსილების ფორმით, ცენტრალურ როლს თამაშობს, იმ პირობით, რომ ეროვნული სახელმწიფო დარჩება დამოუკიდებელ და სუვერენულ ერთეულად.

აზროვნების მნიშვნელოვანი სკოლა, რომელიც ცნობილია „პოლიტიკური რეალიზმის" სახელით, სერიოზულად ცდილობს სახელმწიფოსა და მისი ხალხის მთავარი ინტერესების მათი საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლად იდენტიფირებას. პოლიტიკური რეალიზმის წამყვანი წარმომადგენელი ჰანს მორგენთაუ შემდეგნაირად ახასიათებს ამ შეხედულებას:

> *ეს არის სამყარო, რომელსაც ახასიათებს თანდაყოლილი ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და ამ ინტერესებს შორის კონფლიქტები. ამ სამყაროში ზნეობრივი პრინციპების სრულად დაცვა ვერასდროს მიიღწევა, მაგრამ, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა მოხდეს მასთან მიახლოება ინტერესების გაწონასწორებისა და კონფლიქტების დარეგულირების გზით, თუმცა, ესეც დროებითი და არასანდო იქნება. ეს სკოლა, ამდენად, ურთიერთკონტროლისა და დაბალანსების სისტემაში ხედავს უნივერსალურ პრინციპს ყველა პლურალისტური საზოგადოებისათვის. ის მოუწოდებს უფრო ისტორიულ პრეცენდენტებს და არა იმდენად აბსტრაქტულ პრინციპებს და მიზნად ისახავს ნაკლები ბოროტების და არა აბსოლუტური კარგის განხორციელებას .*

ცხადია, ერების მხრიდან ძალის მიმართ ეს არასენტიმენტალური მიდგომა თავისთავად გულისხმობს, რომ ერები ძალაუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან

ერთმანეთსგან და რომ ეფექტიანი მშვიდობა დამოკიდებულია მათ შორის ამ ძალთა ბალანსის მოპოვებაზე.

სრულიად განსხვავებული მიდგომა წარმოადგინა მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევის სფეროში წამყვანმა ევროპელმა მკვლევარმა იოჰან გალთუნგმა. გალთუნგს მტკიცედ სჯეროდა, რომ თანასწორობა უნდა იყოს ადამიანებს შორის ყველანაიარი ურთიერთობის ნორმა. ის მხარს უჭერდა დემოკრატიულ თანასწორობას არა მხოლოდ საზოგადოების შიგნით, არამედ საზოგადოებებს შორისაც. შედეგად, ის აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებობს სიმდიდრისა და ძალაუფლების უზარმაზარი უთანასწორობა, და ამ განსხვავებებში ხედავდა ექსპლუატაციის სისტემურ მოდელებს. საერთაშორისო სისტემაში, ის განსაკუთრებით მიუთითებს განსხვავებებზე „ცენტრს“ (პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მქონე უმთავრესი ერები) და „პერიფერიას“ (ერები, რომლებიც დამოკიდებული ხდებიან ცენტრის ერებზე, რომლებიც მათ მანიპულირებას ახდენენ საკუთარი კეთილდღეობისთვის) შორის. აღნიშნული მრავალი ფორმით ვლინდება, მათ შორისაა, ეკონომიკური იმპერიალიზმი, პოლიტიკური ნეოკოლინიალიზმი და სოციალური იმპერიალიზმი. სოციალური იმპერიალიზმი ისეთივე სერიოზული პრობლემაა, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური , რამდენადაც ის მიისწრაფის პერიფერიული ქვეყნების კულტურების ჩანაცვლებისაკენ დომინანტური საზოგადოებების ნორმების სასარგებლოდ. მაგალითად, ინგლისური ენა იქცა მთავარ საერთაშორისო საკომუნიკაციო ენად, უმეტესწილად ანგლო-ამერიკული პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების გაბატონების გამო.

გალთუნგს სჯერა, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა მოაქვს მხოლოდ სამართლიანობას, რამდენადაც ის თვლის, რომ „სტრუქტურული ძალადობა“ (ანუ ადამიანების ჩაგვა-შევიწროება, პირდაპირ თუ ირიბად გამოხატული, სხვა ადამიანების მიერ) ისეთივე სერიოზული პრობლემაა, როგორც ფიზიკური ძალადობა. შედეგად ის მიდის საკმაოდ ამბიციური წინადადებების ჩამოყალიბებამდე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შემცირდეს ჩაგვრის და უთანასწორობის ძალები საზოგადოებებს შიგნით, ასევე მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებებს შორის.

იმანუელ ვალენშტაინის მსოფლიოს სისტემური მიდგომა ავლენს გალთუნგის თვალთახედვასთან გარკვეულ მსგავსებებს, მაგრამ, ნაკლებად მორალისტურია. გალთუნგი და ვალენშტაინი ხედავენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალთა უზარმაზარ განსხვავებებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. თუმცა, ვალენშტაინი იმით განსხვავდება, რომ ძირითადად დაკავებულია ამ არსებული ვითარების ისტორიული ანალიზით და ნაკლებად გვთავაზობს მათი აღმოფხვრის გზებს. ვალერშტაინი, თავისი ზედმიწევნით ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ცდილობს, დაგვანახოს, თუ როგორ გაბატონდა მთელს დედამიწაზე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა, რომელიც უფრო და უფრო ზღუდავს მისი ნებისმიერი ნაწილის ავტონომიას. მართალია ამ სისტემის ძალთა ცენტრები ევროპაში, იაპონიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარეობს, მაგრამ სინამდვილეში ის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული თავისი ორგანიზაციული თავისებურებების მოდელებითა და ადამიანების ცხოვრებაზე თავისი ზეგავლენებით. მას ვერავინ გაექცევა, ყოველ შემთხვევაში, ადამიანური ისტორიის ამ ეტაპზე.

ჰანს მორგენთაუ, იოჰან გალთუნგი და იმანუელ ვალერშტაინი მე-20 საუკუნის იმ წამყვან თეორეტიკოსთა შორის არიან, რომლებიც სოციალურ სტრუქტურებს მთლიანობაში განიხილავენ. მართალია, თავ-თავიანთი აქცენტებით ისინი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან, ერთი მომენტი ყოველი მათგანისთვის საერთო საფუძველს წარმოადგენს:

სოციალური სტრუქტურა მიემართება არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ საზოგადოებებს შორის ურთიერთობებსაც. სამივესთვის მსოფლიო სტრუქტურა არის ეროვნული სახელმწიფოების მუდმივი დაძაბულობებისა და კონტლიქტების სისტემა. რაც არ უნდა ვთქვათ, ამგვარ თეორიებთან მიმართებაში, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით მსოფლიოში სახეზეა სიმდიდრისა და ძალთა უზარმაზარი დაყოფები (ბევრად უფრო თვალნათელი, ვიდრე თავად უმეტეს ერებს შიგნით არსებული). ისინი კი მუდმივად ქმნიან კონფლიქტების საფუძველს მსოფლიო მასშტაბით.

სტრუქტურული კონფლიქტის გადაწყვეტები

ხუთი მიდგომა

როგორც კი დავინახავთ სოციალური კონფლიქტის სტრუქტურულ საფუძველს, მის მიმართ რამდენიმენაირი დამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ. გამოჩენილი სწავლულები, ისევე როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი, განსხვავებულად წყვეტდნენ ამგვარ კონფლიქტს. შეგვიძლია მოკლედ დავახასიათოთ კონფლიქტზე რეაგირების ჯაჭვი და გამოვყოთ: 1) თავის არიდება, 2) მიღება, 3) ეტაპობრივი რეფორმა, 4) არაძალადობრივი კონფრონტაცია, და 5) ძალადობრივი კონფრონტაცია.

ყოველთვის შესაძლებელია (აღიარების შემდეგაც კი), თავი ავარიდოთ სოციალური კონფლიქტის სტრუქტურულ საფუძველს. ეს არ ნიშნავს, რომ არ ვაღიარებთ კონფლიქტის არსებობას ან მას ვერაფერს ვუხერხებთ, არამედ, შესაძლოა ვცადოთ მის ისეთ უშუალო გამოვლინებებთან გამკლავება, როგორიცაა დესტრუქციული პროცესები ან დესტრუქციული ადამიანები. მართლაც, ამ დონეებზე ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება, თანაც ისეთ სოციალოგიურ საკითხებზე გვერდის ავლით, როგორიცაა საზოგადოების ორგანიზაცია. გარდა ამისა, ხშირად ასეთი მოსაზრებაც გამოითქმის, რომ საზოგადოება, ფართო გაგებით, ძალზედ დიდია საიმისოდ, რომ მისი შეცვლა მოხერხდეს, და რომ ჩვენ მხოლოდ იმის იმედი გვრჩება, კონფლიქტს გავუმკლავდეთ უფრო სპეციფიური და კონკრეტული გზით. სოციალური კონფლიქტის სტრუქტურული საფუძვლის განხილვას ბევრი ბიჰევიორისტიც არიდებს თავს. როგორც წესი, მათი ინტერესია, თავიანთი სამეცნიერო შრომა უფრო ისეთ საკითხებთან მიმართებაში გააგრძელონ, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია.

მიღება არის მეორე შესაძლო საპასუხო რეაქცია. ეს მიდგომა აღიარებს, რომ კონფლიქტი ეყრდნობა სოციალურ სტრუქტურულ საფუძვლებს, მაგრამ განიხილავს კონფლიქტს ცხოვრების იმდენად შესისხლხორცებულ ნაწილად, რომ მისი კვლევის გარდა სხვა გზა არ რჩება. ზოგიერთი სოციოლოგი სწორედ ამ მიდგომას მიმართავს. მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სოციოლოგი, ლუდვიგ გუმპლოვიცი, რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტებს განიხილავდა ადამიანური საზოგადოების ყველა ფორმისთვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ მოვლენად. თუმცა, მას, როგორც ზედმიწევნით სოციალ-დეტერმინისტს, სჯეროდა, რომ მათი მიღების გარდა ბევრი არაფრის გაკეთება არ შეიძლება ამგვარ კონფლიქტებთან მიმართებაში. გუმპლოვიცის თანახმად, იმ ძირითადი კანონების გაგებით, რომელთაც საზოგადოებაში კონფლიქტი ემორჩილება, „სოციოლოგია ქმნის გონივრული განდგომის ზნეობრივ საფუძვლებს; ეს ის პრინციპებია, რომლებიც უფრო მაღლა დგას ვიდრე ისინი, რომლებიც ეყრდნობიან პიროვნების წარმოსახვით თავისუფლებასა და ნების გამოხატვას“. იმისდა მიუხედავად, აღიარებთ თუ არა, რომ განდგომა არის „უმაღლესი ზნეობრიობა“ ფუნდამენტური სოციალური კონფლიქტის პირისპირ აღმოჩენისას, მას ზოგიერთი მკვლევარი მაინც განიხილავს ერთ-ერთ ვარიანტად.

მესამე შესაძლებლობა არის ეტაპობრივი რეფორმა. საზოგადოების სტრუქტურა იმდენად კარგად არის ჩამოყალიბებული, რომ მის შესაცვლელად ბევრს ვერაფერს მოვიმოქმედებთ, მაგრამ მისი ნაბიჯ-ნაბიჯ შეცვლა შესაძლებელია სოციალური დაძაბულობის წყაროებზე ზემოქმედებით. ამდენად, ეს იქნება ევოლუციური ხასიათის ცვლილება, რომლის საშუალებით, სოციალური რეფორმირების პოლიტიკა მიაღწევს საზოგადოების რესტრუქტურიზაციას. მაგალითად, თუ ვინმეს აწუხებს მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული დიდი განსხვავება, შესაძლებელია სათანადო პასუხი ამაზე იყოს სოციალური კეთილდღეობის პროგრამები და გადასახადების პროგრესული სისტემის შემუშავება. ამგვარი პოლიტიკა სოციალურ კლასებად დაყოფას ვერ აბათილებს, მაგრამ ამსუბუქებს არსებულ ვითარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ამ შეზღუდული ჩარევების შედეგად, სოციალური სტრუქტურა მაინც იცვლება, შესაძლოა არა რადიკალურად, მაგრამ მნიშვნელოვნად. ბევრ, შესაძლოა სოციოლოგების უმეტესობას, ამგავრი დამოკიდებულება აქვს სტრუქტურული საფუძვლის მქონე კონფლიქტების მიმართ საზოგადოებაში.

მეოთხე მიდგომაა არაძალადობრივი კონფრონტაცია. ადამიანი შეიძლება იყოს ისეთი მოძრაობების წევრი, რომელთა მოთხოვნაა ფუნდამენტური სოციალური ცვლილებები და ცდილობდეს ამ ცვლილებების მიღწევას უახლოეს მომავალში, მაგრამ ძალადობის გარეშე. არაძალადობრივი პოზიცია ხშირად ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც თუ შესაძლებელია როგორმე ცვლილების მოწინააღმდეგეთა მხრიდან ძალადობის შეზღუდვა (და გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა სტრატეგია, რომელიც მათ წინააღმდეგობას შეასუსტებს), მაშინ ცვლილებას შესაძლოა მეტი მზაობით შეხვდნენ. ცვლილების ფასიც ბევრად ნაკლებია, თუ ის არაძალადობრივი გზით მიიღწევა. 1940-იან წლებში ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის მოძრაობა მაჰათმა განდის წინამძღოლობით და 1960-იან წლებში ამერიკის სამოქალაქო მოძრაობა მარტინ ლუთერ კინგის წინამძღოლობით სტრუქტურული კონფლიქტის მიმართ ამგვარი საპასუხო რეაქციის შესანიშნავი მაგალითებია. პოლონეთის „სოლიდარობის“ მოძრაობა წარმოადგენს შედარებით უახლეს მაგალითს წარმატებული, მაგრამ არაძალადობრივი რევოლუციისა. თითოეულ ამ შემთხვევაში, ხალხი კონფლიქტს უერთდება სოციალური წესრიგის ფუნდამენტური ცვლილების მისაღწევად უახლოეს მომავალში, ძალადობის გარეშე.

და ბოლოს, არსებობს ძალადობრივი კონფრონტაციის ალბათობაც. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ძალადობრივი ტაქტიკის გამოყენების ალბათობის მუდმივად შენარჩუნება ყველაზე ეფექტიანი გზაა ძირეული სოციალური ცვლილებისათვის. ამ თვალსაზრისის მიმდევარნი თვლიან, რომ, სოციალური ცვლილება უმეტესწილად კონფლიქტის გზით მიიღება; და კონფლიქტში კი წარმატებას დიდი ალბათობით აღწევს ის, ვინც მზადაა განიხილოს ყველა შესაძლო ვარიანტი, მათ შორის ძალის გამოყენება. ხელისუფლებაში მყოფების მხრიდან სისტემაში ნაწილობრივი ცვლილებების მისაღებად მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად შეიძლება იქცეს ძალადობის შიში. ხანდახან კი ძალის გამოყენება შესაძლოა ერთადერთი გზა იყოს ხელისუფლებაში მყოფთა შესაცვლელად. ამ თვალსაზრისის თანახმად, კონფრონტაციული ძალების ორგანიზებისას უნდა დავუშვათ, რომ ძალადობა (რამდენადაც ამაზრზენი არ უნდა იყოს ის პიროვნულად) იქნება პროცესის ნაწილი. ამდენად, მკვლევარები, და სხვებიც, შესაძლოა მივიდნენ იქამდე, რომ ძალისმიერი კონფრონტაცია კონფლიქტის გადაჭრის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილონ. სწორედ ეს ვარიანტი აირჩია კარლ მარქსმა, ისევე როგორც ბევრმა მიმდევარმა, ვისზეც მან დიდი გავლენა მოახდინა.

რეზიუმე და დასკვნები

რეზიუმე

კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტის სოციალურ სტრუქტურული ხედვა მთავარ ყურადღებას აქცევს საზოგადოების მოწყობას. საზოგადოებაში არსებული მთავარი დაყოფები ის ელემენტებია, რომელიც კონფლიქტს უდევს საფუძვლად; ხოლო რაც შეეხება კონფლიქტის გადაწყვეტას, ამ ხედვის თანახმად ის მოითხოვს ამ ძირეულ სტრუქტურებში გარკვეულ შესწორებებს.

კარლ მარქსისა და მისი თეორიების საშუალებით ჩვენ გავეცანით სოციალურ სტრუქტურულ აზროვნებას. მარქსი იყო ზედმიწევნით სტრუქტურალისტი იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკური ორგანიზაციის სტრუქტურებს განიხილავდა კლასობრივი კონფლიქტის საფუძვლად. მის მიერ წარმოდგენილ წინადადებებში, მსგავს კონფლიქტებთან განმკლავების გზას მარქსი რევოლუციურ ჯგუფებში მონაწილეობით ხედავდა.

მარქსი გამოვიყენეთ ათვლის წერტილად. ასევე, აღვნიშნეთ რამდენიმე სხვა თეორეტიკოსი, მარქსამდე ან მის შემდეგაც, რომლებიც საზოგადოების სოციო-ეკონომიკურ დაყოფებს განიხილავდნენ, როგორც კონფლიქტის ცენტრალურ ძალებს. ამ მეცნიერთა შორის არიან:

1. ვებერი, რომელსაც ჰქონდა სოციალური კონფლიქტის სოციალურ ცვლილებებთან ურთიერთობის შესახებ უფრო კომპლექსური ხედვა და რომელიც ხაზს უსვამდა კანონიერების როლს სოციალურ ძალაუფლებაში.

2. დარენდორფი, რომელიც განიხილავდა კლასობრივ კონფლიქტს უფრო ფართო გაგებით ვიდრე მარქსი და ხაზს უსვამდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ფაქტორებს, მაგრამ მაინც თვლიდა კონფლიქტს სოციალური ცვლილებების მთავარ მამოძრავებელ ძალად.

3. ჰორკჰაიმერი და სხვა კრიტიკული თეორეტიკოსები, რომლებიც, მარქსის მსგავსად, თვლიდნენ, რომ ისტორიასა და საზოგადოებას მატერიალისტური საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ხაზს უსვამდნენ თანამედროვე კლასობრივი დაყოფების კულტურულ შედეგებს.

4. პლატონი, რომელიც საზოგადოების ძირითად დაყოფებს განიხილავდა, როგორც შრომის ეკონომიკური განაწილების შედეგს და სჯეროდა, რომ რაციონალური იდეალიზმი იყო ის გზა, რომელიც მათ შეაკავშირებდა სოციალური ჰარმონიის ინტერესებისთვის.

5. მედისონი, რომელიც იყო აშშ-ს კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, და რომელიც მიიჩნევდა, რომ კლასობრივი კონფლიქტის გარკვეული ფორმები არის გარდაუვალი. მას, ასევე, სჯეროდა, რომ მათი ეფექტური დარეგულირება შესაძლებელია კარგად აწყობილი პოლიტიკური ინსტიტუტების საშუალებით.

სოციოლურ-ეკონომიკური დაყოფების შემდეგ, განვიხილეთ, თუ როგორ წარმოიშვება კონფლიქტი რასობრივი და ეთნიკური დაყოფის ნიადაგზე, ასევე თანამედროვე საზოგადოებაში მსგავსი კონფლიქტების მართვის ძირითადი გზები (სეგრეგაციის, კულტურული პლურალიზმის და/ან ინტეგრიის გზით). განვიხილეთ, ასევე ასაკობრივი და გენდერული დაყოფებიც, რომლებიც სოციალურ სტრუქტურაში მუდმივად არსებული

ძირითადი ელემენტებია და მათთან ერთად არსებობს სოციალური კონფლიტის პოტენციალიც. და ბოლოს, ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ საერთაშორისო დაყოფები, როგორც მსოფლიო მასშტაბით კონფლიქტების საფუძველი, და განვიხილეთ, თუ როგორ მოახდინეს თეორეტიკოსებმა (განსაკუთრებით მორგენთაუმ, გალთუნგმა და ვალერშტაინმა) მსოფლიო მასშტაბით კოფლიქტის კონცეპტუალიზაცია.

სოციალური კონფლიქტის განხილვისას, წარმოვადგინეთ წინადადებები, თუ როგორ შეიძლება ამგვარი კონფლიქტების გადაწყვეტა ან მართვა. ერთსა და იმავე სახის კონფლიქტს, თუნდაც მსგავსი ანალიზის შემთხვევაში, სხვადასხვა თეორეტიკოსი გადაწყვეტის განსხვავებულ რეცეპტს უძებნის. გამოვყავით სტრუქტურულ კონფლიქტთან განმკლავების შემდეგი ძირითადი მიდგომები: 1) თავის არიდება, 2) მიღება, 3) ეტაპობრივი რეფორმა, 4) არაძალადობრივი კონფრონტაცია და 5) ძალადობრივი კონფრონტაცია.

დაკვნები

სტრუქტურული თეორიების ამ გამოკვლევიდან, მკითხველს შეუძლია სულ სხვა დასკვნები ჩამოაყალიბოს, რომლებიც განსხვავდება ჩვენს მიერ განხილული თეორეტიკოსების ან წარმოდგენილი ავტორის დასკვნებისგან. ავტორის დასკვნები კი შემდეგია:

ა) ჩვენ ვცხოვრობთ არაუბრალოდ ინდივიდებისა და ჯგუფების მუდმივი ურთიერთქმედების სამყაროში, არამედ ისინი, ამავდროულად, წარმოადგენენ ფართო საზოგადოების ნაწილს.

ბ) ეს ფართო საზოგადოება სტრუქტურირებულია ისეთი შემადგენელი ნაწილების განსაკუთრებული ორგანიზაციის სახით, როგორიცაა ძალთა და კლასობრივი დაყოფა, ეთნიკური, ასაკობრივი, გენდერული და ეროვნული ნიშნით დაყოფა. ყველა ამ ნაწილს გააჩნია ფუნდამენტური სოციალური კონფლიქტის პოტენციალი.

გ) შესაძლოა მცირე ურთიერთკავშირი არსებობდეს იმ სტრუქტურულ კონფლიქტებს შორის, რომლებიც ჩვენთვის ყველაზე ნაცნობია და იმ კონფლიქტებს შორის, რომელთაც ჩვენი საზოგადოების მომავლის ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქვთ. ცნობადობა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა სახალხო განხილვები იმ საკითხებისა და მოვლენების შესახებ, რაც საზოგადოების ძირეულ დაყოფებს ეხება. მომავალზე ზეგავლენის მოხდენის პოტენციალი უფრო დიდი მაშინაა, როდესაც სტრუქტურული დაყოფა მიღებულია, როგორც მოცემულობა და ამდენად დიდი სახალხო ყურადღების საგანი არ არის.

დ) შესაძლოა ამ თავში აღნიშნული მოსაზრება შემოთავაზებული არ ყოფილა, მაგრამ ავტორი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული თვისება, რომელმაც შეიძლება დღეს კონფლიქტი გამოიწვიოს და მომავალ თაობებზე გავლენა მოახდინოს, მდგომარეობს ჩვენი ეროვნული სახელმწიფოების მოწყობაში. ჩვენ ხომ უფრო და უფრო ვყალიბდებით მსოფლიო საზოგადოებად, მაგრამ ჯერ მაინც არ მიგვიღწევია ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის, რომლებიც ეფექტიანად შეძლებენ მსოფლიო კონფლიქტების მართვას.

ფორმალური თეორიები

ჯეიმს შელენბერგი[4]

სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი ომის რითმებზე ფიქრობს

კვაკერი ომში

ლუის რიჩარდსონი იყო კვაკერი, და პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ომს ან იარაღის ხელში აღებას ეროვნული თავდაცვისათვის. მაგრამ ის, ამავე დროს, ბრიტანეთის ერთგული ქვეშევრდომი იყო და როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, გარკვეული ვალდებულება იგრძნო სამშობლოს წინაშე. რაც უფრო მნიშვნელოვანია, თუკი რამეში დახმარებას შეძლებდა, მას სურდა როგორმე ომის ტანჯვა და ტკივილი შეემსუბუქებინა. მან გადაწყვიტა, ჩაწერილიყო მოხალისედ და შეესრულებინა არასაბრძოლო მოვალეობები ბრიტანეთის სამედიცინო სამსახურში. იგი გააგზავნეს საფრანგეთში, სადაც ის სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლად გაამწესეს, რომელსაც დაჭრილები გადაჰყავდა ფრონტის ხაზიდან ზურგში მდებარე სამედიცინო დაწესებულებებში.

მართალია, პერიოდულად მისი სამსახური ამაღელვებელი იყო, თუმცა მაინც ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა. უსაქმურობის ჟამს, რიჩარდსონი მის გარშემო მიმდინარე ომის შესახებ ფიქრებით იყო მოცული და აკვირდებოდა ძალადობრივი კონფლიქტის იმ გამოვლინებებს, რომელსაც ეს ომის წარმოადგენდა. ომის რითმები მას ხიბლავდა, ბრძოლების დროს გააფთრებული მოქმედებები, შუალედში კი - მიძინებული. მან ასეთ მოვლენებზე დაკვირვება დაიწყო და მათი ერთი შეხედვით ქაოტური ხასიათის მიუხედავად, მათში წინასწარ გათვლადი მოდელები დაინახა. ის დაფიქრდა, ხომ არ არის შესაძლებელი, ეს მოდელები როგორმე გამოიხატოს მათემატიკური ფორმით.

ომის შემდეგ

რიჩარდსონი ფიზიკური მეცნიერებებით იყო დაკავებული და განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა ამინდის განმსაზღრელი ძალების მიმართ. ომის შემდეგ, მან გააგრძელა თავისი ეს მოწოდება და მეტეოროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ადრეულ ლიდერად იქცა. იგი თვლიდა, რომ ამინდის გაგება და პროგნოზირება ძალიან ჰგავს ერებს შორის ომის პირობების გაგებას. როგორც ფიზიკურ ატმოსფეროში გარკვეული პირობები განაპირობებს ამინდის სახიფათო მოვლენებს, ასევე, სოციალურ ატმოსფეროში გარკვეული შესამჩნევი პირობები ქმნიან ჯგუფური ძალადობის დიდ ალბათობას. რიჩარდსონი საკუთარ თავს ეკითხებოდა, შეგვიძლია თუ არა ამ სოციალური პირობების ამოცნობა და მათემატიკური ლოგიკის ძალის გამოყენება, რათა უკეთ გავიგოთ ადამიანური კონფლიქტის ძირითადი პროცესები? მან აქტიურად დაიწყო პასუხის ძიება ამ მთავარ შეკითხვაზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რიჩარდსონმა გააგრძელა მუშაობა ფიზიკასა და მეტეოროლოგიაში. საბოლოოდ, ის აირჩიეს მკვლევარად სამეფო საზოგადოებაში, სადაც ძალიან რთული იყო მოხვედრა. ამავე დროს, რიჩარდსონი საკუთარ თავს იმდენად თვლიდა სოციოლოგად, რამდენადაც ფიზიკოსად, თუმცა ამაში სხვების დარწმუნება უჭირდა. მისი ნაწერები სოციალური კონფლიქტის შესახებ უმეტესწილად გამოუქვეყნებელი დარჩა, ყოველ შემთხვევაში მისი ცხოვრების მანძილზე. როცა მან თავად დაბეჭდა თავისი რამდენიმე ნაშრომი და ასლები თავის მეგობრებს გადასცა, მათ მაინცდამაინც მხარდაჭერა არ გამოუხატავთ.

4 Schellenberg, James A. “Formal Theories.” In Conflict Resolution, 103-116. New York, State University of New York Press, 1996.

როგორც ის მოგვიანებით იხსენებდა: „ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა სასაცილოდ ჩათვალა, მაგრამ ჩემთვის ეს იყო ომის მიზეზების გამოძიების დასაწყისი, რითაც ახლა ვარ დაკავებული ჩემი პენსიაზე გასვლის შემდეგ“.

რიჩარდსონი პენსიაზე ადრე გავიდა, ფიზიკოსობას და განათლების ადმინისტრირებას შეეშვა, რათა თავისი დრო ბოლომდე სოციალური კონფლიქტის კვლევისთვის დაეთმო. ერთ-ერთი მიზანი, რომლის შესრულებაც მან დაისახა, ადამიანური ძალადობის რაოდენობრივი განსაზღვრის საკითხი იყო. რიჩარდსონამდე არავის უცდია, შეედგინა ომებისა და სხვა ძალადობრივი ეპიზოდების ასეთი სრული სტატისტიკური კრებული. მან შეაგროვა სტატისტიკური მონაცემები ომების შესახებ და შეეცადა გამოეცალკევებინა მათში არსებული მოდელები, რომელთა საფუძველზე ომები ხდებოდა. მაგალითად, მისი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ომებს ახასიათებს ინტენსივობის ციკლები და საერთაშორისო კონფლიქტებს შუალედი შორის დაახლოებითი ერთი თაობაა.

რიჩარდსონი კონფლიქტების შესახებ თავის კვლევებს აწარმოებდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებების თვალთახედვიდან. მან სცადა, რაც შეიძლება ზუსტად დაეთვალა ის, რასაც თავად „სასიკვდილო უთანხმობებს“ უწოდებდა. ეს უთანხმოებები ენი კი გულისხმობდა არა მხოლოდ საერთაშორისო კონფლიქტებს, არამედ ნებისმიერ ძალადობრივ ეპიზოდს, რომელსაც შედეგად ადამიანების სიცოცხლე ეწირება. თავის მონაცემებში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მათემატიკურ წყობას. მაგალითად, მან აღმოაჩინა, რომ ძალადობრივი კონფლიქტების სიხშირე ხშირად ავლენდა კავშირს მათ სიძლიერესთან; რაც უფრო მაღალი იყო სიძლიერე, მით ნაკლები იყო მისი სიხშირე. ეს ურთიერთობა კიშეიძლება გამოიხატოს საკმაოდ ზუსტი მათემატიკური ფუნქციის სახით. აქ კი ჩანს გარკვეულ კანონზომიერება ადამიანური ძალადობის ერთი შეხედვით ქაოტურ ეპიზოდებში. თუ ამ კანონზომიერებებს აღმოვაჩენთ, განა უკეთ არ შევძლებთ, გონივრულად მივუდგეთ ისეთ მოვლენას, როგორიც ომია?

ის ფაქტი, რომ შეგვიძლია მოვახდინოთ სასიკვდილო უთანხმოებებში შეგვიძლია მოვახდინოთ რაოდენობრივი ურთიერთობების იდენტიფიცირება, სულაც არ ნიშნავს იმას რომ ჩვენ არ გვაქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. რიჩარდსონი ასე აღწერს თავის ხედვას სოციალური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც აქვს „მახასიათებლები, რომლებიც მერყეობს მანქანებური (მართვადი) დეტერმინიზმისა და თავისუფალი ნების არჩევანს შორის“. ეს გახლავთ მოვლენების მამოძრავებელი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ, ამას გარდა, ჩვენც შეგვიძლია, ისინი როგორმე წარვმართოთ. თუ გამოვიყენებთ ჩვენს ცოდნას ადამიანური კონფლიქტის ბუნებრივი მოდელების შესახებ, შეგვეძლება მოვლენები ძალადობისგან უფრო ეფექტიანად დავაშოროთ.

მართალია რიჩარდსონის ზოგიერთი სტატია ადრეც გამოქვეყნდა, მაგრამ მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, 1960 წელს, გამოიცა მისი ორი მთავარი წიგნი. მისი ხელნაწერების რედაქტირება მოახდინეს სხვა სწავლულებმა, ვისაც სჯეროდა, რომ მისი ნაშრომი იმაზე მეტ აღიარებას იმსახურებდა, ვიდრე მას სიცოცხლეში ხვდა წილად. ისინი გამოქვეყნდა სათაურით *„იარაღები და საფრთხე“* და *„სასიკვდილო უთანხმოებების სტატისტიკა“*. მალე ორივე წიგნი ადამიანური კონფლიქტის მათემატიკური კვლევის კლასიკურ ნაშრომებად იქცა. *„სასიკვდილო უთანხმოებების სტატისტიკა“* რიჩარდსონის ზოგად ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც ეხება ძალადობრივი კონფლიქტების რაოდენობრივ განსაზღვრას, ხოლო *„იარაღები და საფრთხე“* კი ეხება შეიარაღებაში შეჯიბრის სპეციფიკურ საკითხებს, რომელსაც შემდგომში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

შეიარაღებაში შეჯიბრი - მათემატიკური ფორმულირება

მათემატიკური მიდგომა

მეტრულ სისტემაში მათემატიკის გამოყენება ფართოდ არის ცნობილი. თვლას და გამრავლება-გაყოფას ადრეულ ასაკშივე ვსწავლობთ. სოციოლოგებმა უნდა დახვეწონ ეს სისტემა, რათა გამოთვალონ ან გაზომონ ის კონკრეტული სახის მონაცემები, რომელსაც თავიანთ კვლევებში იყენებენ. მათემატიკა გამოიყენება ასევე მონაცემთა ანალიზში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სტუდენტს უჭირს კორელაციის კოეფიციენტისა და მნიშვნელობის ტესტების სწორად გამოყენების სწავლა. მონაცემთა ანალიზისათვის სოციალოგებს საჭიროდ მიაჩნიათ გარკვეული სტატისტიკური აზროვნების, ისევე როგორც რაოდენობრივი გაზომვების ელემენტარული უნარების განვითარება.

სამეცნიერო მუშაობისას მათემატიკას სხვაგვარადაც იყენებენ. მათემატიკას ფიზიკოსები უკეთ იცნობენ, ვიდრე სოციოლოგები, თუმცა, მისი გამოყენება უფრო და უფრო იზრდება სოციალურ და ბიჰეივიორისტულ მეცნიერებებში. მათემატიკას იყენებენ თეორიის ჩამოსაყალიბებლად. მათემატიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი სამყაროს აღწერის , სამყაროს შესახებ მონაცემთა ანალიზისა და ჩვენი აზროვნების მოწყობისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენ ვიყენებთ ფორმალურ ლოგიკას და მათემატიკას, რომლებიც გვეხმარებიან თეორიების შექმნაში . სწორედ ამ კუთხით რიჩარდსონმა, ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა სოციალური კონფლიქტის და მისი გადაწყვეტის კვლევაში. ნაშრომი, რომლითაც ის დღეს ყველაზე მეტად არის ცნობილი, ეხება შეიარაღებაში შეჯიბრის მის მათემატიკურ ფორმულირებებს.

მართალია რიჩარდსონი ამ შემთხვევაში აქცენტს აკეთებდა შეიარაღებაში შეჯიბრზე, მაგრამ აშკარაა, რომ მისი მათემატიკური გამოთვლების გამოყენება შეიძლება ნებისმიერ საკითხებთან მიმართებაში, სადაც მხარეები ძალიან არიან დამოკიდებულნი ერთმანეთის მოქმედებებზე. ეს შეიძლება იყოს ბრძოლის სხვადასხვა სახეობა ან თუნდაც, შეყვარება.

მათემატიკური მოდელები: პირველი ნაბიჯები

თავის ამ ნაშრომში რიჩარდსონმა გაიარა რამდენიმე ეტაპი, რომლებიც მათემატიკური მოდელების განვითარების დამახასიათებელ ფაზებს წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, მან დაადგინა მთავარი ცნებები, რომლებსაც გამოიყენებდა მოდელის ძირითად ცვლადებად. შემდეგ, მან წარმოადგინა რამდენიმე დასაბუთებული ვარაუდი, თუ რა ურთიერთმიემართება არსებობს ამ ცნებებს შორის. მესამე, მან ეს ვარაუდები მათემატიკურ ფორმაში ჩასვა. ის, როგორც წესი, იდეების გამოსახატავად უფრო განტოლებას იყენებდა. მეოთხე, მან გამოიტანა დასკვნები მისი ფორმულირებების ლოგიკური შედეგების შესახებ. ყველა ამ ნაბიჯის გავლის შემდეგ, შეიძლება გამოვცადოთ მოდელი მასში კონკრეტული მონაცემების შეყვანით, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია გადავხედოთ ან დავხვეწოთ მოდელი შემდგომი გამოყენებისთვის.

რომელი ცნებები გვიჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს შეიარაღებაში შეჯიბრი? აქ მთავარი იდეა ნათელია - ერთი ერი გრძნობს საფრთხეს მეორე ერის შეიარაღების ზრდის გამო. ამას მივყავართ ისეთ ცნებებამდე, როგორიცაა, შეიარაღების რაოდენობა, შეიარაღების დონის ცვლილება და იარაღის წარმოების ღირებულება. ამას გარდა, დაგვჭირდება ცნება, რათა გამოვხატოთ, რამდენად სწრაფად ახდენს ერთი მხარე მეორის ქმედებაზე რეაგირებას, აგრეთვე, ცნება დაგროვილი უკმაყოფილების შესახებ.

როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული მთავარი ცნებები? ერთი ვარაუდი შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხარე გრძნობს საფრთხის ზრდას, როდესაც მეორე მხარის შეიარაღება ძალზედ სწრაფად იზრდება. მეორის მიხედვით : ერთი მხარე ზრდის თავის შეიარაღებას, როდესაც მას საფრთხის შეგრძნება უჩნდება. კიდევ ერთი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტად რეაგირებს ერთი მხარე მეორე მხარის ქმედებებზე, მით უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ერთის შეიარაღებაზე მეორე მხარის შეიარაღება. მართალია, შეიარაღების სიძვირე ამ ტენდენციას შეასუსტებს, მაგრამ დაგროვილი უკმაყოფილების შედეგად მოხდება გარკვეულწილად საფრთხის შეგრძნების გამძაფრება და ამდენად, შეიარაღების წარმოების დონეც აიწევს.

ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდები ძალიან მარტივი ჩანს, თუმცა, საკმაოდ ძლიერია, როდესაც მათემატიკური ფორმულირების სახეს იძენს. თუ შევიმუშავებთ განტოლებებს, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება თითოეული მხარე თუ ერი, მათემატიკური ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი ვარაუდების შედეგები. ამ განტოლებებით შეგვიძლია ჩვენ მთავარ ცვლადებად შევიყვანოთ განსხვავებული სიდიდეები, და შემდეგ დავაკვირდეთ, თუ როგორ იცვლება ამით შედეგები.

რიჩარდსონის თანახმად, შემდეგი განტოლების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ შეიარაღების ზრდა ერთი მხარის ან ერთი ერის მიერ, რომელსაც ვუწოდებთ X-ქვეყანას:

$$dx/dt=ay-mx+g$$

განტოლება გვეუბნება, რომ ერთი ერის შეიარაღების დონის ცვლილება (*dx)* დროთა განმავლობაში (*dy)* არის სამი ფაქტორის ერთად მოქმედების ფუნქცია: რამდენად ძლიერად ან სუსტად რეაგირებს ერთი მხარე მეორე მხარიდან მომდინარე საფრთხეზე *(ay)*, რამდენად ძლიერი ან სუსტია შეიარაღების წარმოების სირთულეების ზეგავლენა *(mx)* და დაგროვილი უკმაყოფილების ხარისხი *(g)*.

აღნიშვნის ღირსია რამდენიმე საგანგებო ვარაუდი, რომელიც ზემოაღნიშნულ განტოლებაშია ჩადებული, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ წარმოდგენილ მათემატიკურ ანალიზზე. პირველი არის ის, რომ ჩვენ არსებითად ვცდილობთ გავზომოთ ცვლილება, ანუ რა სხვაობა იყო რაოდენობაში დროის რაღაც მონაკვეთში, ეს კი ოდნავ უფრო რთულია, ვიდრე უბრალოდ რაოდენობის გაზომვა (ისევე როგორც ჩვეულებრივ განტოლებაში „x=”). მეორე არის ის, რომ განტოლების მარჯვენა მხარეს მდებარე გამოსახულების პირველ ორ წევრს აქვს ორი საზომი: ერთი ცვლადი (*x* ან *y*), ხოლო ერთი კონტანტა (*a* ან *m)*. ცვლადი წარმოადგენს მეორე მხარის *(y)* ან საკუთარი *(x)* შეიარაღების დონეს, რომელიც შეიცვლება შეიარაღებაში შეჯიბრის განსხვავებულ ეტაპებზე; კონსტანტა წარმოადგენს ერთი ერის მეორე ერის ქმედებაზე რეაგირების დამახასიათებელ თვისებას (ძლიერი რეაქცია *a*, ხოლო ღირებულების მიმართ მგრძნობიარობა *m*). განტოლების ეს ორი წევრი გამრავლებადია (რაც მიუთითებს მასში ჩართული ორი საზომის ახლო ურთიერთქმედებაზე), ხოლო სამი დანარჩენი წევრის კომბინაცია შეკრება-გამოკლების ოპერაციის სახით არის გამოსახული (რაც მიუთითებს მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის ხარისხზე). ყოველი მათგანი წარმოადგენს საკმაოდ ზუსტ მათემატიკურ გამოსახულებას იმ ვარაუდებისა, რომლითაც რიჩარდსონმა შეიარაღებაში შეჯიბრის თავისი ანალიზი დაიწყო.

ახლა კი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მსგავსი განტოლება, რომელიც წარმოადგენს მეორე მხარის (ერი ან ბლოკი) შეიარაღებაში ცვლილებას, რომელსაცშეგვიძლია ვუწოდოთ

Y-ქვეყანა. რიჩარდსონმა აღნიშნული შემდეგნაირად წარმოადგინა

$$dy/dt=bx=ny+h$$

სადაც *Y*-ქვეყნის შეიარაღების დონის ცვლილება, ასევე, სამ წევრიანი ფუნქციაა, რომელთაგან თითოეულ წევრს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც *X*-ქვეყნის შემთხვევაში დავადგინეთ. *b* ჩასმულია *a*-ს ადგილას, *n* კი *m*-ს ადგილას, ხოლო *h* კი *g*-ს ადგილს იკავებს, რომელთაგან თითოეული გულისხმობს, რომ განმსაზღვრებელი, რომლებიც გავლენას ახდენენ *Y*-ქვეყანაზე, შეიძლება განსხვავდებოდეს მათგან, რაც *X*-ქვეყანაზე ახდენენ გავლენას (ეს ნიშნავს, რომ ისინი უბრალოდ ერთმანეთის სარკისებური ანარეკლი კი არ არის, მიუხედავად იმისა რომ პარალელური განტოლებებად არის გამოსახული).

თუკი ამ ორ განტოლებას გავაერთიანებთ საერთო ანალიზისათვის, შეგვიძლია გამოვიყენოთ დიფერენციალური განტოლებებისათვის კარგად ჩამოყალიბებული მათემატიკური პროცედურები. შემდეგ გამოვიტანოთ ლოგიკური დასკვნები იმისდა მიხედვით, თუ რა განსხვავებული რაოდენობები შეგვყავდა ჩვენს განტოლებებში. მათემატიკური აზროვნების ძალა განსაკუთრებით ამ ეტაპზე ხდება თვალნათელი, რამდენადაც უკვე ადვილად შესაძლებელია იმის გამოთვლა, თუ რა შედეგს მივიღებთ რომელიმე საწყისი წერტილიდან. ლოგიკა შეუბრალებლად მყარი ხდება, ხოლო დასკვნები ნამდვილი, ან მინიმუმ დანამდვილებით მიჰყვება განტოლების საწყის მოცემულობას.

გაბატონებული მოდელები

შეიარაღებაში შეჯიბრის შესახებ რიჩარდსონისეული განტოლებების შედეგები შეიძლება უსაზღვროდ იცვლებოდეს, მაგრამ მათი დაჯგუფება რამდენიმე მთავარ მოდელად მაინც არის შესაძლებელი. სახეზეა შედეგების ოთხი სახეობა:

სახეობა 1.

ამ შემთხვევაში ორი მხარე სწრაფად აღწევს სტაბილურ წონასწორობას. ეს ხდება მაშინ, როდესაც მიუხედავად ორმხრივი უკმაყოფილების დაგროვებისა, დამამუხრუჭებელი ფაქტორები ან ღირებულებითი საკითხები (*m* და *n*) ერთად გადაწონის რეაგირების სურვილს (*a* და *b*).

სახეობა 2.

ამ შემთხვევაში ორი მხარე სწრაფად მოძრაობს სრული განიარაღებისაკენ. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საწყისი წერტილი არის კეთილი ნება და გადაწონის უკმაყოფილებას (ანუ, *g* და *h* უარყოფითისკენ იხრებიან), ხოლო დამამუხრუჭებელი ფაქტორები ან ღირებულებითი საკითხები ერთად გადაწონის რეაგირების სურვილს.

სახეობა 3.

აქ სახეზე გვაქვს შეუკავებელი შეჯიბრი შეიარაღებაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც საწყისი წერტილი არის უკმაყოფილების ორმხრივი დაგროვება (*g* და *h*), ხოლო რეაგირების სურვილი (*a* და *b*) გადაწონის დამამუხრუჭებელ ფაქტორებს (*m* და *n*).

სახეობა 4.

აქ სახეზეა საინტერესო გაურკვევლობა. შედეგი შეიძლება იყოს ან შეუკავებელი შეჯიბრი შეიარაღებაში ან სრული განიარაღება, ეს კი დამოკიდებულია შეიარაღების

საწყის დონეზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც რეაგირების სურვილი გადაწონის დამამუხრუჭებელ ფაქტორებს და საწყის ეტაპზე არის დაგროვებული კეთილი ნება. თუმცა, თუ ვიწყებთ შეიარაღების მაღალი დონიდან, ამ კეთილ ნებას გადაფარავს საჭიროება იმისა, რომ არ ჩამოვრჩეთ ერთმანეთის შეიარაღებას. შეიარაღების დაბალი დონის შემთხვევაში, საპირისპირო ხდება. შედეგად ვიღებთ ორმხრივ განიარაღებას. არსებობს წერტილი, სადაც ეს ორი მოდელი შეიძლება გაწონასწორდეს, მაგრამ ეს არასტაბილური წონასწორობაა. ტენდენცია მაინც ერთი ან მეორე მიმართულებით მოძრაობაში მდგომარეობს.

სახეობა 3, რა თქმა უნდა, შეიარაღებაში შეჯიბრის კლასიკურ მოდელს წარმოადგენს. როდესაც რაოდენობებს განტოლებებში ჩავსვამთ და ამ სახეს მივცემთ, ვერ გავექცევით დაკვნას, რომ შეიარაღებაში შეჯიბრი გაურკვეველი დროით გაგრძელდება და რიჩარსდონის ვარაუდით, ბუნებრივად დასრულდება ომით.

მათემატიკა და რეალობა

რამდენად კარგად მიესადაგება რიჩარდსონის მათემატიკური მოდელები რეალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს? თავად რიჩარდსონი სერიოზულად უდგებოდა თავისი მათემატიკურ მსჯელობების შესაძლო ზეგავლენებს და ცდილობდა, დაენახა, რამდენად კარგად მიესადაგებოდა ისინი საერთაშორისო ურთიერთობების რეალურ მოდელებს. მან , განსაკუთრებით კარგად შეისწავლა შეიარაღებაში შეჯიბრი, რომელიც პირველ მსოფლიო ომს უსწრებდა წინ. მან საგულდაგულოდ შეაგროვა სტატისტიკური მონაცემები ევროპული ერების ორი მთავარი ბლოკის შეიარაღების დონეებისა და სხვა ფაქტორების შესახებ. რიჩარდსონმა აღმოაჩინა ძალზედ დიდი შესაბამისობა წლიდან წლამდე შეიარაღების დონეების ცვლილებების მისეულ მათემატიკურ გათვლებსა და რეალური წარმოების მონაცემებს შორის, რომელიც მან ისტორიული წყაროებიდან მოიპოვა. მან დაასკვნა, რომ მისი მოდელი მუშაობდა. მართალია რეალობას უხეშად ამარტივებდა, მაგრამ ის მაინც საკმარისად კარგად ასახავდა რეალური სამყაროს დინამიკას და შეიძლებოდა მისი გამოყენება დასაბუთებული გათვლების გასაკეთებლად.

სხვა მეცნიერებმა, რომლებიც რიჩარდსონის კვალს მიჰყვებოდნენ, გააკრიტიკეს მისი ნაშრომის რამდენიმე დეტალი, მათ შორის ფაქტები და ვარაუდები, რომელიც მან გამოიყენა თავისი შეიარაღებაში შეიჯიბრის მოდელის გამოცდისას ევროპის მონაცემების გამოყენებით. მაგრამ რიჩარდსონის მიერ გამოყენებული ძირითადი მათემატიკა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, არც ის გავლენა, რომელიც მან მოახდინა შეიარაღებაში შეჯიბრის შემდგომ კვლევებზე. შეიარაღებაში შეჯიბრის მკვლევარები, რომლებიც რიჩარდსონის შემდეგ გამოჩნდნენ, პროცესს უფრო რთულად განიხილავდნენ, ვიდრე ეს რიჩარდსონმა წარმოადგინა. ამდენად, მათემატიკური ფორმულებიც უფრო გართულდა, რათა დასწეოდა ამ სფეროში მიმდინარე კვლევებს. მაგრამ რიჩარდსონის, როგორც ამ სფეროს პიონერის როლი, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა.

მათემატიკური გარდაუვალობა?

რიჩარდსონის მიერ შექმნილი მათემატიკური მოდელები ვარაუდობსთუ როგორ განვითარდება კონფლიქტები. გარკვეული საწყისი პირობების გათვალისწინებით, გარდაუვალი ჩანს, რომ მას მოჰყვება გარკვეული შედეგები. ეს გახლავთ მათემატიკური ლოგიკის გამოყენების

შედეგი რომელიც აღარ უშვებს სხვა სავარაუდო შედეგის არსებობას, თუკი განტოლება ერთი კონკრეტული სახით უკვე ჩამოყალიბულია. მაგრამ, ნიშნავს კი ეს იმას, რომ არ არსებობს სხვა გამოსავალი და ვეღარ გავექცევით იმ მოდელს, რომელსაც, როგორც ჩანს, შეიარაღებაში შეჯიბრისაკენ მივყავართ? ბოლომდე არა. რიჩარდსონის მათემატიკური ფორმულირებები აჩვენებდნენ მხოლოდ იმას, თუ რა მოხდება, თუკი ადამიანები არ შეწყვეტენ ფიქრს. როდესაც მათემატიკური სიზუსტით ვიცით, თუ რა მოჰყვება გარკვეულ ვარაუდებს, შეიძლება ჩვენი დარწმუნება, ვიმოქმედოთ განსხვავებული შედეგის მისაღებად. რიჩარდსონმა აღნიშნული გამოხატა წარმოსახვით კრიტიკოსთან დიალოგის ფორმით:

კრიტიკოსი: *მე მაინც არ მომწონს შენი მათემატიკის ფატალისტური ხედვა. ყველაზე ცუდი სამსახური, რაც ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გაუწიოს სამყაროს, არის იმ აზრის გავრცელება, რომ ომის მიმართულებით ტივტივი არის ბედისწერის საკითხი და მისი გაკონტროლება შეუძლებელია.*

ავტორი: *ამას მე სრულად ვეთანხმები. მაგრამ სანამ სიტუაციის გაკონტროლებას შევძლებთ, ჯერ მისი გაგება უნდა შევძლოთ. თუ ნავს მართავ იმ ვარაუდით, რომ ის უნდა წავიდეს იმ მიმართულებით, საითაც რუმპელს ამოძრავებ, ნავი უკონტროლო მოგეჩვენება. მილიტარისტი ამბობს „თუ დავემუქრებით, დაგვემორჩილებიან“. არადა, სინამდვილეში ისინი გაბრაზდებიან და სამაგიეროს გადახდით დაგემუქრებიან. მან რუმპელი არასწორ მხარეს მოათავსა. ან, მათემატიკურად თუ გამოვხატავთ, მან არასწორად გაიგო თავდაცვის კოეფიციენტის ნიშანი“.*

ინტერესთა მათემატიკური ფორმულირებები

ფული ყველაფერი არ არის

როდესაც ვფიქრობთ რაოდენობრივ საზომზე იმისა, რასაც ადამიანები აფასებენ, პირველი, რაც გვახსენდება არის ფული. ფული, არა მხოლოდ გაცვლის და კაპიტალის დაგროვების საშუალებაა, არამედ ამ ფუნქციების შესრულების პროცესში ის ღირებულების საზომსაც წარმოადგენს. როგორც წესი, უფრო იმ ნივთებს ვაფასებთ, რაშიც მეტი გადავიხადეთ. თუმცა, ფულთან, როგორც ღირებულების საზომთან, დაკავშირებულია გარკვეული პრობლემებიც. ზოგიერთი ნივთი არ გვიჯდება ძვირი, მაგრამ ჩვენი არსებობისთვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითებია ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ და წყალი, რომელსაც ვსვამთ. ისინი მხოლოდ იმიტომ არ გვიჯდება ძვირი, რომ შედარებით დიდი რაოდენობით მოიპოვება. მაგრამ ის ფაქტი, რომ ასე ცოტას გვთხოვენ იმის სანაცვლოდ, რაც ამდენად დიდ სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს, არ ამცირებს ჩვენთვის მათ ფასეულობას, თუკი მათი ღირებულების განსაზღვრას მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო ფასების თვალსაზრისით არ შევეცდებით.

ამას გარდა, არსებობს ისეთი რაღაცეები, რაც გვჭირდება და რაც არასდროს ხდება ვაჭრობის საგანი. მეგობრობა და პატივისცემა მხოლოდ ძალიან ირიბად შეგვიძლია შევაფასოთ საბაზრო თვალსაზრისით. რეალურად, ახლო მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას ჩვენი მათდამი კეთილგანწყობის საფასურად არაფერს მოველით და არც გათვლები გვამოძრავებს. ჩვენს უახლოეს ადამიანებთან ურთიერთობებში ჩვენ გავცემთ და ვიღებთ ისე, რომ სარგებელზე (ან ძალიან პატარა სარგებელზე) და საფასურზე არ ვფიქრობთ.

მაშინაც კი, როდესაც ვამართლებთ ჩვენი ღირებულებების შესაფასებლად ფულის გამოყენებას, ჩვენი კმაყოფილების დონეს ფულის ერთეულებში ზუსტად მაინც ვერ გამოვხატავთ. შესაძლოა მეტი ფული ცოტა ფულზე მეტად მოგვეწონოს. მაგრამ, შეგვიძლია კი დანამდვილებით ვთქვათ, რომ მეორე მილიონი, რომელსაც მდიდარი მაგნატი გამოიმუშავებს, თავისი ღირებულებით უტოლდება მის პირველ მილიონს? ან რომ მშიერი მათხოვარი ორმაგად აფასებს ფულს, რომელიც სჭირდება კარგი საჭმლის საყიდლად, ვიდრე ამ თანხის ნახევარს, რომლითაც უფრო პატარა, მაგრამ ნოყიერი საჭმლის ყიდვას შეძლებდა?

250 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნათლად დაადგინეს განსხვავება მონეტარულ ღირებულებასა და კმაყოფილებით გამოწვეულ ღირებულებას შორის. 1738 წელს, დანიელ ბერნულიმ გამოაქვეყნა ნაშრომი აღნიშნულ საკითხზე და მისი გადაწყვეტაც შემოგვთავაზა. მან ივარაუდა, რომ კმაყოფილებით გამოწვეული ღირებულება (ან როგორც ბერნული უწოდებს „ზნეობრივი ღირებულება“) იზრდება მის ფულად ღირებულებასთან ერთად, მაგრამ შედარებით მცირე პროცენტით. ამდენად, რეალური ღირებულებების დათვლა უნდა მოხდეს მათი ფულადი ღირებულებებიდან გამომდინარე, მაგრამ არა ერთი-ერთზე პირდაპირი ურთიერთობებიდან გამომდინარე.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ფილოსოფოსებმა და ეკონომისტებმა დაიწყეს საუბარი „სარგებლიანობაზე“, როგორც სუბიექტური ღირებულების საზომაზე. სარგებლიანობა ითვლებოდა ადამიანის ფუნდამენტური ინტერესების საზომად, მაგრამ მისი, როგორც ფსიქოლოგიური, ისე მათემატიკური საფუძვლები მაინც ბუნდოვანი დარჩა.სარგებლიანობის საფუძვლების შესახებ თეორიულად დახვეწილი თეორიის ჩამოყალიბება არ მომხდარა მეოცე საუკუნის შუა წლებამდე. მეტწილად ეს ჯონ ფონ ნოიმანის და ოსკარ მორგენშტერნის შრომის დამსახურებაა.

სარგებლიანობის თეორიული წარმომავლობა

ფონ ნოიმანი და მორგენშტერნი სარგებლიანობის გაზომვის საკითხს მიუდგნენ ფარდობითი უპირატესობების თვალსაზრისით. როდესაც არჩევანის წინაშე ვდგავართ, რას ვანიჭებთ უპირატესობას? ეს შეკითხვა გვაძლებს ძირეულ ჩარჩოს, რათა იქიდან გამოვიყვანოთ სარგებლიანობის საზომები. მათ მიერ შემოთავაზებული კონცეფციის უკან დგას კიდევ ერთი ძირითადი ვარაუდი, რომ ინდივიდები თანმიმდევრულად გვაცნობენ თავიანთ ინტერესებს. ამ ორი საბაზისო ვარაუდით დაიწყეს (სარგებლიანობის შესახებ, რომელსაც განიხილავენ გამოხატული პრეფერენციების თვალსაზრისით, და პრეფერენციებს კი თვლიან თანმიმდევრულად), ფონ ნოიმანმა და მორგენშტერნმა განავითარეს თავიანთი მარტივი, მაგრამ ძალზედ ელეგანტური სარგებლიანობის თეორია. მათ თეორიას შეუძლია სარგებლიანობის ინტერვალების გაზომვა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ჩვენი სურვილის ობიექტები გაიზომოს რეალური ციფრებით დაარა მხოლოდ ფულადი ერთეულებით. აშკარაა, რომ ეს საქმიანობა ნაკლებად პრაქტიკულია, მაგრამ იმის ფიქრიც კი საკმაოდ შთამბეჭდავია, რომ მსგავსი რამ თეორიულად შესაძლებელია.

ფონ ნოიმანი და მორგენშტერნი სარგებლიანობის გაზომვის ოპერაციის ჩასატარებლად მთავარ იარაღად ლატარეის პრინციპს იყენებენ. მათ მიერ წარმოდგენილი ლატარეა ახდენს წარმატების პროცენტული მაჩვენებელებისა და ჩვენთვის სასურველი სხვადასხვა ნივთების კომბინირებას. მაგალითად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს უფლება, არჩევანი

გავაკეთოთ ამ ორ მოცემულობას შორის:

ა) $ 50 დანამდვილებით, ან

ბ) შანსი 50/50-ზე იმისა, რომ მოვიგოთ ან 100 დოლარი ან არაფერი,

გარდა იმ შემთხვევისა როცა გულგრილი არ ვართ, ვიღებთ სარგებლიანობის შკალას, რომელიც განსხვავდება მონეტარული შკალისგან. თუ *a*-ს ავირჩევთ (რომელსაც უმეტესი ადამიანი დიდი ალბათობით აირჩევს), ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენს გამდიდრებასთან ერთად დაიკლებს შემდგომში ფულადი ერთეულების სარგებლიანობა ეს თავისებურება ბერნუილიმ დიდი ხნით ადრე აღმოაჩინა. მეორე მხრივ, თუ ავირჩევთ *b* ვარიანტს, მაშინ საქმე გვაქვს უჩვეულოდ რისკიან ადამიანთან. სწორედ ამ ტიპის ადამიანების ხარჯზე მდიდრდებიან ოფიციალური ლატარეები.

რა თქმა უნდა, ერთზე მეტი არჩევანია საჭირო, სანამ ნათელი გახდება, როგორია ადამიანის სარგებლიანობის დონის დახრა ფულად დონესთან მიმართებაში. რამდენიმე ასეული არჩევანის შემდეგ კი, შესაძლოა საკმაოდ ნათელი სურათი მივიღოთ. მაგრამ რატომ უნდა შევიზღუდოთ თავი მხოლოდ ფულად ღირებულებებზე ფიქრით? ლატარეის პრინციპის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი არჩევანის გაკეთებისას. მაგალითად, შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი არჩევანი:

ა) ალუბლის ნამცხვრის ნაჭრის მიღების გაედაუალი შესაძ;ებლობა ან

ბ) ფეხბურთის გუნდში ჩარიცხვის სურვილის ასრულების ათიდან ერთი შანსი.

ასეთი არჩევანის განხილვა, ცხადია, ძალიან სასაცილოა. მაგრამ თეორიულად ნებისმიერი სასაცილო არჩევანი, უბრალოდ ადასტურებს ლატარეის პრინციპის სიძლიერეს. ის საშუალებას იძლევა, გავავრცელოთ რაოდენობრივი მიდგომა, რათა სარგებლიანობის კუთხით განვიხილოთ ადამიანის ნებისმიერი პრეფერენცია. აუცილებელი არაა, რაოდენობრივი საზომები მხოლოდ ეკონომიკურ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში გამოვიყენოთ. მათი გამოყენება ჩვენთვის სასურველი ნებისმიერ ნივთთან მიმართებაში შეიძლება.

მეთოდი, რომელსაც ამ მიდგომიდან ვიღებთ, არის ის, რომ თეორიულად სარგებლიანობის საზომები ინტერვალთა შკალიდან გამომდინარეობს. თუმცა, ყოველი პიროვნება განხილულია, როგორც საკუთარი შკალის მქონე. ეს მიდგომა არ იძლევა სარგებლიანობის ინტერპერსონალური შედარების შესაძლებლობას; სარგებლიანობა უფრო ინდივიდუალიზებულია. მაგრამ, განა ეს პრობლემაა? განა ეს არ არის რეალუსტური გზა, წარმოვაჩინოთ მთავარი ჭეშმარიტება, რომ განსხვავებულ ადამიანებს განსხვავებული ღირებებულები აქვთ?

ჩვენ წარმოვადგინეთ ფონ ნოიმანის და მორგენშტერნის მიდგომის ყველაზე მარტივი და არამათემატიკური ასპექტების მონახაზი , რომელსაც ისინი იყენებდნენ სარგებლიანობის ერთეულების გამოსაყვანად. თუმცა, მისმა მათემატიკურმა დახვეწილობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ეკონომისტებზე, ისე იმ სფეროების წარმომადგენლებზე, სადაც უმეტესად რაოდენობრივი გადაწყვეტილებები მიიღება. ის იქცა ათვლის წერტილად თეორიისა , რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა „გადაწყვეტილების თეორიის“ სახელით. სულ მალე, განსაკუთრებით ლ. ჯ. სავაჯის ნაშრომში, ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის ნაშრომი გამოყენებულ იქნა მათემატიკისა და სტატისტიკის საფუძვლების გადახედვის საფუძვლად.

ეკონომეტრიკა და სხვა გამოყენებები

კლასიკური გადაწყვეტილების თეორია (რომელიც ეყრდნობა ფონ ნოიმანის და მორგენშტერნის სარგებლიანობის თეორიას) მალე იქცა ძირითად ჩარჩოდ ეკონომისტებისთვის, რომლებიც იკვლევდნენ ინტერესთა კონფლიქტს იმ სახით, როგორც ის საბაზრო მოვლენებში გვხვდება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ეკონომისტებს, რომლებიც უფრო რაოდენობრივ მიდგომებზე იყვნენ ორიენტირებულნი. მათ სფეროს ზოგადად „ეკონომეტრიკას“ უწოდებენ. ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ეკონომიკურ მონაცემებსა და თეორიებს მათემატიკასა და სტატისტიკასთან მიმართებაში. ეკონომეტრისტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური მოვლენები შეიძლება გამოისახოს მათემატიკური ფორმებით. ისინი შემდეგნაირად მუშაობენ: იწყებენ მათემატიკური მოდელით, შემდეგ აკვირდებიან მონაცემებს, რომლებსაც ეს მოდელები განსაზღვრავენ, , ხოლო შემდეგ გადახედავენ მოდელს, რათა მოახდინონ მისი დაახლოება ემპირიული კვლევის შედეგებთან. ეს იგივე ზოგადი სტილია, რომელიც შეიარაღებაში შეჯიბრის რიჩარდსონისეული მოდელის განხილვისას აღვწერეთ.

მართალია ეკონომიკა ყველაზე მათემატიკურად ორიენტირებულ სოციალურ მეცნიერებად იქცა, მაგრამ სხვა სფეროებში მოღვაწე მეცნიერებიც იყენებდნენ მათემატიკურ აზროვნებას თავიანთ თეორიებში. მათემატიკური აზროვნება გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებებში, ისე სოციოლოგიაშიც . ამ სფეროების წარმომადგენელ სწავლულებს შორის არიან ისინი, ვინც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოციალურ კონფლიქტს. მაგალითად, კენეთ ბულდინგის ნაშრომების უმეტესობა (რომელსაც მოკლედ შევეხეთ მე-4 თავში) ხვდება იმ ნაშრომების კატეგორიაში, რომლებიც ც სოციალური კონფლიქტის კვლევისას მათემატიკურ მიდგომას იყენებენ. უილტერ აიზარდი წარმოადგენს კონფლიქტის კვლევისა თუ მშვიდობის მეცნიერების კიდევ ერთ ლიდერს, რომლის ნაშრომები მყარად ეფუძნება მათემატიკურ აზროვნებას. მსგავსი კვალი შეგვიძლია, ასევე, აღმოვაჩინოთ ჟურნალ - „Journal of Conflict Resolution“- ში გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებშიც.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალურ მეცნიერებებში მათემატიკა ბევრი მიმართულებით გამოიყენება, მაგრამ მისი . ერთ-ერთი მიმართულება ყველაზე მეტად არის ორიენტირებული სოციალური კონფლიქტის ანალიზზე. . ეს გახლავთ მიმართულება, , რომელიც ცნობილია „თამაშთა თეორიის“ სახელით. სწორედ ინტერესთა კონფლიქტის მათემატიკურ ფორმულირებაზე გავამახვილებთ ყურადღებას ამ თავის დარჩენილ ნაწილში.

თამაშთა თეორია

თამაშთა თეორიის საფუძვლები

თამაშთა თეორია სათავეს იღებს ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის ნაშრომებიდან , როგორც მათი სარგებლიანობის თეორიის ბუნებრივი თანმხლები კომპონენტი. ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სარგებლიანობის თეორია იქცა თამაშთა თეორიის პრინციპების საფუძვლად. ნებისმიერ შემთხვევაში, მათი ნაშრომი *„თამაშთა* თეორია და ეკონომიკური ქცევა“ იქცა, როგორც ზოგადად თანამედროვე გადაწყვეტილების თეორიის, ისე, უფრო კონკრეტულად, თამაშთა თეორიის, ათვლის წერტილად.

თამაშთა თეორია იწყება რამდენიმე ზოგადი დაშვებით იმასთან დაკავშირებით, თუ რა ურთიერთმიმართებაშია სხვადასხვა ინდივიდების ინტერესები. თავისი კლასიკური ფორმით,

თამაშთა თეორია იწყება შემდეგი დაშვებებით:

1. თამაშში ყოველთვის ჩართულია ორი ან მეტი მოთამაშე, რომელთაგან თითოეულს აქვს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.
2. თითოეული არსებული ალტერნატივა კარგად არის ცნობილი თითოეული მოთამაშისთვის.
3. ყველა შესაძლო შედეგი, რომელიც შეიძლება დადგეს ნებისმიერი მოთამაშისთვის, შეიძლება გამოისახოს სარგებლიანობის ციფრობრივი საზომის სახით.
4. ყოველი მოთამაშე გააკეთებს არჩევანს, რომლისგანაც მაქსიმალურ სარგებელს მოელის.

ამ ზოგადი დაშვებების შემდეგ, თამაშის თეორეტიკოსები გადადიან მათემატიკურ ანალიზზე, თუ როგორც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტების გადაჭრა სხვადასხვა სიტუაციაში. ნაშრომების უმრავლესობა განიხილავს ორი ადამიანის თამაშებს, ანუ სიტუაციებს სადაც მხოლოდ ორი მხარეა წარმოდგენილი (იქნება ეს რეალური პიროვნებები, ჯგუფები, თუ ერები - მათემატიკისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს). თამაშის თეორია განსაკუთრებით წარმატებული იყო ორ მხარეს შორის ისეთი კონფლიქტური სიტუაციების ანალიზში, რომელსაც, ჩვეულებრივ, „ნულოვანჯამიან თამაშებს“ უწოდებენ.

ნულოვანჯამიანი თამაშები და მინიმალურ-მაქსიმალური გადაწყვეტა

ტექნიკურად თუ ვიმსჯელებთ, ნულოვანჯამიანი თამაში არის სიტუაცია, როცა ნებისმიერი შედეგის შემთხვევაშიც, ყველა მხარის სარგებელი ნულის ტოლია. სხვა მხრიდან რომ შევხედოთ, ერთი მხარე სარგებელს იღებს ყოველთვის მეორე მხარის ხარჯზე. ეს ნიშნავს, რომ ეს თამაში წარმოადგენს ნათლად ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა თამაშს. ორი მოთამაშის შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ მათ ნამდვილად აქვთ ინტერესთა კონფლიქტი.

ამჯერად არ შევალთ მათემატიკური ანალიზის დეტალებში, მაგრამ როგორც ჩანს, არსებობს მათემატიკური გზა, თუ როგორ გადაიჭრას ყველა ნულოვანჯამიანი თამაში, რომელშიც ორი მხარეა ჩართული. ნამდვილი ინტერესთა კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის ამ მათემატიკურ გზას ფონ ნოიმანმა და მორგენშტერნმა „მინიმალურ-მაქსიმალური (მინიმაქსი) გადაწყვეტა“ უწოდეს. ეს ტერმინი მიუთითებდა, რომ ცხრილის სახით გამოსახვისას, რომელსაც ისინი იყენებდნენ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზისთვის, შედეგი ყოველთვის იქნება მინიმალური სიდიდე რიგში ან სვეტში, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს მაქსიმალური მინიმალური სიდიდე. თუკი მკითხველს ამ აზრის გაგება გაუჭირდება , შეუძლია, დამშვიდდეს; სხვებმა ჩათვალეს, რომ ამ გადაწყვეტას სჯობს „მაქსიმალური გადაწყვეტა“ ერქვას, რამდენადაც რეკომენდირებული სტრატეგია გულისხმობს - გარანტირებული მინიმუმის მაქსიმიზაციას. რა ტერმინიც არ უნდა გამოვიყენოთ, მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ცდილობს მიაღწიოს შედეგს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ, „ნაკლებად უარეს“ შედეგს. ეს ნიშნავს, რომ როდესაც შენ პირისპირ ჭკვიანი ოპონენტია, რომლის ინტერესები დიამეტრალურად განსხვავდება შენი ინტერესებისაგან , საუკეთესო გადაწყვეტა თქვენთვის (და თქვენი ოპონენტისთვის) არის იმ ვარიანტის არჩევა, რომლის შედეგად იმის მაქსიმუმს იღებ, რისი გარანტიაც გქონდა. ეს იმაზე მიუთითებს (და ფონ ნოიმანმა და მორგენშტერნმა ეს მათემატიკურად დაამტკიცეს), რომ ყველა ნულოვანჯამიან თამაშს, რომელშიც ორი მხარეა ჩართული, აქვს წონასწორობის წერტილი, რომელშიც

ორივე მხარე შეხვდება ერთმანეთს, თუ მიჰყვებიან თავიანთ ინტერესს. ფონ ნოიმანმა და მორგენშტერნმა მაქსიმალური გადაწყვეტა გამოიყენეს ასევე, კოალიციების ანალიზისას, ანუ ისეთ თამაშებში, სადაც ორზე მეტი მოთამაშეა წარმოდგენილი (თამაშების თეორიის ენით რომ ვთქვათ „n-პირიანი თამაშები“).

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ნულოვანჯამიან თამაშს არ აქვს პირდაპირი მინიმალურ-მაქსიმალური გადაწყვეტა. ზოგიერთ (სინამდვილეში კი, უმრავლეს) სიტუაციაში, თამაშის მათემატიკური წონასწორობის წერტილის პოვნამდე უნდა მოხდეს ორივე მოთამაშის შემთხვევაში სხვადასხვა სტრატეგიული ნაზავის ანალიზი. ეს კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტა არის არა უბრალოდ არჩევანი, არამედ მათემატიკური საფუძვლის მქონე რამოდენიმე არჩევანის კომბინაცია. მაგრამ აქაც კი, ყოველთვის არსებობს გამოთვლადი მათემატიკური გადაწყვეტა, თუკი თამაშების თეორიის დაშვებებს მივყვებით.

მოდით ნუ უგულებელვყოფთ ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის მიღწევებს მინიმალურ-მაქსიმალური თეორემის განვითარებაში, რომელიც მათემატიკურად ამტკიცებს, რომ ყველა ნულოვანჯამიან თამაშს აქვს გადაწყვეტა. . ეს კი მიუთითებს, რომ ყველაზე მწვავე კონფლიქტებსაც კი, სადაც მკვეთრად საპირისპირო ინტერესებია წარმოდგენილი, შეიძლება ჰქონდეთ გადაწყვეტის გზები - თუკი დაინტერესებული მხარეების ინტერესების მათემატიკურ ფორმულირებებად გადათარგმნას შევძლებთ.

ნულოვანჯამიანი თამაშები და მრავალჯერადი გადაწყვეტები

კარგი იქნებოდა შეგვეძლოს იმის თქმა , რომ არსებობს მათემატიკურად გამოსახული ყველა კონფლიქტის გადაწყვეტის საერთო მეთოდი. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. მინიმალურ-მაქსიმალური თეორემა გადაწყვეტას მხოლოდ ნულოვანჯამიანი თამაშებისთვის იძლევა. სხვა სახის სიტუაციების განხილვისას (და ნულოვანჯამიანი თამაშები წარმოადგენს რეალურ მსოფლიოში არსებული კონფლიქტების უმრავლესობას), გადაწყვეტამდე მისვლა არც თუ ისე მარტივია.

არსებობს ზოგიერთი არანულოვანჯამიანი თამაში, თითქმის სრული ინტერესთა კონფლიქტით, რომლისთვისას მინიმალურ-მაქსიმალური გადაწყვეტა შეიძლება გონივრული გადაწყვეტა იყოს. თუმცა, ნათელი არ არის, სად გადის გამყოფი ხაზი იმ თამაშებს შორის, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება მივმართოთ მინიმალურ-მაქსიმალური გადაწყვეტას და იმ თამაშებს შორის, რომელთა შემთხვევაშიც შეუძლებელია მისი გამოყენება.

ნულოვანჯამიანი თამაშების მეორე უკიდურესობაა თამაშები, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სრულიად არ არსებობს. მათ ხანდახან უწოდებენ „კოორდინაციულ“ თამაშებს, ან ნამდვილი თანამშრომლობის თამაშებს. მათემატიკური გადაწყვეტის მიღწევა აქ პრობლემას არ წარმოადგენს; თუმცა, როდესაც ერთზე მეტი შედეგი აკმაყოფილებს გადაწყვეტის კრიტერიუმებს, ხშირად რთულდება მოთამაშეთა მოქმედებების კოორდინაცია ორივესთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. ეს კი, როგროც ჩანს, უკვე არის არა მათემატიკური, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა. იგი მოითხოვს ორმხრივ შეთანხმებას, თითეული მოთამაშის ნაბიჯების კოორდინაციის მიზნით, რაც, როგორც წესი, ადვილია, თუკი არსებობს თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა .

ნამდვილ კონფლიქტურ (ან ნულოვანჯამიანი) თამაშებსა და არაკონფლიქტურ (ან თანამშრომლობით) თამაშებს შორის, გვაქვს ძალიან შერეული მოტივაციის მქონე თამაშების

უამრავი ნაირსახეობა. ასე ვუწოდებთ მათ საპირისპირო და საერთო ინტერესების კომბინაციის გამო. ამგარი კომბინაცია ნამდვილად ართულებს გადაწყვეტების ან წონასწორობის მათემატიკურ ძიებას. მართლაც, ბევრი მათგანის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს წონასწორობის მდგომარეობები, მაგრამ ისინი არ აკმაყოფილებდეს გადაწყვეტის გონივრულ კრიტერიუმებს (მაგალითისთვის, თამაშების ერთ-ერთი ასეთი სახეობაა „პატიმრის დილემა, რომელიც მე-2 თავში მოკლედ განვიხილეთ).

სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ შერეული მოტივაციის მქონე თამაშების გადაწყვეტა შეუძლებელია. არსებობს რამდენიმე, მათ შორის ჯონ ნეშის მიერ შემოთავაზებული მიდგომა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია მათემატიკოსებს შორის. თუმცა, ყოველთვის შეიძლება წამოიჭრას თეორიული შეკითხვები; შეკითხვები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ერთი რომელიმე მიდგომა არასდროს აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, რომელიც მათემატიკურ გადაწყვეტას ესაჭიროება.

რეზიუმე და დასკვნები

რეზიუმე

კონფლიქტის ან მისი გადაწყვეტის ფორმალური თეორია მთავარ აქცენტს აკეთებს მისი განზოგადებების ლოგიკურ და მათემატიკურ ბუნებაზე. ამ თეორიების განმარტებითი ნაწილი ჩვეულებრივი,, ხოლო მთავარი იდეები მათემატიკური ენითაა გამოსახული. ამგვარ ჩარჩოში, სოციალური კონფლიქტი უმეტესწილად განიხილება რაოდენობრივად გამოხატული ურთიერთობების გამოვლინებად; ხოლო კონფლიქტის გადაწყვეტა განხილულია ამგვარი ურთიერთობების დინამიკაში სტაბილურობის ან წონასწორობის პოზიციების თვალსაზრისით.

ლუის რიჩარდსონის და შეიარაღებაში შეჯიბრის მისეული რაოდენობრივი ანალიზის განხილვის გზით წარმოვადგინეთ ფორმალური თეორია. რიჩარდსონი შეეცადა ჩაეტარებინა სოციალური კონფლიქტის ზედმიწევნით რაოდენობრივი კვლევა . მისი ნაშრომი შეიარაღებაში შეჯიბრის შესახებ მათემატიკური მოდელების ჩამოყალიბებისა და გამოყენების კარგი მაგალითია.

სხვა ფორმალურ თეორიებს შორის, ჩვენ განსაკუთრებით განვიხილეთ სარგებლიანობის თეორია, რომელიც ჩამოაყალიბეს ფონ ნოიმანმა და მორგენშტერნმა. აღნიშნული თეორია ადამიანური ინტერესების ინტერვალთა შლაკაზე წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ამან კი, თავის მხრივ, განსაკუთრებული გამოყენება ჰპოვა ეკონომეტრიკასა და თამაშთა თეორიაში.

თამაშთა თეორიის შესახებ მსჯელობისას, განვიხილეთ როგორ შეიძლება ინტერესთა კონფლიქტის მათემატიკური ანალიზის გამოყენება, არა მხოლოდ მოთამაშეთა სტრატეგიების შესაფასებლად, არამედ, ასევე, იმის განსაზღვრისთვის, თუ როგორც შეიძლება მათ კონფლიქტის გადაწყვეტის საერთო გზებზე იფიქრონ. თუმცა, კონფლიქტის კარგი მათემატიკური გადაწყვეტის კრიტერიუმები შეიძლება განსხვავებული იყო განსხვავებული სახის თამაშისთვის.

დასკვნები

ყველაზე ზოგადი დასკვა, რომელიც გამომდინარეობს ამ თავში განხილული მასალიდან, ავტორის აზრით, არის ის, რომ ფორმალურ თეორიას გააჩნია ის ელეგანტურობა და ძალა, რომელიც სხვა სახის თეორიებს არ აქვთ. ფორმალური თეორიების ელეგანტურობა იმაში გამოიხატება, რომ ჩამოყალიბებულია მარტივი მათემატიკური ფორმულირებები, რომელთაც გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული, ლოგიკური სტრუქტურა. ისინი ძლიერია იმ გაგებით, რომ მათგან შედეგები უწყვეტად გამომდინარეობს. ისინი იმ გაგებითაც არის ძლიერი, რომ ერთი მათემატიკური მოდელი სხვადასხვა ფენომენთან მიმართებაში შეიძლება იქნას გამოყენებული.

უფრო კონკრეტულად, კი გთავაზობთ შემდეგ დასკვნებს :

ა) შეიარაღებაში შეჯიბრი წარმოადგენს ძალზედ დინამიურ მოვლენას, რომლის საბოლოო შედეგები მკაცრად არის განპირობებული საწყისი ურთიერთობებით. საწყის პირობებში მცირე განსხვავებებმაც კი, ხანდახან, სრულიად განსხვევებული საბოლოო შედეგები შეიძლება მოგვცეს.

ბ) ადამიანური ინტერესების გამოხატვა რაოდენობრივად შეიძლება ფულის გარდა სხვა საშუალებებითაც. სარგებლიანობის თეორია საშუალებას იძლევა, სისტემურად გამოვიკვლიოთ კონფლიქტის პროცესები და კონფლიქტის გადაწყვეტა რაოდენობრივი და არა, მხოლოდ უბრალოდ ფულადი ღირებულების თვალსაზრისით.

გ) ინტელექტუალური თვალსაზრისით, უფრო მარტივია ნამდვილ კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, ვიდრე ისეთ სიტუაციებთან, რომელშიც მოცემული გვაქვს კონფლიქტური და საერთო ინტერესების ნაზავი. ნულავანჯამიან თამაშებში დაპირისპირება აშკარაა, შესაბამისად მათი გადაწყვეტა მათემატიკურად უფრო ადვილია, ვიდრე შერეული მოტივაციის მქონე თამაშების.

აქვე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ზოგიერთი პრობლემა, რომელიც თვალნათლივ ჩნდება ფორმალურ მოდელებთან მუშაობისას. პირველი, ადამიანების უმეტესობა საკმარისად ისე კარგად ვერ მოიხმარს ფორმალური ლოგიკას და მათემატიკურ ენას, როგორც ჩვეულებრივ ენას. ამდენად, უცნაურიც კი გვეჩვენება თუნდაც მარტივი მათემატიკური მოდელების გამოყენებით მუშაობა; ჩვენ ხომ ჩვეულებრივ ამგვარად არ ვფიქრობთ. მეორე, ფორმალურთეორიაში გამოყენებული მთავარი საგანი არ გვაქვს რეალურ სამყაროში ; ის მათემატიკის სამყაროს წარმოადგენს. მართალია, ემპირიული რეალობის სამყაროსთან დაკავშირების იმედი გვაქვს, მაგრამ ეს არ გახლავთ ჩვენი მთავარი ყურადღების საგანი. ამდენად, მათემატიკურ მოდელებზე შეიძლება ბევრს ვმუშაობდეთ, მაგრამ დარწმუნებული მაინც არ ვიყოთ, ასახავს თუ არა ის რაიმეს თავისი მათემატიკური სივრცის გარეთ. ადამიანების უმეტესობისათვისეს მოუხერხებელი სიტუაციაა. და ბოლოს, მაშინაც კი, როდესაც მათემატიკური მოდელის დიდი ნაწილი თითქოს რეალობის კარგ წარმოდგენას იძლევა, ისინი, ჩვეულებრივ, ისეთ ვარაუდებს წარმოადგენენ, რომლებიც, თვალსაჩინო რეალობის უხეში გამარტივებაა. ბუნებრივია, მსგავსი მოსაზრება შეიძლება ნებისმიერი თეორიის შესახებ გამოვთქვათ. თუმცა, პრობლემა უფრო სერიოზულია ფორმალური თეორიის შემთხვევაში; ამ შემთხვევაში, დასკვნების გამოტანის პროცესების სიზუსტემ შეიძლება შექმნას მცდარი შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილი პირველადი დაშვებები გონივრული და დამაჯერებელია.

საკვლევი არეალის გაფართოება

პეტერ ვოლენსტინი[5]

კონფლიქტი, გადაწყვეტა და პრევენცია

ომის კორელატებიდან (Correlates of War) კონფლიქტის შესახებ მონაცემებამდე

დიდი ომების გაგება არსებითად მნიშვნელოვანია მშვიდობის კვლევისათვის. მეოცე საუკუნის მანძილზე მუდმივად არსებობდა ახალი მსოფლიო ომის შიში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მშვიდობის კვლევებს ბირთვული ომის შიში წარმართავდა. ამდენად, მონაცემები, რომელიც შეგროვდა პროექტის „ომის კორელატები“ „Correlates of War“ (COW, როგორც განხილულ იქნა მე-3 თავში) ფარგლებში, ეხებოდა ფუნდამენტურ შეკითხვას ომისა და მშვიდობის შესახებ: რა პირობებშია მოსალოდნელი კიდევ ერთი დიდი ომი წამყვან სახელმწიფოებს შორის და რამდენად, რისი გაკეთებაა საჭირო ამ მოვლენის პრევენციის მიზნით? საკითხის გადაწყვეტის, გზას ხედავდნენ სახელმწიფოთაშორისი სისტემის სტუქრუტურულ ცვლილებებში, რაც გულისხმობს, ძალის ახალ კონფიგურაციას და საერთაშორისო ორგანოსათვის გაზრდილი უფლებამოსილების მინიჭებას. აღმოჩნდა, რომ აქამდე გამოყენებულმა ჩვეულებრივმა რეცეპტებმა, მაგალითად, ძალთა ბალანსმა და ალიანსებმა, ახალი საფრთხეები წარმოშვეს. იდეები, რომლებიც აქცენტს აკეთებდნენ სტრატეგიაზე, რომელსაც ძალები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდნენ (მაგალითად, უნივერსალიზმი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ნდობის აღდგენისკენ მიმართული მიდგომები), ხშირ შემთხვევაში, განიხილებოდა დროებითად და ზედმეტად „რბილად“ საიმისოდ, რომ შედეგად სტრუქტურული ცვილილებები მოეტანა. თუმცა, ცივი ომი დასრულდა უმეტესწილად სწორედ ამ იდეების საშუალებით. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის საერთაშორისო დაძაბულების შენელებამ შექმნა პირობები, რომელის ფარგლებშიც საბჭოთა კავშირის რეფორმა და მისი დაშლაც კი გახდა შესაძლებელი. მსგავსად ამისა, ჩინეთის ლიდერები ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ხაზს უსვამდნენ „ჰარმონიულ“ ურთიერთობებს მსოფლიოსთან, რაც მათივე ზრდას უწყობდა ხელს. უნივერსალისტური პოლიტიკის გავლენები, შეიძლება, სინამდვილეში, უფრო რთულად პროგნოზირებადი იყოს, ვიდრე ტიპიური პოლარიზაცია და გაზრდილი რისკები, რაც პარტიკულარიზმს მოსდევს.

ოცდამეერთე საუკუნეში შეიცვალა შეიარაღებული კონფლიქტის დღის წესრიგია. 1990-იან წლებში წინა პლანზე გადმოინაცვლა სამოქალაქო ომებმა და საზოგადოებების დაშლა-დაცემამ, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისში აქტუალური გახდა ტერორისტული ომები დასავლეთის ქვეყნებსა და არა-სახელმწიფოებრივ აქტორებს შორის, რომლებიც ხშირად სწორედ იმ სახელმწფიოებში ფუძნდებოდნენ, რომლებიც წინა ათწლეულის განმავლობაში „განიცდიდნენ კოლაფსს“. ამდენად, დღის წესრიგში დადგა იმ კონფლიქტებთან გამკლავების გზების კვლევის საკითხი, რომელთაგან ყველა არ იყო მაინცდამაინც ტერორიზმთან დაკავშირებული, თუმცა ბევრმა მათგან მა გამოავლინა ცალმხრივი ძალადობაც. ეს გამოწვევები სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებთან და მსოფლიო ომებთან შედარებით. მართლაც, მათ მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები ხშირ შემთხვევაში მარტივი იყო და მოიცავდა ისეთ მეთოდებს, როგორიცაა მცირე შეიარაღება, პარტიზანული ტაქტიკები, სექსუალური ძალადობა ან სასიკვდილო ქამრების წარმოება, იმპროვიზირებული ასაფეთქებელი

5 Wallensteen Peter. “Widening the Researchable: conflict, resolution and prevention.” In Peace Research, 105-110. New York, Routledge, 2011.

მოწყობილობები (IEDs) და თვითმკვლელების რეკრუტირება, ადამიანური ტრეფიკინგის გზით. მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, მათ მაინც შეეძლოთ გამანადგურებელი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებებზე, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ასევე, მათი აქტივობების შედეგად წარმოქმნილი ხალხის ნაკადებზე, რაც ეპიდემიებსა და ადრეულ სიკვდილიანობას იწვევდა.

ამდენად, ახალი ტიპის კონფლიქტები, რომელთაც ყურადღება უნდა მიექცეს, წინა კონფლიქტებთან შედარებით განსხვავებული ხარისხის იყო. ამიტომაც, იმატა უპსალას კონფქლიტის მონაცემთა პროგრამის (Uppsala Conflict Data Program - UCDP) საჭიროებამ. ის მიზნად ისახავდა, უფრო მცირე შეიარაღებულ კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. ამ პროექტის ისტორია მე-9 თავშია მოთხრობილი. ეს ინფორმაცია, გარდა ამისა, საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ეს კი ქმნის კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე პრევენციის შესაძლებლობას. მე-10 თავში ნაჩვენებია, რომ აღნიშნული საკითხი არ განხილულა მეთოდოლოგიურად სწორად და ამდენად, ახალ გზებს გვთავაზობს.

მართალია ინტელექტუალური თვალსაზრისით UCDP ეყრდნობოდა COW-ს, ის, ასევე, თავიდანვე მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა უთანხმოებები ან შეუთავსებლობები, როგორც კონფლიქტის მნიშვნელოვანი ასპექტები. აღნიშნული კომპონენტები არ შედიოდა COW-ის მიერ სახელმწიფოთაშორისი ომის განმარტებაში. ის უგულველყოფილიც კი იქნა, როგორც უმნიშვნელო ასპექტი. „ისინი მოტივებს ჰგვანან, ხოლო მოტივი ვერასდროს იქნება ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა“, ასეთი განმარტება მისცა ამ წიგნის ავტორს პროფესორმა ჯ. დავიდ ზინგერმა, როდესაც ისინი, 1980 წლის გაზაფხულზე, მიჩიგანში, ამ საკითხს განიხილავდნენ. ზინგერი შეიძლება მართალიც კი იყო იმაში, რომ საფუძველში ჩადებული ამბიციები ხშირად შეიძლება პერსონალურ ან კოლექტიურ ძალაუფლებასთან იყოს კავშირში. სწორედ ამაში მდგომარეობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისთვის დამახასითებელი რეალპოლიტიკის მისწრაფებები. მიუხედავად ამისა, ასევე შეიძლება დავა იმ საკითხზე, რომ თუ „ჩვენ“ შევეცდებით კონფლიქტის „გადაჭრას“ ომის გარდა სხვა გზებით, მაშინ რეალური უთანხმოება შესაძლოა უფრო დიდი იყოს. წინამდებარე ავტორისთვის ცხადი იყო, რომ COW-ის მთავარი თემა კონფლიქტის გადაწყვეტა არ იყო, და არც უნდა ყოფილიყო, არამედ, მისი მიზანი იყო ომის წარმომავლობის და საფუძვლების გაგება. ამის უკან ის არგუმენტი იდგა, რომ „თუ გვეცოდინება ეს მიზეზები ან მიმართებები , მაშინ შესაძლებელი იქნება რეალური საკითხების მოგვარებაც .“ იმის გათვალისწინებით, რომ ეს გრძელვადიანი სამეცნიერო და (არანაკლებ) პოლიტიკური დღის წესრიგია, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს მოლაპარკებების, შეთანხმებების და მედიაციების საჭიროება. ჩვენი საუბრები სხვა საკითხებსაც შეეხებოდა, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ კონფლიქტებზე დაკვირვება მაშინაც არის საჭირო, როდესაც ისინი მცირეა. თუმცა, ერთ დღეს, ზინგერმა მეგობრულად დაასრულა ჩვენი დისკუსია: „თუ არ მოგწონს რასაც მე ვაკეთებ, თავად მოიფიქრე რამე!“ ეს სოლიდური რჩევა იყო და შედეგად, წარმოიშვა უპსალას პროექტი, რომელმაც შემდეგ ათწლეულებში უფრო კონკრეტული ფორმა შეიძინა.

მყიფე პროექტიდან სტაბილურ პროგრამამდე

UCDP მშვიდობისა და კონფლიქტის საკითხების სისტემატური კვლევისათვის მონაცემთა მთავარ მიმწოდებლად იქცა. ის მდებარეობს უპსალას უნივერსიტეტში, უპსალაში (შვედეთი) (www.ucdp.uu.se). ამჟამად მას უნივერსისტეტი აფინანსებს და ფეხზე მყარად დგას. პროექტი თანამშომლობს სხვა ინსიტუტებთან, როგორიცაა მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი, ოსლო, ნორვეგია (PRIO),; SIPRI (სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი) სტოკჰოლმი, შვედეთი და საერთაშორისო მშვიდობის კვლევების ნოტრდამის უნივერსიტეტის კროკის ინსტიტუტი, ინდიანა, აშშ. თუმცა, კონფლიქტების მონაცემები უპსალადან მომდინარეობს და პროექტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მონაცემები ყოველთვის მისი პირველწყაროდან იქნას მიღებული (თანაც ისინი უფასოა!), რათა უზრუნველყოფილ იყოს მუდმივად განახლებული მონაცემების გამოყენება. მისი შემადგენელი ნაწილია უპსალას კონფლიქტების მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს კონფლიქტების დეტალურ აღწრებს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს „ნედლ მასალას“ მონაცემთა ნაკრებისთვის.

უპსალას მიერ წარმოდგენილი ძირითადი განსაზღვრება შემდეგში მდგომარეობს: „შეიარაღებული კონფლიქტი არის მეტოქეობრივი შეუთავსებლობა, რომელიც ეხება მთავრობას და/ან ტერიტორიას, სადაც შეიარაღებული ძალის გამოყენებას ორ მხარეს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არის სახელმწიფოს მთავრობა, შედეგად მოაქვს საბრძოლო მოქმედებების შედეგად მინიმუმ ოცდახუთი დაღუპული ერთი კალენდარული წლის განმავლობაში“. ამ განსაზღვრების უკან მდგარი არგუმენტაცია წარმოდგენილია მე-9 თავში, რომელშიც აღნიშნული პროექტი უფრო ფართოდ არის განხილული. UCDP-ის ცენტრალურმა როლმა რა თქმა უნდა, დისკუსია გამოიწვია (მაგალითად, Sollenberg and Wallensteen, 2008).

UCDP-ს მკვლევარებმა სხვების აზრსაც დაუგდეს ყური და UCDP-მ ეტაპობრივად სცადა იმ წინააღმდეგობის გაქარწყლება, რომელიც მის მიერ წარმოდგენილმა ძირითადმა განსაზღვრებამ წარმოშვა. შესაბამისად, UCDP-მ გადაწყვიტა შეეგროვებინა შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ ინფორმაციაზე დამატებითი მონაცემები. მისი მონაცემები შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ კვლავაც დროის ყველაზე გრძელ მონაკვეთს და ყველაზე ვრცელ ინფორმაციას მოიცავს. დამატებით, UCDP-ს ვებ-გვერდზე დღეისათვის წარმოდგენილია ინფორმაცია არასახელმწიფოებრივ აქტორებს შორის კონფლიქტების (რაც არბილებს მოთხოვას, რომ ცენტრალური აქტორი უნდა იყოს მთავრობა) და ცალმხრივი ძალადობრივი აქტების შესახებ, რაც გულისხმობს ძალის გამოყენებას არაორგანიზებული მხარის მიმართ (მაგ., სამოქალაქო პირების მიმართ) მთავრობის ან არასახელმწიფოებრივი აქტორების მხრიდან.

შენარჩუნებული იქნა კრიტერიუმი საბრძოლო მოქმედბების შედეგად ოცდახუთი დაღუპულის შესახებ, რამდენადაც ის შეფასებულია, როგორც მიმდინარე, ორგანიზებული მოქმედების ყველაზე გონივრული საზომი . ამ ზღვარს ქვემოთ, ანალიტიკოსი წააწყდება უფრო სხვა სახის ძალადობრივ აქტებს, მაგალითად, პოლიტიკურ მკვლელობებს (UCDP ავითარებს მონაცემთა ნაკრებს) ან შემთხვევით ინდივიდუალურ ქმედებებს ან მასობრივ მკვლელობებს. რა თქმა უნდა, ისინიც ამაზრზენი ფაქტებია, მაგრამ კონკრეტული პიროვნებების ან პირადი ურთიერთობების შედეგები უფროა, ვიდრე საზოგადოებრივი კონფლიქტი. კონფლიქტოლოგიის საბოლოო მიზანს სწორედ ამ უკანასკნელის გაგება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, კვლევას იმსახურებს იარაღის ხელმისაწვდომობის საკითხი, რომელსაც მკვლელობისთვის იყენებენ.

„მშვიდობის კვლევების ჟურნალში“ გამოქვეყნებულმა ყოველწლიურმა სტატიებმა დიდი როლი ითამაშა UCDP-ს მონაცემების ცნობადობის გაზრდაში. ეს გახლდათ ჟურნალის რედაქტორთან, ნილს პეტერ გლედიჩთან ახლო თანამშრომლობის შედეგი. ამ ნაწილის ავტორი აღნიშნული სტატიების შესაქმნელად თანამშროლობდა სხვადასხვა კოლეგასთან, თავდაპირველად კარინ აქსელთან, შემდეგ ბევრი წლის განმავლობაში მარტარეტა სოლენბერთან, ხოლო ბოლო წლებში ლოტა ჰარბომთან (ამჟამად ლოტა თემნერი). თანა-ავტორები არა მხოლოდ წერდნენ სტატიებს, არამედ პასუხისმგებელნი იყვნენ იმ მონაცემების შეგროვებაზეც, რომელიც მათში შედიოდა. ამდენად, მათი მოვალეობები ფართო და ამავე დრო შეუცვლელი იყო ამ პროექტისათვის.

არსებობს, რა თქმა უნდა, სხვა რამდენიმე პროექტი, რომელიც კონფლიქტის მონაცემებზე მუშაობს. ამ აკადემიურ პროექტთა უმრავლესობა წარმოადგენილი იყო უპსალაში, შვედეთი, 2001 წელს გამართულ დიდ კონფერენციაზე (Granberg *et al.* 2002), რამაც საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე მსგავსი პროექტების მიმოხილვის კარგი შესაძლებლობა შექმნა. ასევე, გამოჩნდა ის სირთულეები, რომელიც წლების განმავლობაში პროექტების შენარჩუნებას ახლავს თან. აქ მხოლოდ დაფინანსების საკითხი არ დგას. ხშირად იცვლება თავად მკლევარების ინტერსებიც. თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, როგორც მუდმივი პერსონალი, ისე კარგად გააზრება იმისა, თუ რას ემსახურება პროექტი. კონფერენციის შედეგად UCDP-ს გუნდი ენერგიულად ცდილობდა, UCDP-სთვის სტაბილურობის გარანტიები შეექმნა. იყო ბევრი მცდელობა დაფინანსების მიღებისა დიდი სააგენტოებიდან, ასევე, შეთავაზებები ფინანსური კონსორციუმების შესაქმნელად, ან სამთავრობო დაფინანსების მოსაპოვებლად (მაგალითად, როგორიცაა SIDA, შვედეთის განვითარების სფეროში თანამშრომლობის ორგანიზაცია). თუმცა, საბოლოოდ, 2009 წელს იპოვეს საუკეთესო გამოსავლი, რომელიც დღემდე მუშაობს: მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევის დეპარტამენტმა უპსალას უნივერსიტეტისგან მიიღო მუდმივი საბიუჯეტო დაფინანსება მკაფიო მითითებით, რომ დაეფინანსებინათ UCDP. ამით უზრუნველყოფილია პროექტის სტაბილურობა, რაც ამ სფეროში საკმაოდ იშვიათია.

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებიდან კონფლიქტის მართვამდე

შეიარაღებული კონფლიქტის განსაზღვრების შემადგენელმა კომპონენტმა შეუთავსებლობის შესახებ, მეცნიერების ყურადღება წარმართა სამშვიდობო პროცესებისა და სამშვიდობო შეთანხმებების კვლევის მიმართულებით. როგორ უნდა მოვექცეთ ამ შეუთავსებლობებს, როდესაც მხარეებს ძალადობრივი ურთიერთოებიდან უფრო კონსტრუქციულ ურთიერთობაში სურს გადასვლა? კონფლიქტის გადაწყვეტის ანალიზში UCDP-ს თავისი როლი აქვს. ავტორის წინამდებარე ნაშრომში, *„კონფლიქტოლოგიის გაგებისთვის“*, სწორედ ეს არის მთავარი პრობლემური საკითხი, რომელიც პირდაპირ ეფუძნება UCDP-ს ნაშრომს. UCDP-ს სამშვიდობო შეთანხმების შესახებ მონაცემების პირველი გამოცემა წარმოდგენილია მე-11 თავში. ამ ინფორმაციის დამუშავებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემმა თანაავტორმა, ქალბატონმა სტინა ჰოგბლადმა,

COW-ს ძლიერი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დროის ბევრად ხანგძლივ პერიოდს მოიცავს და იწყება 1816 წლიდან. UCDP-ს ერთ-ერთი ძლიერი მხარე კი არის ინკლუზიურობის უფრო დაბალი ზღვარი, რითაც, მართალია დროის უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მაინც უფრო მეტ მონაცემს იძლევა, ასევე, ახერხებს იმ დინამიკის დაჭერას, გადაიზარდა შიდა კონფლიქტები ომში თუ არა. ამდენად, ის

ნაწილობრივ ავსებს კიდევ COW-ს მონაცემებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გასამხედროებული დავების შესახებ. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ბევრი მკვლევარი 1946 წლის შემდგომ პერიოდს განიხილავს, როგორც უფრო მართებულს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, როგორც უდიდეს გამყოფ ხაზს ისტორიაში. ეს კი, ამ ნაწილის მე-3 თავში იქნა განხილული.

შედარებით მცირე შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებისა და მათი შესაძლო ესკალაციის კვლევა არის სფერო, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა 1990-იან წლებში შეიძინა. ცივი ომის დასრულებას ახალი კონფლიქტების სწრაფი ტალღა მოჰყვა, ხოლო მათ გადაჭრასთან დაკავშირებული სირთულეები გამოწვევად იქცა ბევრი გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის.კონფლიქტების პრევენცია ყურადღების ცენტრში მოექცა. კარნეგის კორპორაციამ წამოიწყო დიდი პროექტი (რომლის დასკვნითი ანგარი გამოქვეყნდა 1997 წელს) და ამ თემაზე მოეწყოსაერთაშორისო კონფერენციები , მათ შორის უპსალაში (Wallensteen 1998; Wallensteen *et al*. 2001). თუმცა, კვლევათა უმრავლესობა ეყრდნობოდა არაოფიციალურ მონაცემებს და რთული იყო იმის წარმოჩენა, ჰქონდა თუ არა პრევენციულ ღონისძიებებს გავლენა მოვლენათა განვითარებაზე. თითქმის შეუძლებელია პასუხის გაცემა შეკითხვებზე , თუ რა იქნებოდა იმ შემხთხვევაში, კონკრეტული ჩარევა რომ არ მომხდარიყო. თუმცა, ასეთი კითხვები გამოდგება სტატისტიკური ანალიზისთვის, რომლის საშუალებით შესაძლებელია ალბათობების გამოთვლა. ეს კი მოითხოვს იმ მონაცემებზე წვდომას, რომელთა გამოყენებითაც უნდა ჩატარდეს მსგავსი კვლევა მე-11 თავში, წინამდებარე ავტორმა, ქ-ნ ფრიდა მიოლერთან ერთად, იმის დემონსტრირება მოახდინა, თუ რაოდენ საჭირო იყო ამ სფეროს განვითარება, და შემოგვთავაზა ახალი მიდგომა. შედეგად, დაიწყეს დაფინანსების წყაროების ძიება. ასეთი აღმოჩნდა პროექტი Minorities at Risk (მერილენდის უნივერსიტეტი) და კვლევაც ჩატარდა (ობერგი და სხვ. 2009).

აღნიშნულის პარალელურად, გრანტის მოპოვების შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ეყრდნობოდა UCDP-ს კრიტერიუმებს. უკვე არსებობს პირველი შედეგები, რომლებიც მოცემულია მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ეწოდა MILC (მელბურნი და ვალენშტინი 2008; მელანდერი და სხვ. 2009). კვლევების ამ ხაზების პარალელურად მუშაობა გრძელდება და მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას თვალი შეგიძლიათ მიადევნოთ UCDP-ს ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მცდელობები საკმაოდ იშვიათია და ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე მსგავსი კვლევაა გამოქვეყნებული. ყველაზე ახლოს მასთან დგას კენტენბერის უნივერსიტეტში(კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია) ჯეიკობ ბერკოვიჩის და ალაბამას უნივერსიტეტში (აშშ)კარლ დერონენის ნაშრომები . ასევე, აღსანიშნავია უახლეს სტატიებში გამოქვეყნებული კვლევები მედიაციისა და სამშვიდობო შეთანხმებების შესახებ, რომლებიც იყენებენ გლობარულ მიდგომას (დერუენი და სხვ. 2009) და რეგიონულ ფოკუსს (ვალენსტინი და სხვ. 2009).

ყურადღების ცენტრში ამჟამად იმყოფება მესამე მხარის მიერ წარმოებული პრევენციული მოქმედებები. სახეზეა მზარდი ინტერესი მედიატორებისა და მათი მიღწევების მიმართ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს თამაშობს გაერო-ს გენერალური მდივანი. მე-12 თავში წარმოადგენილია დაგ ჰამარშელდის მოღვაწეობის კვლევა, რომელიც მეტწილად ეყრდნობა სერ ბრაიან ურქუჰარტის (1972) მიერ დაწერილ ამომწურავ ბიოგრაფიას. ამ კვლევის მიზანი იყო ფსიქოლოგიური კუთხით საკითხის კვლევის სტიმულირება, რადგან გაიზარდა ინტერესიხელმძღვანელების როლის კვლევის მიმართ (უინტერი 2004). ჰამარშელდის გარდა გამოიკვლიეს სხვა შვედებიც, რომლებიც გარკვეულ როლს

თამაშობდნენ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, მათ შორის, აღსანიშნავია ალვა მირდალი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებებში (ვალენსტინი 2003) და ელჩი იან ელიასონი, რომელიც იყო მესამე მხარე შეიარაღებული კონლიქტებში (სვენსონი და ვალენსტინი 2010). მედიაციის სფერო ზედმიწევნით განიხილეს 2010 წლის ივნისში უპსალაში გამართულ კონფერენციაზე, სადაც გამოიკვეთა კვლევის პოტენციური ახალი სფეროები (ლინდგრენი და სხვ. 2010).

ამდენად, კონფლიქტის ანალიზი რამდენიმე დონეზე ხორციელდება. მშვიდობის კვლევის სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა . ერთ დონეს წარმოადგენს გლობალური პირობების სისტემატური კვლევა, რაც არის UCDP-ს კონფლიქტისა და მშვიდობის კვლევების უკან მდგომი მთავარი არგუმენტი (მე-9 და მე-10 თავები). თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია მესამე მხარის როლი, როგორც ეს პრევენციის კვლევების განვითარებაში ვიხილეთ (მე-11 თავი). ეს კი, თავის მხრივ, ქმნის მესამე მხარის ქმედებების სისტემატიური კვლევის საჭიროებას , რაც შესაძლებელია მაგალითად, დროის სხვადასხვა მონაკვეთში და სხადასხვა სიტუაციაში მათი საქმიანობის ერთმანეთთან შედარებით (თავი მე-12).

ამგვარად, საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ძირითადი საფუძვლების გამოყენება შესაძლებელი გახდა კვლევის რამდენიმე ახალ სფეროში. მშვიდობის კვლევების ამ გაფართოებულ არეალს შეიძლება გავეცნოთ ა წიგნის III ნაწილში მოცემულ სტატიებში. IV და V ნაწილები კი ეძღვნება პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და დიპლომატიის კვლევას.

უპსალას კონფლიქტების მონაცემთა პროგრამა (UCDP), 1978-2010

პიტერ ვოლენსტინი[6]

ისტორია, არგუმენტაცია და პროგრამა

მონაცემთა კვლევა დიქტოფონს მიღმა

1978 წლის შემოდგომაზე ასეთი საუბარი შედგა:

- მაშ ასე, კენ, BBC-ს მსოფლიო ახალი ამბების სამსახურს ყოველ ღამით უსმენ?
- დიახ, სწორედ ასე ვიგებ, თუ რა ხდება მსოფლიოში.
- და შეამჩნიე, რომ იმ ამბების უმეტესობა, რაც შუაღამის გამოშვებაშია, მომხდევნო დღეს ჩვეულებრივ გაზეთებში არასდროს ჩნდება?
- დიახ, ჩვეულებრივი მედია საკუთარი არჩევანის მიხედვით გვაწვდის ინფორმაციას მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.
- მაშინ, რატომ არ ჩაიწერ იმას, რასაც აცხადებენ? ეს ხომ მსოფლიო კონფლიქტების შესახებ უკეთეს სურათს მოგვცემდა!

ამ დისკუსიის შემდეგ, რომელიც ჩემსა და ჩემს მკვლევარ კოლეგას, კენ უილსონს შორის გაიმართა, მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის დეპარტამენტში დაიწყო მიმდინარე ძალადობრივი კონფლიქტების აღრიცხვა. შედგა მონაცემთა პატარა ცხრილი, რომელსაც ეწოდა რადიოს მონაცემები. კენს ჰქონდა ხმის ჩამწერი დიქტოფონი, რომელიც ირთვებოდა ყოველ ღამით საჭირო დროს, თანაც ავტომატურად, რადგან კენს ძილიც ხომ სჭირდებოდა. მომდევნო დილით ის მონაცემთა ცხრილს ავსებდა. მონაცემთა შეგროვება დაიწყო 1979 წლის 1 იანვარს და მას თავიდანვე გლობალური დაფარვა ჰქონდა. პრინციპში, ეს პროექტი დღესაც გრძელდება. მონაცემებს მალე შეემატა დამატებითი მასალა, მათ შორის, გაზეთის ამონაჭრები უპსალას საქალაქო ბიბლიოთეკის საცავებიდან. აღმოვაჩინეთ, რომ ბიბლიოთეკა ერთი თვის შემდეგ მათ უბრალოდ ყრიდა. ასე რომ მათ უფასოდ ვიღებდით. მოგვიანებით, ჩვენ კოლეგა მკვლევარს ადელ არანკის დაევალა ამოჭრილი მასალების დაარქივება. ამ წყაროებმა ინფორმაციის შესანიშნავი ჯაჭვი მოგვცა . შემდეგ კვლევები გაგრძელდა, მაგალითად, პროექტი „ადგილობრივი ომების“ შესახებ, რომელიც წამოიწყო უნგრელმა ისტორიკოსმა იშტვან კენდემ. ის წყაროდ, ძირითადად, „New York Times“-ს იყენებდა.

1980-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინეს და გამოიყენეს ინოვაცია: BBC-ს ჩამწერი, BBC-ს ახალი ამბების საინფორმაციო არქივი, სადაც ახალი ამბები გადმოცემიდან რამდენიმე დღეში უფასოდ იდებოდა. ამაში ჩანს სწორედ კონფლიქტის მონაცემების შეგროვების პროეტის განმასხვავებელი ნიშანი: გამოიყენო ძიების ყველაზე თანამედროვე მეთოდები მსოფლიოს გარშემო კონფლიქტების შესახებ გლობალური ინფორმაციის მოსაძიებლად და ამდენად, შეძლებისდაგვარად თავი აარიდო მიკერძოებულ ინფორმაციას, დამახინჯებული მსოფლიო საინფორმაციო გარემოში. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობდა მოსაზრებები წარმოების ხარჯების მაქსიმალურ დაზოგვასთან დაკავშირებით, ვინაიდან დეპარტამენტი ღარიბი იყო, ხოლო მშვიდობის კვლევები, ჩვეულებრივ, მარგინალური რესურსებით ფინანსდებოდა. ნიშანდობლივი იყო ის ფაქტიც, რომ 1990-იან წლებში, ჩვენმა მკვლევარმა

6 Wallenstein Peter. “The Uppsala Conflict Data Program, 1978-2010.” In Peace Research, 111-124. New York, Routledge, 2011.

კოლეგამ მარგარეტა სოლენბერგმა შეიმუშავა სააგენტო „როიტერსის“ ინფორმაციის ეკონომიური მოხმარების სისტემა დაგ ჰამარშელდის ბიბლიოთეკაში. მან ასევე დახმარება გაგვიწია კონტაქტების დამყარებაში მონაცემთა შეგროვების ახალი ფორმების წამყვან დეველოპერებთან და ასევე, დაგვაკავშირა დოქტორ დაგ ბონდთან, რომელიც ხშირად სტუმრობდა უპსალას ავტომატური საინფორმაციო-საძიებო სისტემების განსახილველად, 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში. ბონდის მეთოდოლოგიის გამოყენებით პროექტს ამჯერად უკვე წვდომა აქვს სპეციფიურ მონაცემებთან მსოფლიოს მასშტაბით.

კენის საერთაშორისო მაუწყებლის ღამეული ჩანაწერებიდან დაგ ბონდის კარგად აწყობილ მექანიკურ სისტემამდე მართლაც დიდი მანძილია. ასევე შთამბეჭდავია წყაროების რაოდენობა. თავდაპირველი BBC-ს მაუწყებელი ჩაანაცვლა *Factiva*-მ, რომელიც 2010 წლის მონაცემების თანახმად, ეყრდნობოდა 28 000 საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროს, რომელთა შორის უმეტესობა ადგილობრივი მაუწყებელია.

განვლილ გზას თუ თვალს გადავავლებთ, უპსალას მონაცემთა პროექტი დაიწყო იმ დროს, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით ნამდვილ ქვის ხანად შეიძლება ჩაითვალოს. მან დიდი ტრანფორმაცია განიცადა ინფორმაციის დიდი რაოდენობის გავლენით, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის ან პირდაპირი სატელეფონო კავშირების საშუალებით. ეჭვგარეშეა, რომ ინფორმაციის რაოდენობამ ადგილობრივი კონფლიქტების შესახებ იმატა.ეს შეიძლება იმას გულისხმობდეს, რომ ყოველი ინფორმაცია დღესდღეობით ხშირ შემთხვევაში უფრო მოკლედ გადმოიცემა, ხოლო ადრე შედარებით იშვიათი რეპორტაჟები მეტი სიღრმით გამოირჩეოდა. ეს მაინც ნიშნავს, რომ ინფორმაცია დღევანდელი პირობების შესახებ რთული შესადარებელია ორმოცი ან ორმოცდაათი წლის წინანდელ სიტუაცასთან. არქივების გახსნის შემთხვევაშიც კი, მნიშვნელოვნად დიდია დაკარგული ინფორმაციის ოდენობა. დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებული რეპორტაჟების სიმართლეში მეტად ვართ დარწმუნებულნი. თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინფორმაციის ეს დიდი ნაკადი ყურადღებით გადავამოწმოთ.

კონფლიქტის შესახებ მონაცებების პროექტი ეყრდნობა ღია წყაროებს და არა საიდუმლო ინფორმაციას. ძირითად წყაროს წარმოადგენს მედიის გამოხმაურებები, დამატებით კვლევითი პუბლიკაციები; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური წრეების საჯარო ანგარიშები მუდმივად გამოიყენება ინფორმაციის გადასამოწმებლად. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს წყაროები პროექტის მიზნებისთვის სავსებით საკმარისია. როგორც ჩანს, დიდი სარგებელი არ მოაქვს არატრადიციული და საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებას. მსგავსი წყაროების გამოყენება შედეგად გამოიღებდა დამაჯერებელობის, მთლიანობის და ავტონომიურობის შემცირებას. პროექტის იდეა თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ ჰქონოდა განახლებული აღრიცხვის სისტემა. „მიმდინარე“ ძალადობა უნდა ყოფილიყო ამ წამოწყების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ხოლო თავად ეს იდეა მას შემდეგ, რაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ მედიის რეპორტაჟები არ იყო საკმარისად ყოვლისმომცველი, ხოლო არსებული პროექტები ან რამდენიმე წლით (!) იგვიანებდა ან გრიფით „საიდუმლოდ“ინახებოდა სადაზვერვო სააგენტოებში. როგორც საზოგადოებას, ისე მკვლევარებს ინფორმაციის სხვა წყაროები სჭირდებოდათ. ამდენად, ყოველწლიური აღრიცხვის ფორმატს და ყოველი ახალი წლის დადგომიდან მის შეძლებისდაგვარად მალე გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა . ეს მიდგომა არა მხოლოდ საზოგადოებას ემსახურებოდა, არამედ წარმოადგენდა რეესტრის განვითარების სწორ გზას, რამდენადაც,

ის მარტივად მოახდენდა დროთა განმავლობაში არსებული ტენდენციების გამოკვეთას, ფაქტიურად „რეალურ დროში“. სისტემა წარმოადგენდა, არა მხოლოდ სრულყოფილ სურათს, არამედ ბოლოს წლების შედარებით მონაცემებსაც. თუმცა, პროექტს ისტორიაში სიღრმისეულად შესვლის ამბიცია არ ჰქონია. უფრო მიმდინარე ძალადობების წვდომა სურდა. პროექტში დასაქმებული მკვლევარები იღწვოდნენ, რათა თანამედროვე მსოფლიოში არსებული სიტუაციის შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაცია მოეპოვებინათ.

არსებობდა ამ მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ის, რაც თავიდანვე პროგრამის ნაწილი იყო: ეს გულისხმობდა მაქსიმალურ შედარებითობას. ყველა აღრიცხული მოვლენა უნდა იყოს როგორც მსგავსი, ისე თანაბრად წარმოდგენილი. კეთდება გარკვეული პროგნოზები, თუ როგორ ვითარდება მსოფლიო, მაგრამ ხშირ შემთხვევში ისინი ეყრდნობა ინფორმაციას, რომელთა შედარებაც შეუძლებელია. ხდება ისეთ მოვლენათა შედარება, რომლებიც რთულად ემთხვევა ერთმანეთს და ამდენად, მკითხველი დარწმუნებული არ არის, რამდენად თანაბრად ხდება მათი აღრიცხვა მსოფლიოს გარშემო. პროექსტს სურდა ამ ორი მნიშვნელოვანი გადახრის გამოსწორება. ეს ამბიცია კი მოითხოვდა ყოვლისმომცველ მუშაობას პატარა და დიდი ომის, ,,შეიარაღებული კონფლიქტის“, როგორც თეორიულ, ისე ოპერატიულ განმარტებაზე. ამდენად, მეთოდოლოგია ურთიერთქმედებს დეფინიციასთან, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია პროექტის უკან მდგარ თეორიულ მოსაზრებებთან.

შეიარაღებული კონფლიქტის ინტეგრირებული განმარტება

მართალია, პროექტის წამოწყების ნაპერწკალი, ინფორმაციის სისტემატურად შეგროვების შესაძლებლობა იყო, მაგრამ ეს იდეა დიდი ხნით ადრე არსებობდა. ომის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებული ყველა წამოწყების დედა პროექტს წარმოადგენდა „ომის კორელატები“ („Correlates of War“ - COW), რომელიც ხორციელდებოდა მიჩიგანის უნივერსიტეტში, ენ-არბორში, მიჩიგანი შტატი. პროექტი წამოიწყო პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელმა ჯეი დევიდ ზინგერმა, მისთვის დამახასიათებელი ინოვაციურობით, ენერგიითა და თავდაჯერებულობით. პროექტი აღვწერეთ ამ ტომის მე-3 და მე-8 თავებში. ეს გაბედული ნაბიჯი გახლდათ, რამდენადაც ომის რაოდენობრივი კვლევის იდეა ჯერ კიდევ ახალი და საკამათო იყო. ზინგერი და მისი კოლეგები ეყრდნობოდნენ ბიჰეივიორისტულ რევოლუციას სოციალურ მეცნიერებებში, რომელიც შემდგომში მდგომარეობდა: ომი არის სოციალური ქცევის ფორმა, რომელიც შეიძლება აიხსნას, როგორც განმეორებადი მოდელი , რომლებიც წამოიშვება ძირეულ და თვალსაჩინო სოციალურ პირობებში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული მოვლენა, ბოლომდე უნიკალური სულაც არ არის. ზინგერს არ ჰქონდა გარანტირებული დაფინანსება, მაგრამ ის იყენებდა ,,ყინულზე ხტომის“ სტრატეგიას და ცდილობდა მუდმივად მოეხდინა თავისი მონაცემთა შეგროვების მეთოდების მოდიფიკაცია კვლევების დამფინანსებელთა საზოგადოებაში იმ მომენტში გაბატონებული ტენდენციების შესაბამისად. . თავისი შეუპოვრობის გარეშე, ის ვერ შეძლედა მუშაობას. .

არსებობდა გარკვეული გამოწვევები. პირველი იყო ის, რომ COW ეყრდნობოდა სახელმწიფოთაშორი სისტემის იდეას და რომ ეს სისტემა იყო მთავარი ცვლადი, რომელიც ხსნიდა, თუ რატომ ხდებოდა ომები. სახელმწიფოები ურთიერთობდნენ ერთმანეთთა, რამდენადაც ისინი დაკავშირებულნი იყვნენ გარკვეული ურთიერთქმედებებისა და დამოკიდებულებების მოდელის საშუალებით. სისტემის წევრობა მნიშვნელოვანი თვისება იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ როგორც თეორიული, ისე ემპირიული სამუშაო მთავარ აქცენტს სახელმწიფოთა შორის ომებსა და კონფლიქტებზე აკეთებდა, ხოლო ეროვნული

ატრიბუტიკა როგორიცაა მმართველობის ფორმა, ეკონომიკური ზრდა და ასე შემდეგ, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო.

თუმცა, კონფლიქტების გლობალური სურათი ამ დასკვნას არ შეესაბამებოდა. პირიქით, ყოველთვის არსებობდა ბევრი შიდა ომი. COW-მ თავის მონაცემთა ძიებას ესეც დაამატა, მაგრამ სამოქალაქო ომის დეფინიცია მაინც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თვალთახედვიდან წარმოიშვა და ბოლომდე ზუსტად არ შეესაბამებოდა ამგვარი ომების მახასიათებლებს. მაგალითად, პროექტი აღწერდა შიდა ომებდ სისტემის წევრ ქვეყნებში, ხოლო არასამთავრობო მხარეს უნდა განეხორციელებინა რაიმე ფორმის საბრძოლო მოქმედება. ეს კი ნიშნავდა, რომ პროექტი ინტუიტიურად ეძებდა სახელმწიფოს მსგავს ერთეულებს, რომლებიც ერთმანეთს სახელმწიფოს შიგნითაც დაუპირისპირდებოდნენ. უფრო მეტიც, სამოქალაქო ომები გამოყოფილიყო იყო ცალკე კატეგორიად, რომელსაც თითქოს განსხვავებული კოდირების წესები ჰქონდა, განსაკუთრებით საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობასთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით, განსხვავებული იყო ისტორიკოს იშტვან კენდეს საქმიანობა ბუდაპეშტში, რამდენადაც მისთვის საწყისი წერტილი იყო ადგილობრივი კონფლიქტები და მათი გამომწვევი პირობები, ხოლო წამყვანი ტერმინი იყო „ადგილობრივი ომი“. ისინი, ასევე, განიხილებოდა როგორც სისტემის, მაგრამ სრულიად განსხვევებული, კერძოდ, კაპიტალისტური და იმპერიალისტური სისტემის შედეგი . სისტემამ, რომელიც გლობალური მასშტაბით მოქმედებდა, შედეგად გამოიღო ინტერვენციები, დიქტატორული მმართველობები, საპასუხო რეაქციად კი, სახალხო აჯანყებები არსებული რეჟიმების წინააღმდეგ, ანუ, ადგილობრივი ომები. სინამდვილეში, პროექტი აღწერდა სახელმწიფოთაშორის ომებს, როგორც „სასაზღვრო ომებს“, შემდგომი მინიშნებით, რომ აქცენტი იყო შიდა კონფლიქტებზე (კენდე, 1971:11). ამდენად, ომის მაინც ერთი განსაზღვრება არსებობდა და არა რამოდენიმე .

დიდი ენერგია დაიხარჯა იმის გაგებაზე, იყო თუ არა მეტი კონფლიქტი დროთა განმავლობაში და ასახავდა თუ არა ეს სისტემის შიგნით მზარდ წინააღმდეგობებს. როდესაც კენდეს მიერ აღრიცხული ომების რაოდენობამ იკლო 1960-იან და 1970-იან წლების დასაწყისში, ის გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ეს დაკავშირებული იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერიოდთან და „ახალ საერთაშორისო გარიგებებთან“, რომელთაც „გამოიწვიეს გარკვეული საომარი ძალების უკანდახევა“ (კენდე, 1978: 230). როდესაც პროექტი კლაუს იურგენ განცელმა გადაიბარა და თავისი დღევანდელი სახელწოდება - AKUF (Arbeitsgemeinschaft Kriegsursachenforschung, ომის მიზეზების კვლევის სამუშაო ჯგუფი, ჰამბურგის უნივერსიტეტი) მიენიჭა, შეიცვალა მისი ფოკუსიც. პროექტი მკაცრად ემპირიული გახდა. თუკი დღეს არსებობს საყოველთაო შეშფოთება, ის დაკავშირებულია იმასთან, რომ გლობალური სისტემის შეჭრა საზოგადოებებში გავლენას ახდენს (და ხანდახან ანგრევს კიდეც) მათ ადგილობრივ უნარზე, თავად გადაწყვიტონ კონფლიქტი (იუნგი და სხვ. 1996). თუმცა, კაპიტალისტური სისტემა ხანდახან თავად არის ანალიზის ნაწილი, როგორც ეს, მაგალითად, ვლინდება დაკვირვებაში, რომ ომებმა გადაინაცვლეს კაპიტალისტური საზოგადოების ცენტრებიდან მისი პერიფერიისკენ (1945-1992 წლებში ამ თავისებურებაზე კომენტარი იხ. განცელი და შვინგჰამერი 2000: 94).

ამდენად, გაჩნდა საჭიროება ისეთი განსაზღვრებისა, რომელიც მთავარ ყურადღებას მიაქცევდა პოლიტიკურ ძალადობას , რომლის ცენტრშიც დგას კონფლიქტი, რომელსაც საერთაშორისო მშვიდობის კვლევები ეხება. იდეალურ შემთხვევაში, ეს ნიშნავს ფიქრს არა

უმთავრესად კონფლიქტის აქტორებსა თუ მხარეებზე, ან სისტემებზე, რომლის ნაწილიც ისინი არიან, არამედ მათ ძალადობრივ ქმედებებზე ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს ასე იქნება, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ არიან მხარეები (ანუ, იქნებოდა ეს კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის თუ სახელმწიფოს შიგნით). ეს კი უზრუნველყოფდა სრულ შედარებითობას სახელმწიფოთაშორის და შიდასახლმწიფოებრივ ომებს შორის. ამდენად, უპსალას პროექტის მიერ შემუშავებული პირველივე განსაზღვრება მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებდა ასეთი ზოგადი კრიტერიუმების მოძებნაზე. ის დაიწყო ძალადობრივ ქმედებებს შორის საზღვრების გავლებით. ერთ-ერთი შედეგი შემდეგში მდგომარეობდა: „შეიარაღებული კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ქცევა არის ინსტუმენტული გამოყენება, სიკვდილის, დაჭრა-დაზიანების ან განადგურების გამოწვევის მიზნით, ნებისმიერი სხვა საშუალებისა, რომელიც არ არის ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ძალა“(ვალენსტინი და უილსონი, 1984). როგორც ჩანს, ამგვარი განსაზღვრება შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს მუშტი-კრივის გარდა. ცხადია, სფეროს დასავიწროვებლად აუცილებელი იყო მიზნებისა და მხარეების განსაზღვრებები. ამბიცია მაინც ნათელი იყო: არ შეიძლება იყოს შეიარაღებული კონფლიქტის განსხვავებული განსაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ ვინ არიან აქტორები. მიმდინარეობდა შეიარაღებული კონფლიქტის ინტეგრირებული განსაზღვრების ძიება , რომელიც მოიცავდა როგორც სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს, ისე, შეძლებისდაგვარად, ორგანიზებული პოლიტიკური ძალადობის სხვა ფორმებს.

შეიარაღებული ქცევის საკითხის შემთხვევაში, რა იქნებოდაქვედა ზღვარი ? რა სახის მოქმედებას გულისხმობდა ამგვარი ძალადობა და იყო თუ არა შესაძლებელი მისი სისტემატური და სარწმუნო აღრიცხვა მსოფლიოს მასშტაბით?განსაზღვრება, რომელიც გამოიყენებოდა 1980-იანი წლების ბოლოს,, როდესაც კარინ ლინდგრენი ხელმძღვანელობდა პროექტის ოპერატიულ სამუშაოს, შეიარაღებულ კონფლიქტს განსაზღვრავდა, როგორც „ხანგძლივ საბრძოლო მოქმედებებს“. ის ეყრდნობოდა კენდეს იდეებს. ამას გარდა, ამგვარ კრიტერიუმს გულისხმობდა COW-ც, განსაკუთრებით შიდა ომების განსაზღვრებისას, რომელთაც წელიწადში 1000-ზე მეტი, მათ შორის სამოქალაქო პირების, მსხვერპლი უნდა გამოეწვია, რათა მისი აღრიცხვა მომხდარიყო. „ხანგძლივი საბრძოლო მოქმედებების“ კრიტერიუმის გამოყენება ნიშნავდა, რომ ერთი წლის განმავლობაში, 1988 წელს, აღრიცხული იქნა 111 შეიარაღებული კონფლიქტი (ლინდგრენი 1989). ეს ციფრი საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად მიიღო (ალკერი, 1989). რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ბევრ ადამიანს დაუჯდა ჭკუაში.

მეორე გამოწვევა იყო ის, რომ COW არ აზუსტებდა თუ რა იყო კონფლიქტი. მთავარი აქცენტი მოქმედებასა და ქცევაზე კეთდებოდა. გამოყენებული განსაზღვრებები ფართო იყო და შეიძლებოდა კრიმინალურ მოქმედებებზეც კი გავრცელებულიყო (სახელმწიფო, პოლიციის სახით, ებრძვის ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებას; ამგვარი ბრძოლების შედეგად, მაგალითად, აშშ-ში შეიძლება 1000-ზე მეტი პირი დაღუპულიყო) თუმცა, მთავარი წინააღმდეგობა იყო იდეა იმის შესახებ, რომ კონფლიქტებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული დინამიკა იმისდა მიხედვით, თუ რისკენ ისწრაფვიან მხარეები. ეს კი ნიშნავდა იმასაც, რომ წინა პლანზე გადმოინაცვლა კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებულმა საკითხებმა COW-ში, ისევე როგორც AKUF-ში, თავდაპირველი აქცენტი კეთდებოდა ომის წარმომავლობაზე, მაგრამ არა მის დასასრულსა და გადაწყვეტაზე. რა თქმა უნდა, თუ ადამიანისთვის ცნობილია საწყისები და შეუძლია მათი აღმოფხვრა, მომავალში მოგვარების საჭიროებაც კი გაქრება, რადგან აღარ იარსებებს მოსაგვარებელი სერიოზული კონფლიქტი. თუმცა, სანამ ეს შესაძლებელი გახდება, მოგვარების ნებისმიერ პროცესს მოუწევს იმ

პრობლემების დამუშავება, რაც მხარეების მოტივაციად იქცა. კონფლიქტის თეორიაში, უკვე არსებობდა შესაბამისი ცნება: შეუთავსებლობა.

ამდენად, 1980-იანი წლების დასაწყისში უპსალას პროექტის უმეტესი საქმიანობა მიმართული იყო იმისკენ, როგორ ჩამოყალიბებულიყო ტერმინი „შეუთავსებლობა“ თანმიმდევრულად და ლაკონურად. ამ საქმეში წვლილი შეიტანა კიელ-აკა ნორდკვისტმა, განსაკუთრებით პალესტინის კონფლიქტის შესახებ თავისი კვლევით (ნორდკვისტი 1985). უკვე პირველივე სიებში, რომლებიც 1979 წელს მოიცავდა, გამოიკვეთა, რომ კონფლიქტები ეხებოდა ისეთ ტერიტორიულ საკითხებს, როგორიცაა ქვეყნის ეთნიკურად დასახლებული ან სადაო რეგიონები. ტერიტორიული პრობლემები პროექტის ცენტრალურ თემად დიდი ხნის მანძილზე დარჩა, მაგრამ, ამავე დროს, დადგა იმ საკითხების განსაზღვრის საჭიროება, რომლებიც ისეთ თემებს არ ეხებოდა, როგორიცაა საზღვრები და გარკვეულ რეგიონებზე კონტროლი. ამ მიზეზით დაემატა მეორე კატეგორია, რომელიც პირველისგან დამოუკიდებლად განისაზღვრა: მთავრობაზე კონტროლის დამყარება. ამისათვის, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა კენდეს ნაშრომი, რადგანაც მისი ყურადღების ცენტრში იყო „რეჟიმის საწინააღმდეგო ომები“. ამდენად, უპსალას პროექტის მთავარ თემებად იქცა კონფლიქტები, რომლებიც ეხებოდა ან ტერიტორიაზე ან მთავრობაზე კონტროლის დამყარებას. ემპირიული დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ რთული იყო ისეთი შეიარაღებული კონფქლიტის პოვნა, რომელიც ამ ორთაგან ერთ-ერთ შეუთავსებლობას მაინც არ ეხებოდა.

შეუთავსებლობისათვის მთავარი როლის მინიჭებით უპსალას პროექტმა თვითმყოფადობა შეიძინა. ის განსხვავდებოდა „ინტერესების“ ისეთი შედარებით ბუნდოვანი ცნებისაგან, როგორიცაა მაგალითად, ეროვნული ინტერესები ან მატერიალური ინტერესები, რომლებიც სხვა პროექტების საფუძველში არსებულ ცნებებს წარმოადგენდა. , კონფლიქტის თეორიამ ნათლად განმარტა, რომ შეჯიბრი, მტრობა და აქედან გამომდინარე ქცევა დაკავშირებულია შეუთავსებლობასთან, რომელიც, ცენტრალურ ადგილს იკავებს კონფლიქტის დინამიკასა და კონფლიქტოლოგიაში. უპსალას პროექტის ამ მიდგომაში რეალური ცვლილება მოხდა , როდესაც ბირგერ ჰელდტმა განსაზღვრა, რომ შეიარაღებული კონფლიქტები ეხება „მეტოქეობრივ შეუთავსებლობებს“ და არა აქტორებს და მათ ქმედებებს (ჰელდტი 1993: 2-7). აღნიშნული მიდგომა მძლავრ საწყის წერტილად იქცა. კონფლიქტების განსაზღვრა და მათი ერთიმეორისგან გარჩევა უფრო მარტივი გახდა. თავდაპირველად საჭირო იყო იმის გარკვევა, ეს იყო დაპირისპირება ერთსა და იმავე თუ განსხვავებულ საკითხებზე. ამდენად, ქვეყნის შიგნით შეიძლება რამდენიმე ბრძოლა მიმდინარეობდეს, როგორც ტერიტორიულ დავაზე, ისე სამთავრობო პრობლემებზე. დამატებით, ნათელი გახდა, თუ რამდენად განსხვავებულ ურთიერთმიმართებაში იყვნენ აქტორები, იმისდა მიხედვით რომელი შეუთავსებლობის ნაწილი იყვნენ ისინი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჰელდტი შეუდგა ძველი სიების გადახედვას და 1989 წელს დათვალა სამოცდათხუთმეტი მეტოქეობრივი შეუთავსებლობა (ჰელდტი 1993: 2). ამან პროექტის ჯგუფში დიდი დებატები გამოიწვია. თუმცა, ამ დებატებმა და მის შედეგად მონაცემთა გადაკეთებამ, შექმნა მემკვიდრეობა პროექტისა, რომელიც არის ღია გადახედვისათვის, ახალი ინფორმაციების და მონაცემთა ინტერპრეტაციის ახალი მეთოდების გათვალისწინებით. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დღესდღეობით მხოლოდ მონაცემების ბოლო ვერსია უნდა იქნას გამოყენებული, რადგან მონაცემების გადახედვა მუდმივად ხდება.

COW-ს განსაზღვრების წინაშე მდგარი მესამე გამოწვევა შემდეგში მდგომარეობდა:

ზღვარის მოსანიშნად დაღუპულთა რაოდენობის გამოყენება. უპსალას პროექტს არ ჰქონდა მსგავსი ზღვარი, არც ბუდაპეშტის პროექტს, მაშინაც კი, როდესაც ჰამბურგში გადავიდა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა კლაუს იურგენ განცელისა და მისი კოლეგების მიერ (განცელი 1981; განცელი და მეიერ-შთამერი 1986). ამგავრი ზღვარის გავლების მიმართ მართებული წინააღმდეგობებიც არსებობდა (განცელი და შვინგჰამერი 2000; 14-15). თუმცა, ამ გამოწვევის გადაწყვეტის მცდელობებმა სხვა პრობლემები გამოიწვია. რა უნდა იყოს ინკლუზიის ყველაზე დაბალი მნიშვნელი? რა არის „ხანგძლივი საბრძოლო მოქმედება“ ან, მისი ფორმულირების შეცვლის შემდეგ, „აქტიური“ კონფლიქტი? უფრო მეტიც, შეიძლება კი ორი სიტუაციის შედარება, როდესაც ერთი გაჭიანურებული ომია, ხოლო მეორე კი სამხედრო გადატრიალება, რომელიც რამდენიმე საათში მთავრდება? მართლაც, ზოგიერთი კონფლიქტი აქტიური იყო, მაგრამ არასასიკვდილო იარაღის გამოყენებით, მაგალითად კონფლიქტი გაერთიანებულ სამეფოსა და უელსის დამოუკიდებლობისთვის მოძრაობას - SOG-ს (the Sons of Glendower) შორის. კონფლიქტების ეს მაგალითები ჰელდტმა მოიყვანა (1993: 1). პრობლემა ის იყო, თუ როგორ დაწესებულიყო ლოგიკური კრიტერიუმები, თუ სად გადიოდა ინკლუზიის ქვედა ზღვარი. საკითხი სხვა მიმართულებით უნდა წასულიყო: კვლევითი გამოცემების რედაქტორების გამო.

1987 წლისთვის სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტთან (SIPRI) შეთანხმდა ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც უპსალას პროექტს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია დიდი შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ SIPRI-ს ყოველწლიური გამოცემისთვის. უპსალას ჯგუფისთვის ეს იყო შანსი, მისი საქმიანობა უფრო ფართო აუდიტორიისთვის გამხდარიყო ცნობილი. უპსალას მონაცემებს ზოგჯერ SIPRI-ს მონაცემებს უწოდებენ, მაშინ როცა ყოველწლიურ გამოცემებში ნათლად ჩანდა, რომ ეს ასე არ იყო. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ SIPRI-ს დირექტორი უილტერ შტუცლე დაინტერესებული იყო დიდი შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის მხოლოდ გამოქვეყნებით.

1,000 დაღუპულის ზღვარი სწორედ აქ გახდა გამოსადეგი. COW-ს პროექტების საშუალებით დამკვიდრებული ცნება იყო, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა რაოდენობა გამოყენებულიყო ფართომასშტაბიანი მოვლენების („ომების“) სხვა მოვლენებისგან გასარჩევად. ზინგერი აცხადებდა, რომ ეს ციფრი მომდინარეობდა არა მისი დადგენის სიმარტივიდან, არამედ იმ ფაქტიდან, რომ ეს იყო დაღუპულთა რაოდენობასთან დაკავშირებული ციფრი, რომელსაც ერთი ცალკეული ავტომატური იარაღი გამოიწვევს, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსკენ ომის წარმოება მნიშვნელოვნად შეიცვალა. COW-ს ზოგიერთი მკვლევარი, ასევე, აცხადებდა, რომ ხარისხობრიობის თვალსაზრისითაც ციფრი 1000-ის გარშემო ტრიალებდა. კონფლიქტების შედეგად შეიძლება რამდენიმე ასეული , ან , რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ციფრი ემპირიულად ადეკვატურია ზვარის გასავლებად. უპსალას გამოცდილებით, ამ მოსაზრებას ნაკლები მხარდაჭერა აქვს, მაგრამ ცხადია, რომ უფრო ხანგძლივი საბრძოლო მოქმედებაა საჭირო (დაგეგმვა, წვრთნა, რესურსები, ნება) ისეთი მოქმედებების განსახორციელებლად, რომელიც შედეგად ასეთი დიდი რაოდენობით დაღუპულებს გამოიწვევს. თუმცა ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი, იყო ის, რომ ამგვარი ფართომასშტაბიანი მოვლენები უფრო ფართო გახმაურებას ჰპოვებდა მსოფლიოს მასშტაბით, მაშინაც კი, 1816 წელს. ამდენად, SIPRI-ს გამოცემის კონტექსტში, დიდ შეიარაღებულ კონფლიქტებად განისაზღვრა ისინი, რომელშიც საბრძოლო მოქმედებების შედეგად 1000-ზე მეტი დაღუპულია კონფლიქტის მიმდინარეობის განმავლობაში.

ამის გათვალისწინებით, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, შესაძლებელი იქნებოდა მოქმედებების აღწერა აქტივობის უფრო დაბალ დონეებზე, თანაც ისე, რომ მიღებული ინფორმაცია ყოფილიყო სარწმუნო და შესადარებლად მარტივი. თუმცა, ეს არ წარმოადგენდა SIPRI-ს ინტერესს, მიუხედავად იმისა, რომ უპსალას პროექტმა ამის ნიადაგზე გარკვეული ვარაუდები გამოთქვა. ამის ნაცვლად, პროექტის განხილვა მოხდა ჟურნალი „Journal of Peace Research"-ის (JPR) რედაქტორთან ნილს პეტერ გლედიჩთან. მან შეამჩნია, რომ ბევრი ინფორმაცია უპსალას პროექტიდან არ იყო წარმოადგენილი SIPRI-ს ყოველწლიურ გამოცემაში, ამას გარდა, პროექტი მოიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც ძალზედ გამოადგებოდათ მკვლევარებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, მაგალითად, კონფლიქტების ესკალაციის საკითხებით. ამგვარი კვლევები კი მოითხოვდა წვდომას უფრო დაბალი დონის კონფლიქტებზე. გლედიჩმა შესთავაზა უპსალას პროექტს ჟურნალში ყოველწლიური საგანგებო რუბრიკის გამოქვეყნება კონფლიქტის მონაცემებზე. შეთანხმებაზე მარტივად შეთანხმდნენ. მაგრამ ის მოითხოვდა, გადაწყვეტილების მიღებას, თუ სად გადიოდა ქვედა ზღვარი.

უპსალას გუნდი სხვადასხვა დონეს განიხილავდა. იდეალური იქნებოდა აჯანყებულთა საბრძოლო მოქმედებების ფორმები (განსაკუთრებული სამხედრო შეიარაღების გამოყენება, მაგალითად, ტანკები, აეროპლანები, სამხედრო მოქმედებების გარკვეული სახეები, თავდასხმები და სხვ), მაგრამ მათი ერთგვაროვან და შესადარებლად მარტივ დონეზე განსაზღვრა რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ, მაინც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაღუპულთა რაოდენობის ზღვარი იყო ერთადერთი მართებული მაჩვენებელი, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც არსებობს იმის გარანტიები, რომ მედია საკმარის ყურადღებას მიაქცევს კონფლიქტს და ამდენად ყველა (ან თითქმის ყველა) ამგვარი მოვლენის აღრიცხვა იქნება შესაძლებელი. ამდენად, წლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად ოცდახუთი დაღუპული დაწესებულ იქნა, როგორც ინკლუზიურობის ქვედა ზღვარი. ეს ციფრი უფრო იოლად გასაგები იყო, ვიდრე მაგალითად, ორმოცი და უფრო სანდო, ვიდრე, მაგალითად, ათი.

მონაცემები JPR-ში 1993 წელს გამოქვეყნდა (ვალენსტინი და აქსელი 1993; აქსელი 1993) და მას შემდეგ გამოიყენება, მათ შორის, კონფლიქტის მონაცემთა ბაზაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გადახედილ იქნა 1989 წლისთვის შეიარაღებული კონფლიქტების საერთო რაოდენობა და ციფრმა ორმოცდაექვსამდე მიაღწია . ეს კი იმის ნახევარზე ნაკლებია, რაც ლინდგრენმა აღრიცხა და იმის ორ მესამედზე ნაკლები, რაც ჰელდტმა აღმოაჩინა. ამ ციფრთან დაკავშირებით პროექტი მაინც დარწმუნებულია, რომ: ის ნამდვილად ასახავს იმას, რაც ხდება გლობალურ დონეზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობა კონფლიქტური მოქმედებებისა, რომელიც მიმდინარეობს ოცდახუთი დაღუპულის ზღვარს ქვემოთ, მაგრამ უმეტესობა მათგანს, დიდი ალბათობით, არაძალადობრივი ხასიათი აქვს. აღნიშნული მოვლენების აღრიცხვა სხვა პროექტის საქმე უფროა. კონფლიქტის მონაცემების შესახებ პროექტთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ უფრო მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყოფილი მცირე რესურსების (ფული, დრო, მკვლევარები) და პროექტის თეორიული ამბიციების გათვალისწინებით უფრო გონივრულია ინფორმაციის ნაკადის გაწყვეტა, შემცირება.

თეორიული საფუძველი

როგორც ამ მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, პროექტი მუშაობს კონფლიქტის თეორიაში

განვითარებული ცნებებით. ამ თეორიის სათავე შეგვიძლია ვიპოვოთ იოჰან გალთუნგის 1960-იან წლების ბოლოს ნაშრომებში, რომელიც მან მოგვიანებით დაამუშავა (გალთუნგი 1996), თუმცა, მისი ადრეული ნაწერები და ლექციები კარგად იყო ცნობილი და ფართოდაც გამოიყენებოდა იმ წრეებში, რომელიც მშვიდობის კვლევებით იყო დაკავებული (ვიბერგი 1976; მიტჩელი 1981). მისი მთავარი ფოკუსი იყო კონფლიქტი, როგორც 1) შეუთავსებლობა და ის წარმოადგენდა ამ შეუთავსებლობების ანალიზის გზებს. აღნიშნული ტერმინი, როგორც ვნახეთ, აღებული იქნა კოფლიქტის მონაცემებთა შესახებ პროექტიდან. დამატებით, მისი კონფლიქტის თეორია მოიცავდა 2) მტრობასთან და აღქმებთან დაკავშირებულ და ასევე, ზოგად დამოკიდებულებებს და 3) ქცევას, ანუ განხორციელებულ ქმედებებს. შემდეგ მან მიუთითა, რომ ამ სამ ელემენტს შორის არსებობდა გარკვეული ურთიერთქმედება. შედეგად, მან წარმოაგინა დინამიური ხედვა სამ კუთხეს შორის, რომელსაც კონფლიქტის სამკუთხედი უწოდა. აღნიშნული მიდგომა გამოსადეგი იყო, როგორც პედაგოგიური, ისე თეორიული თვალსაზრისით. თუმცა, ამან კონფლიქტის მონაცემებთან მიმართებაში ბოლომდე არ იმუშავა. განსაკუთრებით არადამაჯერებული იყო, რომ დამოკიდებულებები ყოფილიყო თანაბრად ძლიერი და დამოუკიდებელი მამოძრავებელი ძალა. დამოკიდებულებები შეძლება იყოს კონფლიქტური ქმედებების ისევე როგორც მხარეების მიერ მობილიზაციის გამიზნული მცდელობების შედეგი. უფრო მეტიც, მხარეები და მათი ფორმირება სქემის ელემენტებად სულაც არ იყო გათვალისწინებული. ამ ყველაფერის დაჯამებით, გამოდიოდა, რომ კონფლიქტები შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ურთიერთქმედება სამ ძლიერ ძალას შორის: აქტორები (რომელთაც აქვთ ისტორია, თვით-შეგნება და რესუსრები), შეუთავსებლობა (სერიუზული უთანხმოება მწირი, მაგრამ მიმზიდველი რესურსების გამო, ისევე როგორც კონტროლი მთავრობასა და ტერიტორიაზე) და ქმედებები (რომელიც შეიძლება იყოს შეიარაღებული ან შეუიარაღებელი, დესტრუქციული ან კონსტრუქციული) (ვალენსტინი 1994, 2002). ამ სქემის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა განმარტება, თუ რატომ არის პროექტის ფოკუსში აქტორები, შეუთავსებლობები და ქმედებები.

ის ითხოვდა, რომ მოქმედი პირები ყოფილიყვნენ ორგანიზებულნი. მათ უნდა ჰქონოდათ ისტორია, მიზნების ერთობლიობა, და რესურსების მობილიზების უნარი. პროექტის ფარგლებში ამან გამოიწვია ფოკუსირება იმაზე, რომ სახელმწიფოები და მთავრობები უნდა ყოფლიყო მინიმუმ ერთ-ერთი აქტორი. აღნიშნულს ზურგს უმაგრებდა სახელმწიფოს საგანგებო სტატუსის აღიარება, როგორც ერთადერთი აქტორის, რომელსაც ჰქონდა კანონიერი მონოპოლია ძალის გამოყენებაზე, გადასახადების დაწესებასა და ტერიტორიის კონტროლზე საზოგადოებაში. თუმცა, არ ყოფილა დაშვება, რომ სახელმწიფოები სისტემის ნაწილია და ეს უბიძგებს მათ კონფლიქტისაკენ. როგორც მონაცემები ცხადყოფს , რადგანაც შეიარაღებული კონფლიქტების უმეტესობა სახელმწიფოებს შიგნით ხდება და არა იმდენად სახელმწიფოებს შორის, იკვეთება კონფლიქტის გამაძლიერებელი სხვა ფაქტორები, რომელზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება. უპსალას პროექტის ეს კონკრეტული შედეგი განასხვავდება მისი ორი წინამორბედიგანს.

რაც შეეხება შეუთავსებლობას და მასზე ფოკუსს, ის სათავეს იღებს იდეიდან, რომ კონფლიქტების მოგვარება შეიძლებადა ხშირად გვარდება კიდეც მოლაპარაკებების გზით . მოგვარების პროცესი, მოითხოვს, რომ მხარეებს ჰქონდეთ ზუსტი წარმოდგენა თავიანთ მიზნებზე, ჰქონდეთ ნათლად გამოკვეთილი პრიორიტეტები და მზად იყვნენ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის, იმის მიუხედავად, თუ როგორ აფასებდნენ ერთმანეთს თავიდან (ე.ი. რა იყო მათი დამოკიდებულებები). ფოკუსი არის შეიარაღებულ მოქმედებაზე, რომელმაც წლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად გამოიწვია ოცდახუთზე მეტი დაღუპული.

ეს კი ნიშნავს, რომ უპსალას პროექტი იწყება გაცნობირრებული კონფლიქტის ცნებიდან: არსებობს მინიმუმ ორი აქტორი, რომელიც გააზრებულად უპირისპირდება ერთმანეთს, ცდილობს მოიპოვოს ერთი და იგივე ღირებული (ან დეფიციტური) რამ დროის იმავე მონაკვეთში და თავისთვის გადაწყვეტილი აქვთ, რომ ამ მიზნების მისაღწევად გააჩნიათ ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება. რეალურად, არსებობს მცირე ან დიდი ომები, მაგრამ ბევრი მათგანი ძალზედ ასიმეტრიულია ძალის თვალსაზრისით (მაგალითად, ძლიერი სახელმწიფო შეიჭრა უფრო პატარა ქვეყანაში, ძლიერი მთავრობა უტევს მცირე ოპოზიციურ მოძრაობას). კვლევის ფორმატში შედარებით მცირემასშტაბიანი მოვლენების ჩართვა შესაძლებელს ხდის ესკალაციის დინამიკის, ისევე როგორც პრევენციის შესაძლებობების კვლევას.

ზოგიერთი ეს განსხვავება შეიძლება დამატებით გამოვიკვლიოთ. ორივე წინამორბედი პროექტი, COW და კენდეს საქმიანობა, ეყრდნობოდა სისტემურ თეორიას. COW-ს სურდა რეალპოლიტიკის უკვე კარგად დამკვირდებული ცნებების, გამოწვევა, რომლებიც გამოიყენებოდა იმის ასახსნელად, თუ რატომ იწყებოდა დიდი ომები, როგორიცაა მსოფლიო ომები და დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების ფორმები. მას მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც აწუხებდა შემდეგი საკითხი: იმის დემონსტრირების შესაძლებლობა, რომ რაოდენობრივი კვლევებისა და სტატისტიკის საშუალებით უკეთ შეგვეძლო ომების წარმოშობის გაგება. აღნიშნული ცნებები გადაკეთდა ჰიპოთეზებად, რომელთა ზედმიწევნით განხილვა შესაძლებელი იყო, ლოგიკური თანმიმდევრულობის და ემპირიული მტკიცებულებების თვალსაზრისით. თუმცა, ეს ნიშნავდა, რომ COW-ს ნაშრომების უმეტესობა უშვებდა, რომ სახელმწიფოები, იქნებოდა ეს დიდი სახელმწიფოები თუ არა, ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ სახელმწიფოთაშორისი სისტემით, ეს კი აუცილებელს ხდიდა იმას განსაზღვრას, რომლები იყვნენ წევრები და რომლები არა. ამავე დროს, სისტემაში არსებული კავშირები ნაკლებად ძალდატენებითი იყო. ეს იყო „ანარქიული სისტემა“, რომელშიც „საბოლოო“ განმსაზღვრელი იყო სახელმწიფოების შესაძლებლობები და რესურსები. აღნიშნული კარგად უკავშირდებოდა სისტემური ანალიზის მოსაზრებებს, რომლებიც მაშინ განსაკუთრებულად პოპულარული იყო სოციალურ მეცნიერებებში. ადამიანური ურთიერთქმედებაც სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიგოთ. ცხადია, სახელმწიფოთაშორისი სისტემა ისეთი ინტეგრირებული არ ყოფილა, როგორც შიდა ან სხვა მსგავსი სისტემები. შედარებისთივს, შეგვიძლია მოვიყვანოთ ძალაუფლების კონცენტრაციის მაგალითი. ამდენად, რეალპოლიტიკის ცნებებიდან ზოგი შეიძლება სადაო იყოს, ზოგიც დადასტურდეს. შესაძლოა, COW-სთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მეთოდოლოგიური გამოწვევები იყო: რეალპოლიტიკას ზურგს არ უმაგრებდა სოლიდური ემპირიული კვლევა. შესაძლოა, ეს მართალი იყო ომების ასახსნელად სხვა გავრცელებული მოსაზრებების შემთხვევაშიც. დროთა განმავლობაში, თავდაპირველ COW-ს სხვა ბევრი პროექტიც დაემატა და ამჟამად, ის ფაქტიურად პროექტების ოჯახია. ზოგიერთი ამ პროექტთაგანი იყო რეაქცია იმ გამოწვევებზე , რომელიც უპსალაშიც გაჩნდა. თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უპსალას პროგრამისთვის საწყისი წერტილი მაინც თავდაპირველი COW იყო.

კენდე და პროექტ „AKUF“-ის მკვლევარები სისტემურ მიდგომას იყენებდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ყურადღებას უფრო აქცევდნენ ერთ-ერთს, რომელიც უფრო ინტეგრირებული და შეკრული ჩანდა: გლობალური კაპიტალისტური სისტემა, რომლის მსოფლიო გავლენა უფრო და უფრო იზრდება. ის მსოფლიო ეკონომიკის მოქმედებიდან იღებს სათავეს, მისი მამოძრავებელი ძალაა ამ ეკონომიკის შიდა ლოგიკა და ის საჭიროებს მუდმივ გაფართოებას. კენდეს ეპოქაში ეს ცივ ომს უკავშირდებოდა, ხოლო სოციალისტური

სისტემა განიხილებოდა, როგორც ამგვარი ძალის საწინააღმდეგო წინაღობა. ამ სისტემის დაშლამ და „სოციალისტურ“ სახელმწიფოებს შორის უამრავმა კონფლიქტმა ეს სცენარი ნაკლებად დამაჯერებელი გახადა. და მაინც, არსებობდა ამბიცია, კონფლიქტი დაენახათ სწორედ მსოფლიო ეკონომიკის ამ დიდი განვითარებების ჭრილში. ჩარჩო დაახლოებით იგივეა, რასაც დღეს გლობალიზაციის ბევრ კრიტიკოსი იყენებს. გარკვეულწილად, კენდეს კაპიტალპოლიტიკის ზოგიერთი ცნების დამტკიცების სურვილი ჰქონდა: როგორ განსაზღვრავენ მატერიალური პირობები გლობალურ პოლიტიკას, ასევე ძალადობასა და ომს. ამისათვის, საჭირო იყო ადგილობრივი ომების საგანგებოდ განხილვა ახალი მეთოდოლოგიით.

წლების განმავლობაში, ორივე, COW და AKUF, უფრო და უფრო ემპირიული გახდა. ემპირიულად უდგება მსოფლიო რეალობებს უპსალას კონფლიქტის მონაცემებიც. თეორიული ცნებები არ არის დაკავშირებული უფრო ფართომასშტაბიან სისტემურ თეორიებთან და თავიდანვე თავს არიდებს რეალპოლიტიკის ან კაპიტალპოლიტიკის ტერმინოლოგიის გამოყენებას . მოსალოდნელია, რომ მონაცემები ორივე სახეობის დებულებების გამოსაცდელად გამოდგება (ისევე როგორც, სხვა დებულებებისა, რომელიც გამოიყვანება გეოპოლიტიკიდან, იდეალპოლიტიკიდან, გენდერული მიგდომებიდან, ინვაირომენტალიზმიდან ან სხვა). ეს კი ნიშნავს, რომ ინფორმაციის გამოყენება შეიძლება როგორც რეალპოლიტიკის (რომელიც განიხილვას სიტემას, რომელსაც ამოძრავებს ისეთივე სახელმწიფო-ცენტრისტული წინააღმდეგობები, როგორც 200 წლის წინ) საკმაოდ სტატიკური ჰიპოთეზებისთვის, ასევე კაპიტალპოლიტიკის (რომელიც განიხილავს სისტემას, რომელიც მუდმივად ვითარდება და მოელის ფაზებსა და გადანაცვლებებს) უფრო დინამიური ჰიპოთეზებისთვის. მიუხედავად ამისა, ასეც რომ იყოს, მის გამოყენებას გარკვეული შეზღუდვები მაინც გააჩნია, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო გამოიყენება როგორც ერთ-ერთი აქტორი (როგორც ეს ხდება სხვა პროექტებშიც), მოითხოვება მკვეთრად გამოხატული შეუთავსებლობა, არსებობს ინლუზიის ზღვარი. ამდენად, უპსალას მონაცემები სასარგებლო გახდა ბევრი მიზნისთვის, რაც კი შეიძლება მკვლევარმა ისურვოს.

უპსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამის მომავალი, 2011 წელს

ამ პროექტების განმავლობაში ბევრი ემპირიული დაკვირვება გაკეთდა. დაკვირვების დასაწყისში გამოიკვეთა, რომ უფრო მეტი შიდა სახის კონფლიქტი არსებობს, ვიდრე სხვა სახის და ეს ბევრისათვის მნიშვნელოვან და ინოვაციურ ინფორმაციად იქცა. როგორც ვნახეთ, ამ დაკვირვებას შეუძლია, ეჭვი შეიტანოს ზოგიერთ ცნებაში, რომელიც სახელმწიფოთაშორის სისტემას მიიჩნევს ძალადობის უმეტესი გამოვლინებების მამოძრავებელ ძალად. შესაძლოა ეს სისტემა ნამდვილად იყოს პასუხისმგებელი ძალადობის ერთ ფორმაზე: მსოფლიო ომები შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებებიდან. აბსოლუტური ციფრებით ეს შეიძლება ნიშნავდეს ნაკლებ ომს, მაგრამ მეტი ადამიანის სიცოცხლის რისკს. თუმცა, მსოფლიოს ყოველდღიური დაკვირვებიდან გამომდინარე, უფრო მნიშვნელოვანი შესაძლოა კონფლიქტის სხვა გამომწვევი მიზეზები იყოს. და მაინც, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთოებები მნიშვნელოვანია, მსოფლიოში არსებული ძალის არათანაბარი გადანაწილების შედეგებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი , როგორც ეს *Pax Americana*-ში გამოიხატა . მიგვიყვანს კი ეს ნაკლებ ომამდე თუ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ომებს ინტერვენციები ჩაანაცვლებს?

სახელმწიფოთაშორი მშვიდობიანი ურთიერთობებისათვის დემოკრატიის მზარდი მნიშვნელობა უკვე კარგად გამოჩნდა. საშინაო საქმეების შემთხვევაში სიტუაცია ცოტა უფრო რთულად შეიძლება იყოს. ჯერ კიდევ 1979 წელს, კენ უილსონმა ბევრ ქვეყანაში აღმოაჩინა არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს დაკვირვება დღესაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. ძალადობის ჩანაცვლება ხდება დემოკრატიული ინსტრუმენტების გამოყენებით, რისი მაგალითიც არის სამშვიდობო შეთანხმებები, რომელიც შიდა ომებს ასრულებს.

თუმცა, მათ, ასევე, შეიძლება გამოიწვიონ კონკურენციის, დაპირისპირების, თაღლითობის და მანიპულაციების სტიმულირება, ანუ, ძალადობის ახალ ფორმებად გადაქცევა. საკითხი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, განსაკუთრებით იმ გამოვლინებების გათვალისწინებით, რომ „ნახევრად-დემოკრატიებს“ შიდა ძალადობრივი კონფლიქტებისკენ მეტი მიდრეკილება აქვთ (ჰეგრე და სხვ. 2001). მაგალითად, დემოკრატიის ექსპორტმა მის მიმღებ საზოგადოებაში შეიძლება გავლენა მოახდინოს მის გრძლევადიან დაკანონებაზე.

დემოკრატია სირთულეებს აწყდება ეთნიკურად გაყოფილი საზოგადოებების მართვის დროსაც, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორ ან სამ მოზრდილ კონკურენტულ ჯგუფს შორის ძლიერი პოლარიზაცია ან ფრაგმენტაციაა, რაც ართულებს კოალიციების შექმნას. დემოკრატიას შესაძლოა სჭირდებოდეს გარკვეული დახვეწა და განვითარება, რათა ნამდვილად იქცეს მდგრად გადაწყვეტად, და არა ომის ახალ მიზეზად.

შედეგად, პრობლემები გროვდება და ზოგიერთი მათგანი მოითხოვს მონაცემების სარწმუნო წყაროს. უპსალას პროექტმა სწორედ ამ მონაცემებით მომარაგება დაიწყო, თავმდაბლად და ზედმეტი ხმაურის გარეშე. ის ცნობილი გახდა, როგორც უბრალოდ „კონფლიქტის მონაცემების პროექტი“, დიდი განხილვები არ შემდგარა მისთვის სახელის შესარჩევად. თუმცა, თანამედროვე მოთხოვნებმა, მათ შორის, საგრანტო აპლიკაციებმა და ინტერნეტ-პრეზენტაციებმა, მოიტანა ცვლილების საჭიროება. ამდენად, 2003 წელს პროექტმა მიიღო ფორმალური სახელი და გადაკეთდა პროგრამად, რომელსაც ეწოდა უპსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა (UCDP). ის შორს დგას, მაგალითად, მიმზიდველი „ომის კორელატებისგან“, თავისი აბრივიატურით, COW, ან უფრო მკაცრი AKUF-საგან. პროგრამის მთავარ ამოცანად იქცა, მკვლევართა საზოგადოებისთვის რესურსების მიწოდება. შემუშავებულმა განსაზღვრებებმა მონაცემები გამოსადეგი უნდა გახადოს ბევრი სხვადასხვა მიზნისთვის, და ამდენად არ უნდა იყოს თავიდანვე მიკერძოებული ომის თუ მშვიდობის გამომწვევი მიზეზების ერთი რომელიმე გაგების მიმართ. თუმცა, განსაზღვრებები თავად ზღუდავენ ზოგიერთ გამოყენებას და ამ თვალსაზრისით, ავიწროებენ ძიების არეალს. ამდენად, პროგრამამ ჩაატარა მიზანმიმართული სამუშაო ზოგიერთი ამ შეზღუდვისგან გასათავისუფლებლად. წარმოგიდგენთ რამდენიმე უახლეს მაგალითს.

2005 წლიდან მონაცემების მიღება შესაძლებელია უფასოდ მონაცემთა ბაზიდან. თავდაპირველად, ეს შესაძლებელი გახდა SIDA-ს, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, გრანტის დახმარებით; ახლა კი პროგრამა დაფინანსებას უპსალას უნივერსიტეტიდან იღებს.

მონაცემები მუდმივად ახლდება. მონაცემთა დიდი რაოდენობის დაგროვებისა და მისი მზარდი კომპლექსურობის გამო მონაცემთა განახლება ფრიად მნიშვნელოვან საქმედ იქცა . იმისათვის, რომ მკვლევართა საზოგადოებამ ეფექტურად ისარგებლოს UCDP-ს მონაცემებით, მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა კრებულების მუდმივი დამუშავება და

მუდმივი გადახედვა ხდება, იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიული მოვლენების შესახებ ვრცელდება ახალ-ახალი ინფორმაცია. ამას გარდა, ხდება გამოქვეყნებული მონაცემების ყოველწლიური განახლება.

კონფლიქტის შესახებ მონაცემები მოიცავს უახლეს ისტორიას. მსოფლიო ბანკის გრანტით და PRIO-სთან თანამშრომლობით, განხორციელდა 1946 წლიდან მოყოლებული ყველა შეიარაღებული კონფლიქტის რეგისტრაცია. მონაცემთა კრებულებისთვის „ნედლ მასალას“ წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კონფლიქტების შესახებ მონაცემთა ბაზაში, ის კი ახლა მოიცავს დეტალურ მონაცემებს ყველა შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ 1975 წლიდან მოყოლებული. სხვა მონაცემების თარიღით რეგისტრაცია ამჟამადაც მიმდინარეობს.

მასში შედის *„ომების“ გარდა* სხვა კონფლიქტებიც. დასაწყისში, და COW-ს და AKUF-ს ტრადიციების კვალდაკვალ, ძირითადი აქცენტი იყო კონფლიქტზე, რომლის მთავარი აქტორი იყო სახელმწიფო/მთავრობა. ვანკუვერის (კანადა) საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტის ადამიანური უსაფრთხოების კვლევის ჯგუფთან თანამშრომლობით, დაემატა ძალადობრივი კონფლიქტის კატეგორიები. ესენი მოიცავს სახელმწიფო აქტორების ძალადობას არაორგანიზებული სამოქალაქო პირების მიმართ (მაგ. მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, გენოციდი), ასევე, არასახელმწიფოებრივი აქტორების მხრიდან ძალის გამოყენებას სხვა არასახელმწიფოებრივი აქტორების მიმართ (მაგ. საზოგადოებრივი ძალადობა). ამ საქმიანობის ნაწილი იყო მეტი ინფორმაციის მოპოვება საბრძოლო მოქმედებების შედეგად გამოწვეული დაღუპულების შესახებ.

შეიცავს აგრეთვე მონაცემებს მშვიდობის შესახებ. კონფლიქტის შესახებ მონაცემებს დაემატა სამშვიდობო შეთანხმებები, ასევე, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების სხვა გზებიც. მე-11 თავში წარმოდგენილია პირველი პრეზენტაცია. ისინი მოცემულია მონაცემთა ბაზაში და მონაცემთა ნაკრებებშიც, სტატისტიკური ანალიზის მიზნით.

შეიცავს მონაცემებს პრევენციული დიპლომატიის შესახებ. სხვადასხვა გრანტის დახმარებით UCDP-მ შეაგროვა სისტემატური მონაცემები კონფლიქტის პრევენციული ზომების შესახებ, რომელსაც ახორციელებენ მესამე მხარის წარმომადგენელი აქტორები. მუდმივად ხდება აღნიშნული სამუშაოს დახვეწა. UCDP-ს მონაცემებზე დაყრდნობით შესრულებულ ანგარიშში კარგად ჩანს, რომ, მაგალითად, ევროკავშირი არ იყენებს თავის, როგორც მშვიდობისმყოფელის, სრულ პოტენციალს.

შეიცავს მონაცემებს კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ. რა მნიშვნელობა აქვს, სად მიმდინარეობს კონფლიქტი? UCDP-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ახალი წამოწყებაა ყველა მონაცემისთვის გეოგრაფიული კოდის მინიჭება; ეს ნიშნავს იმ ადგილების დაზუსტებას, სადაც ხდება ის მოვლენები, რომელიც კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს. მონაცემთა პირველი სერია გამოქვეყნდა 2010 წელს საერთაშორისო კვლევების ასოციაციის ჟურნალებში, ხოლო შემდეგი მონაცემები მომავალ წელს გამოქვეყნდება. არსებობს ღრმა რწმენა, რომ ეს ინფორმაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს უახლოეს წლებში კონფლიქტის ანალიზის მიმდინარეობაზე.

ბუნებრივია, ამგვარი პროგრამის წინაშე კიდევ ბევრი დამატებითი გამოწვევა არსებობს. გვერდითი ეფექტები თავისთავად უკვე აღსანიშნავია. უახლოეს წლებში ჩატარდება კვლევები კონფლიქტის მიზეზების შესახებ, რომელიც აქამდე არ იყოს შესაძლებელი ან ყურადღება

არ ექცეოდა. მასში გათვალისწინებული იქნება გეოგრაფიული ფაქტორები, კლიმატი და მთავრობის ხარისხი. კვლევები, ასევე, შეეხება კონფლიქტის სოციალურ და პოლიტიკურ ზეგავლენას, კერძოდ, თუ რა გავლენას ახდენს ის განვითარების ამბიციებზე და რა შედეგები მოაქვს ჰუმანიტარული დახმარებისათვის. მიმდინარეობს მუშაობა მედიაციისა და მესამე მხარის ქმედებების როლის შესახებ, როგორც აქტიური კონფლიქტის მიმდინარეობისას, ისე მის შემდეგ. კონფლიქტის შემდგომი შერიგებისა და ინტეგრაციის საკითხები, ასევე განხილვის საგანია. აქ დავასახელეთ მხოლოდ რამდენიმე მიმდინარე საქმიანობა, რომელთა მიმართ სისტემური მიდგომა გვიჩვენებს, თუ რამდენად ნაყოფიერია ის, და შედეგად უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენი ცოდნის გაღრმავებას ომისა და მშვიდობის დინამიკების შესახებ.

შენიშვნები

1. ეს არის პირველი მცდელობა, დაიწეროს ისტორია პროექტისა, რომელიც შეზღუდული იდეიდან, ეტაპობრივად, სრულ პროგრამად ჩამოყალიბდა. აღნიშნულ ტექსტებში გამოყენებულ იქნა მიკაელ ერიკსონის, ნილს პეტერ გლედიჩის, ბირგერ ჰელდტისა და კარინ ლინდგრენის სიღრმისეული კომენტარები. ავტორი პასუხს აგებს მხოლოდ შინაარსზე.

2. მე მქონდა შესაძლებლობა, მომენახულებინა უკვე ასაკოვანი პროფესორი კენდე, თავის სახლში, ბუდაპეშტში. მისი სახლი ტყვიებით იყო დაცხრილული, ხოლო ნატყვიარები ცემენტით ამოვსებული. როგორც მან ამიხსნა, ისინი 1956 წლის „კონტრ-რევოლუციის“ დროინდელი იყო. მართალია, მას შემდეგ თითქმის 25 წელი გავიდა, სახლი წესიერად არც გადაუღებავთ. განვიხილეთ ის უნგრული კრიზისი, რომელიც აღრიცხულია „ადგილობრივი ომების“ მისეულ ჩანაწერებში. მან აღნიშნა, რომ უნგრეთის ოფიციალური პოზიციის თანახმად, ეს კონფლიქტი არც ყოფილა. ისიც ამავე პოზიციას ემხრობოდა, თანაც თავად იყო ამ მოვლენის თვითმხილველი. ეს იყო მხოლოდ არარეგულარული შეტაკებები და მას ამდენად არ ჰქონდა ადგილობრივი ომის „შეკავშირებულობა“. ამდენად, ის აღრიცხვაში არ უნდა ჩაირთოს . თუმცა, მისი თქმით, ინფორმაციის მთავარი წყარო ყველა მის მიერ აღრიცხული ადგილობრივი კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო მისთვის იყო საერთაშორისო პრესა (განსაკუთრებით კი „New York Times”). კაპიტალისტური მედიის თანახმად, 1956 წლის მოვლენები ისეთი მასშტაბის იყო, რომ ისინი ახალ ამბებში გაშუქდა, ამდენად მასაც უნდა ეღიარებინა ის, როგორც კონფლიქტი, საკუთარი პოზიციის მიუხედავად. ამგარად, ის ამტკიცებს , რომ მან ობიექტურობა შეინარჩუნა. მეც დავეთანხმე. უნგრული აჯანყება მისი მონაცემების ნაწილი რომ არ ყოფილიყო, მისი ნაშრომი დამაჯერებლობას დაკარგავდა (კენდეს მონათხრობისთვის, იხ. 1971 : 5-6 და 1978). თუმცა, გამოცანად რჩება, რომ კენდეს ნაშრომში საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ინტერვენციურ ძალად გამოყვანილი არ არის, არადა, უნგრული კონფლიქტი განსაზღვრებულ იქნა როგორც „შიდა რეჟიმის საწინააღმდეგო ომი გარე ძალის მონაწილეობით“.

3. COW-ს დამფუძნებელი ჯეი დევიდ ზინგერი, ასევე, მიუთითებდა პიტიმირ სოროკის, ლუის რიჩარდსონის და ქუინსი რაითის შრომებს. აღსანიშნავია, რომ მიჩიგანის უნივერსიტეტს არასდროს გმოუხატავს თავისი მადლიერება ზინგერის მიერ გაწეული საქმიანობის მიმართ.

4. COW-ს შედეგად შექმნილი გამოცემების სია საკმაოდ შთამბეჭდავია. გამოცემები, რომელთაც გავლენა მოახდინეს უპსალას საქმიანობის დაწყებაზე იყო ზინგერი (1972), ზინგერი და სმოლი (1972), ზინგერი (1979), სმოლი და ზინგერი (1982). პროექტის ყველაზე ყოვლისმომცველი პრეზენტაცია ვასკესს (2000) ეხება.

5. ზინგერი (1981:1-14) ლაკონურად აჯამებს მიგნებებსა და არგუმენტებს. ხოლო რაც შეეხება COW-ს ფოკუსს იმ დროისთვის, სახასიათოა, რომ სმოლისა და ზინგერის ნაშრომების ბიბლიოგრაფიაში (1982) არ იყო სათაური, რომელიც შეეხებოდა „სამოქალაქო ომს“ ან მსგავს ცნებას. COW-ს ლექსიკონში „ომი“, ფართო გაგებით, მიესადაგება სახელმწიფოთაშორის ომებს, მაგალითად, ვასკესის ნაშრომები (2000), „რა ვიცით ომის შესახებ“, და გელერის და ზინგერის (1998) „ერები, რომლებიც ომობენ“ (კურსივირება აქ დაემატა). UCDP-ში კი, „ომი“ მიესადაგება გარკვეული სიძლიერის ყველა შეიარაღებულ კონფლიქტს.

6. პირველი სია გამოჩნდა სმოლსა და ზინგერში (1982: 214-215), ის მოიცავდა შიდა ომებს სისტემის წევრ სახელმიფოებში და ფარავდა პერიოდს 1816 წლიდან 1980 წლამდე. დაღუპულები როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო რიგებიდან ჩართული იყო მონაცემებში სამოქალაქო ომების შესახებ.

7. კენდე იყენებდა ტერმინს „განგრძობადობა“ და გამორიცხავდა „სპონტანურ აჯანყენებს და არეულობებს“, ისევე როგორც ინციდენტებს (1971: 5-6). ეს არის AKUF-ის განმარტების ნაწილიც (განცელი და შვინგჰამერი 2000: 11-14).

8. ციფრები გამოყენებულ იქნა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის და კარტერის ცენტრის მიერ. ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, 2002 წლის დეკემბერში, უპსალაში სტუმრობისას, კარტერმა მკითხა, იყო თუ არა მსოფლიოში კვლავ 100 კონფლიქტი, როგორ ეს 1989 წელს ვაცნობე. ეს ციფრი არ შეცვლილა 1989 წლის შემდგომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში . არასახელმწიფოებრივი ძალადობისა და ცალმხრივი კონფლიქტების კატეგორიების გათვალისწინებით, ყოველწლიურმა რაოდენობამ შესაძლოა 100-ს კვლავ მიაღწიოს.

9. 1989 წლის ციფრი, რომელიც მოცემულია JPR-ში გამოქვეყნებულ UCDP-ს ბოლო სტატიაში, არის ორმოცდასამი, არ დგას შორს 1993 წელს მოცემული ციფრისგან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირი იყო გადახედვა, ხელახალი წაკითხვა და ხელახალი კოდირება (ჰარბომი და ვალენსტინი 2010: ცხრილი I).

10. ეს თანამშრომლობა JPR-თან და PRIO-სთან გაგრძელდა სხვა რამდენიმე პროეტით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, რომელიც დაფინანსებული იყო ფონდის მიერ და ერთიც, რომელიც დაკავებული იყო „უკუსვლით რეგისტრაციით“ შეიარაღებული კონფლიქტებისა 1946 წლამდე . მას, ასევე, ჰქონდა საერთო სახელი „UCDP/PRIO მონაცემთა ნაკრები“. მონაცემთა ამ ნაკრების განახლება მთლიანად UCDP-ში ხდება. თავდაპირველად ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის და შვედეთის მთავრობის გრანტებით ფინანსებოდა.

11. COW დიდი ხნის განმავლობაში მდებარეობდა მიჩიგანის უნივერსიტეტის მენტალური ჯანმრთელობის კვლევით ინსტიტუტში, სადაც საერთაშორისო ძალადობა განიხილებოდა ძალადობის სხვა ფორმების პარალელურ ფორმად, ამდენად, როგორც „სისტემის“’ ეფექტი, რომლის შედარება, პოტენციურად, შეიძლება სხვა სახის პათოლოგიებთან.

12. აღნიშნულ საქმიანობას უძღვებიან ლოტა თერნერი და სტინა ჰოგბლადი (2011 წლის მდგომარეობით).

13. აღნიშნულ საქმიანობას უძღვებოდა მარგარეტა სოლენბერგი და მიკაელ ერიკსონი, პირველი ვერსია გამოქვეყნდა ნაშრომში გლედიჩი და სხვ. (2002). UCDP მუდმივად ანახლებს მონაცემებს, რომელთა პოვნა შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.ucdp.uu.se.

14. UCDP-მ ამ მიზნით ჩართო ინოვაციური მკვლევარები, მათ შორის, კრისტინე ეკი, იოაკიმ კროიცი და რალფ სუნდბერგი. საქმიანობას ამჟამად წარმართავს ტერეზა პეტერსონი, კვლევაში ჩართულია რამდენიმე ასისტენტი. მონაცემები ხელმისაწვდომია UCDP-ს ვებ-გვერდზე, ასევე, წარმოდგენილია UCDP-ს ყოველწლიური გამოცემების ტომეულებში „სახელმწიფოები შეიარაღებულ კონფლიქტში“, აგრეთვე ეკისა და ჰულტმანის სტატიებში (2007).

15. აღნიშნული სამუშაო დაასრულა იოაკიმ კროიცმა (უახლესი - კროიცი 2010) და სტინა ჰოგბლადმა (იხილეთ ამ ტომის მე-10 თავი)

16. საწყისები აღწერილია ამ ტომის მე-11 თავში. ფრიდა მიოლერმა წარმოიწყო მონაცემების პირველი კრებული, ხოლო ამჟამად სამუშაოს აწარმოებს ნინა ფონ უქსკული, ერიკ მელანდერის ხელმძღვანელობით.

17. აღნიშნულ საქმიანობას აწარმოებდნენ ემა იოჰანსონი და იოაკიმ კროიცი. იხ. იოჰანსონი და სხვ, (2010).

საუკეთესო საშუალება, მუდმივად მიიღოთ ინფორმაცია UCDP-ს სიახლეების შესახებ, არის მისი ახალი ამბების გამოწერა UCDP-ს ვებ-გვერდზე.

კონფლიქტის პრევენცია

პიტერ ვოლენსტინი[7]

მეთოდოლოგია უცნობის ამოსაცნობად

თანაავტორი ფრიდა მიოლერი

შესავალი

ძალადობრივი კონფლიქტების პრევენცია მნიშვნელოვან საკითხად იქცა ცივი ომის დასრულებიდან მალევე. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა გენოციდი რუანდაში, ეთნიკურ ნიადაგზე ომები ბოსნია ჰერცოგოვინაში, სომალის სახელმწიფოს დაცემა - ყველაფერი მიუთითებდა ისეთი საშუალებების პოვნის აუცილებლობაზე, რომლების უზრუნველყოფდნენ კონფლიქტების ომში, ადამიანურ კატასტროფებსა თუ რეგიონულ არასტაბილურობაში გადაზრდის პრევენციას. საერთაშორისო თანამეგობრობის მიზანი ასეთ სიტუაციებში იყო ის, რომ არ დაეშვა ძალადობის გავრცელება და ადრეულ ეტაპზევე ეპოვა გადაწვეტა. სწორედ ამგვარ ამბიციურ ქმედებებს უწოდებენ ხშირად კონფლიქტის პრევენციას (ლუნდი 2002; ვალენსტინი 2002, 2007, 2011). გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკმარისი არ არის უბრალოდ ნებისმიერი პრევენციული ზომის გატარება და რაიმე საპასუხო რეაქციის მიღება. საჭიროა მეტი დაკვირვება და გაანალიზება, , თუ ვის მიერ განხორციელებულ და რომელ ქმედებებს ექნება უფრო ეფექტიანი შედეგი. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ წინასწარ ვერ გვეცოდინება, თუ როგორ განვითარდება კონფლიქტი ამგვარი ქმედებების, ანუ პრევენციიული ზომების გარეშე, იმ შემთხვევაში, მაშინ როცა ისინი უკვე გატარდა. ეს უცნობია, მაგრამ მისი ამოცნობა აუცილებელია, რათა შეგვეძლოს ვთქვათ, რომ პრევენციულმა ზომებმა შედეგი გამოიღო. წინამდებარე თავი ამ საკითხთან მიმართებაში გამოსავლის ძიებას ეძღვნება.

დისკუსია წარიმართა იმ მიმართულებით, რომ კონფლიქტი გადაიჭრას მანამ, სანამ ძალადობა უკვე მწვავე ესკალაციაში გადაიზარდება, რამდენადაც გამოცდილებიდან გამოჩნდა, რომ ადრეულ ეტაპზევე ჩარევა დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ამას გარდა აღინიშნა, რომ გაჩაღებულ ომში ჩარევა ძალზედ ძვირი და ამავე დროს სახიფათო გზაა, ამავდროულად წარმატების ნაკლები შანსი არსებობს (ანანი 1996: 188). შესაბამისად, თუკი კონფლიქტის პრევენციის პოტენციალის გაღრმავებაზე მიდგა საქმე, მაშინ უკეთ უნდა გავიგოთ მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებიც.

აღნიშნული თავი ორმაგ მიზანს ემსახურება. პირველი, განხილული იქნება მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ მკვლევარები პრევენციულ ზომებზე დაკვირვებისას. ამ საკითხზე არსებული ვრცელი დებატების მიუხედავად, როგორც აღმოჩნდა, ლიტერატურა არც ისე ბევრია. მეორე, ამ მიმოხილვაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი იქნება სამი წინადადება, თუ როგორ უნდა შედგეს პრევენციული ზომების შესახებ სისტემური კვლევა. შემდეგ მოხდება ამ მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, რათა შემდეგ განხორციელდეს საველე კვლევითი პროექტი.

ჩვენი ყოვლისმომცველი მიზანია იმის განსაზღვრა, შეუძლიათ თუ არა პრევენციულ ზომებს ზეგავლენის მოხდენა, ახერხებენ თუ არა ისინი შეაჩერონ დაპირისპირებები, რათა ისინი უფრო დიდ შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს ან მოახდინონმიმდინარე

7 Wallenstein Peter with Moller Frida. “Conflict Prevention: Methodology for Knowing the Unknown.” In Peace Research, 125-142. New York, Routledge, 2011.

კონფლიქტების უფრო მეტი ესკალაციის პრევენცია ან მათი ფართო რეგიონში გავრცელების შეჩერება. პირველი პრობლემა (დიდ შეიარაღებულ კონფლიქტის ესკალაცია) წარმოადგენს ამჯერად ჩვენს მთავარ ფოკუსს და შემოთავაზებულ პროექტს.

კონფლიქტის პრევენციის ცნება

აღსანიშნავია, რომ ტერმინი კონფლიქტის პრევენცია სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს, ამდენად, მკველვარებს შორის ურთიერთშეთანხმებული მნიშვნელობა არ არსებობს. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

- მუნუერა (1994: 3): „არაძალდატანებითი,უმთავრესად დიპლომატიური სახისზომების (რომლებიც არ არის იძულებითი და დამოკიდებულია ჩართული მხარეების კეთილ ნებაზე) გამოყენება,
- ლუნდი (1996: 37): პრევენციული დიპლომატია არის „ მოწყვლად ადგილებში და დროში გატარებული მოქმედებები, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხე ან შეიარაღებული ძალის და იძულების შესაბამისი ფორმების გამოყენება სახელმწიფოს ან ჯგუფების მხრიდან, პოლიტიკური უთანხმობის გადასჭრელად, რომელიც შეიძლება წამოიშვას ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და საერთაშორისო ცვლილებების თანმხლები სტაბილურობის დამრღვევი ზეგავლენებიდან“.
- ბუტროს-გალი (*1996: 18*): „პრევენციული დიპლომატია არის დიპლომატიური ტექნიკების გამოყენება იმისთვის, რომ მოხდეს დავების წარმოშობის, მათი შეიარაღებულ კონფლიქტიში გადაზრდის [....] და შეიარაღებული კონფლიქტის გავრცელების პრევენცია “.
- კარნეგის კომისია (*1997: xviii*): პრევენციული მოქმედებების მიზანია, მოახდინოს ძალისმიერი კონფლიქტის პრევენცია , შეაკავოს მიმდინარე კონფლიქტების გავრცელება და მოახდინოს ძალადობის კვლავ გამეორების პრევენცია“.
- ვალენსტინი (1998: 11): კონსტრუქციული მოქმედებები, რომლებიც ტარდება, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკურ დავაში ჩართული მხარეების მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლო საფრთხე, გამოყენება ან გავრცელება.
- მიალი, რამსბოთამი და ვუდჰაუსი (1999: 96): მოქმედებები, რომლებიც ახდენენ შეიარაღებული კონფლიქტების ან მასობრივი ძალადობის აფეთქების პრევენციას.
- ლუნდი (2002: 117, *fn 6)*: „ნებისმიერი სტრუქტურული ან ინტერსექტორალული საშუალებები, რათა შეკავებულ იქნას სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობის და დავის ესკალაცია უფრო დიდ და მნიშვნელოვან ძალადობად და შეიარაღებული ძალის გამოყენებად, გაძლიერებულ იქნას შესაძლო ძალისმიერი კონფლიქტის მონაწილე მხარეების შესაძლებლოებები მათი დავის მშვიდობიანად გადასაწყვეტად, და პროგრესულად შემცირდეს საფუძველში არსებული პრობლემები, რომლებიც იწვევენ ამ დაძაბულობებსა და დავებს“.
- კარმენტი და შნაბელი (2003: 11): „საშუალო და გრძელვადიანი პროაქტიული ოპერატიული ან სტრუქტურული სტრატეგია, რომელსაც მიმართავენ სხვადასხვა აქტორები, და რომელიც გამიზნულია ისეთი პირობების გამოვლენასა და შექმნისაზე, რომლებიც შესაძლებელს გახდიან სტაბილურ და უფრო პროგნოზირებად საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს“.

კარმენტისა და შნაბელის მსჯელობის თანახმად, კონფლიქტის პრევენციის განმარტება უნდა იყოს „მნიშვნელობით ფართო, ხოლო როგორც პოლიტიკა, უნდა ხასიათდებოდეს მოქნილობით“. უფრო მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ ეს ფართო მიდგომა ემპირიულად მართებულია, ვინაიდან მისი გამოყენება შეიძლება ბევრ შემთხვევაში და კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში (2003: 2). თუმცა, ჩვენი აზრით, განსაზღვრებების უმრავლესობა ზედმეტად თავისუფლად გამოიყენება, რაც მათ ძალიან ფართო ცნებებად აქცევს, ეს კი ართულებს მათ კვლევას და გამოყენებასაც.ბევრი განმარტება პოლიტიკის მიზნებს ემსახურება, და არა კონფლიქტის პრევენციის საკითხს.. გასაკვირი არ არის, რომ ისინი სუსტია პრაქტიკული გამოყენებისას. ამდენად, აუცილებელია უფრო ზუსტი განსაზღვრება, თუკი მკვლევართა საზოგადოება პრევენციული დღის წესრიგის შემდგომ განვითარებას აპირებს. ასევე, ლუნდის მსჯელობის თანახმად, უფრო ზუსტი განსაზღვრება უნდა განასხვავებდეს კონფლიქტის პრევენციას სხვა მასთან ახლოს მდგომი კონცეფციებისგან, როგორიცაა, მაგალითად, პრევენციული დიპლომატია, საგარეო პოლიტიკა და ინტერვენცია. ის უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა კონტექსტში, თუმცა, ამავე დროს უნდა იყოს საკმარისად კონკრეტული, რათა მისი პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელი გახდეს (ლუნდი 1996: 32).

გრძელ და მოკლევადიანი პრევენცია

კონფლიქტის პრევენციის გაგების ორი გზა არსებობს. ერთი შეეხება უშუალო პრევენციულ მოქმედებებს: კრიზისი შეფასებულია, როგორც სამხედრო ესკალაციის გაძლიერების ან გავრცელების სახიფათო ფაზაში მყოფი. ამდენად, დგება მოქმედების საჭიროება, რათა მოხდეს მზარდი საფრთხეების პრევენცია. აქტორი არის მესამე მხარე, რომლლაც უშუალო ინტერესი ნაკლებად გააჩნია და ის ასევე პირდაპირ არ არის დაკავშირებული ძირითად მხარეებს შორის არსებულ შეუთავსებლობასთან. მეორე საკითხი არის სტრუქტურული პრევენცია, რომლის არსიც ისეთი პირობების შექმნაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტები და დავები მაქსიმალურად არ წარმოიქმნას ან არ შეიცავდეს ესკალაციის და შეიარაღებულ მოქმედებაში გადაზრდის საფრთხეს. ამ შემთხვევაში, მესამე მხარის ჩართულობა, მაგალითად, ამგვარი პირობების უზრუნველსაყოფად დახმარებაში შეიძლება გამოიხატოს. პრევენციის აღნიშნულ ორ სახეობას, მკლევარების მიხედვით, უწოდებენ მსუბუქ, უშუალო ან ოპერატიულ პრევენციას ერთის მხრივ, და ღრმა ან სტრუქტურულ პრევენციას, მეორეს მხრივ (მიალი და სხვ. 1999,:97; ვალენსტინი 2002:271; შრირამი 2003: 364). მოდით, შევხედოთ პირდაპირი კონფლიქტის პრევენციის სიტუაციებს, მაგრამ მხედველობის არეში გვქონდეს უფრო ფართო თვალთახედვაც. ბევრის აზრით, ეს უფრო მეტ გამოწვევას შეიცავს, ვიდრე სტრუქტურული განზომილება, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეიძლება გამოკვლეულ იქნას ჩვეულებრივი მეთოდოლოგიის დახმარებით (მაგალითად, თუ აღმოვაჩენთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ნაკლები ომებია, ეს გვეუბნება, რომ კონსოლიდირებული დემოკრატია სტრუქტურული პრევენციული ზომის ფუნქციას ასრულებს). ხანგძლივობის ანალიზის მხრივ ბოლო ხანებში არსებული წინსვლა შეიძლება დაგვეხმაროს სტრუქტურული პრევენციის გრძელვადიანი ეფექტების კვლევაში. ზოგადად, დროის ანალიზის ეს სახეობები აყალიბებენ საფრთხის დონეებს, რაც გულისხმობს „რისკი იმისა, რომ მოვლენა მოხდება გარკვეულ *t* დროში, იმის გათვალისწინებით, რომ მოვლენა არ მომხდარა *t* დრომდე (იამაგუში 1991: 9). ამგავრი რისკების ანალიზი პრევენციული აზროვნების ცენტრალური ნაწილს წარმოადგენს.

დამოკიდებული ცვლადები („წარმატება“ და „წარუმატებლობა“)

სფეროს აკლია საერთო კონცეფცია, თუ რა წარმოადგენს კონფლიქტის პრევენციის დამოკიდებულ ცვლადს წარმატებული კონფლიქტის პრევენციის განსაზღვრებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზი შეიძლება ნაწილობრივ იყოს კონცეპტუალური ორაზროვნების ხარისხი. ისევე, როგორც თავად ტერმინი, კონფლიქტის პრევენცია სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვა რამეს ეუბნება, წარმატება თუ წარუმატებულობაც მეტწილად სწორედ იმაზეა დამოკიდებულია, თუ როგორ არის, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული თავად პრევენცია. ამ გაურკვევლობის შედეგია ისიც, რომ ადვილია კონფლიქტის პრევენციის მთავარი ჩავარდნებისკენ თითის გაშვერა, ხოლო, მეორეს მხრივ, წარმატების დაუმსახურებლად მიწერა. როგორ უნდა მოხდეს წარმატების განსაზღვრება და ოპერაციონალიზაცია? გარკვეული გასაღებების პოვნა ლიტერატურიდან შეიძლება.

შრირამი და ვერმესტერი ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგნენ განხილვას და ისინი არ განსაზღვრავენ წარმატებას, როგორც თავისთავად კონფლიქტის პრევენციას. მათი მსჯელობის თანახმად, წარმატება უნდა იყოს კონტექსტისადმი მგრძნობიარე და ითვალისწინებდეს ისტორიას, რისკებს, მიზნებს და ა.შ. (შრირამი და ვერმესტერი 2003: 29). ვაირინენი ეთანხმება ამ მოსაზრებას და აცხადებს, რომ წარმატება მეტწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ კონტექსტზე და მისი სწორად წაკითხვის უნარზე. უფრო მეტიც, ის მსჯელობს, რომ შედეგები მერყეობს კონფლიქტის ციკლის ეტაპებს შორის: ომის წინა, ესკალაცია და ომის შემგომი პრევენცია (ვაირინენი 2003: 48).

წარმატების განმარტების მეთოდი ნამდვილად არის დამოკიდებული შესადარებელი ინდიკატორების არსებობაზე. ამჟამად, არ არსებობს ზუსტი ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს შედეგი, ამიტომ ყოველი შემთხვევის ინტერპრეტაცია განცალკევებით უნდა მოხდეს. ეს ტექნიკა, კი, მოითხოვს შემთხვევების სიღრმისეულ დათვალიერებას, რასაც ძალიან დიდი დრო სჭირდება . ამდენად, გამოდის, რომ შედარების შესაძლებლობა დაკარგულია და შესაბამისად დაკარგულია კვლევისა და პოლიტიკის შესამუშავებლად განზოგადებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობაც სისტემატური კვლევების ჩასატარებლად აუცილებელია, რომგანსაზღვრება მიესადაგებოდეს ბევრ შემთხვევას. ამას გარდა, ისინი უნდა ეყრდნობოდნენ ფართო განზოგადებას, რომელიც კონტექსტისადმი მგრძნობიარე არ არის, რათა წვლილი შეიტანონ სამომავლო შემთხვევების კვლევაში. მიალი და კოლეგები უშუალო პრევენციის შემთხვევაში წარმატების საზომად წარმოადგენენ შემდეგ განსაზღვრებას: „ პოლიტიკური დაძაბულობის დეესკალაციისა და წინგადადგმული ნაბიჯების ერთობლიობა, რომლებიც ემსახურება კონფლიქტის პრობლემის გადაჭრას და ტრანსფორმაციას“ (მიალი და სხვ. 1999: 119).

ახლა კი მოდით, მიმოვიხილოთ, თუ რა შეიძლება იყო დამოკიდებული ცვლადი უშუალო და სტრუქტურული კონფლიქტის პრევენციისათვის (ცხრილი 10.1).

როთჩაილდის მსჯელობის თანახმად, ნაცვლად იმისა, რომ წარმატებული პრევენცია განვიხილოთ, როგორც „ან....ან“ დაყოფა, უნდა გავითვალისწინოთ ნაწილობრივი და შეზღუდული წარმატებაც (როთჩაილდი 2003: 36). ასე უფრო დეტალურად გავიგებთ, თუ რა იქნა მიღწეული. ეს ეთანხმება ტალენტინოს მოსაზრებას, რომლის თანახმად, წარმატების განხილვა მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში კონსტრუქციული არ არის. ამის ნაცვლად, კონფლიქტის პრევენცია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, როდესაც ის პრევენციას ახდენს ან ასრულებს კონფლიქტს მოკლე ვადაში და ცდილობს, შეცვალოს ძალადობის საფუძველში არსებული მიზეზები (ტალენტინო 2003: 72). როგორც ტალენტინო

მიუთითებს, არსებობს სწრაფი გადაწყვეტის არქონის წარუმატებლობად განხილვის ტენდენცია. ტალენტინო ჩვენთვის ცნობილი პირველი სწავლულია, რომელიც ცდილობს პრევენციული წარმატებების და წარუმატებლობების შეფასების სისტემაში მოქცევას, და ამას აკეთებს იმ ოთხი კითხვის დასმით, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში ი 10.1.

გიორცი და რეგანი, თავიანთ ნაშრომში, რომელიც ეხება კონფლიქტის მართვას ხანგრძლივ მოწინააღმდეგეებს შორის, იგივენაირად მსჯელობენ, როდესაც ამბობენ, რომ შესაძლებელია პრევენციის წარმატების სამგვარად განმარტება: (1) მოკლევადიანი წარმატება, (2) საშუალოვადიანი ზეგავლენები და (3) კონფლიქტის დასრულება. ავტორები ამტკიცებენ, რომ კონფლიქტის მართვის მცდელობების შედეგი უმეტესწილად მის მოკლევადიან შედეგებში შეგვიძლია დავინახოთ. ესკონფლიქტის მართვაა და არა კონფლიქტის გადაწყვეტა. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ საშუალოვადიან ზეგავლენებს, მაგალითად, დაპირისპირება გადაიქცეს დაძაბულების შენელების მსგავს ურთიერთობად, რომელიც უფრო დიდხანს გრძელდება („რამდენიმე წელიწადზე მეტი“, გიორცი და რეგანი 1997: 323). თუმცა, დაპირისპირება დასრულებული არ არის. ეს კი მიუთითებს, რომ აქტორებს შორის უნდა არსებობდეს ძირეული მტრობის დონის შემცირების დაარა მხოლოდ კრიზისის გადაწყვეტის ინტერსი (გოერცი და რეგანი 1997: 325-327).

ამ გზით , შეგვიძლია დავინახოთ, რომ საომარ მოქმედებებში ცვლილება არ არის დროებითი, არამედ პრევენციული ზომები აღმოჩნდა ეფექტიანი და მოახდინა გრძელვადიანი ესკალაციის პრევენცია. ცხადია, კვლევა ხანგძლივი დაპირისპირებების შესახებ იძლევა „დაპირისპირების საბაზისო დონის“ (BRL) საზომის შემუშავების შესაძლებლობას . აქედან, კი, შეიძლება წარმოიშვას დამოკიდებული ცვლადების სერია.

ცხრილი 10.1
წარმატება და წარუმატებლობა კონფლიქტის პრევენციაში

	წარმატება	**წარუმატებლობა**
მსუბუქი ზომები	შეიარაღებული კონფლიქტი აღმოფხვრილია	შეიარაღებული კონფლიქტი
სიღრმისეული ზომები	მშვიდობიანი ცვლილება	სიტუაცია იხრება კონფლიქტისკენ

წყარო: **მიალი და სხვ. (199:127).**

ცხრილი 10.1
შეკითხვები კონფლიქტის პრევენციაშ წარმატების შესაფასებლად

წარმატება მოკლევადიან პერპექტივაში

- ჩაერთნენ თუ არა მოწინააღმდეგეები მოლაპარაკებებში, საზავო მოლაპარაკებებში, ან რაიმე პირისპირ შეხვედრაში?
- იყო თუ არა მცდელობები ძალადობის შემცირების და მისი ხელახალი ესკალაციის პრევენციის მიზნით?

წარმატება გრძელვადიან პერსპექტივაში

- დადგინდა თუ არა კონფლიქტის გამომწვევი სტრუქტურები და არსებობს თუ არა კონფლიქტის დინამიკის შესაცვლელი გეგმა?
- იკლო თუ არა ჯგუფის თვითმყოფადობის გამოკვეთილმა ნიშნებმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში?

წყარო: **ტალენტინო (2003: 73)**

გიორცი და რეგანი დროის საშუალო ან გრძელვადიანი პერიოდების მხარდამჭერები არიან. ისინი მომდევნო დავის სიმწვავის დონის ნაცვლად განიხილავენ დავის სიმწვავის მოდელებს, რომელიც იქნებოდა კიდევ ერთი ალტერნატიული დამოკიდებული ცვლადი (მომდევნო დავის სიმწვავე). ისინი აგებენ ექვს განსხვავებულ მოდელს, რომელთაგან ოთხი მიუთითებს კონფლიქტის წარმატებულ მართვაზე. მათი მსჯელობის თანახმად, საშუალოვადიანი მიდგომის საშუალებით დამოკიდებული ცვლადების განსაზღვრისას უკეთ ვიგებთ, თუ როგორ უნდა ვმართოთ კონფლიქტი (გიორცი და რეგანი 1997: 326-329). აზრთა ეს დინება მარტივად გადადის პრევენციის სფეროში.

შემდგომი წყარო დამოკიდებული ცვლადების საძიებლად არის შეკავების პოლიტიკის შესახებ ლიტერატურის გადახედვა. ეს მიდგომა მომდინარეობს პოლიტიკის თვალთახედვიდან: ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ შეიარაღებული შეტევა შეკავებული იქნა მძლავრი საწინააღმდეგო ძალის მიერ, ახალი ალიანსის ჩამოყალიბებით და სხვ. ის ფაქტი, რომ შეტევა აღარ განხორციელდა, მძლავრი პოზიციის დაკავების მნიშვნელობის სასარგებლოდ მეტყველებს. აქ გვხვდება იგივე მეთოდოლოგიური პრობლემა: თუ შეტევა მოსალოდნელი იყო, რომელ პერიოდში უნდა ველოდოთ მას, იქნებ შეტევა მხოლოდ და მხოლოდ გადადეს ან მიმართულება შეუცვალეს, ან იქნებ ის არც განიხილებოდა? ეს ლიტერატურა გადახედვას საჭიროებს.

და მაინც, აქამდე არსებული დისკუსიის თანახმად პრევენციული ზომების შედეგები უნდა განვიხილოთ, როგორც წარმატების სხვადასხვა დონის ერთობლიობა და უფრო მეტიც, როგორც მინიმუმ, საშუალოვადიან პერსპექტივაში. რომელიმე სიტუაციის ესკალაციის შეჩერება არის კონფლიქტის მართვის ან კონფლიქტის თავიდან არიდების ფორმა, და არა კონფლიქტის პრევენცია. ეს არის წარმატების ყველაზე დაბალი დონე, რომელიც საჭიროებს სხვა ელემენტებით შევსებას. დავამ შესაძლოა რამდენიმე თვის შემდეგ კვლავაც იფეთქოს, რაც წარმატებისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს შეიძლება იყოს იგივე ან ახალი კონფლიქტი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ურთიერთობა მაინც მერყევ ფაზაში რჩება. ამის ნაცვლად, ჩვენ უნდა ვიყოთ ისეთი ხანგძლივი შედეგების ძიებაში, როდესაც ურთიერთობებში შემდგომი კრიზისი აღარ დაფიქსირდება. ეს კი ნიშნავს სიტუაციებზე დაკვირვებას უფრო ხანგძლივი დროის განმავლობაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქმე კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხს ეხება. ეს კიდევ სხვა რამეა, რომელშიც ჩართულია ხანგძლივი მოლაპარაკებები, რეალურად, ეს სამშვიდობო პროცესია. თუმცა, კონფლიქტის პრევენციულ საქმიანობას, შეუძლია გზა გაუკაფოს ასეთ პროცესს. ამდენად, შემდეგი გამოგვადგებოდა, როგორც დამოკიდებული ცვლადის კარგი კანდიდატი: უშუალო არიდება დიდი შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაციისა (მინიმუმი წარმატება) და მონაწილე მხარეებს შორის დამატებითი სერიოზული დავის არარსებობა (მინიმუმ, ხუთი წლის განმავლობაში, ოპერატიული თვალსაზრისით), რაც ნიშნავს, შემდგომი დავების სიხშირისა და სიმძლავრის ცვლილების საშუალებას. სამშვიდობო პროცესის დაწყება წარმატების მაქსიმალური კრიტერიუმი იქნებოდა. ამდენად, მივიღეთ წარმატების ცვალებადი ხარისხების ერთობლიობა.

თუმცა, ამგვარი მსჯელობები მაინც ვერ ახერხებენ ჩასწვდნენ დროთა განმავლობაში ცვალებადობას, როდესაც საქმე ეხება „ან... ან“ მოვლენას: რაღაც ან მოხდა ან არ მოხდა (მშვიდობაა თუ არა/ ომია თუ არა; ბოქს-შტეფენმაიერი და ჯონსი 1997: 1423). შემოვლითი გზა მდგომარეობს დამოკიდებული ცვლადის ომის ალბათობად კონცეპტუალიზებაში: რამდენად ახლოს არის სიტუაცია ომთან? დაიწია თუ არა ომის ალბათობამ პრევენციული ზომების შემდეგ?

პრევენციული თეორიისკენ?

შრირამი და ვერმესტერი მსჯელობენ, რომ მიზეზობრიობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული ჰიპოთეზის ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რატომ და როგორ შეეძლოთ გარკვეულ ქმედებებს კონფლიქტის პრევენცია ან მოახდინეს კიდეც პრევენცია. მაშინ, მკვლევარს უნდა ემოქმედა შემდეგნაირად: გამოეყენებინა ფაქტების საწინააღმდეგო არგუმენტი, ყოფილიყო კონკრეტული და შემოეთავაზებინა შედეგობრივი ლოგიკა, მაგრამ ამავე დროს ალტერნატიული ახსნებიც (შრირამი და ვერმესტერი 2003: 30). მაგრამ ჰიპოთეზის განვითარების საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა ჯერ ისეთი ძლიერი ვერ არის, და ჯერ-ჯერობით პრევენციული თეორიის მსგავსის არაფერია ჩამოყალიბებული. არსებობს გარკვეული ელემენტები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება საფუძვლად, როგორიცაა მაგალითად, პრევენციული ქმედებების სახეობა, კონფლიქტის ფაზები, მათ შორის დროის ფაქტორი, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც ომის მიზეზების კველევიდან გამომდინარეობს.

ლიტერატურამ საკმაო ენერგია დახარჯა პრევენციული მოქმედებების სხვადასხვა სახეობისთვის კატეგორიების განვითარებაზე. აქ საკმარისია აღვნიშნოთ ორი მათგანი, რომელთაც განსხავავებული საფუძვლები აქვთ. ერთი გახლავთ მიხაელ ლუნდის ნაშრომი, რომელმაც შექმნა პრევენციული ინსტრუმენტების კარგად დამუშავებული ინსტრუმენტების ყუთი (ლუნდი 1996). ამ ინსტრუმენტების ყუთის მთავარი კატეგორიები წარმოდგენილია ცხრილში 10.2. ლუნდი ცდილობს მოახდინოს იმ დაკვირვებების სერიის სინთეზი, რომელიც ასახავს თუ რა კეთდება კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციებში, და ამდენად რა ხვდება ამ იპოლოგიაში . თუმცა, ბევრის არაფრის თქმა შეიძლება, რომელია მათგან უფრო ეფექტური ან როგორ ურთიერთმიმართებაში არიან ისინი.

პრაქტიკოსი მკვლევარი იან ელიასონი განსხვავებულ მიდგომას მიმართავს. იგი იყო დიპლომატი და გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა დეპარტამენტის გენერალური მდივნის პირველი მოადგილე. მან შემოგვთავაზა მზარდი იძულებითი ზომების/მოქმედებების კიბე, რომელსაც შეიძლება საერთაშორისო თანამეგობრობამ მიმართოს, რათა მოახდინოს ლოკალურად განვითარებული სიტუაციის პრევენცია. აღნიშნული ნაჩვენებია ცხრილში 10.3, რომელიც ეფუძნება ელიასონის ლექციების ციკლს უპსალას უნივერსიტეტში.

კიბის ყოველი საფეხურის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ მთავარი მონაწილე მხარეების რეაქციები. მაგალითად, სტივენ ჯეი. სტედმანმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა ერთი ფაზის - „ფაქტის წინაშე დადგომა“, დამატება რომელიც ადგილს დაიკავებდა ელიასონის კიბის მეორე და მესამე საფეხურებს შორის.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც ლიტერატურაში, ისე საჯარო სივრცეში საკმარისი გაგება არსებობს იმისა, თუ რას მოიცავს პრევენციული მოქმედებები. სირთულე, ალბათ, იმაში მდგომარეობს, როგორ განვასხვაოთ ზოგიერთი ასეთი მოქმედება „ჩვეულებრივი“ დიპლომატიისგან ან „ეროვნული“ პოლიტიკისგან. თუკი ქმედებებს ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, საწყისი პოზიცია გამომდინარეობს არა რაიმე კონკრეტული ინტერესიდან, არამედ წევრი ქვეყნების საერთო პოზიციიდან, რაც შესაძლოა იქცეს დიპლომატიის სხვადასხვა სახეობის ერთმანეთისგან განმასხვავებელ ნიშნად.

ცხრილი 10.2
ლუნდის პრევენციული დიპლომატიის იარაღების ყუთი

I.	**სამხედრო მიდგომები**
A	შეიარაღებული ძალის გამოყენებისგან თავის შეკავება
B	სამხედრო ძალის გამოყენების მუქარა ან გამოყენება
II.	**არასამხედრო მიდგომები**
A	იძულებითი დიპლომატიური ზომები (სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე)
B	არაიძულებითი დიპლომატიური ზომები (შეიარაღებული ძალების ან იძულების გარეშე)
III.	**განვითარება და მმართველობის მიდგომები**
A	ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა
B	ადამიანის უფლებების და დემოკრატიული და სხვა სტარდარტების გამოცხადება და გატარება
C	ეროვნული სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ხელშეწყობა

წყარო: **ლუნდი (1996: 203-205)**

ცხრილი 10.3
ელიასონის კონფლიქტის პრევენციის კიბე

7. სამხედრო ძალის რეალური გამოყენება, გაერო-ს ქარტიის VII თავის საფუძველზე
6. სამხედრო ძალის გამოყენების მუქარა, გაერო-ს ქარტიის VII თავის საფუძველზე
5. VII თავის იძულების მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა სანქციები, შესაძლოა მიზანმიმართული სანქციები
4. მშვიდობის დაცვის ოპერაციების ახალი თაობის გამოყენება, მათ შორის სამხედრო შენაერთების პრევენციული განთავსება
3. მხარეების მხარდაჭერა, მიმართონ ქარტიის VI თავის, 33-ე მუხლის რვა ზომას
2. ფაქტების დამდგენი მისიები, გაერო-ს ან სხვა რეგიონული ორგანიზაციების ეგიდით
1. დროული გაფრთხილება, ადრეულ ნიშნებზე რეაგირება

ბევრი მკვლევარი მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონფლიქტის პრევენციის ფაზებს. ეს წარმოდენილია, როგორც ლუნდის სქემაში, ისე ელიასონის კიბეში, რამდენადაც ორივე მიუთითებს, რომ კონფლიქტები დაპირისპირების განსხვავებულ ფაზებში გადადიან. თუმცა, აუცილებელია მისი სისტემაში მოყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს განსხვავებულ სიტუაციებს შორის შედარების გაკეთება. როთჩაილდი საუბრობს ოთხ სხვადასხვა ფაზაზე - პოტენციური კონფლიქტი, მომწიფება, გამაღიზიანებელი საბაბი და ესკალაცია - და კონფლიქტის და

პრევენციის პოსტ-კონფლიქტურ ფაზებზე (როთჩაილდი 2003: 44-56). ვალენსტინი და კოლეგები გამოყოფენ სამ ფაზას: წარმოქმნა, დინამიკა და მშვიდობის უზრუნველყოფა (ვალენსტინი და სხვ. 2001: 4). რომ კონფლიქტის პრევენციის პოტენციალი სხვადახსვა ფაზაში განსხვავებულია. ამდენად, ფაზებზე აქცენტის გაკეთება გამოსადეგი უნდა იყოს, რამდენადაც შესაძლებელს ხდის გავაანალიზოთ , თუ რა რესურსებია საჭირო და როდის უნდა მოხდეს მათი გამოყენება. შედარებით მცირე რისკის შემცველ სიტუაციებში ნაკლები რესურსია საჭირო, ვიდრე მაღალი რისკის შემცველ სიტუაციებში, რომელებიც ჩართულობის უფრო მაღალი დონეს მოითხოვენ (როთჩაილდი 2003: 44). კვლევის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს მკვეთრი გამყოფი ხაზი ფაზებს შორის. ეს ფაზები შესაძლოა კარგად მხოლოდ „შემდეგ“ გამოჩნდეს, ხოლო იმ მომენტში მათი აღქმა ვერ ხერხდებოდეს. სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ფაზების გამიჯვნის პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

აღნიშნულ საკითხთანაა დაკავშირებული დროის საკითხი: როდესაც პრევენციული ზომები წარუმატებელია, ხშირად მოქმედებას აფასებენ, როგორც „ცოტას და დაგვიანებულს“, რაც გულისხმობს, რომ დრო წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. თუმცა, შრირამი და ვერმესტერი მსჯელობენ, რომ სინამდვილეში გადამწყვეტი ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არის ეს მოქმედებები მორგებული, წარმოქმნილ სიტუაციას. შრირამსა და ვერმესტერს მოჰყავთ განსხვავებული პრევენციული ზომებისა და მათი ეფექტიანობის მაგალითები. მცდელობები შეიძლება იყოს გამიზნულიც და კოორდინირებულიც, მაგრამ უბრალოდ ძალიან დაგვიანებული, ესლაკაციის პრევენციისათვის. თუმცა, დარწმუნებული მაინც ვერ ვიქნებით, რის გამო იყო მოქმედება წარუმატებელი - იმის გამო, რომ „დაგვიანებული“ იყო თუ უბრალოდ იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა არსებული რთული ვითარების სხვა ელემენტებთან განმკლავება (შრირამი და ვერმესტერი 2003: 15). აღნიშნული წარმოშობს შემდეგ შეკითხვას: როდის არის „ადრე“ კონფლიქტთან მიმართებაში და როგორ უნდა მივხვდეთ ამას? „ადრე“ შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს ერთსა და იმავეს სხვადასხვა კონტექსტში, განსაკუთრებით, თუ ზოგიერთი კონფლიქტი ესკალაციის უფრო ციცაბო მრუდზე იმყოფება, ვიდრე სხვები (ჰემპსონი 2002: 144-145).

ასევე, ხშირად აცხადებენ, რომ იმისათვის, რომ კონფლიქტის პრევენცია ეფექტიანი იყოს, ის უნდა იყოს ითვალისწინებდეს კონტექსტს (აკერმანი 2003: 343; ვაირინენი 2003: 48; ლუნდი 2002: 104). კონტექსტის გათვალისწინება, როდესაც პრაქტიკულ გამოყენებაზეა საუბარი, აუცილებლად მოითხოვს შემთხვევების სიღრმისეულ გამოკვლევას, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, ძალზედ დიდი დრო სჭირდება. ის, ასევე, ამცირებს განზოგადების შესაძლებლობას. ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ პრევენციული მეთოდები ხშირად ერთი და იგივეა, და მოითხოვს ცნებებს, რომელიც გამოავლენს მსგავსებებს რეალურ სიტუაციასთან. პოლიტიკის გატარების თვალთახედვიდან რომ ვიმსჯელოთ, ისინი შეიძლება იმაზე უფრო მეტად გვანან ერთმანეთს, ვიდრე მკლევარებს ეჩვენებათ. აკერმანი იმასაც კი ამბობდა, რომ ეფექტიანი პრევენცია ქვეყნების სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს. ნათელი არ არის, თუ როგორ მივიდა ავტორი ამ დასკვნამდე, რადგანაც არ არსებობს მეთოდი, რომელიც შეაფასებდა გატარებული ზომების ხასიათსა თუ გავლენას.ამავე დროს, უნდა მოხდეს კონტექსტის პრაქტიკაში გამოყენება და ასევე, შესაძლებელი უნდა მისი შედარება. . რეალურად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ არსებული კვლევები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ კონფლიქტის პრევენციის წარმატებაზე ან/და წარუმატებლობაზე, დგანან შემთხვევების მიკერძოებული შერჩევის რისკის წინაშე,. პრევენციის მკვლევარები, კი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დგანან „ დამოკიდებული ცვლადების მიხედვით შერჩევის“ რისკის წინაშე.

შესაძლებელია კი აზრის ყველა ამ დინებას ერთად მოვუყაროთ თავი პრევენციული თეორიის სახით? ცხადია, შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა მოქმედებების განსხავევებული სახეობებისა და მათი შესაძლო გავლენების შესახებ. თუმცა, შეკითხვები უნდა ეხებოდეს სხვა შესაძლო ახსნებსაც, თუ რატომ იღებს რომელიმე კონკრეტული კონფლიქტი რომელიღაც კონკრეტულ მიმართულებას. ეს ნათელი გახდება, თუ მივყვებით სისტემურ მიდგომას რომელიც მოიცავს მკაცრად შედარებით ან რაოდენობრივ მიდგომას.

სისტემური მიდგომების და დამოუკიდებელი ცვლადების ძიებაში

აშკარაა, რომ ლიტერატურა ცალკეული შემთხვევების კვლევისგან შედგება. რამდენადაც ვხედავთ, სისტემატური კვლევა არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, ნაშრომების უმრავლესობა, რომელიც პრევენციული მოქმედებების შესახებ გამოქვეყნებულა, თავს უყრის წარმატებული შემთხვევების კვლევებს, სადაც ტიპიური კვლევა იწყება კონფლიქტის კლიმატის და იმ ფაქტორების აღწერით, რომელთაც ხელი შეუწყვეს კრიზისს. შემდეგ ქრონოლოგიურად წარმოდგენილია მოქმედი პირების მიერ გატარებული სხვადასხვა ზომა იმის გამოსაკვეთად, თუ როგორ მოახდინეს ამ ზომებმა ესკალაციის პრევენცია. ამდენად, საჭიროა ამ ტიპის კვლევების გადახედვა.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ახსნის პროცესში, ფირონი და ლაიტინი საინტერესო მიდგომას პოულობენ, რათა დაახლოებით გამოიანგარიშონ აფრიკაში თემური ძალადობის პოტენციური ინციდენტები. შერჩევითი ცდომილების თავიდან ასარიდებლად, ისინი წლის განმავლობაში რეალურ შემთხვევებს ადარებენ წლის განმავლობაში პოტენციური შემთხვევების ინდიკატორებს. პოტენციური შემთხვევების ციფრის შესადგენად, მკვლევარებმა გამოიყენეს პროქსი. პირველი, პოტენციური შემთხვევები არის ჩვეულებრივ ურთიერთქმედებაში ეთნიკური წყვილების მიახლოებითი გამოანგარიშება მეორე, ენების რაოდენობა გამოყენებულია, როგორც პროქსი ეთნიკური წყვილებისათვის (ფირონი და ლაიტინი 1996: 717). ამ პროცედურის საშუალებით, ფირონი და ლაიტინი მიახლოებით ანგარიშობენ, რომ რეალური თემური ძალადობრივი გამოვლინებების საშუალო ციფრი აფრიკაში, როგორც პოტენციური მოვლენების პროცენტული მაჩვენებელი „მერყეობს ნულის გარშემო“. ისინი იმასაც კი წერენ, რომ „თემური ძალადობა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აფრიკაში ძალზედ იშვიათი იყო“ იმ ოცი წლის განმავლობაში რაც მათ იკვლიეს (1960-1979; იქვე). როდესაც ძალადობა ჩნდებოდა/პრევენცია ხდებოდა, ამას ისინი მიაწერდნენ ადამიანების მიერ ორგანიზებული კავშირებისა და გათვლების არარსებობას/ არსებობას , (დასჯას და სხვ.). მაგალითად, ისინი აღნიშნავენ, რომ აქტორებს ეცოდინებათ, რომ სახელმწიფო ჩაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალადობა გარკვეულ, მაღალ დონეს მიაღწევს (ფირონი და ლაიტინი 1996; 731). ამდენად, უბნებსა და სამეზობლოებს აქვთ მიზეზი, ძალადობა დაბალ დონეზე შეინარჩუნონ. ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ იმ სიტუაციებში, რომელიც გვაინტერესებს, აქტორები არ ელიან ადრეულ ეტაპზე გარედან ჩარევას და ამდენად, აკავებენ თავიანთ დავას. აქ ერთი შემაწუხებელი ასპექტი ის არის, რომ თუკი წინასწარ არის ცნობილი, რომ ჩარევით დაინტერესებულია მესამე მხარე, ეს შესაძლოა შემდგომი ესკალაციის (და არა მისი პრევენციის) მიზეზად იქცეს.

დაკვირვებას, რომ ნაკლები შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს, ვიდრე ბევრი მოელის, ზურგს უმაგრებს „Correlates of War“-ს მონაცემები: შეიარაღებული დავების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ომებისა. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კონფლიქტებს თავიდანვე, გამზადებულად, არ აქვთ ესკალაციის პოტენციალი. არსებობს შემაკავებელი ან

შემანელებელი ფაქტორები, რომელთაგან ზოგიერთის განმარტება პრევენციულ ზომებადაც შეიძლება. ურთიერთობაში ერთხელ უკვე არსებული ომის გამოცდილება დაკავშირებულია იმავე ურთიერთობაში შეიარაღებული კონფლიქტის ხელახალ გამეორებასთან. ეს კი გვეხმარება იმის დადგენაში, რომ შესაძლოა გარკვეული ურთიერთობები უფრო მეტად იყოს მიდრეკილი ომებისაკენ, ვიდრე სხვები. მაგალითად, გიორცი და რეგანი აღნიშნავენ, რომ მედიაცია თითქმის 50 პროცენტით დაკავებულია ხანგძლივი დაპირისპირებებით (შეარაღებული კონფლიქტების შედარებით პატარა დანაყოფებები).

მოცემული ზოგადი კვლევები არ წარმოგვიდგენს პრევენციის კონკრეტულ შემთხვევებს. მართალია, წარმატებული შემთხვევების პოვნა რთულია, მაგრამ არსებობს სიტუაციები, რომელთა შემთხვევაში მკვლევარები და პოლიტიკის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ გატარებულმა ზომებმა, დიდი ალბათობით, ძალადობის ესკალაციის პრევენცია მოახდინა. მათზე ლიტერატურაშიც არის საუბარი. არც მედია და ანალიტიკოსების უმრავლესობა მათ იმდენ ყურადღებას არ უთმობს, როგორც იმ შემთხვევებს, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობამ კრახი განიცადა ძალადობის ესკალაციის პრევენციის მხრივ. გამოცხადებული წარმატების მაგალითებს შორისაა გვატემალა, ფიჯი, მაკედონია, სამხრეთ ოსეთი (საქართველო), მოლდოვა, ბალტიის რეგიონი, უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ და ლიბია ჩადის წინააღმდეგ (ელიასონი 1996: 322; მიალი და სხვ. 1999: 98).

ამ გაბნეული ლიტერატურიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტიპიური დამოუკიდებელი ცვლადები შეიძლება იყოს შემდეგი: პრევენციული მოქმედების სახეობა (მაგალითად, იძულების ხარისხი), პრევენციული აქტორის მახასიათებლები (მაგალითად, მესამე მხარე, მეზობლები, დიდი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.), პრევენციული ზომების გატარების დრო („ფაზები“, „ადრე/გვიან“, და სხვ.) და მოლოდინი რაიმე გარე მოქმედებისა. თუმცა, ომის მიზეზების შესახებ ჩვენი ცოდნის გათვალისწინებით, ეს აუცილებლად უნდა გადამოწმდეს იმ ფაქტორებთან მიმართებაში რომლებიც, როგორც ცნობილია, ესკალაციასა და ომს იწვევს. რეალურად, ამგვარი ცვლადები შეიძლება იყოს ისინი, რომლებიც ხსნიან თუ, რატომ არ ხდება ესკალაცია რომელიმე კონკრექტულ სიტუაციაში: როგორია შეუთავსებლობა, როგორები არიან პირველადი მონაწილე მხარეები (სიმეტრიული, ასიმეტრიული), წინა ომის/მშვიდობის გამოცდილება, არსებობს თუ არა სამხედრო ესკალაციის ზომები, ურთიერთობებში დემოკრატიის ხარისხი, რეგიონული კონტექსტი და სხვ.

საჭიროა იმ ტიპიური ფაქტორების შეფასება, რომლებიც ახსნიან ომის დაწყებას და ასევე იმის განსაზღვრა, თუ როგორ ხდება ამ ფაქტორების განეიტრალება იმ პრევენციული მოქმედებების საშუალებით, რომელთაც პრევენციული ლიტერატურა განიხილავს. შესაძლოა, წინა ომის პირობები, დემოკრატიასა და დიქტატორულ მმართველობას შორის არსებული დაყოფა, სამხედრო ესკალაცია და საერთაშორისო კოალიციები იმდენად ყოველისმომცველი ფაქტორებია, რომ ნებისმიერი პრევენციული ზომა დიდი ალბათობით „განწირული“ იყოს; მონაწილე მხარეებს შორის კონფლიქტის მამოძრავებელი ძალები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ პრევენციული დიპლომატია მასთან შედარებით ჰგავს მარტო ადამიანს, რომელიც სრულ სიჩქარეზე მიმავალი მატარებლის შეჩერებას ცდილობს. თუმცა, პრევენციულ ლიტერატურას შესაძლოა სულ სხვა საწყისი წერტილი ჰქონდეს: ყველა ომი არის ადამიანური გადაწყვეტილება და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღება სულ ბოლო მომენტამდე. ამდენად, მოქმედებას ყოველთვის აქვს აზრი. მატარებელი მზადაა დაიძრას და იმ საწყის მომენტში, ძრავის გამორთვაც შეიძლება და სრულ სიმძლავრეზე

დაქოქვაც. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთვის ცნობილია ომის გამომწვევი სისტემური მიზეზები, საინტერესო იქნებოდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვეპოვა შემთხვევები, სადაც მატარებელი ან სრული სიჩქარით მიექანება ან სადაც ის დაძვრას აპირებს. ეს კი განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს.

მართლაც, შეიძლება აქედან გამომდინარეობდეს შემთხვევების ტიპოლოგია, რომელიც განასხვავებს მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის შემცველ ესკალაციას, რომლებიც ეფუძნება კონფლიქტის მამოძრავებელი და შემაკავებული ფაქტორების სიძლიერის ერთგვარ საბაზო ცოდნას. პრევენციის წარმატების შანსები, უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც სიტუაციაზეა დამოკიდებულია. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეს გარკვეულწილად მისცემს თავიანთი მცდელობების გონივრულად განაწილების შესაძლებლობას .

მართალია ჯერ არ გვაქვს ყოვლისმომცველი პრევენციული თეორია , მაგრამ გვაქვს, როგორც მინიმუმ, ჰიპოთეზის ელემენტები, რომლებიც შემდგომ შეიძლება გამოვიყენოთ მონაცემთა ერთობლიობასთან მიმართებაში. ამას კი მივყავართ პრევენციის კვლევის სამი განსხვავებული მიდგომის განხილვამდე. დროისა და რესურსის სიმწირის გათვალისწინებით, უნდა მივიღოთ მკაფიო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რისი გაკეთებაა საერთოდ შესაძლებელი.

ამ მხრივ, იმედისმომცემი მიდგომებია 1) კვლევები, რომელიც განიხილავს ისეთ შემთხვევებს, სადაც პრევენციული ზომები რეალობაში გატარდა (მიდგომა 1 ქვემოთ), 2) უკვე არსებულ მონაცემთა ბაზებში მოცემული ომებისა და არასაომარი მოქმედებების შესახებ დიდი რაოდენობით კვლევები ან სერიოზული დავების შესახებ ახალი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება; ან 3) დიაქრონული კვლევები, სადაც ერთი და იგივე შემთხვევა (დიადა/წყვილი) არის კვლევის ქვეშ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და სახეზეა , როგორც კრიზისების თავიდან აცილების , ისე მათი ესკალაციის გამოცდილება. აღნიშნული შეიძლება გადაიზარდოს მცირე რაოდენობის კვლევებში, სადაც შინაგანად ერთმანეთის მსგავსი შემთხვევები დაწყვილებულია, შედეგები კი შეიძლება განსხვავდებოდეს (მოხდა ესკალაცია, არ მოხდა ესკალაცია; მიდგომა 3 ქვემოთ).

სისტემატური კვლევის რა შესაძლებლობების არსებობს

მიდგომა 1: ჩამონათვალი იმ დავებისა, სადაც ესკალაცია არ მოხდა

დასაწყისისთვის საჭირო იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც ზოგად, ისე ისტორიულ ლიტერატურაში, გამოყოფილია იმ ნიშნით, რომ შეიცავენ სამხედრო ესკალაციის მაღალი რისკის ელემენტებს, მაგრამ მათ შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა. ასეთი მაგალითების მოძიება კომპიუტერულადაც შეიძლება იყოს შესაძლებელი.

მეთოდოლოგიური პრობლემები

აქ პირველ პრობლემას წარმოადგენს ისეთი სიტუაციების პოვნა, სადაც სამხედრო ესლაკაცია (ა.შ.) იყო მოსალოდნელი, მაგრამ არ მოხდა. მეორე პრობლემა არის განსაზღვრა იმისა, თუ რასთან უნდა მოხდეს მისი შედარება: ის შეიძლება შევადაროთ ისეთ სიტუაციებს, სადაც სამხედრო ესკალაციას ჰქონდა ადგილი. უნდა ვიპოვოთ ისეთი სიტუაციები, სადაც დამკვირვებლები ესკალაციას ელოდნენ და ის მართლაც მოხდა? მაგრამ რა ვუყოთ სიტუაციებს, სადაც შეირაღებული კონფლიქტი პირდაპირ მოგვევლინა წინასწარი დავის გარეშე (გადატრიალება, პირველი დარტყმა და სხვ.). მესამე პრობლემა არის იმ

პრევენციული მოქმედებების პოვნა, რომელიც გატარდა ამ ორივე სიტუაციურ შემთხვევებში (სადაც მოხდა ესკალაცია და სადაც არ მოხდა), ხოლო მეოთხე პრობლემა მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, რეალურად პრევენციული მოქმედების როლი იყო გადამწყვეტიესკალაციის თავიდან აცილებაში , თუ სხვა, უფრო ტრადიციული ახსნა შეიძლება იყოს უფრო მართებული. არ უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობაც, რომ პრევენციულმა მოქმედებამ შესაძლოა წაახალისოს კიდეც კონფლიქტის ესკალაცია, მიუხედავად მისი საპირისპირო მიზნისა. მეხუთე და საბოლოო კითხვა შემდეგში მდგომარეობს: თუკი მოხდა კონფლიქტის პრევენცია დროის ერთ მომენტში, ხომ არ მოხდა ის ე სხვა დროს (ე.ი. კონფლიქტი გადაიდო/გადაიწია) ან სხვა რაიმე ფორმით ხომ არ გამოვლინდა (ე.ი. კონფლიქტმა სხვა მიმართულება მიიღო)?

ამ პრობლემებისადმი მიდგომისას იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვება ზოგადი ლიტერატურიდან, განსაკუთრებით სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებთან დაკავშირებული დაკვირვებები:

- დავათა უმრავლესობა არ გადაიზრდება შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ ომში (COW; იხ. ფირონი და ლაიტინი 1996). პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა ათიდან ერთი მცირე დავა გადაიზაედოს ომში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომამდე გზა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გრძელია.
- დავების უმრავლესობაში, დიდი ალბათობით, გატარებული იქნება პრევენციული ქმედებები და ის ფაქტი, რომ დავების ესკალაცია არ ხდება, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამგვარი ქმედებები წარმატებული იყო. ასე, რომ რთულია იმის წარმოდგენა, რომ უმეტესი დავა უბრალოდ ქრება. რაღაც მოქმედება უნდა მომხდარიყო, მაგალითად, ერთი მხარე გასულიყო კონფლიქტიდან, ორივე მხარეს თავისი ღირსების შესანარჩუნებლად ეპოვა გამოსავალი ან რაიმე სხვა მოემოქმედებინა, რაც დავის მიმართ ინტერესს შეამცირებდა.
- დავების უმრავლესობაში, შესაძლოა მხარეები თავად მოელიან ესკალაციას. მათი მოქმედებები უბრალოდ ხმაურის ატეხვას და პოზიციების დაფიქსირებას ემსახურება; ამდენად, მხარეები არ აპირებენ ომში ჩაბმას და მათ სჭრიდებათ მხოლოდ შეზღუდული მოქმედებები იმის საჩვენებლად, რომ ყურადღება მიიპყრონ. ასეთ შემთხვევებში პრევენცია მარტივია.

ამდენად, კონფლიქტები, სადაც სამხედრო ესკალაციის რეალური საფრთხეები არსებობს, დავათა შედარებით მცირე რაოდენობას შეადგენს: ესენია კონფლიქტები, სადაც ძალზედ მოტივირებული აქტორები არიან წარმოდგენილნი და ნაკლებია პრევენციული ქმედებები. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას ომის მიზეზების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები. ისინი მიუთითებენ, რომ ომის ალბათობა იზრდება, თუ არსებობს ა) ისტორიული მტრობა, ბ) ჩართულია დიდი სახელმწიფო(ები), გ) შეიარაღებაში შეჯიბრი ან მსგავსი პირობა, დ) კონფლიქტის მონაწილე წყვილი და ან ერთ-ერთი არადემოკრატიული აქტორია ან ე) რეგიონული არასტაბილურობა ან რეგიონული კავშირები. მაღალი რისკის შემცველი შემთხვევების სია შეიძლება დავიწროვდეს ამგვარი კრიტერიუმების გამოყენებით. აღნიშნული კარგად მუშაობს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის შემთხვევაში; მაშ, რა ვუყოთ შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტს? თუ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მსგავსი კრიტერიუმების შექმნა, მაშინ შედგება სია, რომლიდანაც გამომდინარეც შეიძლება შეიძლება უამრავი სახის კვლევა ვაწარმოოთ. ის კი საჭირო ინფორმაციას სხვა მიდგომებსაც გაუზიარებდა (small-*N* და დიაქრონული კვლევები). ამგვარად შეიძლება გადაიჭრას პირველი მეთოდოლოგიური პრობლემა.

აქედან გამომდიარეობს მეორე პრობლემა უნდა მოვიცვათ ყველა ის კონფლიქტი, სადაც ესკალაცია მოხდა თუ მხოლოდ მათი გარკვეული ქვეჯგუფი, კერძოდ, ისინი, რომლებიც ზემოაღნიშნულ ხუთ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ?

მესამე პრობლემა უფრო პირდაპირია: საქმე ეხება ინფორმაციის მოძიებას, გატარდა თუ არა პრევენციული მოქმედებები, მაგრამ ისინი უნდა მომდინარეობდეს სიტუაციათა ორივე სახეობიდან. მეოთხე პრობლემა (თუკი პრევენციულმა ზომებმა გაამართლა) მოითხოვს მონაცემებთან მიდგომის რაიმე თეორიულ გზას. პრევენციის თეორია, ჯერ-ჯერობით, არ არის კარგად განვითარებული და ამიტომ უფრო ემპირიულ მიდგომებს თუ დავეყრდნობით. მეხუთე (გრძელვადიანი) პრობლემა შეგვიძლია განვიხილოთ.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიდგომა 1 საჭიროა პრევენციული ზომების სარგებლიანობისა და მასშტაბის დემონსტრირებისთვის. თუმცა, არსებობს მეთოდოლოგიური პრობლემების მთელი სერია, რომელიც, შესაძლოა, სხვა მეთოდებით გადაიჭრას.

მიდგომა 2: „სერიოზული დავების“ ძიება: საფრთხის შემცველი სიტუაციები.

ამ მიდგომაში გადაწყვეტის ერთი გზა არის კონფლიქტის მონაცემთა განსაზღვრების (რომელიც უპსალას კონფლიქტის შესახებ მონაცემთა პროგრამამ შეიმუშავა) გადაყვანა დავათა მონაცემებად და ამდენად, მონაცემთა ახალი ნაკრების განვითარება. მეორე გზა იქნებოდა არსებულ მონაცემთა არქივის გამოყენება, რომელიც საკმარის ინფორმაციას შეიცავს კონფლიქტების რომელიმე კატეგორიისთვის. დასაწყისისთვის, საკმაოდ დამაიმედებელად ჟღერს. მაგნუს ობერგის დისერტაციაში (2002) მოცემულია ასეთ მონაცემთა ბაზა, რომელიც ეთნიკური კონფლიქტების დაწყებას ეხება. ამდენად, შემდგომი კვლევებისთვის ხელსაყრელია ამ მონაცემთა ნაკრების გამოყენება.

თუკი დავუბრუნდებით ახალი მონაცემთა ბაზის შექმნის ამბიციურ იდეას, ჩნდება შემდეგი მართებული მოსაზრებები. „სერიოზული დავის“ განსაზღვრება შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა, მაგალითად, სიტუაციები, სადაც მხარეები ურთიერთქმედების დროს მტრულ დამოკიდებულებას ვერბალურად მაღალ დონეზე გამოხატავენ (ულტიმატუმი, ერთი მხარე უკმაყოფილოა, რომ მეორე მხარე სამხედრო მოქმედებებით იმუქრება), აშკარა პოლიტიკური შეუთავსებლობა (მთავრობა, ტერიტორია), ორგანიზებული აქტორები სამხედრო შესაძლებლოებებით (ხელთარსებული ან სწრაფად მობილიზებადი) და მოქმედებები, რომელიც ამცირებს ნდობას (შეთანხმების ცალმხრივად დარღვევა, შეთანხემებების რატიფიცირებაზე უარის თქმა, უკვე შეთანხმებული პირობების ნელი იმპლემენტაცია, მიკერძოებული ისტორიული წიგნების შექმნა, გაუქმებული მაღალი დონის შეხვედრები, მოწინააღმდეგე მხარის მიმართ მტრულად განწყობილი აქტორების მეგობრულად მიღება და სხვ.). აღნიშნული ელემენტები კონფლიქტური სიტუაციების ნაზავიდან გამოიმუშავებდა „სერიოზულ დავათა“ მონაცემების სერიას თავის მხრივ, მოხდებოდა მათი კატეგორიზაცია. ამას შეუძლია ინფორმაციის მიწოდება ერთი და იმავე წყვილის შესახებ დროთა განმავლობაში, ისევე როგორც წყვილების გარკვეული რაოდენობის შესახებ, რომელთა შემთხვევაში დავებმა ესკალაცია განიცადა. ამგვარად, შეიქმნებოდა თანმიმდევრული მონაცემთა ბაზა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა პრევენციის კვლევა.

პრობლემა, რომელთანაც ეს მიდგომაა დაკავშირებული, იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა ბევრი სიტუაცია ვერც მოხვდეს შერჩევაში (მოქმედებების, განცხადებების ან სხვ. ძალიან დაბალი დონე), რაც განსაკუთრებულად შეეხება შიდასახელმწიფოებრივ

კონფლიქტებს (მაგალითად კონფლიქტები, რომელთა შემთხვევაშიც მკვლევარები რეტროსპექტულად დაადგენენ, რომ გადატრიალებამდე საფრთხეები არსებობდა, მაგრამ, რომელი საფრთხეებიც ადგილობრივმა მედიამ გააშუქა, ვინაიდან დიქტატორული რეჟიმის ეშინოდა და რომელთაც საერთაშორისო მედიამ ყურადღება არ მიაქცია, ვინაიდან ქვეყანა არ წარმოადგენდა სტრატეგიულ ან კომერციულ მნიშვნელობის მქონეს). საპირისპირო პრობლემაა, პირიქით, ზედმეტად ბევრი სიტუაციის ჩართვა ჩამონათვალში, განსაკურებით თუკი ისეთი პოლიტიკური კულტურა არსებობს, რომლის ფარგლებშიც ურთიერთბრალდებები ხშირად გაისმის და სხვ.

აგრეთვე, სერიოზული დავები არსებობს კონფლიქტის ომისაკენ ესკალაციის ინგრედიენტებთან დაკავშირებით. ხშირად შეიძლება არსებობდეს ერთი, ან შესაძლოა, მეტი ამგვარი დავა. ეს წამოჭრის პრობლემას, თუ რამდენად დამოუკიდებელია თითოეული დავა ყოველი შემდეგი დავისგან. მათმა დაჯგუფებამ შეიძლება გამოიწვიოს მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელიც ვლიდება, როგორც ესკალაცია, და ამდენად, გამოიწვიოს პოტენციური წარუმატებლობა პრევენციული ქმედებებისა, არადა ქმედება ერთ მოვლენასთან მიმართებაში (რომელიც ბოლოა თანმიმდევრობაში) შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ ის, რომელიც ამ ჯაჭვს დაასრულებს, და ერთადერთი, რომელიც დიპლომატიური თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნას როგორც „სერიოზული მცდელობა“. შეუძლია კი ამ ანალიზს ამ პრობლემის გადაჭრა?

მთლიანობაში, ზემოაღნიშნულის შედეგად მივიღებთ დიდ მონაცემთა ბაზას, რომლის გამოყენება შესაძლებელია large-*N* და small-*N* სახის კვლევებში. მართალია, ეს დიდი და ძვირი წამოწყება იქნება, მაგრამ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონფლიქტის შესახებ არსებულ მონაცემთა შევსება. შესაძლებელია მისი შემცირებაც თუ გეორგიაფიული არეალიაშეზღუდული (მხოლოდ ევროპული სივრცე, ან უფრო მცირე გეოგრაფიული რეგიონები) ან უფრო მცირე დროის მონაკვეთია აღებული (მაგალითად, ბოლო ხუთი ან ათი წელი).

რეზიუმეს სახით ვიტყვით, რომ ამ მიდგომას რამდენიმე მიმზიდველი თვისება გააჩნია, განსაკუთრებით, თუ მისი დაწყება უკვე არსებული მონაცემთა ნაკრებიდან იქნება შესაძლებელი. ასევე, შესაძლებელია გამოცდილების შეძენა სრულიად ახალი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

მიდგომა 3: იმ შემთხვევების ანალიზი, სადაც სერიოზული დავების განმეორების გამოცდილება არსებობს

ეს მიდგომა ფრთხილ შერჩევას აკეთებს ნაცნობი სიტუაციების სერიიდან, სადაც ომის გამოცდილება არსებობს ან არ არსებობს. ერთი და იგივე აქტორების წყვილის გარკვეული დროის მანძილზე კვლევისას, შესაძლებელი იქნება დანახვა, არის თუ არა პრევენციული მოქმედებებისა სიხშირე გაზრდილი/შემცირებული და ახდენენ თუ არა ისინი გავლენას, და ამდენად, ამცირებენ ძალიან განსხვავებული და კონტრასტული სიტუაციების განხილვის საჭიროებას . თუ ისინი ისე იქნებიან შერჩეული, როგორც ურთიერთობები, რომელიც მოიცავს კონფლიქტის სრულ ტიპოლოგიას - ა) კონფლიქტები სახელმწიფოსა და სახელმწიფოს შორის, ბ) შიდა კონფლიქტები და გ) სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის თანმდევი კონფლიქტები - მოხდება სამი მნიშვნელოვანი სიტუაციის შედარება შესაძლებელია მისი შერევა მე-2 მიდგომასთან ,ამ ურთიერთობებში „სერიოზულ დავებზე“

ყურადღების გამახვილების გზით. იმისათვის, რომმიდგომა უფრო მისაღები გახდეს, შეიძლება მოვითხოვოთ რომ ურთერთობების გამოცდილებაში ერთი ომი მაინც არსებობდეს, ზემოაღნიშული იმ მიგნების შესაბამისად, რომ ეს ზრდის ომის რისკს.

აშკარა პრობლემა არის ის, რომ კონფლიქტის ტიპოლოგიის ბ) და გ) პუნქტებისათვის აქტორები შეიცვლება: მთავრობები იცვლება, მეამბოხეთა ორგანიზაციები ჩნდება და ქრება, უთანხმოება იწელება ბევრი წლის განმავლობაში და მოქმედი პირების გადანაცვლებას იწვევს. ეს ფაქტორები შეიძლება ართულებდეს იმის განსაზღვრას, ისევ „იგივე“ აქტორები აგრძელებენ მონაწილეობას თუ არა. და მაინც, ამ იდეამ შეიძლება იმუშაოს, რამდენადაც, ასეთ პირობებშიც კი, აქტორები, დიდი ალბათობით, ისწავლიან წინა გამოცდილებებიდან, მოგონებები შენარჩუნდება სხვადასხვა გზით. უფრო მოკლე დროის მონაკვეთში მოგენებები უფრო შენარჩუნდება, თუმცა, ცვლილებებიც ნაკლები იქნება.

რამდენადაც პრევენციამ დღის წესრიგში ადგილი უფრო მყარად ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიმკვიდრა, შემთხვევათა შერჩევა ამ პერიოდით შეიძლება შეიზღუდოს.

სიტუაციების შესაძლო შერჩევა

- ურთიერთობა სახელმწიფოსა და სახელმწიფოს შორის: ეთიოპია-ერითრეა, აშშ-ერაყი
- შიდა კონფლიქტები: ანგოლა, ბურუნდი, რუანდა, კოლუმბია, მაკედონია
- სახელმწიფოს წარმოქმნის გარშემო კონფლიქტები: აჩეჰი, ბირმა, ქაშმირი, პალესტინა, კოსოვო.

ვფიქრობთ, სასარგებლო უნდა იყოს პრევენციული პრობლემატიკის წარმოჩენა აღნიშნულ სიტუაციებში, დაწყებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებით.

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შესახებ

შერჩეული შემთხვევებიდან ერთი შეიძლება იყოს სიმეტრიული, ხოლო მეორე ასიმეტრიული. პირველი უნდა იყოს უფრო გარკვეული და ამდენად, ჯდებოდეს სერიოზული დავების განსაზღვრებებში. თუ ამას დავუმატებთ ომის კრიტერიუმსაც (უნდა არსებობდეს ახლო წარსულში გადატანილი ომის გამოცდილება), მაშინ შემთხვევების რაოდენობა ადვილი სამართავი იქნება. შემდეგ, შესაძლოა თანმიმდევრობის კვლევა იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ ყველა აქტორი უნდა აცნობიერებდეს დავის ესკალაციის შესაძლო საფრთხეებს. შედეგად, დავა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას უფრო მარტივად მიიქცევს და მესამე მხარის პრევენციული მოქმედებების მისაღებადაც ღია იქნება.

ასიმეტრიის შემთხვევაში საქმე, შესაძლოა, უფრო რთულად იყოს. მაგალითად, არსებობს თანმიმდევრობები, სადაც შეიძლება გართულდეს იმის გარკვევა, ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი სიტუაცია შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც სერიოზული დავის ომისაკენ „ესკალაცია“, თუ უფრო, როგორც ტიპიური „ინტერვენცია“ სადაც გადაწყვეტილებები და დროის განრიგი უკვე წინასწარ დადგენილია, და არ შეიცვლება (საერთოდ არ, ან არც თუ ისე) დომინანტი აქტორის მიერ.

ამის კარგი მაგალითია აშშ-ერაყის კრიზისი და ომი 2003 წელს. ის აშკარად იყო დაკავშირებული 1991 წლის ომთან და 1998 წლის დაბომბვებთან. ცხადად იკვეთებოდა

დიდი საფრთხეები. 2003 წლის მარტში ერაყზე აშშ-ს დარტყმების განხორციელებამდე ორი დღით ადრე, აშშ-ს პრეზიდენტმა ულტიმატუმი წამოაყენა. ეს რა თქმა უნდა, სერიოზულ დავასთან დაკავშირებული მოვლენაა, თუმცა, მან თითქმის ადგილი არ დატოვა პრევენციული ქმედებებისათვის. ორი დღე ძალიან ცოტა დრო იყო. ერაყისათვის წაყენებული მოთხოვნების (მთავრობის გადადგომა) დაკმაყოფილება თითქმის შეუძლებელი იყო. ყველა სხვა გზა ან შესაძლებლობა იმ დროისათვის ასე თუ ისე ამოწურული იყო, ხოლო ომის დაწყების გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, უკვე მიღებული (სამხედრო მზადება დასრულებული). ამას გარდა, დიპლომატია, რომელიც რამდენიმე თვით ადრე ჩაერთო, მაგალითად, იანვარში სახელმწიფო მდივნის პაუელის პრეზენტაცია გაერო-ს უშიშროების საბჭოში, უფრო მიმართული იყო ომის ლეგიტიმიზაციის, ვიდრე ომის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისაკენ. გაერო-ს მანდატზე უარი, გარკვეულწილად, სწორედ პრევენციული ზომა იყო, რომელსაც შეეძლო გადაევადებინა აშშ-ს მოქმედებები, მაგრამ, ასევე, გამოხატავდა შეშფოთებას დავის განვითარების ლოგიკით (მაგალითად, დრო და მანდატი ინსპექტორებისთვის). 2002 წლის სექტემბრიდან 2003 წლის მარტამდე მომხდარი მოვლენების კვლევა მოგვცემს სიტუაციების სიას, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილად ჯდება სერიოზული დავის კრიტერიუმებში. თუმცა, იყო კი ნამდვილად დატოვებული ადგილი პრევენციული ქმედებებისთვის და მიიღეს თუ არა მესამე მხარეებმა რეალური ზომები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აშშ-ს ომის მზადება მიმდინარეობდა დიპლომატიური მოქმედებებისგან ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე? ნათელი იყო, რომ ოპონენტის მხრიდან სრული დანებების გარდა არც ერთი მოქმედება მისაღები არ იქნებოდა. სიტუაციის ასეიმეტრიულობა შეიძლება ნიშნავდეს, რომ პოტენციური მესამე მხარეები უფრო ნაკლებ პრევენციულ ქმედებებს გაატარებენ. აქედან ჩანს, რომ ასიმეტრიის ასპექტი მნიშვნელოვანია, მაგრამ, პრევენციული მეთოლოგიის კუთხით, ის ნაკლებად საინტერესო ელემენტებს შეიცავს. აღნიშნული შემთხვევა გამოდგება კრიზისის საილუსტრაციოდ, რომელიც მაღალი სიჩქარით მიმდინარეობს, და სადაც მატარებლის გაჩერება უფრო და უფრო რთული ხდება (იხილეთ, „სისტემატური მეთოდებისა და დამოუკიდებელი ცვლადების ძიება“ ზევით).

ორი შიდასახელმწიფოებრივი სიტუაციის შესახებ

ყველა მოცემული მაგალითი არის კარგად ნაცნობი ომი და კრიზისული სიტუაცია. ომის გამოცდილება მეორდება. მათკენ პერიოდულად იყო მიპყრობილი ა მრავალმხრივი (გაერო, საერთაშორისო ორგანიზაციები) ან ორმხრივი საერთაშორისო ყურადღება (მაგალითად, აშშ-ს როლი ქაშმირის ან პალესტინის მონაწილე მხარეებს შორის). ამ კონფლიქტებში მომხდარი ცვლილებები უნდა შეიცავდეს სერიოზული დავების გარკვეულ რაოდენობას, რომელთა კვლევაც საკმაოდ დეტალურად არის შესაძლებელი. თუმცა, სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს პირვეწყაროს მოძიება.

აღნიშნული მიდგომა წარმოდგენილ იქნა იმის საილუსტრაციოდ, რომ შემთხვევების დროის სხვადასხვა მონაკვეთში შესწავლის მეთოდს აქვს თავისი უპირატესობები და საჭირო დამატებაა წინა ორზე. თუმცა, მასთან შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძალზე ცოტა შემთხვევის პოვნის რისკი. ამას გარდა, ის მოითხოვს ინფორმაციაზე წვდომასაც, რომელიც ჯერ ხელმისაწვდომი არ არის.

დასკვნა (2011 წელს)

მისაღები იყო გადაწყვეტილება, თუ რომელი მეთოდი ყოფილიყო გამოყენებული, შესაბამისად, ამ სამ მეთოდთან მიმართებაში უამრავი რეაქცია წარმოიშვა. ისინი შეფასდა იმ თვალსაზრისით, რამდენად შეეძლოთ გონივრული აზრის გამოთქმა კონფლიქტის პრევენციის შესახებ და დახმარება შესაძლო პრევენციული თეორიის ჩამოყალიბებაში. მეორე, დაისვა შეკითხვა, არსებობს თუ არა სხვა ნაცნობი კვლევები, რომელიც შეიძლება იყოს მართებული და დაეხმაროს კვლევის შემდგომ ჩამოყალიბებას. მესამე, არსებობდა მოსაზრებები რესურსებსა და დროსთან დაკავშირებით. ამ ფაქტორების გაერთიანებით, გადაწყვეტილება მეორე მეთოდის სასარგებლოდ მივიღეთ, დავიწყეთ არსებული მონაცემთა ბაზით, მაგრამ დავგეგემეთ ახლის როგორც უკვე არსებული UCDP კონფლიქტის მონაცემთა ბაზის დამატების განვითარება. შესაძლებელი იყო მოქმედებათა ამ ორივე ხაზის მიყოლა და ამჟამად, უკვე არსებობს გარკვეული წინსვლა.

გამოყოფილ იქნა საგრანტო თანხა შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ მონაცემთა შეკრებისთვის, რომელიც აკვირდებოდა მცირე შეიარაღებულ კონფლიქტებს იმ ფაზაში, როდესაც მათი დონე დაბალი იყო და ასევე იკვლევდა მოხდა თუ არა მოგვიანებით მათი ესკალაცია. ეს ინფორმაცია მოიცავს 1993-2004 წლებს და ახლა ხელმისაწვდომია კვლევისათვის. ეს კი ნიშნავს ესკალაციის კვლევას ძალადობის დაბალი დონიდან, მაგრამ როდესაც სასიკვდილო ძალადობა კონფლიქტში უკვე მოხდა. მართალია კონფლიქტის დინამიკაშიესუკვეგვიანია,მაგრამმაინციძლევაპირველადიიდეებისგაგებისშესაძლებლობას. მაგალითად, 1989 წლიდან 2009 წლამდე სრული პერიოდის განმავლობაში UCDP-მ აღრიცხა ოთხმოცდაოთხი მცირე შეიარაღებული კონფლიქტი და ორმოცდაშვიდი ომი (ჰარბომი და ვალენსტინი 2010). ეს შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ კონფლიქტების ორი მესამედი ომში არ გადაიზარდა, ხოლო ერთი მესამედი კი - გადაიზარდა. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ, როგორც კი მოხდება დავების ისეთ დონეზე მილიტარიზება, რომ საბრძოლო მოქმედებების შედეგად მინიმუმ ოცდახუთი ადამიანი დაიღუპება (UCDP-ს ინკლუზიის ზღვარი), მაშინ შემდგომი ესკალაციის შანსები არის მაღალი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს სივრცე, რათა გარკვეულმა პრევენციულმა ზომებმა წარმატებას მიაღწიოს. ესკალაციის თვალსაზრისით ოცდახუთი დაღუპული შესაძლოა უკვე მაღალი მაჩვენებელი იყოს.

მონაცემთა ნაკრები, რომელიც ეხება მესამე მხარის ქმედებებს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში, აჩვენებს რომ ამ მხრივ საკმაოდ აქტიური საქმიანობა მიმდინარეობს (ვალენსტინი და მიოლერი 2008: მელანდერი და სხვ. 2009). ქმედებას გეორგაფიული ფოკუსიც აქვთ; მაგალითად, ქმედებები საკვლევ პერიოდში ძირითადად მიმართული იყო კრიზისებზე ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში. გარკვეული შედეგებიც აღირიცხა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ამგვარმა მოქმედებებმა სრულმასშტაბიანი კონფლიქტის პრევენცია მოახდინა. თუმცა, მაგალითად, პალესტინის კონფლიქტი კვლავ შეიცავდა სერიოზულ ძალადობას (თუმცა, არა ომს, UCDP-ს სტანდარტებით). პრევენციული ზომების გავლენაზეც რომ მეტყველებდეს, აღნიშნული ვითარება მაინც უფრო იმის დამსახურება შეიძლება იყოს, რომ ეს ქმედებები საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობას გამოხატავენ, და ეს ჩართულობა(და არა სპეციფიური ზომები) ახდენს გავლენას მხარეებზე. ასეც რომ იყოს, ეს კვლევები მიუთითებს სფეროსზე, რომელიც ღიაა დამატებითი კვლევებისთვის. აგრეთვე საინტერესო უნდა იყოს დაკვირვება, გამოიწვევს თუ არა სხვადასხვა მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარებებისა და დიპლომატიის კომბინირება, , იმ ზომების გაძლიერებას, რომლებიც ეფექტ იანად ახდენენ ესკალაციის პრევენციას.

მიხაელ ლუნდმა პესიმისტურად იკითხა, არის თუ არა კონფლიქტის პრევენცია „იდეა, რომლის დრო მოვიდა და წავიდა?“ (ლუნდი 2009). ბუნებრივია, უსაფრთხოების დღის წესრიგი 1990-იანი წლების შემდეგ შეიცვალა. ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში მთელმა ყურადღებამ გადაინაცვლა ტერორიზმზე, ავღანეთსა და ერაყზე. თუმცა, გასაოცრად ცოტა შეიარაღებული კონფლიქტი გადაიზარდა ომში. 2009 წელს იყო ექვსი ომი და ოცდაათი მცირე შეიარაღებული კონფლიქტი, რაც ნიშნავს, რომ კონფლიქტების მხოლოდ ერთი მეექვსედი იყო ომი. ეს შეიძლება იმას გულისხმობდეს, რომ უფრო მეტი პრევენციული ქმედებები ხორციელდება, ვიდრე ჩანს. ამას გარდა, შესაძლოა, მეტი რუტინული ოპერაცია არსებობს, ვიდრე ადრე. ჩვენ შესაძლოა ჯერ კიდევ კარგად ვიყოთ დაშორებულნი დავის შეიარაღებულ კონფლიქტისა და ომისაკენ ესკალაციის „პრევენციის პასუხისმგებლობისაგან“ (ჰემსპონი 2008). თუმცა, ეს პესიმიზმის საბაბს არ იძლევა. ახალმა შესაძლებლობებმა კვლევების ახალ სფეროში უნდა გადაგვიყვანოს, სადაც უამრავი მეთოდი და მიდგომაა წარმოდგენილი. ეს კი შესაძლოა ჯერ მხოლოდ დასაწყისია უცნობის ამოსაცნობად.

შენიშვნები

1. აღნიშნული თავი წარმოდგენილი იყო უპსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევის დეპარტამენტის კვლევით სემინარზე, 2003 წლის 9 ოქტომბერს. თავში ჩართული ბევრი საჭირო მათ შორის, განსაკუთრებით, დოქტორ მაგნუს ობერგისა და დოქტორ ბირგენ ჰელდტის კომენტარი. თუმცა, საბოლოო შინაარსზე პასუხისმგებელნი მხოლოდ ავტორები არიან. აღნიშნული ნაშრომი დაფინანსებულია შვედეთის საგანგებო მდგომარეობების მართვის სააგენტოს გრანტის მიერ. სტატიის ორიგინალი შეიცავდა კონფლიქტების სიას, რომელთაც ესკალაციის პოტენციალი გააჩნიათ. ამ ვერსიაში სია გამოტოვებულია.

2. ეს პროექტი განხორციელდა (იხ. ობერგი და სხვ. 2009).

შეიარაღებული კონფლიქტი და სამშვიდობო შეთანხმებები

პიტერ ვოლენსთინი[8]

თანაავტორები ლოტა ჰარბომი და სტინა ჰოგბლადი

2005 წელი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით 151 ადგილას იყო 231 შეიარაღებული კონფლიქტი. ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, 121 კონფლიქტი მოხდა ოთხმოცდაერთ ადგილას. ამ პერიოდში კონფლიქტების წლიური რაოდენობა - მათი ინტენსიურობისა და სახეობის მიხედვით - მოცემულია ცხრილებში 11.1 და 11.2 შესაბამისად. დიაგრამა 11.1 აჩვენებს შეარაღებული კონფლიქტის ტენდენციას მისი სახეობის მიხედვით 1946 წლიდან.

2005 წელს მიმდინარეობდა ოცდათერთმეტი შეიარაღებული კონფლიქტი ოცდაერთ ადგილას. ყველაზე მაღალი ციფრი შეიარაღებული კონფლიქტებისა დაფიქსირდა 1991 და 1992 წლებში, კერძოდ, ორმოცდათერთმეტი აქტიური კონფლიქტი. ამდენად, ზოგადი ტენდენცია 1990-იანი წლების დასაწყისიდან იყო მკვეთრი კლება. თუმცა, ეს კლება მუდმივი არ ყოფილა: დაფიქსირდა კონფლიქტების რაოდენობის მარგინალური ზრდა 1996 და 1999 წლებში, ხოლო შემდეგ 2004 წელს, როდესაც მათი რაოდენობა ოცდაათიდან ოცდათორმეტამდე გაიზარდა.

როგორც 2004, ისე 2005 წლების შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ მართალია დიდი ცვლილება კონფლიქტების რაოდენობაში არ შეიმჩნეოდა, მაგრამ დიდი ცვლილებები იყო თავად კონფლიქტების ჩამონათვალში. 2004 წელს დაფიქსირებული კონფლიქტებიდან 2005 წელს ათი აქტიური აღარ იყო, ხოლო 2005 წელს გააააქტიურებული კონფლიქტებიდან ცხრა 2004 წელს აღარ დაფიქსირებულა. ერთ-ერთი მიზეზი ამ ცვლილებებისა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი მიმდინარე კონფლიქტი შედარებით მცირე ინტენსივობისაა, ზოგიერთი მათგანი დაღუპულების რაოდენობით მერყეობს საბრძოლო მოქმედებების შედეგად ოცდახუთი დაღუპულის ზღვარის გარშემო. ამდენად, მაშინ როდესაც ზოგიერთი კონფლიქტი მთავრდება, მაგალითად, სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებით, სხვები უბრალოდ ხვდებიან წლის განმავლობაში ოცდახუთი დაღუპულის ზღვარს ქვევით, ხოლო შემდეგ ისევ ჩნდებიან.

ომების რაოდენობა ყველაზე დაბალ ნიშნულზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში რჩება. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი წელი 1950-იან წლებში (გლედიჩი და სხვ. 2002: 621). 2005 წელს მხოლოდ ხუთმა კონფლიქტმა მიაღწია ომის ინტენსივობას და ერთი, რომელშიც საბრძოლო მოქმედებების შედეგად ყველაზე მეტი დაღუპული დაფიქსირდა, იყო შიდა კონფლიქტი ერაყში, რომელმაც საერთაშორისო სტატუსი შეიძინა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ყოველ წელს, კონფლიქტების უმრავლესობა სახელმწიფოებს შიგნით ხდებოდა. 2005 წელს ოცდათერთმეტივე კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივი იყო. ამათგან, ექვსმა საერთაშორისო სტატუსი შეიძინა - კონფლიქტი უგანდის მთავრობასა და LRA (ღვთის წინააღმდეგობის არმია) შორის; აზერბაიჯანის რეჟიმსა და სეპარატისტულ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას შორის; ინდოეთის მთავრობასა და NSCN-K-ს შორის (ნაგალანდის ეროვნულ სოციალისტური საბჭო - ხაფლანგის დაჯგუფება); ავღანეთის მთავრობასა და თალიბანს შორის; ერაყში მრავალრიცხოვან მეამბოხეთა ჯგუფებსა და ერაყის მთავრობას შორის; და აშშ-სა და ალ-ქაიდას შორის.

8 Wallenstein Peter with Harbom Lotta and Hogbladh Stina. “Armed Conflict and Peace Agreements.” In Peace Research, 143-153. New York, Routledge, 2011.

ცხრილი 11.1

შეიარაღებული კონფლიქტები და კონფლიქტის ადგილმდებარეობა 1989-2005

კონფლიქტის დონე	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	1989-2005a
დაბალი	12	17	20	23	17	19	14	20	18	13	14	14	13	13	9	15	12	59
საშუალო	15	16	13	10	15	18	18	15	15	12	14	11	12	14	16	10	14	13
ომი	17	16	18	18	13	8	6	6	7	14	13	12	11	5	5	7	5	49
ყველა კონფლიქტი	44	49	51	51	45	45	38	41	40	39	41	37	36	32	30	32	31	121
ყველა ადგილი	36	36	38	38	32	34	30	31	30	32	31	28	29	24	22	23	22	81

a დაფიქსირებული ყველაზე მაღალ დონეზე

ცხრილი 11.2

სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტები 1989-2005

კონფლიქტის სახეობა	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2005
შორის	38	44	49	47	40	44	36	37	37	33	34	31	30	28	26	29	25	90
საერთაშორისო ინტერნაციონალიზებული[b]	4	3	0	3	5	1	1	2	2	4	5	4	5	3	2	3	6	24
შიდა	2	2	2	1	0	0	1	2	1	2	2	2	1	1	2	0	0	7
ყველა კონფლიქტი	44	49	51	51	45	45	38	41	40	39	41	37	36	32	30	32	31	121

1946 წლიდან მოყოლებული მონაცემები იხ. http://www.prio.no/cscw/ArmedConflict.

a) კატეგორიას „ინტერნაციონალიზებულ სახელმწიფოთაშორისი“ შეეცვალა სახელი და კოდი (2002 წლამდე მას უწოდებდნენ „სახელმწიფოთაშორისო უცხოური ინტერვენციით“ და მოიცავდა ნაკლებ კონფლიქტს), რათა შესაბამისობაში ყოფილიყო ტერმინოლოგიასთან, რომელიც გამოიყენება მონაცემთა ბაზაში ვებ-გვერდზე *http://www.prio.no/cscw/ArmedConflict.* სახელმწიფოთაშორის შეიარაღებულ კოფნლიქტში, ოპოზიცია ან ორივე მხარე უცხო მთავრობების სამხედრო მხარდაჭერას იღებენ.

შიდასახელმწიფოებრივი	შიდასახელმწიფოებრივი ინტერნაციონალიზებული	სახელმწიფოთაშორის	სისტემის გარე

***გრაფიკა 11.1* შეიარაღებული კონფლიქტები სახეობების მიხედვით, 1946-2009**

ახალი მეამბოხე ორგანიზაციების მიერ განახლებული კონფლიქტები

წლის განმავლობაში, ოთხი კონფლიქტი განახლდა ახალი მეამბოხე ორგანიზაციების მოქმედებების შედეგად. ჩადში მეამბოხეთა მრავალი დაჯგუფება იბრძოდა მთავრობის წინააღმდეგ ერთი წლის განმავლობაში. 2005 წელს სიტუაცია ძალზედ არასტაბილური იყო, განსაკუთრებით, მეზობელ სუდანის დარფურის რეგიონში მიმდინარე ბრძოლების გამო. დეკემბერში აღმოცენდა მეამბოხეთა ახალი დაჯგუფება RDL (მოძრაობა დემოკრატიისა და თავისულებისათვის) აღმოსავლეთ ჩადში, რომელიც პრეზიდენტ იდრის დების გადაყენებას მოითხოვდა. 18 დეკემბერს, დაჯგუფებამ დარფურიდან დაიწყო შეტევა სასაზღვრო ქალაქ ადრეზე. დების მთავრობამ სუდანის მთავრობა მეამბოხეთა მხარდაჭერაში დაადანაშაულა, შედეგად, ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის ძალიან დაიძაბა.

2005 წელს ირანში მეამბოხეთა ახალი ჯგუფი გააქტიურდა. PJAK-მ (ქურთისტანის თავისუფალი სიცოცხლის პარტია) თავისი პირველი კონგრესი 2004 წლის აპრილში ჩაატარა, რომლის მიზანი იყო ირანის არსებული რეჟიმის შეცვლა დემოკრატიული კონფედერაციით, სადაც ეთნიკურ ჯგუფებს თვითმმართველობის უფლება ექნებოდათ. მართალია, დაჯგუფება

ქურთული წარმომავლობისაა და ირანში მცხოვრები ქურთებისთვის თვითმმართველი რეგიონის შექმნის ამბიცია ამოძრავებს, მაგრამ მისი მიზანი უფრო შორსმიმავალია და გულისხმობს მთლიანად პოლიტიკური სისტემის შეცვლას. 2005 წლის ივნისში, PJAK-ის ერთი წევრი ირანის უშიშროების სამსახურს ემსხვერპლა, რამაც გამოიწვია პირველი შეტაკებები სამთავრობო ძალებსა და მეამბოხეთა დაჯგუფებას შორის.

თურქეთში დაფიქსირდა1992 წლის შემდეგ პირველი მთავრობასთან დაკავშირებული კონფლიქტი . ქვეყანაში არსებობს უამრავი მემარცხენე ჯგუფი, და 2005 წელს, MKP (მაოისტური კომუნისტური პარტია), რომელიც თურქეთში „მარქსისტ-ლენინისტურ-მაოისტურ სახელმწიფოს“ და მსოფლიოს გარშემო მუშათა მსოფლიო რევულუციისთვის იბრძოდა, მუდმივ შეტაკებებში იყო სამთავრობო ძალებთან იანვრიდან ივნისამდე.

ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა შიგადაშიგ ბრძოლები ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაგალანდის შტატში, სადაც ნაგას ტომები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. დაჯგუფება NSCN-K, რომელიც 2005 წელს გააქტირდა, შეიქმნა თავდაპირველი NSCN-ის გახლეჩის შედეგად 1988 წელს. 1990-იან წლებში, დაჯგუფება დროგამოშვებით კი იბრძოდა, მაგრამ სხვა დაჯგუფებები უფრო მნიშვნელოვანი იყო. როდესაც მოლაპარაკებები ჩავარდა და მხარეებმა პოლიტიკურ გარღვევას ვერ მიაღწიეს, მთავრობამ გააფორმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება რამდენიმე პარტიასთან და კონფლიქტი მინელდა 2000-2004 წლებში. ხოლო 2005 წელს მთავრობამ მიანმარის ჯარებთან ერთად რამდენიმე შეტევა განახორციელა NSCN-K ბაზებზე დასავლეთ მიანმარში, მათ გასანადგურებლად.

კონფლიქტები, რომელიც ძველმა აქტორებმა განაახლეს

წლის განმავლობაში, ხუთი კონფლიქტი წამოიწყეს ხელახლა ძველმა აქტორებმა. მიანმარის ტერიტორიასთან დაკავშირებით სამი კონფლიქტი განახლდა 2005 წელს. კარენის კონფლიქტში, KNU-მ (კარენის ეროვნული გაერთიანება) და მთავრობამ გამოაცხადეს „ჯენტელმენური შეთანხმება“ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2003 წელს. ერთწლიანი შედარებით სიმშვიდის შემდეგ, მთავრობამ განახორციელა ფართომასშტაბიანი შეტევა კარენის ახალი წლის ზეიმის დროს 2005 წლის იანვრის შუა რიცხვებში.

კონფლიქტს კარენის ტერიტორიასთან დაკავშირებით 2005 წელს მიენიჭა აქტიური კონფლიქტის კოდი, პირველად 1996 წლის შემდეგ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მთავრობის უსაფრთხოების ზომები, რომელიც კავშირში იყო ქვეყნის ადმინისტრაციული დედაქალაქის პიინმანაში გადატანასთან. პიინმანა მდებარეობს კარენის შტატთან ახლოს, ხოლო KNPP-მა (კარენის ეროვნული პროგრესული პარტია)- დაიწყო პერიოდული შეტევები გასულ ათწლეულში. 2005 წლის განმავლობაში ბრძოლების ესკალაცია გრძელდებოდა.

მიანმარისა და SSA/s (შანის სახელმწიფო არმია - სამხრეთის სარდლობა) შორის შანის შტატის სტატუსის გარშემო კონფლიქტში კონფლიქტური მოქმედებები თითქმის არ დაფიქსირებულა 2003 და 2004 წლებში. თუმცა, ესკალაციამ ნელ-ნელა იმატა და 2005 წლის აპრილში მხარეებს შორის ბრძოლები გაიმართა.

2005 წელს, ერთწლიანი შედარებით სიმშვიდის შემდეგ, კვლავ გააქტიურდა კონფლიქტი შრი-ლანკის მთავრობასა და LTTE-ს (ტამილ ეელამის განმათავისუფლებელი ვეფხვები) შორის. სიტუაცია გაუარესდა წლის განმავლობაში, რამდენადაც სამშვიდობო პროცესი ჩიხიდან ვერ გამოვიდა. LTTE-ს ხელმძღვანელობა ადანაშაულებდა მთავრობას, რომ ის განხეთქილების

შეტანას ცდილობდა ვეფხვების რიგებში, მაგრამ კოლომბო ამ ბრალდებას უარყოფდა. წლის ბოლოსკენ, შრი-ლანკის ჯარები რამდენჯერმე აფეთქდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებზე და დაღუპულთა რაოდენობამ იმატა.

აზერბაიჯანის სეპარატისტული რეგიონის მთიანი ყარაბაღის სტატუსის გარშემო კონფლიქტი „გაყინული“ იყო 1994 წლიდან და კვლავ განახლდა 2005 წელს. მთელი ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე დაირღვა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მაგრამ მხოლოდ 2005 წელს მიაღწია საბრძოლო მოქმედებების შედეგად ოცდახუთი დაღუპულის ზღვარს.

კონფლიქტები, რომელიც აღარ იყო აქტიური 2005 წელს

2004 წელს ჩამოთვლილ კონფლიქტთაგან ათი კონფლიქტი 2005 წელს აქტიური აღარ იყო. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რესპუბლიკას შორის კონფლიქტი კიდევ ერთხელ შეწყდა, 2004 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებების ხანმოკლე აფეთქების შემდეგ. მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო და კონფლიქტის გრძელვადიანი გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

2004 წელს უზბეკეთში დარეგისტრირებული კონფლიქტი 2005 წელს აღარ იყო აქტიური. მეამბოხეთა დაჯგუფება JIG (ჯიჰადისტთა ისლამური დაჯგუფება), როგორც ჩანს, დამარცხდა 2004 წლის ბოლოს. დააკავეს და პატიმრობა მიუსაჯეს დაახლოებით 135 ადამიანს.

ინდოეთის ტერიტორია ბოდოლანდში, მეამბოხეთა ჯგუფმა NDFB (ბოდოლანდის ეროვნულ დემოკრატიული ფრონტი), რომელიც ბოდოს ავტონომიას მოითხოვდა, 2014 წელს გამოაცხადა ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რითაც გზა გაუკაფა მოლაპარაკებებს. ზავი შენარჩუნდა და გაგრძელდა 2005 წლის გაზაფხულამდე, შემდეგ კიდევ ერთი წლით გაგრძელდა.

კონფლიქტი ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრიპურას შტატის სეპარატისტულ მეამბოხეთა დაჯგუფებებსა და ინდოეთის მთავრობას შორის 1970-იანი წლების ბოლოდან მიმდინარეობდა. ძალადობამ იკლო 2005 წელს. დაღუპულთა რაოდენობასაც აღარ მიუღწევიან საბრძოლო მოქმედებების შედეგად ოცდახუთი დაღუპულის ზღვარისთვის.

ჰაიტიზე 2005 წელს შეიარაღებული კონფლიქტი არ დარეგისტრირებულა. თუმცა, პრეზიდენტ არისტიდეს გადაყენებიდან ერთი წლის შემდეგ, სიტუაცია მაინც დაძაბული რჩებოდა, რომლის დროსაც ბევრი აქტორი ცდილობდა, და ახერხებდა კიდეც, ჩაეშალათ პოლიტიკური პროცესიდა გადაედოთ 2005 წლის შემოდგომაზე ჩანიშნული არჩევნები. მომხდარი ძალადობრივი მოქმედებების რომელიმე კონკრეტულ დაჯგუფებასთან ნათლად დაკავშირება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

სპილოს ძვლის ნაპირზე კონფლიქტი 2002 წელს დაიწყო. მას შემდეგ 2005 წელი პირველი წელი იყო, როდესაც არ მომხდარა შეტაკებები მეამბოხეთა ჯგუფს (Forces Nouvelles) და სამთავრობო ძალებს შორის. თუმცა, არსებითი პროგრესიც არ დაფიქსირებულა 2003 და 2004 წლების შეთანხმებების და 2005 წლის აპრილის პრეტორიას შეთანხმების იმპლემენტაციის მხრივ. ოქტომბერში ჩანიშნული არჩევნები გადაიდო და ქვეყანა რამდენიმე კვირის განმავლობაში მერყეობდა ახალი ძალადობის აფეთქების ზღვარზე, სანამ მხარეებმა დეკემბერში არ მოახერხეს შეთანხმების მიღწევა ახალი, გარდამავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე.

კაბინდას ანკლავში, შეტაკებებმა FLEC-ის (Frente da liberaçã do enclave de cabinda: კაბინდას ანკლავის გათავისუფლების ფრონტი) წევრ მეამბოხეებსა და ანგოლას სამთავრობო ძალებს შორის კიდევ ერთხელ განიცადა დეესკალაცია 2005 წელს. ძალადობას არ გამოუწვევია საბრძოლო მოქმედებების შედეგად ოცდახუთი დაღუპული.

შეტაკებები არ დაფიქსირებულა კონფლიქტში, რომელიც მიმდინარეობდა ნიგერიის მთავრობასა და აჰლულ სუნაჰ ჯამაას შორის, რომლის მიზანი იყო ჩრდილოეთ ნიგერიის მცირე ნაწილში ისლამური სახელმწიფოს დაფუძნება. მეამბოხეები დამარცხდნენ 2004 წლის ოქტომბერში, როდესაც სამთავრობო ძალებმა მოახერხეს მათი განდევნა ჭაობიან ადგილებში ჩადის ტბის გარშემო, დახოცეს და დააპატიმრეს ბევრი მებრძოლი.

ნიგერიის ნიგერის დელტაში 2004 წელს დაფიქსირებული კონფლიქტი არ გაგრძელებულა 2005 წელს. მეამბოხეთა დაჯგუფებამ NDPVF-მა (ნიგერის დელტას სახალხო მოხალისეთა ძალა), რომელიც იბრძოდა ნავთობით მდიდარი დელტის თვითგამორკვევისთვის, მოლაპარაკებას მიაღწია მთავრობასთან 2004 წლის სექტემბერში და შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე. ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის სექტემბერში, NDCVF-ს ლიდერი მუჯაჰიდ დოკუბო-ასარი დააპატიმრეს ღალატის ბრალდებით.

სუდანის მთავრობასა და SPLM/A-ს (სუდანის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა/არმია) შორის გაჭიანურებული კონფლიქტი, რომელიც 1983 წლიდან მიმდინარეობდა, შეწყდა 2005 წლის იანვარში ყოველისმომცველი სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით. SPLM-ს თავმჯდომარის ჯონ გარანგის სიკვდილი, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე კვირის თავზე, სამშვიდობო პროცესის დარღვევის მიზეზად იქცა და დედაქალაქში არეულობა გამოიწვია. თუმცა, SPLM/A ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მისი სიკვდილი შემთხვევითობა იყო და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

1989-2005 წლების სამშვიდობო შეთანხმებები

სუდანი ერთადერთი კონფლიქტია, ბევრ სხვა კარგად ნაცნობ კონფლიქტებს შორის, რომელიც ბოლო წლებში სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. 2005 წლის განმავლობაში, სამშვიდობო შეთანხმებები დაიდო ოთხი კონფლიქტის შემთხვევაში: ჩადი, ინდონეზია (აჩეჰი), სპილოს ძვლის ნაპირი და სუდანი (სამხრეთ სუდანი). ცივი ომის შემდგომი პერიოდის კვლევისას, შეგვიძლია გამოვყოთ 144 შეთანხმება უერთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის. ეს ციფრი მოიცავს 1989 წლის შემდგომ პერიოდში აქტიური 121 შეაიარაღებული კონფლიქტის ერთ მესამედს (4). ეს გახლავთ შეთანხმებები, რომლებიც პროცესს გადაჭრიან, არეგულირებენ ან გადაწყვეტილებას იღებენ მასთან დაკავშირებით არსებული შეუთავსებლობის დასარეგულირებლად. (5) UCDP-მ შეაგროვა 1989 წლიდან 2005 წლამდე ყველა სამშვიდობო შეთანხმების შესახებ ინფორმაცია და სრული ტექსტები. მოდით, შევუდგეთ შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული შემდეგი ასპექტის ანალიზს : შეუთავსებლობა (Wallensteen 2002). კონფლიქტის მთავარი პრობლემები სწორედ ისინია, რომელთა უშუალო გადაჭრა უნდა მოხდეს კონფლიქტი დასასრულებლად.

შეთანხმებების სამი ჯგუფი არსებობს: სრული შეთანხმებები, ნაწილობრივი შეთანხმებები და სამშვიდობო პროცესის შეთანხმებები. მათ შორის ყველაზე მკაფიოდ ფორმულირებული სრული შეთანხმებებია, რომელიც განსაზღრებულია როგორც შეთანხმება, რომელშიც მინიმუმ ერთი დიადა (წყვილი) თანახმაა სრული შეუთავსებლობის მოგვარებაზე. მაგალითად, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთავრობამ და ყველა მთავარმა მეამბოხე ფორმირებამ,

ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონგოს პოლიტიკური მოლაპარებების - საბოლოო აქტს (Intercongelese Political Negotiations – Final Act) 2003 წელს, რითაც დაასრულეს კონფლიქტი, დანიშნეს არჩევნები, დროებითი მთავრობა, და მიიღეს ახალი კონსტიტუცია. საკვლევ პერიოდში სულ ორმოცდასამი სრული შეთანხმება გაფორმდა.

ნაწილობრივი შეთანხმება გულისხმობს, რომ მინიმუმ ერთ დიადის მხარეები თანახმა არიან შეუთავსებლობის ნაწილობრივ მოგვარებაზე. ზოგიერთი სამშვიდობო პროცესი თითო ჯერზე თითო პრობლემას განიხილავს ნაწილობრივ შეთანხმებაში, ხოლო კონფლიქტი გადაწყვეტილად არ განიხილება, სანამ საბოლოო შეთანხმებას არ მოეწერება ხელი. მაგალითად, სუდანში ნაწილობრივი ხელშეკრულებები გაფორმდა უსაფრთხოების საკითხებზე, სიმდიდრისა და ქონების გადანაწილებაზე, ძალაუფლების გაყოფასა და გარკვეული სფეროების ადმინისტრირებაზე, სანამ საბოლოო შეთანხმება იქნებოდა ხელმოწერილი, რომელმაც ფორმალურად დაასრულა სამშვიდობო პროცესი. ნაწილობრივ შეთანხმებაში, ასევე, შესაძლებელია, გამოიკვეთოს დარჩენილი პრობლემები, რომელიც შემდგომი მოლაპარაკებების გზით უნდა გადაიჭრას. სან ანდრეს შეთანხმება მექსიკაში, 1996 წელს, განიხილავდა მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, მაგრამ არ ეხებოდა აგრარულ რეფორმას ან პირობების განსაზღვრას დაპირისპირების შეწყვეტის მიზნით. ნაწილობრივ შეთანხმებებში, აგრეთვე, შესაძლებელია გარკვეული საკითხების დელეგირება მოხდეს კომისიაზე, რომელიც შეიმუშავებს იმპლემენტაციის პრაქტიკულ ელემენტებს. საქართველოში შეიქმნა კომიტეტი, გაერო-ს თავმჯდომარეობით, რომელშიც მონაწილეობდნენ ეუთო-ს (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია) და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. მასში შედიოდნენ, ასევე, საერთაშორისო ექსპერტები. საბოლოო მიზანი იყო ყოვლისმომცველი მოგვარება. ზოგიერთი შეთანხმება შეუთავსებლობის ნაცვლად სხვა პოლიტიკურ საკითხს არეგულირებს. ზოგიერთ შეთანხმებას ნაწილობრივად განიხილავენ მას შემდეგ, რაც მოხდება წერილობით შეთანხმებაში დაფიქსირებული შედეგის შედარება მხარეების გამოცხადებულ მიზნებთან. მაგალითად, დონიას შეთანხმების შედეგად, ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებსა (FARF) და ჩადის მთავრობას შორის, მოხდა FARF-ის ტრანსფორმაცია პოლიტიკურ პარტიად და მისი ინტეგრაცია სამოქალაქო სამსახურში. რამდენადაც FARF სახელმწიფო მოწყობისა და ორენოვნების შესახებ რეფერენდუმისთვის იბრძოდა, შეთანხმებამ ბოლომდე ვერ გადაჭრა შეუთავსებლობა. საკვლევ პერიოდში სამოცდაცხრამეტი ნაწილობრივი შეთანხმება გაფორმდა.

მესამე ჯგუფს შეადგენს სამშვიდობო პროცესის შეთანხმებები. ეს ის შეთანხმებებია, რომელშიც მინიმუმ კონფლიქტის ერთი დიადა თანახმაა, დაიწყოს პროცესი თავიანთი შეუთავსებლობის მოსაგვარებლად. ტიპიურ სამშვიდობო მოლაპარაკებათა შეთანხმებას აქვს მოლაპარაკებების წარმოების დეტალური დღის წესრიგი, მაგრამ ზოგიერთში მხარეები მხოლოდ იმაზე თანხმდებიან, რომ დაიწყონ მოლაპარაკებები არსებით საკითხებზე, მაგალითად, როგორიცაა რეგიონის ტერიტორიული სტატუსი. ბევრ მაღალპროფილიან სამშვიდობო პროცესში, მაგალითად, კონფლიქტი გვატემალაში 1990-1996 წლებში, რამდენიმე შეთანხმება ჯერ მოლაპარაკებათა დღის წესრიგს ეხებოდა, სანამ უშუალოდ კონფლიქტის საკითხებზე გადავიდოდა. UCDP-ს მონაცემებით, 1989-2005 წლების პერიოდში გაფორმდა ოცდახუთი სამშვიდობო პროცესის შეთანხმება.

UCDP ერთმანეთისგან განასხვავებს შეუთავსებლობის ორ დამოუკიდებელ სახეობას. სამთავრობო კონფლიქტები ეხება რეჟიმის ტიპს და მთავრობის შემადგენლობას,

ტერიტორიულ კონფლიქტებში კი შეუთავსებლობა ეხება ტერიტორიის სტატუსს და შეიძლება შეიცავდეს გამოყოფის ან ავტონომიის მინიჭების მოთხოვნებს (Wallensteen 2002; Harbom and Wallensteen 2005). სამშვიდობო შეთანხმებების შესახებ მონაცემებიდან ჩანს, რომ მათი განსხვავება სასარგებლოა. 1989-2005 წლებში გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმებების უმრავლესობა, მათი 70%, გაფორმდა სამთავრობო კონფლიქტებში, მაშინ როდესაც კონფლიქტების უმეტესობა ტერიტორულ დავებ ეხებოდა. როგორც ჩანს, სამთავრობო კონფლიქტებში სამშვიდობო შეთანხმებებისგაფორმების მეტი შანსია. შემდგომში ამის ილუსტრაციას მოვახდენთ. ნახატზე 11.2 ნაჩვენებია სამშვიდობო პროცესების რაოდენობა და კონფლიქტების რაოდენობა, რომელიც სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. გრაფიკი გვიჩვენებს , რომ უფრო მეტი სამშვიდობო შეთანხმება კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების შემთხვევაში გაფორმდა სამთავრობო კონფლიქტებში. სამშვიდობო პროცესს ასეთ კონფლიქტებში, როგორც ჩანს, განსხვავებული მახასიათებლები აქვს ტერიტორიულ კონფლიქტებთან შედარებით. ტიპიური სამშვიდობო პროცესი სამთავრობო კონფლიქტში მოიცავს უფრო მეტ ნაწილობრივ შეთანხმებას, ვიდრე პროცესი ტერიტორიულ კონფლიქტში. ამას გარდა, სამთავრობო კონფლიქტები ხასიათდება იმითაც, რომ უკვე გაფორმებულ შეთანხმებებზე დამატებით გაფორმებული ახალი შეთანხმებების იმპლემენტაცია უფრო ხშირად ვერ ხორციელდება. .

შეთანხმებების თვისებები

ცხრილი 11.3 გვაწვდის მონაცემებს სამშვიდობო შეთანხმებების სამხედრო შინაარსის დებულებების შესახებ. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტა ხშირად განიხილება სამშვიდობო პროცესის მთავარ მიზნად. თუმცა, ზოგიერთი კონფლიქტის შემთხვევაში, მხარეები უკვე შეთანხმებულნი არიან დაასრულონ ძალადობა, სანამ არსებით საკითხებზე მოლაპარაკებებს დაიწყებდნენ. სხვა შემთხვევებში, საომარი მოქმედებების შეწყვეტა მხოლოდ საბოლოო შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. ნებისმიერ შემთხვევაში, შეგვიძლია ვნახოთ, რომ ფორმალურ ცეცხლის შეწყვეტას გულისხმობს 144 სამშვიდობო შეთანხმების 60%. მათი უმრავლესობა, ათიდან ექვსი, ასევე გულისხმობდა ჯარების დემობილიზაციას და განიარაღებას. ზოგიერთი შეთანხმება უფრო შორს წავიდა და ყოფილი მებრძოლების ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ინტეგრაცია მოახდინა. საინტერესოა, რომ შეთანხმებების 26%საერთოდ არ შეიცავს სამხედრო შინაარსის დებულებებს. თითქმის ყველა იყო ნაწილობრივი შეთანხმება, გაფორმებული სამშვიდობო პროცესში, მაშინ როდესაც ცეცხლის შეწყვეტა ან სხვა სამხედრო დებულებები ცალკე შეთანხმებებში იყო ასახული. მექსიკის სან ანდრეს შეთანხმებები ამ მხრივ გამონაკლისია, რამდენადაც ისინი შეიცავს საკითხების სიას, რომელიც უნდა გადაჭრილიყო მოლაპარაკებების გზით ერთი თვის შემდეგ, მაგრამ მოლაპარაკებები შეჩერდა და შეთანხმების იმპლემენტაცია აღარც მომხდარა. მხარები არასდროს შეთანხმებულან საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაზე, თუმცა, ძალადობა აღარც განმეორებულა.

***ნახ. 11.2* სამშვიდობო შეთანხმებები შეუთავსებლობის მიხედვით, 1989-2005**

***ცხრილი 11.3* სამხედრო დებულებები სამშვიდობო შეთანხმებებში, 1989-2005 (%)**

სამხედრო დებულებები	ყველა	შიდასახელმწიფოებრივი: სამთავრობო	შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული	სახელმწიფოთაშორისი: ტერიტორიული[a]
ცეცხლის შეწყვეტა	60	63	49	100
განიარაღება	44	46	41	0
არმიაში ინტეგრაცია	38	43	27	50
ამნისტია	28	30	27	0
სამშვიდობო ძალების განთავსება	23	25	20	0
უცხო ქვეყნის ძალების გაყვანა	13	15	7	100
ამათგან არცერთი	74	73	76	100
შეთანხმებების N	144	101	41	2

***a* ყველა სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტი, რომელიც სამშვიდობო შეთანხმებებით დასრულდა, ეხებოდა ტერიტორიულ დავას**

11.4 და 11.5 ცხრილებში წარმოდგენილია სამშვიდობო შეთანხმებების პოლიტიკური დებულებების კატეგორიზაცია. შეთანხმებები, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ სამთავრობო კონფლიქტებს ეხება, ხშირად გულისხმობს არჩევნების გამართვას და შეიცავს დებულებებს დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებაზე. ზოგიერთი შეთანხმება დაპირისპირებულ მხარეს მთავრობაში ადგილს გამოუყოფს, ასევე მისცემს პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების უფლებას. აღნიშნული შეიძლება დემოკრატიზაციის ელემენტებად შეფასდეს, რაც სამთავრობო კონფლიქტების გადაჭრის ერთ-ერთ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. მკვლევარებმა აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ ძალაუფლების გადანაწილება სამთავრობო კონფლიქტების ლოგიკური გადაწყვეტაა. საინტერესო ფაქტია, რომ ცხრილში წარმოდგენილ მონაცემთა სერია ასახავს, რომ სამთავრობო კონფლიქტების სამშვიდობო შეთანხმებების მხოლოდ 15 პროცენტი შეიცავდა მკაფიო დებულებებს ძალაუფლების გადანაწილების შესახებ. მაშინაც კი, თუ მხოლოდ სრულ შეთანხმებებს განვიხილავთ, ძალაუფლების გადანაწილების შესახებ დებულებები არაა ტიპიური: ისინი შეთანხმებების მხოლოდ 29 პროცენტში გვხვდება. ეს კი გულისხმობს, რომ ძალაუფლების გადანაწილება, მხოლოდ ზოგიერთი კონფლიქტის დროს გამოიყენება, შესაძლოა, ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში (Jarsad 2001).

ცხრილი 11.5 წარმოგვიდგენს, რომ შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული გადაწყვეტა იყო რეგიონისათვის ადგილობრივი მმართველობის ან ავტონომიის მინიჭება. სრული შეთანხმებების შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული დებულებები იყო კულტურული ჯგუფისათვის გაფართოებული უფლებების ან რეგიონისათვის ადგილობრივი მმართველობის მინიჭება. არც ერთ შეთანხმებას სეპარატისტული რეგიონებისთვის დამოუკიდებლობა არ მიუნიჭებია. თუმცა, ზოგიერთი გარიგება დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების უფლებას იძლევა. მაგალითად, 2001 წელს, პაპუა ახალ გვინეაში ბუგანვილის, ხოლო 2005 წელს სუდანში, სამხრეთ სუდანის სტატუსის შესახებ. სხვა ტიპიური მახასიათებლებია რეგიონის განვითარებაში შეტანილი წვლილი, ადგილობრივი რეფერენდუმები, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა, დებულებები ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების გადანაწილების შესახებ. შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში გაფორმებული ორი შეთანხმება გადაწყდა საზღვრების დემარკაციით.

ცხრილი 11.4 და 11.5 გვთავაზობს მოსაზრებას, რომ კონფლიქტებს შორის განსხვავება, რომელიც ეხება მთავრობასა და ტერიტორიას, საკმაოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში. კონფლიქტის ეს ორი სახეობა მოითხოვს განსხვავებულ ზომებს. ზოგიერთ შემთხვევაში, საკითხები შეიძლება გადახლართული იყოს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სუდანში, სამხრეთ სუდანის გამო კონფლიქტის შემთხვევაში. სუდანში სამშვიდობო პროცესი გულისხმობდა, როგორც შეთანხმებებს, რომელიც უზრუნველყოფდა ძალაუფლების გადანაწილებას, ისე შეთანხმებებს, რომელიც სამხრეთ სუდანის მომავალი სტატუსის შესახებ რეფერენდუმის გამართვის უფლებას ადგენდა.

ცხრილი 11.4

პოლიტიკური დებულებები სამთავრობო კონფლიქტების სამშვიდობო შეთანხმებებში, 1989-2005 (%)

პოლიტიკური დებულებები	შიდასახელმწიფოებრივი: ყველა შეთანხმება	შიდასახელმწიფოებრივი: სრული შეთანხმებები
არჩევნები	48	68
დროებითი მთავრობა	30	29
მთავრობა/საჯარო სამსახურში ინტეგრაცია	28	54
პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების უფლება	26	54
ძალაუფლების განაწილება	15	29
ამათგან არც ერთი[a]	70	93
შეთანხმებების N	101	28

a ის შეთანხმებები, რომელიც არ გულისმობს პოლიტიკურ დებულებებს, წარმოადგენენ ან სამშვიდობო პროცესის შეთანხმებებს ან შეთანხმებებს, რომლებიც წინა შეთანხმებებს ადასტურებს.

ცხრილი 11.5

პოლიტიკური დებულებები ტერიტორიული კონფლიქტების სამშვიდობო შეთანხმებებში, 1989-2005 (%)

პოლიტიკური დებულებები	შიდასახელმწიფოებრივი: ყველა შეთანხმება	შიდასახელმწიფოებრივი: სრული შეთანხმებები
ადგილობრივი მმართველობა	39	57
ავტონომია	37	43
კულტურული თავისუფლებები	32	57
რეგიონული განვითარება	27	36
რეფერენდუმი მომავალი სტატუსის შესახებ	22	36
ფედერალიზმი	15	21
ადგილობრივი ძალაუფლების განაწილება	12	29
დამოუკიდებლობა	0	0
ამათგან არც ერთი	93	100

შენიშვნები

1. წინამდებარე თავი გამოქვეყნდა სტატიის სახით, სათაურით „შეიარაღებული კონფლიქტი და სამშვიდობო შეთანხმებები“, *Journal of Peace Research*, 43 (5): 617-631, 2006. ზოგიერთი ინფორმაცია წაშლილია, მათ შორის დანართები I, II და III. გრაფიკი 11.1 ასახვას განახლებულ ინფორმაციას კონფლიქტების შესახებ 2009 წლამდე.

2. ტერმინების შესახებ უფრო სიღრმისეული დისკუსიებისთვის, იხილეთ http://www.pcr.uu.se/database/definitions_all.htm. აღსანიშნავია, რომ 2002 წლის შემდეგ, უპსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამამ (UCDP), ასევე, შეაგროვა მონაცემები ძალადობის ორ სხვა კატეგორიაზე: არასახელმწიფოებრივი კონფლიქტები და ცალმხრივი ძალადობა. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ადამიანური უსაფრთხოების ანგარიშში (Human Security Center 2005). მისი პოვნა შეიძლება http://www.pcr.uu.se/research/UCDP/our_data.htm. ცალმხრივი ძალადობის კატეგორია ცოტა ხნის წინ განახლდა და მოიცავს ინფორმაციას 1989 წლიდან. ახალი მონაცემთა სერიის შესახებ პრეზენტაციის სანახავად, იხილეთ Eck and Hultman (2007). უფრო სიღრმისებული ინფორმაციის მისაღებად 1989 წლიდან აქტიური კონფლიქტების შესახებ, ესტუმრეთ UCDP-ს მონაცემთა ბაზას http://www.pcr.uu.se/database.

3. აღსანიშნავია, რომ ერაყის კონფლიქტი იყო კლასიფიცირებული სახელმწიფოთაშორისი ომის სახით 2003 წელს (Eriksson and Wallensteen 2004).

4. სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა ორმოცდაექვსი კონფლიქტის შემთხვევაში.

5. მონაცემები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.pcr.uu.se/database. ახალი მონაცემების უფრო ყოვლისმომცველი პრეზენტაციები, იხ. Höghladh (2006).

6. ას ერთი შეთანხმება გაფორმდა სამთავარობო კონფლიქტების შემთხვევაში; ორმოცდასამ შეთანხმებას მოეწერა ხელი ტერიტორიულ კონფლიქტებში. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ორი შეთანხმება გაფორმდა სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის შემთხვევაში, კერძოდ, ეთიოპია-ერითრეასა და ეკვადორი-პერუს შორის.

7. UCDP-მ აღრიცხა სამოცდაორი ტერიტორიული კონფლიქტი, ორმოცდათვრამეტი სამთავრობო და ერთი კონფლიქტი, რომელსაც ჰქონდა ორმაგი შეუთავსებლობა, როგორც მთავრობის, ისე ტეროტორიის გამო საკვლევ პერიოდში. ეს გახლდათ კონფლიქტი სამხრეთ სუდანში. ამ სტატიაში სუდანის კონფლიქტი სამხრეთ სუდანის გამო, განიხილება ტერიტორიულ კონფლიქტად.

8. სამშვიდობო პროცესი მოიცავს ერთ ან მეტ სამშვიდობო შეთანხმებას. სამშვიდობო პროცესი განისაზღვრება, როგორც ფორმალური პროცესი, რომელშიც დაპირისპირებული მხარეები ან გადაწყვეტენ თავიანთი შეუთავსებლობის შეთანხმების პროცესში, რომლის განმავლობაში თითო ჯერზე თითო საკითხი დარეგულირდება შეთანხმებით, ან შეთანხმებით, რომელიც ეყრდნობა მანამდე ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებას.

9. ოცდაჩვიდმეტი შეთანხმება არსებობს კონფლიქტებისა კოლუმბიაში, ელ სალვადორნში, გვატემალაში, მექსიკაში, მოზამბიკში, რუანდაში, კომოროსში (ანჟუანი), ისრაელი (პალესტინა) და სუდანი (სამხრეთ სუდანი).

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

UCDP შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ მონაცემების ყოვეწლიურად განახლებისთვის სხვადასხვა წყაროს იყენებს. 2003 წლის შემდეგ, მონაცემები შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ სიისათვის, უმეტესწილად, ეყრდნობა *Factiva*-ს ახალი ამბების მონაცემთა ბაზის ავტომატურ სკანირებას (http://www.factiva.com), რომელიც დაახლოებით 9000 ახალ ამბავს შეიცავს, 118 ქვეყნის წყაროებიდან. ავტომატური სკანირების პროცედურის შედეგად მიღებულ მასალას ემატება მასალა განსაკუთრებით გამოსადეგი წყაროებიდან: *Africa Confidential* (ლონდონი), *Africa Research Bulletin* (ოქსფორდი), *Far Eastern Economic Review* (ნოჰგ კონგი), *Horn of Africa Bulletin* (უპსალა), *International Crisis Group* (ბრიუსელი, სხვადასხვა ანგარიში), *Jane's Intelligence Review* (კულსდენი, სურეი), *Journal of Palestine Studies,* პალესტინის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო (http://www.pcbs.gov.ps), ისრაელის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა ცენტრი (http://www.btselem.org), *Keesing's Record of World Events* (კემბრიჯი), *the Military Balance* (სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტი, ლონდონი) და *South Asia Terrorism Portal* (ნიუ დელი, http://www.sapt.org).

დაგ ჰამარშელდი და დიპლომატიის ფსიქოლოგია

პიტერ ვოლენსტინი[9]

დაგ ჰამარშელდის მნიშვნელობა

გაერო-ს გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი გარდაიცვალა 1961 წელს. მისი მიღწევები ჯერ კიდევ აქტუალურია საერთაშორისო დიპლომატიის სფეროში. შესაძლოა უფრო მეტადაც, ვიდრე მის სიცოცხლეში. შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა დღეს უფრო მეტია, ვიდრე 1950-იან წლებში, როდესაც ჰამარშელდი მოღვაწეობდა. 1989-1999 წლებში მსოფლიოში 110 შეიარაღებული კონფლიქტი მძვინვარებდა. 1999 წლისათვის ოცდაჩვიდმეტი აქტიური კონფლიქტი იყო (ვალენსტინი და ზოლენბერგი 2000). ეს კონფლიქტების ბევრად მაღალი ციფრია, ვიდრე წინა ათწლეულებში დაფიქსირებულა. იმავე დროს, ორი მესამედი დაფიქსირებული შეიარაღებული კონფლიქტებისა დასრულდა ხშირად მოლაპარაკებების გზით. სწორედ აქ ერთვება საქმეში დიპლომატია. ჰამადშელდის დიპლომატია შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებით იყო დაკავებული. 1990-იან წლებში იმაზე მეტი სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა, ვიდრე მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე. ეს ნიშნავს, რომ ცივი ომის პერიოდში ჰამარშელდის საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილება შეიძლება შევადაროთ უკვე ამ დიდი ქარ-ცეცხლის შემდომი პერიოდის გამოცდილებებს. ამდენად, წინამდებარე თავი სწორედ ამ გამოცდილებებს ეძებს, მაგრამ, ამავე დროს აქცენტს აკეთებს თავად დაგ ჰამარშელდზე. რით იყო ის ასე გამორჩეული? გამოირჩეოდა თუ არა ის ისეთი თვისებით, რომელიც რაიმე ინფორმაციას მოგვაწვდის დიპლომატიის ფსიქოლოგიაზე?

მართალია, მედიაციის შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა არსებობს, მაგრამ კონკრეტულ ინდივიდებს ნაკლები ყურადღება ექცეოდათ. ამდენად, აღნიშნულმა კვლევამ შესაძლოა ამ მიმართულებით გარკვეული სიცხადე შეიტანოს (ბერკოვიჩი და რუბინი 1992; კროკერი და სხვ. 1999; კიშლი და ფიშერი 1990; ცარტმანი 1989; ცარტმანი და ბერმანი 1982; ცარტმანი და რასმუსენი 1997).

ჰამარშელდის, როგორც გაერო-ს ოფიციალური წარმომადგენლის მესამე მხარედ, კონფლიქტში ჩართულობის კვლევის დროს, მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება სამ ფაზას გაივლის.

არის საწყისი ფაზა, როდესაც მხარეები უპირატესობას ანიჭებენ საომარ მოქმედებებს და მესამე მხარეს ძალზედ მცირე სამოქმედო სივრცე აქვს დარჩენილი, რათა სამშვიდობო დიპლომატია წარმართოს. დაპირისპირებული მხარე, რომელიც უპირატესობას ფლობს, გარე ძალებს ჩარევის საშუალებას არ მისცემს. გარე ძალისათვის მნიშვნელოვანი იქნება, იპოვოს ისეთი გზები, რომ კონფლიქტი მივიდეს მეზობლების ან საერთაშორისო ორგანიზაციების ლეგიტიმურ სამოქმედო დღის წესრიგამდე. არსებობს ასეთი ფაზა, დღის წესრიგის დიპლომატია, რომელიც გულისხმობს მხარეების, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოების ხელშეწყობას, ყურადღება მიმართოს კონფლიქტის გადაწყვეტაზე.

მეორე ფაზა მაშინ ამოქმედდება, როდესაც მხარეები შეთანხმებით არიან დაინტერესებულნი, გამარჯვება ნაკლებად სავარაუდოა და შედეგად, ისინი მზად არიან, დაიწყონ პირდაპირი

9 Wallenstein Peter. “Dag Hammarskjöld and the Psychology of Diplomacy.” In Peace Research, 154-171. New York, Routledge, 2011.

ან არაპირდაპირი კონტაქტი. ეს გახლავთ შეთანხმებითი დიპლომატიის ფაზა. თუ ის წარუმატებლად დასრულდება, კონფლიქტი შესაძლოა კვლავ ბრძოლის ველს დაუბრუნდეს, და კვლავ დააბრუნოს პირველი ტიპის დიპლომატიის საჭიროება.

თუ ზემოაღნიშნული ფაზა წარმატებით წარიმართება, მაშინ დაიწყება მესამე ფაზა - იმპლემენტაციური დიპლომატია. ის გულისხმობს შეთანხმებული ტექსტის რეალობაში გადატანას, ისევე როგორც შეთანხმების იმპლემენტაციისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას . დიპლომატია საჭიროა სამშვიდობო პროცესის მთელი მიმდინარეობისას, უბრალოდ, თითოეულ ჯერზე, მისი საგანი განსხავებული იქნება.

შეთანხმებითი დიპლომატია მოითხოვს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც დაეხმარება მხარეებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, გაიგონ საპირისპირო მხარის პოზიციები, და იპოვონ შეუთავსებლობების დაძლევის გზები. დღის წესრიგის დიპლომატია ამ მოვლენას უსწრებს წინ. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ის საიდუმლოდ და ჩუმად, დახურულ კარს მიღმა წარიმართება. ის ნაკლებად დრამატული როდია, უბრალოდ ნაკლებად ჩანს და ამდენად, ნაკლებ ყურადღებას იქცევს. იმპლემენტაციური დიპლომატია კი, მეორეს მხრივ, მაშინ ხდება საჭირო, როდესაც გარიგება უკვე მიღწეულია. ის ღია პროცესია, რომელსაც თვალ-ყურს ადევნებენ, თუმცა ის ნაკლებად წარმტაცია. ის მოითხოვს გრძელვადიანი ვალდებულებების აღებას, აქტორების და მათი პრიორიტეტების ახლოს გაცნობას, და ყურადღების გამახვილებას დეტალებზე, საკითხებსა და აქტორებზე, რომელთაც შეიძლება შეთანხმება დაარღვიონ. ამდენად, კონფლიქტის გადაწყვეტის დიპლომატია გულისხმობს ამ ფაზებს, რომელთაც განსხვავებული პრიორიტეტები და საზრუნავი გააჩნიათ.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ კონფლიქტის ეს ფაზები ერთნაირი ხანგძლივობის არაა და ერთმანეთს აუცილებლად თანმიმდევრულად არ მისდევს, ერთი მეორის შემდეგ. მაინც, ვთვლით, რომ მათ შორის განსხვავების ხაზგასმა საჭიროა. ისინი წარმოადგენენ „წარმატების“ სამ განსხვავებულ საზომს. პირველ ფაზაში წარმატება კონფლიქტის დღის წესრიგში შეტანაა; მეორე ფაზაში - შეთანხმებამდე მისვლა, ხოლო მესამე ფაზაში „ნორმალიზაციის“ მიღწევა, რამდენადაც ომი უკვე მთავარ საზრუნავს აღარ წარმოადგენს.

ამდენად, დიპლომატიის ამ სამი ფაზის გაგება ძალზედ მნიშვნელოვანია. გაგება კი, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად შეიძლება, მათ შორის, მიმდინარე სამშვიდობო პროცესების ღრმა ანალიზის საშუალებით. ცოდნის მიღება, ასევე, შესაძლებელია თანამედროვე ისტორიიდან ან ერთი რომელიმე აქტორის დაკვირვებით, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საერთაშორისო თანამეგობრობას წარმოადგენს. სწორედ აქ იძენს მნიშვნელობას დაგ ჰამარშელდის გამოცდილებები. იმის გაანალიზება, თუ როგორ უმკლავდებოდა იგი კრიზისებს გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობაზე ყოფნისას (1953-1961), დაგვეხმარება გავიგოთ დიპლომატიის ფაზები, გამოყენებული მეთოდები და წარმატებების და წარუმატებლობების შემთხვევაში მიღებული გამოცდილებები. ამდენად, წინამდებარე თავი ეძღვნება დაგ ჰამარშელდის პრაქტიკულ საქმიანობას და აგრეთვე, შეკითხვას, ჰქონდა თუ არა მას რაიმე დამახასიათებელი ფსიქოლოგიურ თვისებები, რაც მის მიღწევებს ახსნიდა.

ჰამარშელდი ბევრ კონფლიქტში იყო ჩართული. უმეტესობა გაანალიზებულია მხარეების თვალთახედვიდან. მესამე მხარეს უფრო იშვიათად ექცევა ყურადღება და მისი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში მეორეხარისხოვნად ითვლება. ისტორიკოსების ყურადღებას ძირითადი მონაწილე მხარეები იქცევენ, ხოლო ბევრი მესამე მხარე მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ჩრდილში დატოვებას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, დაგ ჰამარშელდის შემთხვევაში,

არსებობს მისი დაწვრილებითი ბიოგრაფია, რომელშიც ყურადღების ცენტრშია გენერალური მდივანი, როგორც მესამე მხარე კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში. წარმოდგენილი ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ჰამარშელდის შესახებ ერთი ადამიანის მიერ შესრულებს ნაშრომს: ბრაიან ურქუჰართის გამორჩეული ბიოგრაფიული ნაშრომი *„ჰამარშელდი“*, რომელიც გამოქვეყნდა 1972 წელს, ხოლო ხელმეორედ გამოიცა 1994 წელს (ურქუჰართი 1994). აღნიშნული ნაშრომი დაბალასებულად აფასებს ჰამარშელდის კვალს, რომელიც მან, როგორც აქტორმა დატოვა. ამდენად, წინამდებარე თავი არ წარმოადგენს ჰამარშელდის, როგორც დიპლომატის, ცხოვრების აღწერის მცდელობას. არამედ მიმართულია იმ ფსიქოლოგიური და კონტექსტუალური პირობების გაგებისაკენ, რომელიც მთლიანობაში გავლენას ახდენს დიპლომატიაზე.

უდაოა, რომ ის პერიოდი, რომელშიც ჰამარშელდი მოღვაწეობდა, საკმაოდ ატიპიური იყო. ეს იყო დრო ძალიან ძლიერი პოლარიზაციისა ორ თითქოსდა ერთიან, გაერთიანებულ და იერარქიულ ბლოკს შორის. ერთის მხრივ წარმოდგენილი იყო დასავლეთი, რომელსაც ლიდერობდა შეერთებული შტატები, ახლო ალიანსში დასავლეთ ევროპულ ქვეყნებთან, და რომელიც დომინირებდა სამხრეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიის სანაპიროზე (სამხრეთ კორეა, იაპონია, ტაივანი და სხვ.). მეორე მხარეს, იყო საბჭოთა კავშირი, რომელსაც მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდა აღმოსავლეთ ევროპა, ახლო ალიანსში იყო ჩინეთთან და მხარს უჭერდა, პირდაპირ თუ ირიბად, კომუნისტურ აჯანყებებს ქვეყნებში, რომელთა მთავრობები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი დასავლეთთან. საერთაშორისო სისტემა ერთმნიშვნელოვნად ბიპოლარული და იერარქიულად მოწყობილი იყო. ეს კი ართულებდა ჰამარშელდის გამოცდილებების განზოგადებას. მაგრამ ამავე დროს ამ პერიოდის ეს მახასიათებლები მას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის იმ სოციალური სივრცის გასაგებად, რომელსაც პოლარიზებული, კონფლიქტისადმი მიდრეკილი ურთიერთობა დიპლომატიისთვის ტოვებდა. სადაო საკითხია, იმატა თუ არა ამგვარმა შესაძლებლობებმა ცივი ომის შემდგომ პერიოდში. ეს უკვე არის მსოფლიო, რომელსაც ერთის მხრივ, აქვს რამდენიმე პოლუსი, მეტი ინტეგრაცია და ახალი გამოწვევები, ხოლო მეორეს მხრივ, აქვს ერთი დომინანტი პოლუსი, რომლისგანაც მეტ მოქმედებას მოელიან, ვიდრე მას სურს. არის თუ არა დღევანდელი მსოფლიო იმაზე მეტად თუ ნაკლებად იერარქიული, ვიდრე ის, რომელშიც ჰამარშელდი იმყოფებოდა? არის თუ არა მესამე მხარის როლი მეტად თუ ნაკლებად შეზღუდული? პასუხები ნათელი არ არის.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჰამარშელდი იყო პირველი განსახიერება იმისა, რასაც ჩვენ დღეს, ზედმეტი ფიქრის გარეშე, საერთაშორისო თანამეგობრობას ვუწოდებთ. ის იყენებდა თავისი თანამდებობით მინიჭებულ შესაძლებლობებს და სურდა თანმიმდევრულად ემოქმედა კრიზისების დროს. დიპლომატები და მათი საქმიანობა ხშირად დაკავშირებული იყო აქტორებთან, რომლებიც ეროვნულ საგარეო საქმეთა სამინისტროებში საქმიანობენ. ისინი ატარებდნენ თავიანთ ეროვნულ პოლიტიკას. შესაძლოა, მათ მაინც ჰქონდათ მიღწევები ზოგიერთი კრიზისის (მაგალითად მეტერნიხს, ტალეირანს, დიზრაელს, ლოიდ ჯორჯს) ან რომელიმე კონკრეტული საკითხის გადაჭრის დროს (ელეანორ რუზველტი). მათი ქმედებების თვალსაწიერი და საფუძველი განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ჰამარშელდი იყენებდა, როგორც უზარმაზარი საერთაშორისო სისტემის უმაღლესი აღმასრულებელი. საინტერესო იქნებოდა მასთან სხვა პიროვნებების შედარებაც, მაგალითად რალფ ბანჩი (ურქუჰარტი 1993) და ხავიერ პერეს დე კუელიარი (1997).

სანამ გავაგრძელებდეთ, გარკვეულ განმარტებას საჭიროებს კონფლიქტის დიპლომატიის ცნებები. შემდეგ, წარმოდგენილი იქნება კრიზისები, რომელშიც ჰამარშელდი აქტიურობდა, ბოლოს კი მისი მოქმედებების მანერასაც განვიხილავთ.

კონფლიქტის დიპლომატია

რა ნიშან-თვისებებს უნდა ველოდოთ კონფლიქტის დიპლომატიაში? სამი ფაზა მნიშვნელოვან განსხვავებზე მიუთითებს. თეორიულად, უნდა ველოდოთ შემდეგს.

როდესაც ვაანალიზებთ დღის წესრიგის შედგენას, გაერო-ს მაგალითი საქმეს აადვილებს. არსებობს გაერო-ს ფორმალური დღის წესრიგი, როგორც გენერალური მდივნისათვის, ისე უშიშროების საბჭოსთვის. არსებობს წესები, თუ როგორ უნდა მოხდეს რომელიმე საკითხის შეტანა რომელიმე კონკრეტულ დღის წესრიგში. ის უნდა მოუწოდებდეს „საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას“, რაც ხშირად იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებულ იქნება მხოლოდ სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტები, რომელთა ომში გადაზრდის საფრთხე არსებობს. საერთაშორისო სამართალში გაბატონებული საშინაო და საგარეო ძალადობებს შორის განსხვავებული აღქმა ძალადობის საგარეო ფორმას უწოდებენ „აგრესიას“ და ეს განსაზღვრავს, შევა თუ არა კონფლიქტი საერთაშორისო მოქმედებათა დღის წესრიგში. მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება რომელიმე კონკრეტული კონფლიქტის აღწერა. იმისთვის, რომ „საშინაო“ კონფლიქტი გავიდეს დღის წესრიგში, ის უნდა განიხილონ, არა მხოლოდ რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის, არამედ მთელი რეგიონის ან მსოფლიოს წინაშე მდგარ საფრთხედ.

ბუნებრივია, დღის წესრიგის შედგენა ძალაუფლებასთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო დომინანტ აქტორებს მეტი შანსი აქვთ, კონფლიქტებს მიანიჭონ საერთაშორისო მნიშვნელობა ან ხელი შეუშალოს მათ ამ სტატუსის მიღებაში. ვეტოს უფლება უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივმოქმედ წევრს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს. ამავე დროს, გენერალურ მდივანს, გაერო-ს ქარტიის 99-ე მუხლის თანახმად, აქვს მანდატი უშიშროების საბჭოს წარუდგინოს საკითხი, რომელსაც ის საფრთხის შემცველად განიხილავს. საბოლოოდ, შედეგად მიღებულ დღის წესრიგს გადაწყვეტენ მუდმივმოქმედი წევრები: თუ მას მიიღებენ, მაშინ კონფლიქტი საერთაშორისო დღის წესრიგში მოხვდება. ამგვარად, მათ, ასევე, შეუძლიათ ინსტრუქცია მისცენ გენერალურ მდივანს, რათა მან მოახდინოს (ან არ მოახდინოს) რეაგირება გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში. ამას გარდა, შესაძლებელია ისეთი სიტუაციაც, როდესაც გენერალურ მდივანს არ სურს საკითხების დღის წესრიგამდე მიტანა, რადგანაც ეს შესაძლია ძირს უთხრიდეს „მის“ პოზიციას ან ხელს უშლიდეს საიდუმლო დიპლომატიის წარმოებას. შედეგად, დღის წესრიგის დიპლომატია, არის ძალზედ ჩახლართული და არც თუ ისე სწორხაზოვანი, როგორც წარმოგვედგინა.

შეთანხმებით დიპლომატიაში, მთავარია მხარეებს შორის მოლაპარებები, ხოლო გარე მონაწილეების როლი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყონ ამგვარ კონტაქტებს სხვადასხვა საშუალებებით. ეს გულისხმობს, მათ შორის, მხარეების პირისპირ შეხვედრებს; შეძლებისდაგვარად, მხარეების მოლაპარაკებათა მაგიდის გარშემო შეკრებას; ან ისეთი გზების პოვნას, რომ შეთანხმება მაინც გაფორმდეს, თუ პირდაპირი შეხვედრების შესაძლებლობა არ არსებობს. ზოგადად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ნდობის ჩამოყალიბებას დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ისევე როგორც მათსა და მესამე მხარეს შორის. ხშირად მესამე მხარე სახელმწიფოთა ფართო დაჯგუფების და შეთანხმებით

დაინტერესებული აქტორების მხარდაჭერის მზაობიდან გამომდინარეობს. შესაძლოა ჩამოყალიბდეს სამშვიდობო კოალიცია, რომლის პოზიციებსაც მესამე მხარე გამოხატავს ან არის მათი სპიკერი. ურთიერთნდობის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესია. პრევენციულ დიპლომატიაში ეს ხდება მანამ, სანამ საკითხი საბჭოს ან მსოფლიო მედიის ყურადღებას მიიპყრობს. ამდენად, შეთანხმების მიღწევის დინამიკა განსხვავდება იმ პროცესებისგან, რაც დაკავშირებულია საკითხების საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგამდე მიტანასთან. სხვა საკითხებთან ერთად, ის გულისხმობს უფრო მეტ ჩართულობას პირდაპირ კონფლიქტის მხარეებთან, და არა გაერო-ს სტრუქტურებთან, როგორც ასეთი.

და ბოლოს, რაც შეეხება იმპლემენტაციურ დიპლომატიას, ის ყველაზე დრამატულად მაშინ ერთვება, როდესაც გაფორმებული შეთანხმებები ან ირღვევა ან მათი დარღვევის საფრთხე არსებობს. ამგვარ სიტუაციაში, მხარეებს შორის ნდობა ძალიან სწრაფად შეიძლება ქრებოდეს. გარე აქტორი შესაძლოა ერთადერთი იყოს, ვინც შეთანხმებას დაიცავს. ეს კი მას საკმაოდ რთულ სიტუაციაში აყენებდეს. მაგალითად, უნდა იყოს თუ არა მესამე მხარე ის, ვინც დაიცავს შეთანხმებას, რომელშიც თავად ხელმომწერნი უკვე დაინტერესებულნი აღარ არიან? ეს თავს მოხვევას უფრო ჰგავს. ალტერნატიული, და უფრო მკაცრი შეკითხვა: რა ვქნათ, თუკი შეთანხმების პირობებს მხოლოდ ერთი მხარე იცავს? ან სიტუაციაში ჩნდებიან ახალი მხარეები თავიანთი ახალი მოთხოვნებით? დიპლომატია, რომელიც მოითხოვება დე-ფაქტო კოალიციის დაშლის შემდეგ, რომელმაც შეთანხმება გააფორმა, ძალზედ განსხვავდება სხვა ფაზებში საჭირო დიპლომატიისგან. იმპლემენტაციური დიპლომატია ცდილობს კოალიციის გადარჩენას და მის კვლავ შეკავშირებას, მაგრამ, ამავე დროს, უნდა გაითვალისწინოს ცვალებადი გარემოებებიც.შესაძლოა კონპრომისების მიღწევა, მაგრამ მათ შესაძლოა, პირიქით, კოალიციის შემდგომ ჩამოშლას შეუწყოს ხელი. იმპლემენტაციური დიპლომატია შესაძლოა, ერთის მხრივ, გულისხმობდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურამდე საკითხის მიტანას, ან ამავე დროს, ნაკლებ გახმაურებას, რათა პრევენციულად მოქმედება შეძლოს. აღნიშნული უკვე შეთანხმებულის ინტეპრეტაციისა და სამომავლი გზების ძიების საგანია.

ჰამარშელდის კონფლიქტის დიპლომატიის ისტორია

ცხრილში 12.1. წარმოდგენილია სია იმ შეიარაღებული კონფლიქტებისა, რომელთაც დაგ ჰამარშელდმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. მიღწეული წარმატებისა და წარუმატებლობის შეფასება ურქუჰართის შედგენილია (1994). ჰამარშელდის ისტორიის სხვა შეფასებებიც შეიძლება არსებობდეს. ურქურათის მიერ შედგენილი დაბალანსებული და სიღრმისეულია. ის, ასევე, მისადაგებულია იმ სახის კრიზისს, რომლის წინაშეც ჰამარშელდი იდგა. შესაძლოა, კიდევ სხვა კრიზისების დამატებაც იყოს საჭირო, თუმცა, ცხრილი 12.1 საკმაოდ ამომწურავია და მოიცავს იმათ, რომელთაც ურქუჰარტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. კრიზისების გარკვეული ფაზების დაყოფა სხვაგვარადაც შეიძლება. ცხრილში 12.1 მოცემული დაყოფები შეესაბამება ისტორიკოსის მიდგომას რომელიღაც კონკრეტული კრიზისი დინამიკის მიმართ.

ცხრილის 12.1 თვალის გადავლებით იკვეთება, თუ რაოდენ ტურბულენტურ დროში უწევდა დაგ ჰამარშედს თავისი პერსონალური დიპლომატიის წარმოება. ხანდახან ზედმეტად რისკიან საქმეშიც კი ეხვეოდა. წარმატებებიც ჰქონდა: ამ კატეგორიაში მისი თორმეტი შედეგი მოხვდა. ცხრილში წარმოდგენილია ექვსი მკვეთრად გამოხატული წარუმატებლობა, ხოლო ორი პრობლემა გადაუჭრელი დარჩა მისი გარდაცვალების მომენტში. სხვა ჩანაწერებთან

შედარების შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ თავისთავად ის უკვე საკმაოდ შთამბეჭდავია. წარუმატებლობების შემთხვევაში გამოიკვეთა ერთი მუდმივი თავისებურება: ეს იყო კრიზისები, რომელშიც ჰამარშელს შეხვდა დიდი სახელმწიფოების მტკიცე წინააღმდეგობა (აშშ გვატემალასა და ლაოსში, დიდი ბრიტანეთი ახლო აღმოსავლეთში, საფრანგეთი ბიზერტეში, საბჭოთა კავშირის უნგრეთსა და კონგოში). თუმცა, დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობა მაინცდამაინც კრიზისის მართვის დასასრულს არ გულისხმობდა. რამდენიმე შემთხვევაში გენერალურმა მდივანმა შეძლო დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობის გადალახვა, ან სხვა მუდმივმოქმედი წევრების მხარდაჭერის მობილიზებით ან გენერალურ ასამბლეაზე მხარდამჭერთა დიდი რაოდენობის შეკრებით. ჰამარშელდი ახერხებდა ძლიერი კოალიციების შექმნას განსაკუთრებულ საკითხებზე. ეს კოალიციები ერთი საკითხიდან მეორეზე ინაცვლებდნენ. მისი მცდელობები ხიდების შენებას ჰგავდა, ეს კი დიდ დროს მოითხოვდა, მაგრამ ამაში ძალიან ეხმარებოდა მისი პიროვნული ურთიერთობები მნიშვნელოვან განსაკუთრებით ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების ლიდერებთან, . აგრეთვე, როგორც ჩანს, ის თავს არიდებდა ყველა მუდმივმოქმედ წევრთან ერთდროულად დაპირისპირებას.

ცხრილიდან 12.1. კარგად ჩანს, რომ ზოგიერთ კონფლიქტზე ჰამარშელდს მეტი ენერგიის დახარჯვა უწევდა, ვიდრე სხვებზე. აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთში ხუთი კრიზისი თითქმის ერთმანეთის მიყოლებით განვითარდა (ე.ი. 1956 წლის სუეცის ომი და მისი გამოძახილები). ამას თუ დავამატებთ კონფლიქტებს ლიბანში და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებს საუდის არაბეთთან, დავინახავთ, რომ კრიზისული დიპლომატიის ერთი მესამედი მხოლოდ ამ რეგიონს ხმარდებოდა. დარჩენილი მესამედი დაკავებული იყო აფრიკის კონტინენტით (უმეტესწილად კონგოში). დანარჩენი მსოფლიო, ანუ, ევროპა, ამერიკის კონტინენტი, და აზიის უმეტესი ნაწილი, ნაკლები დიპლომატიური მომსახურებით სარგებლობდა. რაც შეეხება ცივ ომს, ის უკვე მისი საქმიანობის არეალს სცდებოდა (კონფლიქტები გერმანიის, კუბის, ტაივანი, ინდოჩინეთის გამო).

ცხრილი 12.1

ოცი კრიზისი: გაერო-ს გენერალური მდივნის დაგ ჰამარშელდის

კონფლიქტის დიპლომატია, 1953-1961

	კონფლიქტი	დიპლომატიის სახეობა	კონფლიქტის შედეგი	DH-ს დიპლომატიის შედეგი
1	გვატემალა 1954	დღის წესრიგის	მთავრობა ჩამოაგდეს	წარუმატებელი
2	აშშ-ს მფრინავები ჩინეთში 1954-1955	შეთანხმებითი	მფრინავები გაათავისუფლეს	წარმატებული
3	ახლო აღმოსავლეთი 1956 I	იმპლემენტაციური	ცეცხლის შეტყვეტა აღდგა	წარმატებული
4	ახლო აღმოსავლეთი 1956 II (არხის კრიზისი, ოქტ.)	შეთანხმებითი	შეთანხმება არ ყოფილა	წარუმატებელი
5	ახლო აღმოსავლეთი 1956 III (სუეცის კრიზისი, ოქტ. 29-ნოემბ. 7)	შეთანხმებითი	ცეცხლის შეწყვეტა, ჯარების გაყვანა, PKO	წარმატებული
6	ახლო აღმოსავლეთი 1956 IV (UNEF ეგვიპტეში, ნოემბერი	იმპლემენტაციური	მშვიდობის უზრუნვლეყოფა	წარმატებული
7	უნგრეთი 1956	დღის წესრიგი	შეჭრა	წარუმატებლობა
8	ახლო აღმოსავლეთი 1957 (ისრაელი ტოვებს სინაის, ღაზა)	იმპლემენტაციური	ჯარების გაყვანა, მშვიდობის უზრუნველყოფა	წარმატებული
9	ლიბანი 1958 (ინფილატრაცია და დასავლეთის ინტერვენცია	შეთანხმებითი	დამკვირვებელთა ჯგუფი, ჯარების გაყვანა	წარმატება
10	კამბოჯა-ტაილანდი	შეთანხმებითი	ურთიერთობები აღდგა	წარმატებული
11	დიდი ბრიტანეთი-საუდის არაბეთი (ბურეიმი)	შეთანხმებითი	საბოლოოდ გადაწყდა	DH-ს გარდაცვალების შემდეგ
12	ლაოსი 1959 I	დღის წესრიგი	გაერო-ს ქვეკომიტეტი	წარუმატებელი
13	ლაოსი 1959 II (გაერო-ს მისია)	დღის წესრიგი	გაერო-ს მისია, გენმდივნის მიერ	წარმატებული
14	კონგო 1960 I	დღის წესრიგი	უშიშრობის საბჭოს მოქმედება	წარმატებული
15	კონგო 1960 II (კატანგა)	იმპლემენტაციური	ბელგიის ჯარების გაყვანა	წარმატებული
16	კონგო 1960 III	იმპლემენტაციური	კონგოს დახმარება გაერო-ს გავლით	წარმატებული
17	კონგო 1960 IV (საბჭოთა თავდასხმა DH-ზე)	დღის წესრიგი	საბჭოთა კრიტიკა, გენასამბლეის მხაარდაჭერა	წარმატებული
18	კონგო 1960-1961 საკონსტიტუციო კრიზისი	იმპლემენტაციური	ლულუმბას მკვლელობა	წარუმატებელი
19	ბიზარტე	შეთანხმებითი	არ იქნა მიღწეული	წარუმატებელი
20	კონგო 1961 (კატანგა)	შეთანხმებითი	კატანგას გამოყოფა	DH-ს მოკლეს

წყარო: **Urquhart (1994)**

აბრივიატურები: DH - დაგ ჰამარშელდი, GA გენერალური ასამბლეა, PKO სამშვიდობო ოპერაცია, SC უშიშროების საბჭო, SG გენერალური მდივანი, UNEF გაერო-ს საგანგებო ძალები

როგორც ამ მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, ჰამარშელდი არ ერთვებოდა დიპლო-მატიის,მხოლოდ ერთ რომელიმე სახეობაში ეს კი ნიშნავს, რომ ის უნდა ყოფილიყო მრავალმხრივ კარგად გათვითცნობიერებული, რათა ეფექტიანად ემოქმედა განსხვავებული გარემოებებში. რთულია იმ ფაქტის ინტერპეტაცია, თუ რატომ ერთვებოდა გენერალური მდივანი რატომღაც, უფრო შეთანხმებით დიპლომატიაში უკვე დღის წესრიგში მყოფ კონფლიქტებთან მიმართებაში. ოცი კრიზისიდან რვაში მას სწორედ ეს როლი ჰქონდა. რამდენადაც, ჯერ-ჯერობით სხვა გენერალური მდივნების მსგავსი ისტორია არ არსებობს, ვერ ვიტყვით, რამდენად „ნორმალურად“ შეიძლება ეს ჩაითვალოს.

კიდევ უფრო აღსანიშნავნია, რომ მისი წარმატების კოეფიციენტი გარკვეულ მოდელს მიჰყვება. კერძოდ, ყველაზე ნაკლებად მისი წარმატება დღის წესრიგის შედგენის ნაწილშია დაფიქსირებული (ექვსიდან სამი, ანუ 50 პროცენტი), ხოლო ყველაზე მეტი წარმატება იმპლემენტაციურ მოლაპარაკებებში (ექვსიდან ხუთი, ანუ 83 პროცენტი). სტატისტიკური თვალსაზრისით, ეს განსხვავებები ძალზედ შეზღუდულია საიმისოდ, რომ მათი განზოგადება შევძლოთ მთლიანად აღნიშნულ თანამდებობაზე. თუმცა, ისიც ჩანს, რომ გავრცელებული ფრაზა „დაგი მიხედავს“, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო. ეს ფრაზა ხშირად გამაიყენებოდა იმ შემთხვევებთან მიმართებაში, სადაც შეთანხმებების ინტერპრეტაცია და იმპლემენტაცია იყო საჭირო. დღის წესრიგის დადგენა და შეთანხმებების შედგენა, როგორც ჩანს, გლობალურ პოლიტიკურ წრეებში უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. მათ შემთხვევაში, შესაძლოა სირთულეები იყოს უფრო დიდი, შიშები უფრო მაღალი, ხოლო ინტერესები უფრო ძლიერი. როგორც კი გარიგება დაიდება, ამგვარი წნეხები კლებულობს და ამდენად, გენერალურ მდივანს მეტი სივრცე რჩება მანევრირებისთვის. ამ თანამდებობაზე მყოფს, საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობით აღჭურვილს, „დატოვებენ მარტო“, რათა მან მოაგვაროს დარჩენილი „ტექნიკური“ საკითხები.

არსებობს, ასევე, შესაძლო პიროვნული ფაქტორი. ჰამარშელდის უფლებამოსილებების ინტერპრეტაციისა და მახვილგონიერი გადაწყვეტილებების, მოქმედების პრინციპების და მოქმედების პრაქტიკული გზების პოვნის უნარი, მისი პიროვნების უკეთ ახსნაში გვეხმარება. მისი ინტელექტურალური შესაძლებლობები პრობლემების გადაწყვეტისათვის იყო განკუთვნილი. მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ შეთანხმებების გადარჩენა დამოკიდებული იყო იმ პირველივე კრიზისის მოგვარების შესაძლებლობაზე, რომელიც უშუალოდ შეთანხმების ხელმოწერას მოსდევს. 1956 წელს სამშვიდობო ძალების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის გზით მისია 1967 წლამდე შენარჩუნდა. კონგოს კრიზისის დროს მისი მოქმედებების შედეგად ნაპოვნი იქნა ისეთი პრინციპები, რომელიც მომავალშიც იმუშავებდა, და არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ერთდღიან „ფიქსაციას“.

დღის წესრიგის დიპლომატია

დღის წესრიგის შედგენის დიპლომატიის რამდენიმე მაგალითი იყო და წარმატება აღრიცხულ იქნა ექვსიდან სამ შემთხვევაში. ეს გონივრულად დამაკმაყოფილებელი მიღწევაა, რომელიც კარგად ასახავს იმ პირობებს, რომელშიც გენერალურ მდივანს უწევდა ოპერირება. ამ კატეგორიაში წარმატება ყველაზე ნაკლებია. ჰამარშელდმა ყველაზე აღსანიშნავ წარმატებას მიაღწია კონგოს კრიზისში, 1960 წელს, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ მისი აქტიურობით საკითხი უშიშროების საბჭომდე მივიდა, სადაც მან უკვე ღიად გამოიყენა ქარტიის 99-ე მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებები. მან მედიის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაც მოახერხა, თანაც იმ დროს, როდესაც აქტუალური ახალი ამბავი

აშშ-ს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ყრილობაზე საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენა იყო. მეორე სიტუაცია, კი, კავშირშია კრიზისთან, რომელიც მის საკუთარ თანამდებობას უკავშირდებდა. მან შეძლო შეეჩერებინა საბჭოთა კავშირი მხარდაჭერა მოეპოვებინა იმ იდეისთვის, რომელიც გენერალური მდივნის თანამდებობაზე მის ტროიკით ჩანაცვლებას გულისხმობდა. ჰამარშელდმა ამ ნაბიჯში დაინახა მთლიანად გაერო-ს პარალიზების საფრთხე, და არა მხოლოდ მისი, როგორც გენერალური მდივნის, ქმედებების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი.

დღის წესრიგის დიპლომატიაში განცდილი წარუმატებლობები, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლო კავშირში იყო რომელიმე მუდმივმოქმედი წევრის ინტერესებთან (მაგალითად, აშშ-ს გვატემალაში, საბჭოთა კავშირის უნგრეთში). უნგრეთის შემთხვევაში, უნგრეთის ახალმა მთავრობამ, რომელიც 1956 წელს საბჭოთა კავშირის შეჭრის შემდეგ ჩამოაყალიბეს, ჰამარშელდი მიიწვია მხოლოდ ჰუმანიტარული დამხარების საკითხის, და არა პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის განსახილველად. ამ უკანასკნელს ისინი უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობების შიდა საკითხად თვლიდნენ. ამდენად, საბჭოთა კავშირის შეჭრის საკითხი უშიშროების საბჭოზე განსახილველად ვერ გავიდოდა, ხოლო გენერალურ ასამბლეაზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპელემტაცია ვერ მოხერხდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღის წესრიგის შედგენა აშკარად დიდი სახელმწიფოების მხედველობის არეშია. სხვა აქტორებს უფრო უჭირთ უშიშროების საბჭოზე საკითხის გატანა. როდესაც ჰამარშელდმა წარმატებას მიაღწია, მაგალითად, კონგოში, მას მხარს უჭერდა აფრიკული და აზიის ქვეყნების დიდი კოალიცია. მათმა ერთიანმა ხმა გაერო-ში და ასევე იმ ყურადღებამ და ოპტიმიზმმა, რომლითაც დეკოლონიზაციას შეჰყურებდნენ, მისი ქმედებები „დროსთან თანხვედრაში“ მოიყვანა. ამას ემატება ისიც, რომ აღნიშნული კრიზისი თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც ცივი ომის არეალს გარეთ მყოფი, და ამდენად ჰამარშელდის ქმედებები მისაღები იყო მუდმივმოქმედი წევრებისთვისაც.

არსებობს მაგალითები, როდესაც ჰამარშელდი თავს იკავებდა საკითხების საბჭოზე გატანისგან. ერთი ასეთი შემთხვევაა ომი ალჟირში. უკვე 1955 წელს აფრიკისა და აზიის ქვეყნებს სურდათ, რომ ის ამ საკითხით დაკავებულიყო. ეს კი საფრანგეთთან კონფრონტაციას გამოიწვევდა. ჰამარშელდმა აირჩია, კონფლიქტი საშინაო საკითხად ჩაეთვალა და როდესაც კონფლიქტის შესახებ დებატები გაგრძელდა, მან განაცხადა, რომ მოლაპარებების წარმოებას მიზნით საფრანგეთი ცდილობდა (Urquhart 1994: 309). მისი არგუმენტები არადამაჯერებლად ჟღერდა. უფრო სავარაუდო იყო, რომ მას სურდა თავი აერიდებინა საბჭოს მუდმივმოქმედ წევრთან კონფრონტაციისათვის , განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დემონსტრაციული ეფექტის გარდა, შედეგის მიღწევის ალბათობა დიდი არ იყო.

არსებობს მაგალითები დიპლომატიური ქმედებებისა დღის წესრიგის შედგენამდე, რაც ნიშნავს, სიტუაციებს, რომელშიც ჰამარშელდი მოქმედებდა მანამ, სანამ საკითხი გავიდოდა უშიშროების საბჭოზე ან ფართო საერთაშორისო ყურადღებას მიიპყრობდა. ამგვარ პირობებში, მხარეებს შეეძლოთ ესარგებლად მისი შუამდგომლობით, რათა დავის დღის წესრიგში მოხვედრა აერიდებინათ. ურქუჰართს მოჰყავს მაგალითი: სასაზღვრო დავა კამბოჯასა და ტაილანდს შორის 1958-1959 წლებში. არის ასევე მაგალითები, როდესაც ჰამარშელდმა შეაჩერა უშიშროების საბჭოს მოქმედება, რადგან მას არ ჰქონდა კონკრეტული კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარის სრული მხარდაჭერა, არადა, მას შესაძლოა პრევენციული ეფექტი ჰქონოდა ეს ის შემთხვევაა, როდესაც აშშ-ს სურდა გაერო-ს დამკვირვებელთა ჯგუფის

გაგზავნა ლაოსში, 1959 წელს. ჰამარშელდმა ამ იდეისთვის საკმარისი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა ვერც უშიშროების საბჭოში და ვერც დაინტერესებულ მხარეებში (Urquhart 1994: 338). მისი წინააღმდეგობა დაძლიეს. ეს ფაქტი მის თანამდებობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებსაც ნათლაც წარმოაჩენს. შემთხვევა მაინც საინტერესო შედეგით დასრულდა. შეიქმნა ქვეკომიტეტი, რომელმაც წარადგინა ანგარიში არსებული ვითარების შესახებ. შემდეგ, ჰამარშელდმა დანიშნა თავისი პირადი წარმომადგენელი, ინოვაცია, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ დღეს არსებულ სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობას (რომელსაც ამტკიცებდა გენერალური ასამბლეა ან უშიშროების საბჭო). როგორც ჩანს, ეს ახალი არხი გამოსადეგი აღმოჩნდა გენერალური მდივნის ინფორმირებულობისთვის, და ასევე, ხელი შეუწყო - ლაოსის შემთხვევაში - შიდა სიტუაციის დასტაბილურებას. ჰამარშელდმა თავისი დამარცხება წინგადადგმულ ნაბიჯად აქცია.

შეთანხმებითი დიპლომატია

შეთანხმებითი დიპლომატიის რვა შემთხვევა წარმატებებისა და წარუმატებლობების საინტერესო ნაზავს წარმოადგენს. გენერალური მდივანი რამდენიმე შეთანხმების არქიტექტორი იყო. არსებობს ნაწილობრივი შეთანხმებების მაგალითები, რომელთაც პოტენციურად გადაჭრეს კონფლიქტის პრობლემა. აღნიშნული ყველაზე ნათლად ჩანს არხის გარშემო კრიზისში, რომელიც წინ უძღოდა სუეცში შეჭრას, 1956 წელს. 1956 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ჰამარშელდმა ეგვიპტისგან მიიღო გარანტია რომ მხარს დაუჭერდა პრინციპებს, რომელიც მნიშვნელოვანწილად თანხვედრაში იყო სუეცის არხის მომხმარებელების მიერ ჩამოყალიბებულ პირობებთან, არხისა, რომლის ცალმხრივი ნაციონალიზაციაც ეგვიპტემ მოახდინა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომისათვის მზადება გააგრძელეს. ნოემბერში მათ განახორციელეს ინტერვენცია, რომლის კოორდინირება ისრაელმა მოახდინა. გაერო-ში მათი დიპლომატია მიმართული იყო იმისკენ, რომ ხელი შეეშალათ შეთანხმების მიღწევისათვის, რასაც ისინი გარკვეულ საკითხებზე ზეწოლით ახორციელებდნენ, ისე რომ, ეჩვენებინათ, რომ პრობლემები ვერ გადაიჭრებოდა დიპლომატიის გზით. ჰამარშელდის მოქმედებები] საფრთხეს უქმნიდა მათ ამ სტრატეგიას (Urquhart 1994: 167-169). აღნიშნული ნათლად აჩვენებს მოლაპარაკებებისა და დიპლომატიის ძირეულ სიმართლეს, რომელიც ახლოსაა ჭეშმარიტებასთან: თუ მთავარ მონაწილე მხარეებს არ სურს მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება, შეთანხმებების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა.

იგივე ეხება მხარეებს, რომლებიც საკმარისი ძალით გამოირჩევინა, რომ შეთანხმებების პრევენცია მოახდინონ. გენერალური მდივნის შუამდგომლობით შეთანხმების მიღწევა აქტორებისთვის ის ალტერნატივაა, რომელსაც ისინი ირჩევენ, რადგან არ სურთ თავიანთ მოწინააღმდეგესთან პირისპირ საუბარი. ჰამარშელდის დიპლომატიური გარღვევა სწორედ იმგვარ კრიზისში დადგა, რომელშიც ჩართული იყო იმ დროის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოთაგან ორი - აშშ და ჩინეთი. მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობდა. დაძაბულობას ქმნიდა ჩინეთში აშშ-ს მფრინავების დაკავების პრობლემა. შესაძლოა ჩინეთს აწყობდა კიდეც, თავისი ინტერესებისთვის და საერთაშორისო ურთიერთბების გასაუმჯობესებლად გამოეყენებინა მფრინავები. ჰამარშელდის მიერ დამყარებულმა კონტაქტებმა შედეგად პილოტების გათავისუფლება გამოიღო. მოგვიანებით, პირდაპირი კონტაქტებიც დამყარდა პეკინსა და ვაშინგტონს შორის, ვარშავაში მათი საელჩოების საშუალებით. მთავარი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ორივე დედაქალაქში.

ორივე სახელმწიფომ ფაქტიურად მისცეს უხმო უფლება გენერალურ მდივანს, რათა მას წარმატებისთვის მიეღწია. ჰამარშელდმა შეძლო გამოეყენებინა ეს და თავისი პოზიცია გაეძლიერებინა. სხვა სიტუაციებში საპირისპირო შეიძლება აღმოვაჩინოთ. საფრანგეთსა და ტუნისს შორის ბიზერტეს კრიზისის შემთხვევაში, საფრანგეთის მიზანი იყო, ჰამარშელდს წარმატებისთვის არ მიეღწია. ამით შესაძლოა გაძლიერებულიყო როლი აქტორისა, რომელის გაძლიერება იმ მომენტისთვის საფრანგეთის ინტერესებში არ შედიოდა.

იმპლემენტაციური დიპლომატია

ჰამარშელდი ჩაერთო იმპლემენტაციურ დიპლომატიაში, რაც გულისხმობს შეთანხმების გაფორმების შედეგად დამდგარი მშვიდობის შენარჩუნებას, უმეტესად გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებისსაშუალებით. UNEF-თან (გაერო-ს საგანგებო სიტუაციების ძალები), დაკავშირებით ეგვიპტეში შეთანხმებული პირობები ის პირობები, , ცივი ომის დროს ყველა სამშვიდობო ოპერაციის მთავარ პრინციპებად იქცა. 1957 წელს ისრაელის ჯარების სინადან გაყვანას წინ უძღოდა ხანგძლივი მოლაპარაკებები და დელიკატური გარიგებები. ორივე ამ შემთხვევაში, წარმატებები დაფიქსირდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ გაერო-ს ძალისხმევის შედეგი არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს როლი. კონგოს შემთხვევაშიც, ჰამარშელდს უნდა გადაეწყვიტა პრობლემები, რომელიც უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციასთან იყო დაკავშირებული. შედეგად ამას მოჰყვა მძიმე კრიზისი უმეტესწილად კატანგას გამოყოფის მცდელობების გარშემო, რომლის უკან ბელგიური ინტერესები იდგა. ჰამარშელდის იმპლემტაციური დიპლომატია კონტინენტებს გადასწვდა. ეს გულისხმობდა კონგოში აქტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ბელგიასთან საკითხების გარკვევას, ხოლო ნიუ-იორკში კი ისეთი ფორმულების გამომუშავებას, რომ უშიშორების საბჭოს მხარდაჭერა შეენარჩუნებინა. ამგვარ რთულ სიტუაციებში ჰამარშელდი ნამდვილი ოსტატი იყო. მას ჰქონდა უნარი მხედველობის არეში ჰქონოდა ერთდროულად ყველა მხარის პოზიცია, მაშინ როდესაც ზოგიერთი მისი თანამშრომელი სამიდან მხოლოდ ერთ მოედანზე თამაშს თუ ადევნებდა თვალს. ჰამარშელდის ინტელექტი კარგად ერგებოდა ამგვარ რთულ ურთიერთობებს, და ყველა კონკრეტულ საკითხს ის პრაქტიკულ გამოყენებას უძებნიდა. საინტერესოა, რომ ჰამარშელდს მხოლოდ ერთი წარუმატებელი შემთხვევა აქვს იმპელემტაციურ დიპლომატიაში. ეს საკითხი დიდი განხილვის საგნად იქცა. დამოუკიდებელი კონგოს პირველი პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას მკვლელობა, 1960-იანი წლების დასაწყიში, აღმაშფოთებელი იყო თავისი სისასტიკით. იქნებ გაერო უფრო ეფექტიანად უნდა ჩართულიყო ამ კრიზისში? ეს იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, მაგრამ მას, ასევე, შეეძლო სახელმწიფოს სწორი მიმართულებით განვითარებისთვის შეეწყო ხელი.

მთლიანობაში, ჰამარშელდის წარმატების ისტორია ძლიერია, თუმცა, შესადარებლად სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია . ამდენად, ეს შეფასება ეყრდნობა იმას, რასაც ვხედავთ ცხრილში 12.1, ისევე როგორც იმ პირობებს, რომელშიც ჰამარშელდს უწევდა ოპერირება. ეს იყო დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში დაძაბულობების გადანაცვლების პერიოდი. გაერო-ს შეეძლო დიპლომატიის მსოფლიო ცენტრი ყოფილიყო.

წარმატება და დიპლომატიური ფსიქოლოგია

როგორ ავხსნათ ჰამარშელდის ისტორია? ნებისმიერი გენერალური მდივანი მასავით მოიქცეოდა? ახასიათებს თუ არა მის ქმედებებს რამე განსაკუთრებული თვისებები? არის თუ არა ისინი კავშირში მის პიროვნებასთან? ჩვენ უკვე მივანიშნეთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტზე: დიდი სახელმწიფოების ინტერესი და მათ შორის ურთიერთობები. ეს ხშირად განმსაზღვრელი ფაქტორია და მას გლობალური ურთიერთობების ყველა აქტორი მწვავედ გრძნობს. ჰამარშელდის წარსული გამოცდილება დაეხმარა მას, რომ ძალაუფლების განზომილების მნიშვნელობა გაეგო. მისი მამა შვედეთის პრემიერ-მინისტრი იყო ქვეყნის ისტორიაში ძნელბედობის ჟამს (პირველი მსოფლიო ომი). დაგ ჰამარშელდს ახლო თანამშრომლობა ჰქონდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შვედეთის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან ადამიანთან, ერნსტ ვიგფორსთან. მოგვიანებით, ჰამარშელდი თავად იყო მინისტრთა კაბინეტის წევრი. ამდენად, ძალაუფლებაში ყოფნა მისთვის სიახლე არ ყოფილა. მას კარგად ესმოდა მისი საზღვრებიც და სიგნალების ამოცნობაც შეეძლო, თუ ძალიან შორს შედიოდა რომელიმე მიმართულებით.

ამავე დროს, ის არც ძალაუფლებას შენატროდა და არც მისი ერთგული მსახური იყო. პირიქით, მას ესმოდა მისი მექანიზმები და ნანახიც ჰქონდა, თუ როგორც შეიძლება ძალაუფლება ემსახურებოდეს იმის საჭიროებებს, ვისაც რაღაცის მიღწევა სურს. ეს ნიშნავდა იმის ცოდნას, თუ რა მიმართულებებით მიდის ცვლილები და ასევე, გზების პოვნას, საკუთარი მიზნების ხელშესაწყობად, არასაჭირო წინააღმდეგობის პროვოცირების გარეშე. სწორედ, ამგვარად რეფორმისტულად უდგებოდა იგი საერთაშორისო კონფლიქტებს. მისი პიროვნება და გამოცდილება დაეხმარა მას, გაერო-ს დიპლომატიის ძალაუფლების განზომილების ოსტატი გამხდარიყო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც დიპლომატიის „წარმატების“ კატეგორიზაცია ხდება, ეს არ ნიშნავს მხოლოდ ჰამარშელდის წარმატებას. სხვებიც ეხმარებოდნენ მხარეებს იმავე მიმართულებით. მსგავსად ამისა, „წარუმატებლობა“ არ ნიშნავს, მხოლოდ ჰამარშელდის წარუმატებელ მცდელობებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ჰამარშელდი კი იყო მთავარი მომლაპარაკებელი, მაგრამ მას შესაძლოა წარმატებისთვის ვერ მიეღწია, რომ არა სხვების ძლიერი მხარდაჭერა (მაგ., აშშ, კანადა, აფრიკისა და აზიის ქვეყნები). ამდენად, „წარმატება“ არის წარმატება ძალთა მთელი თანავარსკვლავედისთვის, რომელიც შეთანხმების მიღწევითაა დაინტერსებული, ხოლო „წარუმატებლობა“ არის წარუმატებლობა მსგავსი თანავარსკვლავედისთვის. მსგვასად ამისა, წარუმატებლობა არ ნიშნავს წარუმატებლობას დიპლომატიისთვის, როგორც ასეთი. შესაძლოა, მთავარმა მხარეებმა სხვა მოსაზრებებს მიანიჭეს უპირატესობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოალიციების შექმნა, იყო და არის, გაერო-ს სისტემის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილი . წარმატებული გენერალური მდივანი ამ საქმის ექსპერტი უნდა იყოს. შვედეთის პოლიტიკამ შესაძლოა ამისათვის გარკვეული მომზადება გაატარა, რამდენადაც მთავრობები ხშირად ეყრდნობოდნენ კოალიციებს ან უმცირესობებს. ამით მან უკეთ შეიცნო მოლაპარაკებათა კულტურა უმრავლესობების შესაქმნელად.

ჰამარშელდის კოალიციების შექმნაში ცენტრალური ადგილი ეკავა მის უნარს ერთდროულად ემუშავა გაერო-ს სისტემაში ყველაზე ძლიერ ქვეყანასთან, აშშ-სთან, და ყველაზე სუსტებთან, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. ეს კიდევ უფრო შესანიშნავი ფაქტია, რამდენადაც ეს ქვეყნები ხშირად აშშ-ს და მთლიანად დასავლეთის მწვავე კრიტიკით

გამოირჩეოდნენ. აღსანიშნავია ის, რომ ჰამარშელდი მუდმივად ეხვეოდა კონფლიქტში ამერიკის ადმინისტრაციასთან (გვატემალაში 1954 წელს და ლაოსი 1959 წელს) და მაინც მუშაობდა მის პარალელურად სხვა შემთხვევებში (მფრინავები ჩინეთში 1954-1955 წლებში, სუეცი 1956, კონგო 1960-1961). ამდენად, ორივე მხარე მოქნილობას იჩენდა, რითაც ურთიერთობა კომპლექსური და რთულად ასახსნელი ხდებოდა. აღნიშნული ურთიერთობა კონტრასტშია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობასთან, რომელიც ჯერ იყო პოზიტიური 1956 წელს (სუეცი მიუხედავად უნგრეთის კრიზისისა), მაგრამ ძალზედ გაუარესდა 1960 წელს (კონგო), როდესაც საბჭოთა კავშირი მთლიანად გაერო-ს სტრუქტურისთვის ძირის გამოთხრას შეეცადა. როგორც ჩანს, დაძაბულობის ზრდის ტენდენცია არსებობდა. მაგალითად, საფრანგეთთან ურთიერთობები უფრო ნეგატიური ჩანდა ამ პერიოდის განმავლობაში (სუეცი 1956, ბიზერტე 1961), თუმცა, ჰამარშელდის სტილი, როგორც ჩანს, აინტრიგებდა საფრანგეთის მმართველ წრეებს. ეს ურთიერთობები სრულიად საპირისპიროა იმ სიახლოვესთან, რომელიც ჰამარშელდს ჰქონდა თავისი საქმიანობის მანძილზე მესამე მსოფლიოს ბევრ ლიდერთან. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლა ნერუ ბევრი კრიზისის დროს იყო მნიშვნელოვანი ფიგურა. მათი ურთიერთობა იყო მტკიცე, მაგრამ არც უთანხმობების გარეშე. ფარული კოალიცია, რომელიც ინარჩუნებდა გაეროს ოპერაციას კონგოში, არ იყო მარტივი სამართავი. ჰამარშელდმა შეძლო მისი შენარჩუნება, მიუხედავად ბევრი უკუსვლისა და მღელვარებისა.

ასევე, განიხილება წარმატების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ასპექტები. მაგალითად, ჰამარშელდმა, შესაძლოა, მიაღწია გარკვეულ წარმატებას ლაოსში ფართო კოალიციური მთავრობის შექმნის მიმართულებით გარკვეული დროით (1959 წლის ნოემბრიდან 1960 წლის ივნისამდე), მაგრამ ყველაფერი ისევ წყალში ჩაეყარა სამხედრო გადატრიალებების სერიების, სამოქალაქო ომებისა და 1960 წლის აგვისტოს შემდეგ ხელისუფლებაში ხისტი, მემარჯვენე მთავრობის მოსვლის გამო. ჰამარშელდმა კი შეძლო შეთანხმების ხელშეწყობა, მაგრამ მისი უფრო დიდი ხნით შენარჩუნება ვერ მოახერდა, რადგან ლაოსი ცივი ომის დაპირისპირების არეალში მოექცა. ამდენად, მოკლევადიანი წარმატება ყოველთვის გრძელვადიან პრეოცესებში ვერ გადაიზრდება. მისი თანამდებობის უფლებამოსილება შეზღუდული იყო. ელეგანტური და გონიერი გადაწყვეტილებები სულაც არ შედიოდა უფრო დიდი ძალაუფლების მქონეთა ინტერესებში. ცხრილი 12.1 კარგად წარმოაჩენს, როგორც იმ პოტენციალს, ისე შეზღუდვებს, რომელიც მესამე მხარის დიპლომატიას ახლავს თან. საერთაშორისო დიპლომატიის შემთხვევაში ეს ასპექტი საკმაოდ გამაღიზიანებელი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე საშინაო, განსაკუთრებით კი შვედეთის, საქმეებში. შვედური კეთილდღეობის მოდელი შენდებოდა ერთი აგურის მეორეზე დაშენებით. საერთაშორისო საქმეებში, კი, პირველი აგური შეიძლება უცებ გამოგაცალონ. საშინაო საქმეების ჯამური ხასიათი ავტომატურად ვერ გადაითარგმნებოდა კონფლიქტების ჩახლართულ რეალობაში, რომელთანაც გაერო-ს ჰქონდა შეხება.

ამდენად, ჰამარშელდის წარმატების ისტორია დიდწილად შეგვიძლია მივაწეროთ იმ დროს არსებულ საერთაშორისო გარემოებებს და ჰამარშელდის უნარს, ამოეცნო და გამოეყენებინა ისინი გაერო-ს საკეთილდღეოდ. და მაინც, იბადება კითხვა, მიმართავდა თუ არა ის რაიმე საგანგებო ტექნიკას. მაგალითად, დიპლომატიის ფსიქოლოგიას?

ჰამარშელდის დიპლომატიის განსაკუთრებული თვისებები

ჰამარშელდს რამდენიმე დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. შეგვიძლია განვიხილოთ, უნიკალური იყო ისინი თუ არა. როგორც ჩანს, ისინი მის წარმატებასთან იყო დაკავშირებული. ვთვლით, რომ შემდეგი თვისებების აღნიშვნა ღირს.

ა) სამგზავრო დიპლომატია: კონფლიქტის ზონაში ჩასვლა. ჰამარშელდის დიპლომატიური გარღვევა დაიწყო მისი ვიზიტით ჩინეთში, 1954 წელს. მისმა შეხვედრამ ჩინეთის ლიდერთან ჩჟოუ ენლაისთან გზა გაუკაფა ამერიკელი მფრინავების განთავისუფლებას, რომლებიც სახალხო რესპუბლიკას ჰყავდა დაკავებული. მისმა ამ ქმედებამ უზარმაზარი ინტერესი და საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. ცხრილში 12.1 ჩამოთვლილ კრიზისთაგან, უმეტეს შემთხვევაში ჰამარშელდი ჩავიდა ადგილზე და პირადად წარმართა მოლაპარაკებები. ეს ასე მოხდა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების დროსაც 1956-1957 წლებში. ცოტა ხნით ადრე, 1956 წლის აპრილში, რეგიონში მისი პირველი ვიზიტის დროს, მან საფუძველი ჩაუყარა თავის შემდგომ ურთიერთობებს რეგიონის წამყვან ლიდერებთან (მათ შორის, ბენ გურიონთან და ნასერთან). მას უნგრეთში ჩასვლაც სურდა, მაგრამ უარი მიიღო. 1958 წლის ივნისში, ლიბანის კრიზისის დრო, ჰამარშელდი თავმჯდომარეობდა გაერო-ს დამკვირველებთა ჯგუფის (UNOGIL) პირველ შეხვედრა ლიბანში, ბეირუთში. კონგოს კრიზისში ჰამარშელდი თავდაპირველად ნიუ-იორკიდან ჩაერთო. ნახევარი წლით ადრე, აფრიკაში თავისი ტურნეს დროს, მან კარგი კავშირებიც დაამყარა და რეგიონის შესახებ უკეთესი წარმოდგენაც შეექმნა, რაც მას ძალზედ გამოადგა, როდესაც კონგოს კრიზისი განვითარდა. გაერო-ს პირველ ძალებს, რომელიც 1960 წლის აგვისტოში კატანგაში ჩავიდა, პირადად ჰამარშელდი მიუძღოდა. მისი თვითმფრინავი ელიზაბეთვილის აეროდრომს დასტრიალებდა, სანამ მოლაპარაკებებს აწარმოებდა კატანგას ლიდერთან გაერო-ს ძალებისთვის დაშვების უფლების მისაღებად. ეს ძალზედ გაბედული ნაბიჯი იყო დიპლომატიისთვის, რომელიც ბევრ სხვა მსოფლიო ლიდერს არ გაუმეორებია. იგი სწორედ ასეთი პერსონალური დიპლომატიური ტურის დროს გარდაიცვალა.

პერსონალური დიპლომატიის ეს ფორმა ჰამარშელდის სამარკო ნიშნად იქცა. მაშინ ეს უფრო ეფექტური იყო, ვიდრე დღეს შეიძლებოდა ყოფილიყო. ადვილი არ იყო იმდენი მგზავრობა, რამდენსაც ჰამარშელდი მგზავრობდა, ხოლო ლიდერები მიჩვეული არ იყვნენ დღევანდელივით ბევრი შეხვედრის გამართვას. ერთი მაშინდელი ვიზიტი დღევანდელ ათ ვიზიტს უდრიდა. შეთანხმების მიღწევა ისეთი შესაძლებლობა იყო, რომელიც შეიძლება აღარც დაბრუნებულიყო. გარდა ამისა, ჰამარშელდის გზავრობები მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომელიმე კრიზისთან, რომელიც, ამგვარად, ყურადღების ცენტრში ექცეოდა. დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც მოგზაურობა უკვე ჩვეულ მოვლენად არის ქცეული, ამგვარი პერსონალური დიპლომატია, შესაძლოა, ასეთივე ეფექტიანი არ იყოს.

ბ) ორმხრივი და პერსონალური ნდობის ჩამოყალიბება. ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერს არასდროს „დაურღვევია ჩემთვის მოცემული სიტყვა“, ამბობდა ჰამარშელდი როდესაც სხვები წუწუნებდნენ ნასერის მოქმედებების გამო (Urquhart 1994: 269). მას სჯეროდა , რომ მისთვის მიცემული პირობა შესრულდებოდა, შესაბამისად ისიც აძლევდა სხვებს დაპირებებს. ამდენად, გარიგებები დამოკიდებულია მათ უნარზე შეასრულონ მიცემული სიტყვა. ყველაზე ნაკლები რაც მოითხოვებოდა, ის იყო, რომ

დაპირებებს ყველა ერთნაირად გონივრულად მიდგომოდა. ნდობით გამსჭვალული ურთიერთობების დამყარებით, რასაც ის ნაწილობრივ თავისი დიპლომატიური მგზავრობებით, ხოლო ნაწილობრივ ნიუ-იორკში ყოფნისას ახერხებდა, ჰამარშელდი იყო კომუნიკაციის არხი, მაგრამ, ასევე, ობობაც ქსელში. ხშირად ის ერთადერთი იყო, ვინ საწინააღმდეგო მხარესთან ურთიერთობას ინარჩუნებდა და გზავნილების გადაცემა შეეძლო ერთი მხარიდან მეორესთვის. მას შესწევდა უნარი, გადაეცა სწორი გზავნილები საჭირო ინტერპრეტაციით, ასევე დამატებითი წინადადებები გამოსავალის საძიებლად.

საბოლოო ჯამში, ჰამარშელდის მიმართ ნდობა დამოკიდებული იყო იმაზე, განხორციელდებოდა თუ არა შეთანხმება ისე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო. ნასერმა ჰამარშელდის კომენტარს უპასუხა: „მსურს ისე, როგორც შევთანხმდით“ (Urquhart 1994: 269). ამდენად, პირობა რომელიც ჰამარშელდს მისცა, არ გატყდებოდა. საერთაშორისო სისტემაში, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ანარქიულს“, რომლის ქმედებებსაც მხოლოდ „ეროვნული ინტერესები“ წარმართავს, ძალზედ გასაოცარია, იმის აღმოჩენა, რომ პირობა პირობაა, მაშინაც კი როდესაც პირობას მას აძლევენ, ვინც არც არმიას ხელმძღვანელობს და სახელმწიფოსაც კი არ წარმოდგენს. ჰამარშელდმა ნამდვილად ჩამოაყალიბა ამგვარი ურთიერთობები ბევრ პოლიტიკურ ლიდერთან, მაგალითად, ჯავაჰარლალ ნერუსთან, ჩჟოუ ენლაისთან, ახლო აღმოსავლეთის ბევრ ლიდერთან და ლაოსის მეფესთან (Urquhart 1994: 148, 355). 1958 წელს, ლიბანის კრიზისის დროს, ნასერმა გარკვეული ვალდებულებები აიღო ჰამარშელდის წინაშე და აშშ-ს დაზვერვამ დაადასტურა, რომ ნასერმა ისინი მართლაც განახორციელა (Urquhart 1994: 275). სტრატეგია ამართლებდა იმ ლიდერებთა, ვისაც ჰამარშელდი ხვდებოდა. თუმცა, აღნიშნული ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა კონგოს ტურბულენტურ კრიზისში.

გ) დიპლომატიური ბერკეტების შექმნა. ჰამარშელდს ტრადიციული ძალაუფლება არ გააჩნდა. მას არც ჯარები ჰყავდა თავის სარდლობის ქვეშ, არც ეკონომიკური რესურსები გააჩნდა, რომელსაც ბერკეტად გამოიყენებდა (მაგრამ ეკონომიკური დახმარების პერსპექტივა შეიძლება გამოყენებულ იქნას სტიმულად). ამდენად, მისი ძალაუფლება უფრო ეყრდნობოდა სამოქალაქო, არასამხედრო რესურსებს. სამართლებრივი თვალსაზრისით ის გაერო-ს ქარტიას ეყრდნობოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ პრაქტიკული სირთულეები მომდინარეობდა თავად გაერო-ში მტკიცე პოზიციიდან. კონფლიქტის დღის წესრიგში გატანის მუქარით, მას შეეძლო ბერკეტის მოპოვება. თუ საკითხი უკვე დღის წესრიგში იდგა, ის მხარეებს იმით დაარწმუნებდა, რომ აუხსნიდა მათ უშიშროების საბჭოში ან გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრის შესაძლო შედეგებს. სამშვიდობო ძალებიც ერთ-ერთი ინსტრუმენტი იყო, რომლის დახმარებითაც მას კიდევ უფრო მეტი გავლენის მოპოვება შეეძლო. გაერო-ს არენაზე ყოფნა მისთვის, ასე ვთქვათ, მშობლიურ მოედანზე თამაშს ჰგავდა. აფრიკის, აზიის და სხვა რამდენიმე ქვეყნის ძლიერი მხარდაჭერით, მან შთამბეჭდავი გავლენა მოიპოვა.

ამ სტრატეგიის განსახორციელებლად მთავარი მოთხოვნა იყო ის, რომ საკითხები გაერო-მდე უნდა მოსულიყო. ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც გაერო-ს დღის წესრიგს გარეთ რჩებოდა, მას რეალური გავლენის მოხდენა არ შეეძლო. ეს კარგად გამოჩნდა უნგრეთში საბჭოთა კავშირის შეჭრისას, ისევე როგორც გვატემალაში აშშ-ს მოქმედებების დროს. არც ერთ ამ შემთხვევაში მას გავლენის მოხდენა არ შეეძლო. იგივე მოხდა გერმანიის და ბერლინის საკითხების შემთხვევაში, კუბის კრიზისის დროს 1959-1961

წლებში და იმ სხვა საკითხებთან მიმართებაში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცივი ომის დინამიკასთან.

ცხადია, ჰამარშელდმა მშვენივრად იცოდა ამ გლობალური დიქოტომიის შესახებ. კონგოში მისი ქმედებები სწორედ იმას ისახავდა მიზნად, რომ მოეხდინა ამ ქვეყანაში ცივი ომის გავრცელების პრევენცია. მისი ეს ამბიცია, ეჭვგარეშეა, წარმატებით დასრულდა. კონგოს დაყოფა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არ მომხდარა, არც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სამშვიდობო ოპერაციამ ჰამაშელდს ზემოქმედების ბერკეტი მისცა; რეალურად, ეს იყო არმია გაერო-ს სარდლობის ქვეშ. ამას გარდა, საერთაშორისო ეკონომიკური დახმარებაც უნდა გადაცემულიყო გაეროს გავლით. ესეც იყო კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი, რომელიც გაერო-ს, და ჰამარშელდის, მნიშვნელობას ზრდიდა ამ კონკრეტულ კრიზისში. პრობლემას, რომელსაც გაერო მოგვიანებით შეეჯახა, როდესაც ქვეყნებმა გავლენა მოიპოვეს სამშვიდობო ოპერაციებზე და თავიანთი კონტინგენტების სახლში გაწვევით იმუქრებოდნენ, ჰამარშელდი არ მოსწრებია. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ჰამარშელდის მომავალი პოზიცია ძალზედ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა კონგოს კრიზისი. ამდენად, ეს სარისკო ოპერაცია მნიშვნელოვანი იყო გენერალური მდივნის მომავალი საერთაშორისო სტატუსის თვალსაზრისითაც.

დ) „იმოქმედე დროულად, როცა შესაძლებელია!“ ჰამარშელდის მოქმედებები გვატემალაში, ახლო აღმოსავლეთში (1956 I და II) და ლიბანში მიზნად ისახავდა კონფლიქტების ესკალაციის პრევენციას. ორ შემთხვევაში (ახლო აღმოსავლეთი I და ლიბანი) გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მინიმუმ უშუალოდ იმ მომენტში. ორ სხვა შემთხვევაში, ჰამარშელდი დაბლოკეს მუდმივმოქმედმა წევრებმა (აშშ-მ გვატემალაში, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ახლო აღმოსავლეთში II). სწორედ ჰამარშელდმა შექმნა ტერმინი „პრევენციული დიპლომატია“, რომელმაც კვლავ მოიპოვა პოპულარობა 1990-იან წლებში. არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტის ადრეულ ფაზაში მხარეთა პოზიციები ჯერ კიდევ არ არის ისეთი ხისტი, ამდენად, უფრო მეტი სივრცეა კონფლიქტის გადასაწყვეტი ფორმულის აღმოსაჩენად. როგორც კი კონფლიქტური მოქმედებები დაიწყება, ძალადობას ექნება ადგილი და ჯარები საბრძოლო მოქმედებებში ჩაებმებიან, ვარიანტების რაოდენობა სწრაფად იკლებს. პრევენციული დიპლომატიის შედეგების შერეული ისტორია სწორედ სირთულეებზე მიუთითებს, რომელსაც ის აწყდება. ზოგჯერ შესაძლოა ძალიან ადრეა და მხარეები ვერ ხედავენ გარე ძალების ჩართვის საჭიროებას მშვიდობიან მოგვარებაში. როდესაც 1959 წლის ივლისში, საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან ჰამარშელდი განიხილავდა სიტუაციას გვინეაში (კონაკრი) და მსჯელობდა, რომ ეკონომიკური ვარდნა გვინეაში, რომელსაც დე გოლი წინასწარმეტყველებდა, უნდა შეჩერებულიყო დახმარების გზით, დე გოლმა უპასუხა, რომ ეს მას „სრულიად არ აინტერესებდა“ (“complètement désintéressé”) (Urquhart 1994: 379). მიუხედევად ამისა, ბევრი ასეთი შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე ჩართულობისა გამოყენებული იქნა სხვა კონფლიქტევის შემთხვევაში. ჰამარშელდის წარმატებული ჩართვა ლიბანში ეყრდნობოდა UNOGIL-ის, ფაქტების დამდგენი მისიის, ჩამოყალიბებას, რომელმაც შეძლო დამაჯერებლად წარმოედგინა, რომ მტკიცებები „ინფილტრაციის“ შესახებ გადაჭარბებული იყო. კონფლიქტის ესკალაციის რისკი შემცირდა.

ე) კოალიციების შექმნა იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ელემენტი ჰამარშელდის მუშაობის მანერაში. ეს ნიშნავს, რომ ყველა მხარე დაეთანხმოს

იმ პროცედურებს, რომელთაც ის მიჰყვება, ხოლო თავად არ დაეთანხმოს, თუ „არასწორი“ პროცედურები იქნება გამოყენებული (ჰამარშელდის თანახმად, როგორც ეს მოხდა ლაოსში 1959 წელს,). ეფექტიანობისთვის, კოალიციების შექმნა მოითხოვს, რომ გენერალური მდივანი სახელმწიფოებთან მუშაობდეს, არა მხოლოდ მათი წარმომადგენლების სახით, არამედ შეეძლოს პირადად ესაუბროს საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეებში რეალური გადაწყვეტილებების მიმღებ მსოფლიო ლიდერებს. მან ეს მოახერხა თავისი ხშირი მოგზაურობების წყალობით, ხოლო შედეგად, ახალი ნაცნობობით თავის წრეს კიდევ უფრო აფართოებდა. ჰამარშელდს ხშირად მოქმედებდა პოზიტიური მოლოდინების სპირალში. სხვები ფიქრობდნენ, რომ მას ჰქონდა ბერკეტი, მისი აზრი მნიშვნელოვანი იყო, შედეგად მას შეეძლო ახალი კოალიციების შექმნა წარმოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით და ამით ბერკეტიც იქმნებოდა. კოალიციები დროთა განმავლობაში გადანაცვლდებოდა კიდეც: 1954-1955 წლებში ამერიკელი მფრინავების შემთხვევიდან 1956 წელს სუეცის კრიზისში უმეტესი წევრი ქვეყნების მხარდაჭერისაკენ და ასევე კონგოს კონფლიქტის გარშემო უშიშროების საბჭოს გახლეჩამდე.

ვ) გენერალური მდივნის თანამდებობის მთლიანობის დაცვა. ის სტატუსი, რომელიც ჰამარშელდმა და გაერო-მ იმ დროისთვის მოიპოვეს, როგორც ჩანს აფიქრებინებდა, რომ ეს ორგანო და მისი თანამდებობა სხვების პოლიტიკაზე მაღლა მდგომი ძალა იყო. ის შეიძლება გადაქცეულიყო დამოუკიდებელ აქტორად საერთაშორისო ურთიერთობებში (Urquhart 1994: 258-259). ეს კი მიუღებელი იქნებოდა წევრი ქვეყნების უმრავლესობისთვის. და მართლაც, ჰამარშელდი უახლოვდებოდა საერთაშორისო საქმეებში ამგვარ პოზიციას. სწორედ ეს ქვედინებები იგრძნობოდა იმ გაცხარებულ დებატებში, რომელიც ჰამარშელდსა და საბჭოთა ლიდერს, ნიკიტა ხრუშჩოვს შორის, 1960 წლის შემოდგომაზე გაიმართა გენერალური მდივნის როლის შესახებ. საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ გენერალური მდივანი ტროიკას შეეცვალა, გამოხატავდა უკმაყოფილებას ამ თანამდებობის დამოუკიდებლობის გამო. სწორედ ეს დაინახა ჰამარშელდმაც და ენერგიულად დაიცვა თავისი პოზიცია 1960 წლის ოქტომბერში გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე თავის შესანიშნავ და მტკიცე გამოსვლაში (Urquhart 1994: 456-472). გენერალური მდივნის როლის კიდევ უფრო გაფართოების მიზნით ჰამარშელდმა სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობები გამოიყენა (SRSGs). ეს მიმართული იყო გენერალური მდივნის პოზიტიური როლისა და ჩართულობის გაზრდისაკენ და არა პირიქით. ჰამარშელდისთვის ეს მისი საკუთარი პრესტიჟის გაგრძელება იყო. წარმომადგენლებს უნდა ეგრძნოთ, რომ ისინიც ამ თანამდებობიდან მუშაობდნენ. ამასთან თანხვედრაში იყო, ასევე, პირადი წარმომადგენლების ახალი თანამდებობების შექმნა, რომელთაც კიდევ უფრო მჭირდო კავშირები ჰქონდათ გენერალურ მდივანთან.

ზ) დიპლომატია რამდენიმე არენაზე. მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა იმის მართვა, რასაც დღეს ხანდახან ორდონიან თამაშებს უწოდებენ (პუტნემი 1988), ანუ, შეგეძლოს იმუშაო რამდენიმე განსხვავებულ არენაზე (როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო). როგორც აღვნიშნეთ, ჰამარშელდი სამ არენაზე მუშაობდა კონგოს კრიზისის დროს: თავად კონგოში, ბელგიასა და გაერო-ში. დინამიკები განსხვავებული იყო და მხოლოდ ის იგებდა სრულად და წვდებოდა იმის არსს, რაც ხდებოდა. ურთიერთქმედება ერთ არენაზე ერთი აქტორის ქმედებებსა და ათასი კილომეტრის დაშორებით მეორე აქტორის ქმედებებს შორის, ამ აქტორებისათვის

ყოველთვის ნათელი არ იყო. ჰამარშელდი კი სრულ სურათს ხედავდა. თუმცა, ამით მისი ოპერაციები მყიფე და რთულად შესანარჩუნებელი ხდებოდა. ისინი მისგან მოითხოვდნენ დიდი რაოდენობის ინფორმაციის გადამუშავების, აწონ-დაწონის და წინსვლის წარმოსახვითი გზების პოვნის უნარს. 1950-იან წლებში ამგვარი მუშაობა, შესაძლოა, სიახლედ ითვლებოდა. ტერმინი „ორ დონიანი თამაშები“ მიუთითებს, რომ საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური ლიდერები ითვალისწინებენ, როგორც თავიანთ ქვეყნებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში, ისე თავიანთ საკუთარ პოზიციებს საშინაო საქმეებში. გაერო-ს პოლიტიკისა და უმეტესი საერთაშორისო დიპლომატიისთვის კი ეს ხედვის ძალზედ ვიწრო წერტილია. ყოველთვის ბევრად მეტი დონე და მეტი აქტორია გასათვალისწინებელი. არსებობს უამრავი ქვეყნის (არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოებისა, მაგალითად) საშინაო დინამიკები და საგანგებო პოლიტიკა გაერო-ში პოლიტიკის წარმოებისა, ხოლო დამატებით კიდევ საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც დიდ სახელმწიფოებს კავშირებისა და კონფლიქტების რთულ ქსელში ხლართავს.

ის, თუ როგორ ახერხებენ ლიდერები ამ სირთულეებთან განმკლავებას, სასწრაფოდ მოითხოვს დამატებით კვლევას. ერთი მხრივ, არსებობს ჰამარშელდის მიდგომა, რომელიც ცდილობდა წინასწარ განეჭვრიტა, თუ რა მოხდება მთელს ამ ქსელში და ამდენად, მიეღო ზომები, რათა ყველაზე უარესი სცენარების რეალობაში განხორციელების პრევენცია მოეხდინა. ეს არის წინასწარი და პრევენციული სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა ინფორმაციას და პოლიტიკურ ინტუიციას. არსებობს სხვა სტრატეგიაც, რომელიც ცდასა და შეცდომას გულისხმობს. ლიდერებმა შეიძლება სცადონ გარკვეული კურსის გატარება, რათა შეამოწმონ გამოვა თუ არა აქედან რამე. ეს მიდგომა როგორც ჩანს არის „თუ გამოვა, გამოვა; თუ არ გამოვა, უნდა იპოვო გამართლება და თავი მაინც გამარჯვებულად გამოაცხადო“. ეს სტრატეგია ძალზედ მოსახერხებელია, მაგრამ საზოგადოებაზე ავტორიტარულ კონტროლს აწესებს. იგი გენერალური მდივნისთვის ნამდვილად არ გამოდგება.

ჩამოთვლილი თვისებები ა)-დან ზ)-მდე არის განსაკუთრებული, მოქმედებაზე ორიენტირებული და ზოგადი თვისებები. ისინი ნებისმიერ მესამე მხარეს ან გენერალური მდივანს შეიძლება ჰქონდეს. ისინი მაინცდამაინც ჰამარშელდის რომელიმე პიროვნულ თვისებას არ ირეკლავს, გარდა იმისა, რომ მას მათი გამოყენების უნარი ჰქონდა. თუმცა, იყო ორი აღსანიშნავი ფაქტორი, რომელიც დამახასიათებელი იყო თავად ჰამარშელდისთვის: რისკის გაწევის უნარი და სიმტკიცე.

თ) ჰამარშელდის რისკის გაწევის უნარი შეგვიძლია ბევრ მომენტში დავინახოთ. მაგალითად, საკმაოდ სარისკო იყო პეკინში ჩასვლა 1954 წელს, სადაც წარმატების მიღწევის არავითარი გარანტია არ არსებობდა. რისკებს ზრდიდა მედიის ყურადღება და იმის გათვლის სირთულე, თუ რას ფიქრობდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერები წარმომადგენელზე ორგანიზაციისა, რომელზეც მათ წვდომა არ ჰქონდათ. მოლაპარაკებებში, ვიზიტებსა და წინადადებების შემუშავებაში თავისი პირადი, და შესაბამისად თავისი თანამდებობის ჩართულობით, საკმაოდ შესაძლებელი იყო მისი ნებისმიერი პოზიციისთვის ძირის გამოთხრა. მას კარგად ესმოდა, რომ მან გასწია „გათვლილი რისკი“, მაგალითად, ლაოსში 1959 წელს, და კონგოში, სადაც მისთვის უმოქმედობის შედეგები უფრო შემაწუხებელი იყო (Urquhart 1994: 353, 389). კონგოსთან დაკავშირებით, მან მაინც აღიარა, რომ “ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი“ (Urquhart 1995: 394). და მაინც, მან გარისკა, როგორც უპასუხა ბელგიის

მეფე ბოდუინს, ყველა ფაქტორის აწონ-დაწონვის შემდეგ. 1960 წლის აგვისტოში, კატანგაში შესვლა გაერო-ს სამხედრო ძალებთან ერთად, რა თქმა უნდა, გაბედული ნაბიჯი იყო, ისევე როგორც, მისი ბოლო ფრენა ნდოლაში, 1961 წლის სექტემბერში (ურქუჰარტი 1994: 414, 416-427).

თუმცა, ეს არ იყო სიმამაცე სიმამაცის გულისათვის. ეს იყო გათვლების შედეგი, რაც გარკვეულწილად შეიძლება ასახავდეს მის ადრეულ ეკონომისტის კარიერას, რამაც მას პლიუსებისა და მინუსების აწონ-დაწონვა ასწავლა. გარკვეული თვალსაზრისით, ის თამაშების თეორიის ადრეული მომხმარებელი იყო, რომელიც ანგარიშობდა სხვადასხვა სვლის სარგებლიანობას. ხოლო მისი შედეგები მოწმობს, რომ ხშირ შემთხვევაში მან სწორი გათვლა გააკეთა.

ი) სიმტკიცე და უბრალოება. ჰამარშელდის სამუშაო უნარებზე მრავლისმეტყველი ჩვენებები არსებობს. მისი ვიზიტი პეკინში, რომელიც გარღვევად შეიძლება ჩაითვალოს, შედგა 1955 წლის იანვარში (ის პეკინში გაფრინდა ნიუ-იორკიდან ლონდონის, პარიზის, დელის, კანტონის და ჰანკოუს გავლით), როდესაც იქ ძალიან ციოდა. ჰამარშელდი ქალაქში მაინც ქუდის გარეშე მოძრაობდა და თან „საოცარი სიჩქარით“. მისი ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში, 1956 წლის აპრილში, ითვლება „დიპლომატიურ მარათონად“. მისი მარდი სიარულის მანერაზე კომენტარი ლიბანის უსაფრთხოების ოფიცრებმაც კი გააკეთეს, რომელთაც მისი დევნა გაუჭირდათ. 1958 წლის ივნისში ის ბეირუთში ჩაფრინდა და მაშინვე შეუდგა მუშაობას მომდევნო დილის 2:30 საათამდე, მაშინ როდესაც მხოლოდ მანგო და ვისკი ჰქონდა ნაჭამი. კიდევ ერთ მაგალითია მისი ტური აფრიკაში 1959 წლის დეკემბერში და 1960 წლის იანვარში, როდესაც ის ესტუმრა ოცდაოთხ ქვეყანას და ტერიტორიას თვენახევარზე მოკლე დროში, და მუდმივად დიდი ენთუზიაზმით იყო აღსავსე (Urquhart 1994: 104, 141, 144, 266, 381).

აშკარაა, რომ საცხოვრებელი პირობებით ჰამარშელდი დიდად არ წუხდებოდა. როდესაც 1960 წლის ივლისში კონგოს სტუმრობდა, ის თავის თანამშრომლებთან ერთად სადილობდა ჩვეულებრივ საცხორებელ სახლში, სადაც გაეროს მისია იყო განთავსებული, და ჭამის დროსაც მუშაობდა (Urquhart 1994: 410). მას მოსწონდა არაფორმალური მუშაობის სტილი. ხანგძლივი გადაფრენები მის ასაკში, თანაც იმ კონფორტის გარეშე, რომელიც დღეს ფრენას ახლავს, მუშაობის, საკვებისა და განთავსების იმპროვიზაციები, გვიან ღამემდე მუშაობა და დილის სესიები, ყოველივე ეს მის თანამდებობაზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს დაგაღლიდა. თუ არ ჩავთვლით დიპლომატიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრას მუდმივად ფხიზელი ინტელექტი სჭირდება. მისი ამ უნარის ასახსნელად გამოდგება ის კომენტარი, რომელიც 1955 წელს მისი პეკინში ვიზიტის დროს გაკეთდა. აჰმედ ბოხარიმ, პაკისტანიდან, კომენტარი გააკეთა შვედების შესახებ, მათ შორის, დაგ ჰამარშელდის ძმიშვილზე პედერ ჰამარშელდსა და შვედეთის ელჩზე: „ერთადერთი ვიყავი წვეულებაზე, რომელიც მიჩვეული იყო ზომიერ კლიმატს. ყველა დანარჩენი თავიანთი სისუსტის მომენტებში მთასვლელი იყო“ (Urquhart 1994: 104). აშკარაა, რომ ჰამარშელდი დიდ დროს ატარებდა სუფთა ჰაერზე, როგორც კი ამის დრო და საშუალება მიეცემოდა. მისი ფიზიკური სიძლიერე ეხმარებოდა, გაეძლო ხანგძლივი გადაფრენებისთვი, გვიანობამდე ემუშავა და მაინც ნათელი გონება შეენარჩუნებინა. ის იმავე დროს იყო შვედეთის ტურიზმის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც შვედური National Geographic-ია. ის ხშირად დადიოდა ველურ ბუნებაში და სტატიებს წერდა ასოციაციის ჟურნალისთვის.

აღნიშნული გამორჩეული თვისებები ჰამარშელდის წარმატების ნაწილი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი უნარი შეეკრა კოალიციები, რომელიც მის მოქმედებებს მხარს უჭერდა, მაგრამ ის, თავის მხრივ, კოალიციის ინტერესებს გამოხატავდა. ეს პოლიტიკური უნარებია. გაეროს გენერალური მდივანი კი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური აქტორია. ჰამარშელდმა ეს მოქმედება ხელოვნებად აქცია.

ჩვენ, ასევე, აღვნიშნეთ, რომ ის მზად იყო, გაეწია რისკი. ის მიდიოდა რისკზე მშვიდობისათვის, არა თავისი ქვეყნისთვის, ღვთისა თუ რაიმე ზოგადი მიზნით. რისკიანობის ეს ასპექტი გარკვეულწილად გასაკვირიც კი არის. როდესაც მას თანამდებობაზე ირჩევდნენ, მოელოდნენ, რომ ის უფრო „მდივანი“ და ოფიცერი იქნებოდა, და არა ის, ვინც შეადგენდა დღის წესრიგს, ან ხელს შეუწყობდა კონფლიქტის გადაჭრის პროცესში გაერო-ს ხედვის გატარებას. ეს ტრანსფორმაცია გამოწვევებით სავსე და გასათვალისწინებელია. ეს იყო თავად ჰამარშელდის თვისება, მისი აღქმები იმ მოვალეობების შესახებ, რომელსაც მისი თანამდებობდა მისგან მოითხოვდა, თუ გარკვეული გარემო პირობების შედეგი? პასუხი მიუთითებს პირად ფსიქოლოგიასა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის ურთიერთქმედებაზე.

დასკვნები დიპლომატიისთვის

დიპლომატიის სამი სახეობა, რომელიც გამოვყავით - დღის წესრიგის, შეთანხმებითი და იმპლემენტაციური დიპლომატია - გვთავაზობს სამ განსხვავებულ დავალებას საერთაშორისო დიპლომატიის, ისევე როგორც კვლევისათვის. როგორც ვიხილეთ, ჰამარშელდი, ამ სამივე მიმართულების ოსტატი იყო.

საკითხის დღის წესრიგში გატანა, მოითხოვს მის წარმოჩენას ისე, რომ ის რელევანტური გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ამდენად შეძლებისდაგვარად უნდა მივიდეს შეთანხმებულ მოქმედებამდე. 1950-იან წლებში, ეს უმეტესწილად შესაძლებელი იყო მხოლოდ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტების შემთხვევაში. კონგოს კრიზისი იყო საშინაო პრობლემა, რომელსაც გააჩნდა საერთაშორისო თვალსაზრისით ზეგავლენის მოხდენის უზარმაზარი პოტენციალი, და შესაბამისად, ჰამარშელდმა შეძლო საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაერო-ს მოქმედებებმა შეაჩერა ქვეყნის დაშლა, თუმცა, რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა შეიძლება მომხდარიყო გაერო-ს მოქმედებების გარეშე. დღეს საერთაშორისო დიპლომატიის დღის წესრიგში ბევრად მეტი საკითხია და ჰუმანიტარული პრობლემები ახლებურ გავლენას ახდენს ამგვარ დიპლომატიაზე. მაინც, გამოცანად რჩება, რა განსაზღვრავს დღის წესრიგს. შეუძლია კი ძლიერი ნებისყოფის მქონე პოლიტიკურ ლიდერს, ნებისმიერი საკითხი გაიტანოს დღის წესრიგში? არსებობს რაიმე განსაკუთრებული მახასიათებლები იმის ასახსნელად, თუ როგორ ხდება კონფლიქტის „გამოვლენა“? ხშირად ისე გამოდის, რომ დღის წესრიგს მედია ადგენს, მაგრამ ისინიც უფრო მეტ ყურადღებას ისეთ საკითხებს უთმობენ, რომელთაც საერთაშორისო ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს შეშფოთების საგნად მიიჩნევენ. ეს ურთიერთდამოკიდებულება უფრო მეტ დაკვირვებას საჭიროებს.

შეთანხმებით დიპლომატიაში, ჰამარშელდის სტრატეგიამ გამოავლინა იმ მომენტში არსებული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა. ის იმაზე წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა, მაგალითად, სუეცის კრიზისში 1956 წელს. ის აპირებდა ჩამოერთმია ორი დიდი სახელმწიფოსთვის, ბრიტანეთისა და საფრანგეთისთვის, მათი მთავარი არგუმენტი,

რასაც ისინი სამხედრო ინტერვენციის დაგეგმარებისთვის იყენებდნენ. ეს გვაჩვენებს, რომ პრობლემები მართლაც შეიძლება მოგვარდეს, თუ მხარეებს სურს მათი მოგვარება. მაგრამ, რატომ არ უნდა სურდეთ მათი მოგვარება? ჰამარშელდის გამოცდილებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ეს მაინცდამაინც ასე არ არის, წამყვან სახელმწიფოებსა და მთავარ გადაწყვეტილებების მიმღებებს შორისაც კი. განა რაიმე განსაკუთრებული მიმზედველობა გააჩნია ბრძოლას? საიდან მოდის ის: გენდერის ფაქტორი ხომ არ თამაშობს გარკვეულ როლს? ჰამარშელდი თავის ბოლო ტურის დროს მოლაპარაკების მიზნით უნდა შეხვედროდა ერთ-ერთ აქტორს, რომელიც დიდი სანდოობით არ იყო ცნობილი. წინა მოლაპარაკებები გამომდინარეობდა იმ აღქმიდან, რომ პირობა არის პირობა. რამდენად სავარაუდო იყო, რომ კატანგას ლიდერი მოისურვებდა და შეძლებდა შეთანხმებული პირობის პატივისცემას? ჰამარშელდმა გარისკა. იქნებ არიან ისეთი ლიდერები, რომელთანაც არ ღირს გარიგება?

იმპლემენტაციურ დიპლომატიაში, ჰამარშელდმა ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია. ეს კი გამჭრიახობას და ავტორიტეტს მოითხოვდა. ავტორიტეტი მანდატიდან მოდიოდა, ხოლო დამატებით, მანამდე გაფორმებული შეთანხმებებიდან. გამჭრიახობა კი ჰამარშელდის განსაკუთრებული თვისება იყო. 1990-იანი წლები სამშვიდობო შეთანხმებების გაფორმების ერა იყო. მათი საშუალებით ზოგი ომი შეწყდა, ზოგიც გადაიდო. ის აქცენტს აკეთებდა შეთანხმებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზე. ხელმოწერის მომენტში შესაძლოა მარტივი ჩანდეს, თუმცა, რეალობაში ის ბევრად რთულია. ამ გარდამავალ მომენტზე დიდი კვლევები არ ჩატარებულა. ის რეალობებიც კვლავ სახეზეა, რომელსაც ჰამარშელდი აწყდებოდა. საერთაშორისო სისტემა კი შეიცვალა, მაგრამ ცვლილება ტოტალური არ არის. დღეს, ისე როგორც არასდროს, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ფსიქოლოგიისა და დიპლომატიის წინაშე მდგარი გამოწვევების მიღება.

ბიბლიოგრაფია

1. Schellenberg, James A. “Individual Characteristics Theories.” In *Conflict Resolution*, 39-57. New York, State University of New York Press, 1996.
2. Schellenberg, James A. “Social Process Theories.” In *Conflict Resolution*, 59-78. New York, State University of New York Press, 1996.
3. Schellenberg, James A. “Social Structural Theories.” In *Conflict Resolution*, 79-102. New York, State University of New York Press, 1996.
4. Schellenberg, James A. “Formal Theories.” In *Conflict Resolution*, 103-116. New York, State University of New York Press, 1996.
5. Wallensteen Peter. “Widening the Researchable: conflict, resolution and prevention.” In *Peace Research,* 105-110. New York, Routledge, 2011.
6. Wallenstein Peter. “The Uppsala Conflict Data Program, 1978-2010.” In *Peace Research,* 111-124. New York, Routledge, 2011.
7. Wallenstein Peter with Moller Frida. “Conflict Prevention: Methodology for Knowing the Unknown.” In *Peace Research,* 125-142. New York, Routledge, 2011.
8. Wallenstein Peter with Harbom Lotta and Hogbladh Stina. “Armed Conflict and Peace Agreements.” In *Peace Research,* 143-153. New York, Routledge, 2011.
9. Wallenstein Peter. “Dag Hammarskjöld and the Psychology of Diplomacy.” In *Peace Research,* 154-171. New York, Routledge, 2011.